ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის თანხმობითობით

ფასი: 1 ლარი

20-26.III 2013

№12

სარკე

გვ.8

დავით უსუფაშვილის და თინა ხიდაშელის პირადი

„ჩვენი სიყვარული დრომ ვერ გააუფერულა“

გვ.6

„ჩემ გვერდით არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც მეყვარება“

„დაბრუნება – ამ სიტყვის თქმისაც კი მეშინია“

გვ.26

მოათვინიერებს თუ არა რბილი სიდედრი მკაცრ დედამთილს?

ირინა გუდაძის და ასმათ ტყაბლაძის რეალური ცხოვრება

თამარ გვერდწითელი: „რუსი ჟურნალისტების ბინძურ ჭორს საკადრისი პასუხი გავეცი!“

გვ.10

ბექა ხოფერია: „მორალურად განადგურებული ვარ!“

გვ.14

რის ფასად დაუჯდათ ია სუხიტაშვილს და ნანა შონიას კამერის წინ გახდა

გვ.30

გიორგი ხაბურზანიას ამერიკელმა ცოლმა საქართველოში ვერ გაძლო

ISSN 1987-9369

სარკე + ამეხიტული ზღაპრები

6 ლარი

ქალის ტვირთი „იმისთვის ვისჯები, რომ ქმარს სხვა ქალისგან ბავშვის გაჩენა დავაძალე“ გვ.48

აცც®

ACETILCISTEINI

არ არის ნახველი
არ არის ხველა!

აცც ლონგი ნიამგ
მხოლოდ ერთხელ დღეში

3/627/GE/9.10.2012

SANDOZ
a Novartis company

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 2 98 27 30; 2 98 27 50

ნომერში

ვარსკვლავი

- თამარ გეკურდწითელი: „რუსი ჟურნალისტების ბინძურ ჭორს საკადრისი პასუხი გავეცი!“ 6
- ნანა ფაჩუაშვილი: „ვარსკვლავის გახსნის დღეს ვიტყვი, რამდენი წლის ვარ“ 7

პირადი

დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი: „ჩვენი სიყვარული დრომ ვერ გააუფერულა“ 8

ინციდენტი

ბექა ხოფერია: „მორალურად განადგურებული ვარ!“ 10

გულახდილი საუბრები 12-13

კადრმილვა

რის ფასად დაუჯდათ ია სუხიტაშვილს და ნანა შონიას კამერის წინ გახდა 14

პოლიტიკა

- ამერიკაში უსუფაშვილის დათესილი ივანიშვილის ვიზიტის დროს მოიმკება 16
- ზვიად ძიძიგური: „ევროპასთან კომუნიკაციის მონოპოლია საკაშვილს ადარ ექნება“ 17
- ვალერი ხაბურძანიას პრორუსულ პოლიტიკაში საქართველოს მოსახლეობის 15-20 პროცენტის იმედი აქვს 20

შოუბიზნი

როგორ ჩააგდო შოკში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მაშა საკაშვილის პაროდისტმა 22

ასპარეზი

ვიტო კოლელიშვილი: „როცა მოედანზე ვარ, ფიფანებს ნამდვილად არ ვაკვირდები“ 23

ერთი სპექტაკლის ისტორია

„ხანუმა“ — რობერტ სტურუას „დამანგრეველი იუმორი“ 24

ტანდემი

ირინა გუდაძის და ასმათ ტყაბლაძის რეალური ცხოვრება 26

მოზარდები 28-29

ტელესივრცე

გიორგი ხაბურზანიას ამერიკელმა ცოლმა საქართველოში ვერ გაძლო 30

სახე სერიალიდან

დიმიტრი ტატიშვილი: „ცოლი ჩემს გმირებს დასცინის“ 32

სარკის წინ

დინო ვირსალაძე: „მუზა აუზზე მომდის“ 34

ავტომოყვარული

დათო იმედაშვილს ჰოლიკუდის ბულვარიდან მანქანა აცალეს 35

ეტაპი

გიორგი სუხიტაშვილი საქართველოდან მიდის 36

ლამაზი გატაცება

რისი თქმა სურთ ქალებს აქსესუარებით 38

ჭორ-მართალი

- რატომ მღერის მაკა ზამბახიძე რატი დურგლიშვილის გარეშე 44
- ეკა ფანგანი და ბექა ჩხაიძე ერთმანეთს დაშორდნენ 44

ცხოვრება ჩემოდნებზე

გიორგი მოსიძე: „ქართველ კაცებზე ლეგენდა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინაშია“ 45

მეგზური

მაიამი — არნახული გართობა ლათინური ამერიკის კარიბჭესთან 46

მხოლოდ ქალებისთვის 50

დედიკოების სკოლა 51

ჩემი მშვენიერი ლედი

ზაზა მარჯანიშვილი: „მარიკუნაში ის თვისებები ვიპოვე, რაც დედაჩემს ჰქონდა“ 52

სპორტის მიღმა 53

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54-55

სახალისო 56-57

იყავით ჯანმრთელი 58-59

ადამიანის ინსტიტუტი 62

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბოსი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-11) 66
- ლელა ცუცქირიძე — „გასაღები“ 68

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 71

კითხვები მოძღვარს

„ადამიანი თუ სეფისკვერსა და ნაკურთხ წყალს იღებს, ბოროტი არ ეკარება“ 72

გზა ტაძრისაკენ

როგორ გახდა ყოფილი ტანკისტი ქართველ ჯარისკაცთა სულიერი მამა 73

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

№12(778) 20 — 26 მარტი, 2013

ქურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 18.03.2013, 21.00 სთ-ზე.

თეა წულუკიანისა და პრეზიდენტის ძმის პინგ-პონგი

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მოსამართლეთა კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ვრცლად ისაუბრა იუსტიციის უმაღლეს სკოლაზე და მისი მუშაობა გააკრიტიკა. საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმირება აუცილებელია, რომელსაც, მისივე თქმით, 1 ოქტომბრამდე საქართველოს პრეზიდენტის ძმა დავით სააკაშვილი ხელმძღვანელობდა.

■ თეა წულუკიანი

— პრეზიდენტის ძმა არ უნდა იყოს მოსამართლეთა მჭედელი, — განაცხადა მინისტრმა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, მოსამართლეობის თითოეულმა კანდიდატმა უნდა იცოდეს მიზეზი, თუ რატომ არ დაინიშნა იგი თანამდებობაზე; არ უნდა სჭირდებოდეს ომი, რომ საკუთარი საქმე გამოითხოვოს და არდანიშვნის მიზეზები დაადგინოს.

— ჩემი მიზანია, როცა ახალგაზრდებს და ბავშვებს ჰკითხავენ, თუ რა უნდათ, რომ გამოვიდნენ, მათ არჩევანი მოსამართლის პროფესიაზე შეაჩერონ, რაც დღეს, სამწუხაროდ, არ ხდება, — აღნიშნა მან.

წულუკიანის განცხადებას ოპერატიულად გამოეხმაურა დავით სააკაშვილი. მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამინისტროს ხელმძღვანელს ამგვარი უპასუხისმგებლო პოლიტიკური განცხადებების გაკეთება არ შეეფერება. დავით სააკაშვილი განმარტავს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორად 2001 წელს დაინიშნა, ხოლო 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაკავებული თანამდებობიდან გადადგა, რათა თავიდან აეცილებინა პოლიტიკური სპეკულაციები.

■ დავით სააკაშვილი

— ქალბატონი თეა სკოლის საქმიანობის შეფასებისას ცრუობს! საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებით, ბოლო 10 წლის მანძილზე სკოლამ უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და პროფესიონალი მოსამართლეების მომზადება-გადამზადების ცენტრი გახდა. მინისტრი ძალიან ცდება, როდესაც ამ სკოლის ყველაზე დიდ „განსაცდელად“ მე მასახელებს ჩემი პრეზიდენტთან ნათესაური კავშირის გამო! მინდა, მივმართო ქალბატონ თეას: ის დღეს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამინისტროს ხელმძღვანელობს და ამგვარი უპასუხისმგებლო პოლიტიკური განცხადებები არ შეეფერება. დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების „გვარებად“ დაყოფა დაუშვებელია. ეს მას უნდა ესმოდეს, როგორც დასავლური ღირებულებების მატარებელ სახელმწიფო მოღვაწეს.

ვაცხადებ, რომ ვარ საქართველოს მოქალაქე და ჩვენი კონსტიტუცია იცავს ყოველი ჩვენგანის დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას, მიუხედავად იმისა, თუ რას საქმიანობენ ჩვენი ძმები და მამები, — ნათქვამია დავით სააკაშვილის განცხადებაში.

სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭება სააკაშვილის ინიციატივა ყოფილა

ახალქალაქში ჩატარებულ საკრებულოს სხდომაზე სამცხე-ჯავახეთში სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭების საკითხი პირველ ნომრად განიხილეს. საკითხის განხილვის ინიციატორები იყვნენ საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“ წევრები. საქართველოს პარლამენტისთვის გაგზავნილ წერილში, რომელიც ახალქალაქის საკრებულოს სხდომაზე ერთხმად მიიღეს, ევროპის ქარტიის რატიფიკაციას მოითხოვენ და ამ მოთხოვნას საქართველოს მიერ 1999 წელს აღებული ვალდებულებით ამყარებენ.

საქართველოს ხელისუფლებამ 1999 წელს მართლაც აიღო ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, ქვეყანა უნდა მიუერთდეს ევროპის ქარტიას რეგიონული ენების დაცვის შესახებ. სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილი, ვალდებულების აღების გამო არა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას, არამედ მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს, რომელიც, მისი თქმით, ყველაფერს აკეთებდა, რომ ქვეყანა ევროსაბჭოს წევრი გამხდარიყო.

— შეგიძლიათ მოიძიოთ არქივში, 1999 წელს რა განცხადებებს აკეთებდა სააკაშვილი, რომ საქართველოს უფრო ადრე მიიღებენ ევროსაბჭოს წევრად, ვიდრე სომხეთს და აზერბაიჯანს. წლების განმავლობაში საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთნაირად ელაპარაკებოდნენ. უნდოდათ, ერთად მიეღოთ 2000 წლისთვის თავიანთ შემადგენლობაში, მაგრამ სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ მისკენ წასულიყო ყურადღება, რათა მის გუნდს უფრო მეტი ქულები ჩაწერა. მან წინდაუხედავად, ისე, რომ საზოგადოებაში არ იყო განხილული, ამ ქარტიის შესრულების ვალდებულება აიღო. მეორე ვალდებულება იყო მაჰმადიანი მესხების დაბრუნება საქართველოში, — აცხადებს ზაქარეიშვილი.

სახელმწიფო მინისტრმა დასძინა, რომ საქართველო ადრე თუ გვიან უნდა მიუერთდეს ამ ქარტიას და ვალდებულება შეასრულოს თუნდაც იმიტომ, რომ ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის დოკუმენტს ხელი ვერ მოეწერება, სანამ საქართველო ამ ქარტიას არ მიუერთდება.

თემას „ფეისბუქზე“ ეხმაურება ყოფილი დეპუტატი და განათლების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი, რომელიც ამ საკითხის წინ წამოწევას გახსნილ ყუმბარას ადარებს.

— ჩემი კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს ახალქალაქის საკრებულოდან, სომეხთა სათვისტომოდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ყოველთვიურად ვიღებდი წერილებს სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადების მოთხოვნით. ეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური მოთხოვნა ჩემი კაბინეტის კედლებს არ გასცილებია. ახალქალაქის საკრებულოს წევრების ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნა საჯაროდ რომ გამოიტანეთ და გინდათ, მასმედიით მსჯელობის თემად იქცეს, ეს იმას ჰგავს, კაცმა თავაზიანი ფორმით გახსნილი ყუმბარა რომ მოგაწოდოს და შენ ჩამოართვა. ასე მოიქცა „რუსთავი 2“ და ჩვენი მინისტრი ინტეგრაციის საკითხებში. რამდენიმე კაცის ქვენა მიზნები მთელი ერის განსასჯელად გინდათ, აქციოთ? უოქმო საქმე საოქმოდ, გინდათ, გახადოთ? — წერს გრიგალაშვილი.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან აღვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

ნათელაშვილმა კაცები „ვერ გამოზარდა“

ლეიბორისტული პარტია მათი ყოფილი წევრების განცხადებებს ეხმიანება. პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო მეტრეველის თქმით, ისინი აქამდე თავს იკავებდნენ ყოფილი ლეიბორისტების თავდასხმების კომენტირებისგან, მაგრამ, რადგან ბოლოდროინდელმა განცხადებებმა უკვე არაეთიკური და არაადეკვატური ხასიათი მიიღო, იძულებული არიან, დუმილი დაარღვიონ.

შალვა ნათელაშვილი

ლეიბორისტული პარტიის რიგები იოსებ შატბერაშვილმა, კახაბერ ძაგანიამ, პაატა ჯიბლაძემ, კონსტანტინე გუგუშვილმა, გიორგი მთვარელიძემ და დავით ვერძეულმა იანვრის ბოლოს დატოვეს.

— ყოფილი ლეიბორისტები, რომლებმაც დღემდე ვერ მიიღეს სხვა სტატუსი, ყოფილი პარტიის ლანძღვით ცდილობენ ახალი ადგილის დამკვიდრებას პოლიტიკაში. შევახსენებ, რომ მათ მიერ „ავადმყოფად“ მოხსენიებული შალვა ნათელაშვილი იყო ის კაცი, ვინც ისინი ცნობადებად აქცია. ისინი მუდმივად იყვნენ საარჩევნო სიის პირველ ათეულში, იყვნენ თბილისის საკრებულოს ან პარლამენტის დეპუტატები და ერთი დღეც არ უმუშავიათ ანაზღაურების გარეშე. ამ ადამიანებმა ლეიბორისტული პარტიისგან მიიღეს ყველაფერი, რაც შეიძლება პოლიტიკოსმა მიიღოს. შესაბამისად, გამზრდელისთვის ტალახის სროლით ისევ თვითონ ისვრებიან. შალვა ნათელაშვილი კი მხოლოდ იმაშია დამნაშავე, რომ, აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ არ იყოს, ისინი კაცებად ვერ გაზარდა, — აცხადებს ნინი მეტრეველი. მისი შეფასებით, შატბერაშვილი თავისი ბრალდებით, რომ თურმე ნათელაშვილი ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრულია და მისგან ფინანსდება, ისევ საკუთარ თავს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

— ამავე დროს ბატონი შატბერაშვილი ამბობს, რომ 2003 წელს პირადად მას მიუტანეს ჩემოდნით ფული ნაციონალებმა, მაგრამ ნათელაშვილისგან უარი მიიღეს. მსგავსი შეთავაზებები მართლაც ყოფილა და არამხოლოდ ნაციონალური მოძრაობისგან. პარტიის თავმჯდომარე ამაზე არასოდეს წასულა და ეს ეტყობოდა კიდეც პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას, — ამბობს მეტრეველი და განმარტავს, თუ რა მოხდა სინამდვილეში:

— სინამდვილეში მოხდა ის, რომ ეს ადამიანები, რომლებმაც პარტია დატოვეს და დღეს ბინძური პიარკამპანიით არიან დაკავებული, ვიღაცის დავალებით, ორი თვის განმავლობაში ცდილობდნენ პარტიის დაშლას და ამაზე მიზანმიმართულად მუშაობდნენ. პარტიის კოორდინატორებს და აქტივისტებს ეუბნებოდნენ, რომ თუ ვადამდელ ყრილობაზე შალვა ნათელაშვილის თანამდებობიდან გადაყენებას მოახერხებდნენ, პარტია სოლიდურ დაფინანსებას მიიღებდა და ყველანი კარგად იქნებოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელი პარტია მათ წინააღმდეგ გამოვიდა, იძულებულნი გახდნენ, პარტია დაეტოვებინათ. საინტერესოა, ვინ ჰპირდებოდა ფულს. მინიშნებები „ქართულ ოცნებაზე“ კეთდებოდა და ეს გასაკვირი არცაა. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოსვლის დღესვე დაემუქრა შალვა ნათელაშვილს პოლიტიკური მკვლელობით და ხმამაღლა განაცხადა კიდეც, რომ კარს გაუღებდა ყველას, მათ შორის ლეიბორისტებს, ოღონდ ნათელაშვილის გარეშე.

ლეიბორისტების პრესმდივნის თქმით, ერთ-ერთ „უმადურთაგანს“, რომელიც შალვა ნათელაშვილმა შვილივით გამოზარდა, ღალატი იმით დაუფასდა, რომ უკვე ლონდონშია სასწავლებლად წასული, დანარჩენების ქონება კი საგრძნობლად გაიზარდა.


ვანო მერაბიშვილი

მერაბიშვილი ჯავახეთზე მთელ პასუხისმგებლობას „ოცნებას“ აკისრებს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ჯავახეთთან დაკავშირებით პრობლემას ეხმაურება და ახალ ხელისუფლებას წინა მთავრობის გამოცდილების გაზიარებას სთავაზობს.

— „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა საკითხი სომხურ ენასთან დაკავშირებით. თვითონ ეს დადგენილება „ოცნების“ მიერ იყო პროვოცირებული. ამ ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩვენ ვაკეთებდით იმას, რომ ეს საკითხი საერთოდ არ დამდგარიყო. მინდა, გითხრათ, რომ დავით რასტაკიანი, რომელიც საკმაოდ გავლენიანი ადამიანი იყო (წინა საკრებულოს წევრი, რა თქმა უნდა, არა — ნაციონალური მოძრაობიდან), ამ საკითხს საკრებულოს დღის წესრიგში ყოველთვის აყენებდა. სწორედ ამიტომ ბოლო არჩევნებზე სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ყველაფერი გავაკეთეთ, რომ რასტაკიანი და მისი მსგავსი ადამიანები საკრებულოში არ ყოფილიყვნენ. ყველა ისეთი რადიკალის იზოლაცია მოვახდინეთ, როგორიც ჩახალიანია, რათა მათ არც ეს და არც სხვა საკითხები საკრებულოს სხდომებზე თუ სხვა საჯარო შეკრებებზე არ დაეყენებინათ.

დღევანდელმა ხელისუფლებამ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით ციხიდან გამოუშვა და ღამის გმირად შერაცხა ჩახალიანი. ტოროსიანს მოუხსნა პერსონა ნონ გრანტას სტატუსი, დაიწყო ბრძოლა ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების წინააღმდეგ და შედეგად ეს სურათი მივიღეთ. ამ ყველაფრის ნაციონალური მოძრაობისთვის დაბრალება არის უსუსური, რადგან, რაც ხდება საქართველოში და განსაკუთრებით ჯავახეთში, ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, — განაცხადა მერაბიშვილმა.

კრიმინალური ქრონიკა

საფრანგეთის მოქალაქემ ნარკოტიკი ფარულად ჩამოიტანა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში საფრანგეთის მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, 1979 წელს დაბადებული ლევან ნ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

სამართალდამცავებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 28 აბი ბუპრენორფინი, ამავე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი ხსნარით სავსე 2 სამედიცინო შპრიცი, მარიხუანა და ჰაშიში ამოიღეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ლევან ნ-მ ბუპრენორფინი საფრანგეთიდან ფარულად შემოიტანა. ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, დაკავებულს ამ პრეპარატის მოხმარების ფაქტიც დაუდგინდა.

სარფის საბაჟოდან ჰეროინი შემოჰქონდათ

სარფის საკონტროლო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე 1973 წელს დაბადებული მალხაზ ა. და 1968 წელს დაბადებული ჯიმშერ ძ. ნარკოდანაშაულისათვის დააკავეს. სამართალდამცავებმა მალხაზ ა-ს პირადი ჩხრეკისას 4 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, ჯიმშერ ძ-ს კი ფეხსაცმლის ქუსლში 12 შეკვრა ჰქონდა დამალული. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნარკოტიკის საერთო წონა 11,2 გრამს შეადგენს, რომელშიც 2,5 გრ ჰეროინი აღმოჩნდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა ნარკოტიკული საშუალება შემდგომში საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზაციის მიზნით თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინეს.

მალხაზ ა-ს და ჯიმშერ ძ-ს მიმართ გამოძიება ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებასა და უკანონოდ შემოტანაზე მიმდინარეობს.

ასპინძის მცხოვრები დიდი ოდენობით საბრძოლო მასალას სახლში ინახავდა

ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთში 1969 წელს დაბადებული დავით ზ. საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცავებმა სოფელ ვალეში დაკავებულის საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ამოიღეს: 1749 ცალი 7,62 მმ კალიბრის და 54 ცალი 5,45 მმ კალიბრის ვაზნა, 6 ხელყუმბარა, 30 სასიგნალო მოწყობილობის ელექტროდეტონატორები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 მჭიდი და ხელყუმბარის ასაფეთქებელი 9 მექანიზმი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობს.

Cyan Magenta Yellow Black

თამარ გვერდწითელი: „რუსი ჟურნალისტების ბინძურ ჭორს საკადრისი პასუხი გავეცი!“

„ჩემ გვერდით არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც მეუვარება“

19 წელი რუსულ ესტრადაზე გაატარა, მსოფლიოს მრავალ სცენაზე მღერის, მისი ყველა კონცერტი ქართული სიმღერებით იხსნება. ახლა მას თავის სამშობლოში უკვე ორი ვარსკვლავი აქვს, ერთი — ანსამბლ „მზიურის“, მეორე — პერსონალური. 15 მარტს თბილისში, ფილარმონიის წინ, მომღერალ თამარ გვერდწითელის ვარსკვლავი გაიხსნა. საღამომ სრული ანშლაგით ჩაიარა. მომღერალი ემოციებს ვერ იკავებდა, როცა დარბაზში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გამოჩნდა. ამბობს, ამ დროს ცრემლი მომერიაო. დარბაზი კი მისმა შესრულებულმა უწმინდესის საგალობლებმა აატირა.

თამარ გვერდწითელი დედასთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს. მისი ერთადერთი შვილი, სანდრო, სტუდენტია და ლონდონში სწავლობს. შვილის გარეშე ძალიან უჭირს და, რაც დრო გადის, უფრო ხშირად ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებაზე.

— ქალბატონო თამარ, თქვენი ვარსკვლავის გახსნიდან რამდენიმე დღე გავიდა. დღეს როგორია თქვენი ემოცია?

— ეს დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საერთოდ, წარმატება დიდ სტრესს უკავშირდება. პასუხისმგებლობა მიათმაგდება, როდესაც თბილისელ მსმენელს ვხვდები. ყოველთვის ვცდილობ, მათ იმედები არ გავუცრუო, ჩემი განვლილი წლები გავახსენო. ეს ვარსკვლავი შეჯამებაა ჩემი განვლილი გზის, ცხოვრების საუკეთესო ეტაპების. როდესაც სცენაზე გავედი და ხალხით სავსე დარბაზი დიდი ოვაციით შემხვდა, მივხვდი, რომ ჩემს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

„ჩემი პროტესტი იმით გამოვხატე, რომ 2008 ნლის ოქტომბერში ხუსეთში 30 კონცერტი გადავდე“.

— გარკვეული პაუზის შემდეგ ხომ არ გეშინოდათ ქართველ მსმენელთან შეხვედრის?

— ამის შიში ყოველთვის მაქვს. სადაც უნდა ვცხოვრობდე, მე ჩემი ქვეყნის შვილი ვარ და საქართველოში ყოველთვის შინაურულად ვგრძნობ თავს. როცა მსმენელთან ურთიერთობაში გარკვეული წყვეტა ხდება, ბუნებრივია, ეს შიშს ბადებს. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როგორ შემხვდებოდა ქართველი მსმენელი და პასუხს ვერ ვპოულობდი. სიმღერა ისეთი რამ არის, სანამ სცენაზე არ გახვალ, პროგნოზს ვერ გააკეთებ. ყველაზე დიდი სიხარული ის იყო, რომ ჩემს კონცერტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი დაესწრო. ეს უსაზღვრო სიხარული იყო ჩემთვის. როდესაც თქვეს, უწმინდესი შემობრძანდა დარბაზშიო, ცრემლი მომერია. ამ მომენტში თვალწინ მთელმა ჩემმა ცხოვრებამ კინოკადრივით გაირბინა.

— კონცერტზე პატრიარქის დაწერილი ორი საგალობელი შეასრულეთ — „ალილუია“ და „ავე მარია“. უწმინდესმა როგორ შეაფასა თქვენი გალობა?

— კონცერტის წინ უწმინდესმა დაგვლოცა, ეს ორი საგალობელი მისი ლოცვა-კურთხევით ვიგალობე. „ალილუიას“ და „ავე მარიას“ შესრულების წინ საოცრად ავღელდი. ბოლო წუთამდე ვერ ვიჯერებდი, რომ უბრალო მომღერალს ასეთი ბედნიერება მხვდა წილად. უწმინდესმა ძალიან მაღალი შეფასება მომცა, იმ ფრაზების გამეორება მერიდება... მადლობა ღმერთს, იმის ღირსი გავხდი, რომ პატრიარქი ჩემი ვარსკვლავის გახსნას დაესწრო. ამ დღით უზომოდ ბედნიერი ვარ!

— წლების წინ, როცა თქვენ ქართველი მსმენელისთვის ჯერ კიდევ პატარა თამრიკო იყავით, იფიქრებდით, რომ სამშობლოში ასე დაგაფასებდნენ?

— რა თქმა უნდა, მიფიქრია, როგორ მიიღებდნენ ჩემს წარმატებას საქართველოში. ზოგჯერ ისე ხდება, რომ შენს წარმატებას ვითომ ვერ ამჩნევენ, თითქოს არაფერი მომხდარა. ზოგიერთს ისიც არაფრად მიაჩნდა, რომ გამოხვედი „კარნეგი ჰოლში“, „ოლიმპიაში“, ლეგრანი გააგიჟე... მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი სამშობლო ამ წარმატებას სხვანაირად აღიქვამდა. მე ქართველი ხალხის ნაწილი ვარ და ეს წარმატებაც ჩემს ქვეყანას ეკუთვნის. ჩემი კონცერტი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ქართული სიმღერებით იწყება. ამ დროს დარბაზი ყოველთვის ოვაციებით არის სავსე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა არც იცის, რუკაზე სად არის საქართველო. ამ ბოლო დროს კი გაიგეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვაგრძელებთ ამ საქმეს და იმ ზღვაში ეს წვეთიც ძალიან მნიშვნელოვანია.

„ზოგჯერ ისე ხდება, რომ შენს წარმატებას ვითომ ვერ ამჩნევენ, თითქოს არაფერი მომხდარა. ზოგიერთს ისიც არაფრად მიაჩნდა, რომ გამოხვედი „კარნეგი ჰოლში“, „ოლიმპიაში“, ლეგრანი გააგიჟე... მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი სამშობლო ამ წარმატებას სხვანაირად აღიქვამდა. მე ქართველი ხალხის ნაწილი ვარ და ეს წარმატებაც ჩემს ქვეყანას ეკუთვნის“.

— ელოდებოდით, რომ ვარსკვლავს გაგიხსნიდნენ?

— მიფიქრია, რომ ჩემი ხალხი ოდესმე დაინახავდა ამ თავდადებას, თუმცა ვარსკვლავი მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის. ერთი პერიოდი საუბრობდნენ ჩემი ვარსკვლავის გახსნაზე, შემდეგ ეს იდეა გაქრა და, სიმართლე რომ გითხრათ, მას შემდეგ ამის მოლოდინიც აღარ მქონდა. ამისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს პატრიარქს, დავით ოქიტაშვილს, ანსამბლ „შვიდკაცას“, ბიჭუნათა გუნდ „მძლევარს“, სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს.

„დაბრუნება — ეს უდიდესი შინაგანი გადანყვეტილებაა, ეს დიდი ჭიდილია. ამ სიტყვის თქმისაც ეი მეშინია“.

— რუსეთის „პირველი არხის“ პროექტში „ორი ვარსკვლავი“ თქვენ და მსახიობმა დიმიტრი დიუჟევმა გაიმარჯვეთ. ამის შემდეგ სცენაზე არაერთხელ შეასრულეთ დუეტი. როგორ გადაწყდა დიუჟევის ჩამოსვლა საქართველოში?

— მისი აქ ჩამოსვლა ჩვენმა მეგობრობამ განაპირობა. საქართველოდან აღფრთოვანებული წავიდა.

— როგორ გააცანით ჩვენი ქალაქი, რა აჩვენეთ, როგორ უმასპინძლეთ მას?

— დათო ოქიტაშვილმა და მისმა მეგობრებმა უმასპინძლეს. მამაჩემმა, ჩემმა ძმამ დაათვალიერებინეს ქალაქი, ამ დროს მე რეპეტიციაზე გახლდით. დიმიტრი აბსოლუტურად მოხიბლული და მოჯადოებული წავიდა ჩვენი ქვეყნიდან, აღფრთოვანებული იყო პატრიარქთან შეხვედრით. უწმინდესს ბევრი შეკითხვა დაუსვა. მისგან გაგიჟებული გამოვიდა, მითხრა, ისეთ შეკითხვებზე მიპასუხა, რომ შეიძლება ისე წავსულიყავი იმქვეყნად, ამ კითხვებზე პასუხი ვერ მიმეღო. კონცერტის წინ დიმიტრი გამუდმებით მეკითხებოდა, ნუთუ პატრიარქი კონცერტზე მართლა მოვაო. დიმიტრიზე დიდი გავლენა მოახდინა მცხეთამ, თბილისმა, ქართულმა სუფრამ, ადამიანებმა, ურთიერთობამ, სიყვარულმა... მოსკოვში მონუსხული დაბრუნდა. სიტყვები არ ჰყოფნიდა ემოციების გადმოსაცემად. ამბობდა, ასეთ ქვეყანაში დაიბადეთ და სხვანაირები ვერც იქნებითო.

— წელიწადში ერთხელ ჩამოდიხართ საქართველოში...

— ახლა უკვე ორ თვეში ერთხელ ჩამოვდივარ.

— ასე რატომ მოუხშირეთ?

— მონატრების გამო... ეს ყველაფერი „მზიურის“ ვარსკვლავის გახსნის დღიდან დაიწყო. მაშინ პატრიარქმა დაგვლოცა. როდესაც პირველად შევეხე მას, მივხვდი, რომ ჩემი აზროვნება, ცხოვრება შეიცვალა.

— როდის დაუბრუნდებით თქვენს ფესვებს საბოლოოდ?

— ეს პროცესი დაწყებულია. იმედი მაქვს, რომ შემოქმედებითი გეგმები განაპირობებს ჩემს დაბრუნებას. ყველაფერი ღვთის ნებაა.

— თბილისში სად ცხოვრობთ, როგორია თქვენი აქაური კავშირები, ურთიერთობები?

— ვაზისუბანში მაქვს ბინა, რომელიც გასარემონტებელია. მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოსვლას მოვუხშირე, ვხვდები, რომ უნდა მოვაწყო. აქ სხვა სახლი არ მაქვს. რაც შეეხება თბილისურ ურთიერთობებს, მიყვარს კონსერვატორიის მეგობრე-

Cyan Magenta Yellow Black

ბი, „მზიურის“ გოგოები... ასეთი ურთიერთობები არსად არის. მიხარია, რომ აქ რამდენიმე დღე დავრჩები და ყველას მოვინახულებ. დღისით აუცილებლად შევხვდები მეგობრებს, საღამოს — ნათესავებს. ასეთი სითბო არსად მხვდება. ხშირად ნოსტალგია ისე შემომაწვება ხოლმე, რომ ცრემლებს ვერ ვიკავებ. ჩამოსვლა სულ მინდა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული.

— ალბათ ძალიან განიცდით, როცა საქართველოში სიტუაცია იძაბება ან უსიამოვნო ამბები ხდება.

— რა თქმა უნდა, ძალიან განვიცდი. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმას, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გადავიტანე. პატრიარქმა მითხრა, უნდა იცოდეთ, რომ საქართველო არის თქვენი სამშობლო, მოსკოვი კი — სახლია. მან ამ სიტყვებით მანუგეშა. მართლაც ასეა, მოსკოვი არის ჩემი სახლი, საქართველო — ჩემი სამშობლო. აქ სულ სხვანაირი მუხტი მაქვს, აქ სულ სხვანაირად ყღერს ჩემი ხმა და სულ სხვანაირად გამოვიყურები. მიხარია, რომ ჩემსა და ქართველ მსმენელს შორის ძაფი არ არის განყვეტილი.

„ოცა მომღერაზე ახალგაზრდა ჩრებათ სათქმელი, მისი ჩაცმულობის გაკრიტიკებას ინყებენ. ეს ახის ჟურნალისტების ბოლო ყლანჭი. ნეტა, ეს ბოლო დარი იყოს ჩემთვის...".

— აგვისტოს ომის დროს არ გაგიჩნდათ პროტესტი რუსული აგრესიის მიმართ?

— იმ პერიოდში ჩემი და უწმინდესის ურთიერთობა რომ არ დაწყებულიყო, არ ვიცი, ამ ამბავს როგორ გადავიტანდი. ჩემი პროტესტი იმით გამოვხატე, რომ 2008 წლის ოქტომბერში რუსეთში 30 კონცერტი გადავდე. ჟურნალისტები მოცივდნენ. მათ ვუთხარი, დედაჩემი ყოველდღე ტირის, ჩემი ძმა, მამა იქ არიან, საქართველო ჩემი სამშობლოა და ამ ყველაფერს საშინლად განვიცდიმეთქი. მაშინ ამის მეტი სათქმელი არაფერი მქონდა.

■ „დიმიტრი დიუჟევი საქართველოდან მონუსხული ნავიდა“.

— რუსეთის ან საქართველოს ხელისუფლებისგან თქვენ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გიგრძნიათ?

— ჩემს კონცერტებს რუსეთის პრემიერმინისტრი და პრეზიდენტი ხშირად ესწრებოდნენ. შარშან თბილისში გამართულ კონცერტსაც დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი და ბათუმშიც მოვიდა. ჩვენ თბილად ვისაუბრეთ. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩვენი ურთიერთობა შექმნილ სიტუაციაზე მაღლა აღმოჩნდა. ორივე მხარემ შემოქმედება და ადამიანობა პოლიტიკაზე წინ დააყენა.

— ბრწყინვალე კარიერის მიღმა რის ნაკლებობას განიცდით?

— მოსკოვი ძალიან მიყვარს, იქ ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ აქ ყოფნისას სულ სხვა გრძნობა მეუფლება. ადამიანური ურთიერთობების დეფიციტი მაქვს, ჩემს მეგობრებთან განშორებას განვიცდი.

— რუსული პრესა წერდა, რომ ახალი სიყვარული გეწყათ. ამბობდნენ, რომ თქვენი რჩეული იყო ქართველი და სახლში სარემონტო სამუშაოების დროს გეხმარებოდათ. ეს სიმართლეა?

— რუსული პრესა, სამწუხაროდ, ბინძური ჭორებით არის მოცული. ეს შეთითხნილი ამბავია და მეტი არაფერი! ძალიან გთხოვთ, დაწეროთ სიმართლე, რომ ეს არის მტკნარი სიცრუე! იქ ძალიან გადაჭარბეს. გთხოვთ, ამ თემას ნუ შევეხებით. რუს ჟურნალისტებს ის ვუპასუხე, რასაც იმსახურებდნენ. მე ახლა გადაფასების ეტაპზე ვარ...

— შეყვარებული ხართ?

— არა. დღესდღეობით ჩემ გვერდით არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც მეყვარება და მასთან სერიოზული ურთიერთობა მექნება. კიდევ ვიმეორებ, ჩემს ცხოვრებაში დღეს ასეთი პიროვნება არ არსებობს.

— თქვენი ერთადერთი შვილი, სანდრო, უკვე ამ ასაკშია, როცა ადამიანები დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. ეს კი მშობლისთვის ხშირ შემთხვევაში ძალიან მტკივნეულია. მარტო ხომ არ გრძნობთ თავს?

— სანდრო ლონდონში სწავლობს. მისი ინტერესი სწავლისკენ არის მიმართული. ის მართლაც დიდი ბიჭია, მეცნიერულად აზროვნებს, ყველა საკითხს ღრმად სწავლობს. მის გარეშე ძალიან მიჭირს. მე და დედა მოსკოვში ვართ, სანდრო — ლონდონში. ძალიან კარგი ახალგაზრდაა, ყველა აქებს. მოკლედ, ლონდონი-საქართველო-რუსეთის ცის ქვეშ ვართ გამოკიდებული.

— რა თვისებებით გამოირჩევა სანდრო, ტიპური ქართველია?

— სანდრო გულუბრყვილოც არის და თან ძალიან თანამედროვეც. მასმედიისა და კულტურის ფაკულტეტი დამთავრა. ამბობენ, რომ ხასიათით ძალიან მგავს. ოჯახის წევრებისგან მარტო კარგი თვისებები აქვს აღებული. დედაჩემის დამსახურებაა, რომ სანდრომ ქართული იცის.

— რუსული პრესა ჩაცმულობის გამო ხშირად გაკრიტიკებთ. მათ ქილიკს როგორ აღიქვამთ?

— ადამიანს გესლიანი ქილიკი არასოდეს სიამოვნებს, ჯანსაღ კრიტიკაზე კი დადებითად ვრეაგირებ. მე სხვაგვარად ვაფასებ ადამიანებს, მათ ემოციას. როცა მომღერალზე არაფერი რჩებათ სათქმელი, მისი ჩაცმულობის გაკრიტიკებას იწყებენ. ეს არის ჟურნალისტების ბოლო კლანჭი. ნეტა, ეს ბოლო დარი იყოს ჩემთვის... არ მიმაჩნია, რომ უგემოვნო ჩამცმელი ვარ.

— თქვენი აზრით, წარმატებისთვის რა არის ყველაზე მთავარი?

— ალბათ — ნიჭი. დედას სწამდა, რომ წარმატებული ვიქნებოდი. როცა დიდ სცენაზე დავდექი, მივხვდი, რომ დიდი ბრძოლები მქონდა გადასატანი. პროფესიონალმა არტისტმა ყველა ნაბიჯი უნდა გათვალოს. არც სიყვარულს აქვს რაიმე ფორმულა და არც წარმატებას. მნიშვნელოვანია, როგორ ქვეყანაში დაიბადები და რამდენად იღბლიანი იქნები.

— რა დარჩა თამარ გვერდწითელს გასაკეთებელი?

— ზაფხულში ალბომზე დავიწყე მუშაობა, სადაც 16 სიმღერა შევა. მისი პრეზენტაცია ივნისში გაიმართება. ჩემს სიმღერაზე — „ჩემს ქალაქში ჩემი გულია“ — კლიპს გავაკეთებ, რომლის რეჟისორიც ზაზა ორაშვილი იქნება. ზუსტად ვიცი, რომ კლიპს საქართველოში გადავიღებ, მაგრამ კონკრეტულად სად, ვერ გეტყვით.

— ალბომს „დაბრუნებას“ ხომ არ დაარქმევთ?

— აი, თქვენ უკვე დაარქვით სახელი! დაბრუნება — ეს უდიდესი შინაგანი გადაწყვეტილებაა, ეს დიდი ჭიდილია. ამ სიტყვის თქმისაც კი მეშინია.

✓ ლანა კოკანე

ნანა ფაჩუაშვილი: „ვარსკვლავის გახსნის დღეს ვიტყვი, რამდენი წლის ვარ“

50 წელი სცენაზე, 100-ზე მეტი როლი თეატრსა და კინოში, სიხარული, წარმატება, ბევრი აპლოდისმენტი და ცოტა წყენაც — დაახლოებით ასეთია მსახიობ ნანა ფაჩუაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება, რის მიღმაც კიდევ ბევრი საინტერესო იმალება. 31 მარტს რუსთაველის თეატრის წინ, სადაც მრავალი წელი გაატარა, მის ვარსკვლავს გახსნიან. ამ დღისთვის განსაკუთრებით ემზადება. სურს, მაყურებლის წინაშე თავისი მრავალწლიანი შემოქმედება შეაჯამოს. ისე ნერვიულობს, როგორც მაშინ, როცა სცენაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა.

ქალბატონმა ნანამ „სარკეს“ თავისი ემოციები გაუზიარა.

— ქალბატონო ნანა, რას დაარქმევდით თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედების ამ ეტაპს?

— ის ეტაპი დადგა, როცა ასე თუ ისე უნდა წარდგე მაყურებლის წინაშე, შეაჯამო და წარმოაჩინო შენი საქმიანობა. როდესაც ხურჯინი აივსება, ის გვერდზე უნდა გადადო და

„ჩემი დევიზია: მე უფრო მჭირდება თეატრი, ვიდრე მე ვჭირდები თეატრს. თუ ამ ლოზუნგით იცხოვრებ, ყველაფერი გაგიიოლდება“.

ახალი ხურჯინის ავსება დაიწყო, თუ, რა თქმა უნდა, ამის უნარი შეგწევს. ვერ ვიტყოდი, რომ იოლია ჩვენი პროფესია. მსახიობებს სპორტსმენებს ვადარებ. 31 მარტს ვნახავ, რა წონის გირის აწევა შემიძლია.

— როგორ ემზადებით ამ დღისთვის?

— სამზადისი დაწყებულია, ჩემი ძველი სპექტაკლებიდან ნაწყვეტებს ვამონტაჟებ. ამ ყველაფერს რომ ვუყურებ, ვხვდები, საკმაოდ ბევრი მაქვს ნათამაშევი. გული მწყდება იმ პარტნიორებზე, ვის გვერდითაც მთელი ცხოვრება გავატარე და ახლა აღარ არიან. სამწუხაროდ, ჩემი საქმიანობის შე-

→75

Cyan Magenta Yellow Black

დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი: „ჩვენი სიყვარული დრომ ვერ გააუფერულა“

თინა: „დათოს მეხამე გოგო უნდა, ჩემთვის კი სულერთია“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი თვლის, რომ ოჯახი მაშინ არის კარგი და მყარი, როდესაც იქ ცოლიც ლიდერია და ქმარიც, თანაბრად აქტიურნი და თანაბრად პასუხისმგებელნი არიან როგორც საოჯახო, ისე საზოგადოებრივ ვალდებულებებზე. მის გვერდით მართლაც ძალიან ძლიერი, ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ქალი დგას — პარლამენტის დეპუტატი, იურისტი თინა ხიდაშელი.

მათ 17 წლის წინ იქორწინეს. ქორწინების წლისთავებს ყოველთვის იხდიან, თუ, რა თქმა უნდა, არ დაავიწყდათ. ასეთ საკითხებში გულმავიწყობის მიზეზი კი პოლიტიკოსი ცოლ-ქმრის საზოგადოებრივი აქტიურობაა.

„10 წუთით ოთახში შემოვედი. მერე საათს რომ დავხედე, 4 საათი იყო გასული. მაგიდასთან მჯდომს დამეძინა. ჯანდაბა“, — დაწერა ცოტა ხნის წინ „ფეისბუქის“ გვერდზე თინათინ ხიდაშელმა. „თინას აქვს უნარი, რამდენიმე საქმე ერთდროულად აკეთოს“, — უთხრა ერთხელ „სარკეს“ დავით უსუფაშვილმა. ის და მისი ცოლი პრესისთვის ახლა ნაკლებად იცლიან. სამაგიეროდ „სარკის“ არქივში პოლიტიკოსი ცოლ-ქმრის მრავალი საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ ინახება.

■

დავით უსუფაშვილი სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში დაიბადა 1968 წლის 5 მარტს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ — თსუ-ის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასპირანტურა. მერე ამერიკაში, დიუკის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტში სწავლობდა. სტუდენტობისას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იურიდიულ განყოფილებაში მუშაობდა. მოგვიანებით კი ამ განყოფილების გამგე გახდა. დავით უსუფაშვილი და მისი მეუღლე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დამფუძნებლები არიან. ბატონი დავითი გახლდათ აგრეთვე საია-ს პირველი თავმჯდომარე. 2005 წელს კი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

თინა: „ხასიათით ცოტა განსხვავებული ვართ. მე სნობურად ვგიჟდები ყველაფერზე, დათო ჯი განონასნოხებელია. მიუხედავად სხვადასხვა ტემპერამენტისა, ბევრი საერთო გვაქვს“.

თინა ხიდაშელი ამავე უნივერსიტეტის ფაკულტეტი დაამთავრა. ბუდაპეშტში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სწავლობდა, მერე ვაშინგტონში დაამთავრა ადამიანის უფლებათა დაცვის ფაკულტეტი. 2 წელი ქმრის მსგავსად „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარეც გახლდათ.

ცოლს თხილამურებით სრიალი უყვარს, ქმარს — კლასიკური მუსიკის მოსმენა.

თინა ხიდაშელი ქართველი წმინდანის, ღირსი მამა გაბრიელ აღმსარებლის (ურგებაძის) ნათესავი გახლავთ — მამა გაბრიელი ქალბატონი თინას დედის ღვიძლი ბიძაშვილი იყო. თინა ეკლესიაში ბავშვობიდან დადიოდა.

■ ოჯახი

— მოგეხსენებათ, მამა გაბრიელს საკუთარი ტაძარი ჰქონდა, რომელიც თავის ეზოში საკუთარი ხელით ააშენა. იმ პერიოდში ეს არცთუ ისე მარტივი იყო. ჩვენ მასთან სახლში დავდიოდით და შესაბამისად მის პატარა ეკლესიაშიც, რომელიც ეზოში იდგა. კედლებზე უამრავი ხატი ეკიდა... ბავშვობიდან ძალიან მძიმედ მახსოვს, როგორ იდევნებოდა მამა გაბრიელი თავისი ცხოვრების წესის გამო... ჩემი ოჯახიდან არავინ ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი, არც მშობლები, არც ბებია-ბაბუა, ცხოვრების სტილიც ადეკვატური ჰქონდათ. ჩემი ოჯახი ქართული ტრადიციული ცხოვრებით ცხოვრობდა...

40 დღის ვიყავი, როცა მამა გაბრიელმა მომნათლა. სახლში მისი საფლავიდან წამოღებული სიწმინდეებიც გვაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემზე დიდ გავლენას არ ახდენს. ეკლესიური ცხოვრებით არ ვცხოვრობ და არც აღსარება ჩამიბარებია ოდესმე. მარხვის დაცვა ორჯერ ვცადე, მაგრამ ორჯერვე ცუდი შედეგით დასრულდა. ერთხელ მეტროში წამივიდა გული, მეორედ — რუსთაველის გამზირზე და გამვლელებმა მომასულიერეს. არც დათო დადის სისტემატურად ეკლესიაში და ვერც მარხვებს ინახავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რწმენა არ გვაქვს. მორწმუნე ადამიანისთვის მთავარი სამართლიანი ცხოვრება, უსინდისობასთან კომპრომისზე წაუსვლელობა და კეთილშობილური მიზნებია. მიგვაჩნია, რომ ყველაზე დიდი მორწმუნეები მაშინ ვიქნებით, როცა ჩვენს საქმეს პატიოსნად შევასრულებთ...

ნათლობის ჯვარი შენახული მაქვს და უბრალოს ვატარებ. როცა თვითმფრინავში ვჯდები, ლოცვების კითხვას ვიწყებ. მიმაჩნია, რომ ლოცვის შედეგია, ყოველთვის მშვიდობიანად რომ დავფრინავ, — გვიამბო თინა ხიდაშელმა.

ის ბავშვობიდან იყო აქტიური. გოგონებთან ურთიერთობას ბიჭებთან თამაში ერჩია, მათთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა, თოჯინებს არასოდეს სწყალობდა. არც პრანჭია იყო: „ვიყავი ძალიან ხმაურიანი, ცელქი, მებრძოლი ბავშვი. მქონდა ორგანიზატორული ნიჭი. გამოვლილმა გზამ გამოსცადა, ცოლ-ქმარი „სარკესთან“ ამგვარად ახასიათებდნენ:

ᲗᲘᲜᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ:

— გაცნობიდან მალე არ შევუღლებულვართ. საკმაოდ დიდი ხანი შეყვარებულების ფორმატში ვმეგობრობდით. ეს იყო უნივერსიტეტში. მე სტუდენტი ვიყავი, დათო კი გვასწავლიდა. აუდიტორიაში შემოვიდა და ჩვეულებრივად გავიცანი. ყველაფერი თანდათან მოხდა და დადგა მომენტი, როცა ორივე მივხვდით, რომ ჩვენი ურთიერთობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საქმიანი... ერთი წელი ბუდაპეშტში ვიყავი წასული და ალბათ ყველაზე დიდი როლი ამან ითამაშა. საკმაოდ გრძელვადიანმა განშორებამ ორივეს ნათლად დაგვანახა, რომ ერთმანეთს ვჭირდებოდით. ჩამოსვლიდან ერთ თვეში შევუღლდით. ერთწლიანმა ტაიმ აუტმა ფიქრის საშუალება მოგვცა. უკვე ორივესთვის ნათელი იყო, რომ ერთმანეთი ძალიან გვჭირდებოდა...

ბუდაპეშტში ძალიან ბევრს ვფიქრობდი მასზე, რადგან ცოტა საქმე მქონდა. ჩემი საქმე მარტო წიგნები იყო. აქ კი დათო იმ საშინელი ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც ყველა, ამიტომ მას უფრო ნაკლები დრო ჰქონდა, ვინმეზე ეფიქრა. ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი თბილისისა და აფხაზეთის ომებს დაემთხვა. ნაკლებად იყო კარგი განწყობა, მით უმეტეს, რომანტიკის. ყველაფერი იყო იმ ფარგლებში, როგორიც იმ

დავითი: „ქართველებს გვაქვს საოცარი სიტყვა — მეუღლე და უღლის, ჯაჭვის ერთად ზიდვა. თუ მეუღლეები ერთმანეთს არ გაუფერფლებიან, იმ უღლის ბოლომდე გატანა, ჩაიმე ნაჩამატებაზე ფიქრი პირად ცხოვრებაშიც და საზოგადოებრივშიც, გამორიცხულია“.

დავითი: „ჩვენი არჩევანი იყო, ოჯახში ორი ლიდერი ვეოფილიყავით“

სკოლაში ღონისძიებებს ვუწევდი ორგანიზებას. ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი ფეხბურთს“.

ქალიშვილობის პირველი წლები რუსთაველის გამზირზე გაატარა. ამბობს, რომ იმ ბედნიერი თაობის წარმომადგენელია, რომელმაც დიდი ფუნქცია იკისრა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოლა.

ᲜᲐᲛᲔᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

„თაყვანისმცემლები ალბათ მყავდა, მაგრამ ამისთვის მნიშვნელობა არასოდეს მიმინიჭებია, როგორც ჩანს, დიდ სიყვარულს ველოდებოდი“, — ამბობს თინა ხიდაშელი, რომელსაც „დიდი სიყვარული“ უნივერსიტეტის აუდიტორიაში ეწვია.

მათ ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როცა ახალგაზრდა ლექტორი დავით უსუფაშვილი თინას კურსზე ლექციის წასაკითხად შევიდა. იმ ურთიერთობას და გრძნობას, რომელიც მათ შორის ჩამოყალიბდა, შემდეგ კი ერთად

თინა: „ეს ახ იყო ტრადიციული, „მე შენ მიყვარხარ“ ტიპის ურთიერთობები, როცა შეყვარებულები სხვა ახაფრით ახიან დაკავებული, გარდა იმის მტკიცებისა, თუ ოგორ უყვართ ერთმანეთი. ჩვენ ამის მტკიცება ახ დაგვჭირდა, ყველაფერი თავისით მოხდა“.

Cyan Magenta Yellow Black

პერიოდს შეეფერებოდა. აქტიური, მებრძოლი შეყვარებულები ვიყავით. დაოჯახებამდე დათოს თითქმის 6 წელი ვიცნობდი და უმეტესწილად ეს იყო საქმიანი ურთიერთობა. იმ პერიოდში შევქმენით „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და ბევრი რამ გავაკეთეთ ერთად. ეს არ იყო ტრადიციული, „მე შენ მიყვარხარ“ ტიპის ურთიერთობები, როცა შეყვარებულები სხვა არაფრით არიან დაკავებული, გარდა იმის მტკიცებისა, თუ როგორ უყვართ ერთმანეთი. ჩვენ ამის მტკიცება არ დაგვჭირდა, ყველაფერი თავისით მოხდა...

„ძალიან ვგავარ იმ ბავშვს, ხუთი წლის ასაკში რომ ვიყავი“.

დათოში ბევრი რამ აღმოვაჩინე, მაგრამ მხოლოდ კარგი. უარყოფითს ვერ ვხედავ. მართალია, არ მგონია, აბსოლუტურად სრულყოფილი ადამიანი იყოს, ისევე როგორც სხვა, მაგრამ თუკი შეიძლება, ადამიანი იყოს ასეთი დადებითი, დათო ერთ-ერთი იმათგანია. ჩვენ იმდენ ხანს და ისე კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, რომ რაღაც უარყოფითის გამოჩრეკა არც მიცდია. სხვაგვარად ჩვენი ქორწინება არ შედგებოდა. ამდენი წელია, რაც ერთად ვართ და ერთმანეთის მიმართ ჯერ პრობლემა არ გაგვჩენია. მგონია, რომ ეს სიყვარულია. თუ სიყვარული არ არის, მაშინ არ ვიცი, რა არის. ჩემი გაგებით, ეს არის ის, რასაც ოჯახი უნდა ეყრდნობოდეს.

თავიდანვე ვგავდით ერთმანეთს, ერთნაირი დამოკიდებულება გვქონდა ცხოვრების, მოვლენების მიმართ. ხასიათით კი ცოტა განსხვავებულები ვართ. მე სწრაფად ვგიჟდები ყველაფერზე, დათო კი უფრო გაწონასწორებულია. მიუხედავად სხვადასხვა ტემპერამენტისა, ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს.

დავით უსუფაშვილი:

— ჩემი აზრით, ოჯახი მაშინ არის კარგი და მყარი, როდესაც ორი ლიდერი ჰყავს, როდესაც ოჯახში არიან თანაბრად აქტიური, თანაბრად პასუხისმგებელნი როგორც საოჯახო ვალდებულებებზე, ისე საზოგადოებრივზე და ა.შ. ჩვენი გადაწყვეტილება ოჯახის შექმნისა განაპირობა იმან, რომ მე თინაში ვხედავდი ლიდერს და თინაც ჩემში ლიდერს ხედავდა. ეს იყო ჩვენი შეგნებული არჩევანი ერთად ცხოვრებისა. ეს არ არის იავარდით მოფენილი ცხოვრება. თან ახლავს სერიოზული კამათი, აზრთა სხვადასხვაობა ყველა საკითხზე, საოჯახო საკითხებზეც, საზოგადოებრივზეც, მაგრამ ეს არის ცხოვრების საინტერესო მდგომარეობა.

თინას აქვს უნარი, გაეთიშოს გარე სამყაროს და ერთ დოკუმენტზე იმუშაოს ან, თუ საჭიროა, ერთდროულად აკეთოს რამდენიმე საქმე. ამიტომ ხშირად მსაყვედურობს, რომ მე ბოროტად ვიყენებ მის აქტიურობას. ქართველებს გვაქვს საოცარი სიტყვა — მეუღლე და უღლის, ჭაპნის ერთად ზიდვა. თუ მეუღლეები ერთმანეთს არ გაუფრთხილდებიან, იმ უღლის ბოლომდე გატანა, რაიმე წარმატებაზე ფიქრი პირად ცხოვრებაშიც და საზოგადოებრივშიც, გამორიცხულია. ჩვენ ვცდილობთ და მგონი, ვახერხებთ კიდეც, თითოეული ჩვენი ქმედებით თუ სიტყვით, მაქსიმალურად შევავსოთ ერთმანეთი.

თინა ხიდაშელი:

— არასოდეს ვჩხუბობთ, იმდენად ზუსტად ვიცით მეც და დათომაც, სანამ საუბარს დავიწყებთ, ამ საკითხზე რა პოზიცია გვექნება... ჩვენს შემთხვევაში დრომ სიყვარული ვერ გააუფერულა და დარწმუნებული ვარ, სულ ასე იქნება. როცა პირველი შვილი ჩნდება, ეს გრძნობა კიდევ უფრო მძაფრდება, მეორე შვილი რომ ჩნდება, კიდევ მეტად და ასე შემდეგ.

ცხოვრებაში ხდება ისეთი რაღაცეები, რაც უფრო მეტად გაახლოებს იმ ადამიანთან, ვინც გიყვარს და ვისთან ერთადაც ცხოვრების გატარებას აპირებ. საერთოდ, ბევრ სტანდარტულ გაგებას ვეწინააღმდეგები, რომელიც ოჯახთან დაკავშირებით არსებობს... მთავარია, ოჯახი შეიქმნას არა — გრძნობით, არამედ დიდი პასუხისმგებლობით. ერთი ნახვით შეყვარების მჯერა, მაგრამ ერთი ნახვით დაქორწინების — არა...

დათო იდეალური, საუკეთესო მეუღლეა. ჩვენს ოჯახში არ არსებობს გაუგებრობები და თემა, რომელზედაც არ ვსაუბრობთ. აბსოლუტურად ყველაფერში გახსნილები ვართ. ხშირად გვაქვს კამათი შვილებთან დაკავშირებით, მაგრამ არ არსებობს რაიმე, რაშიც შეთანხმებას ვერ ვაღწევთ. ძალიან ყურადღებიანი ქმარია... ყველაფერში მენდობა.

მოჯიძაღებული ქორწილი

დავითმა და თინამ ჯვარი ანჩისხატის ეკლესიაში დაიწერეს და შემდეგ შვილებიც ამ ტაძარში მონათლეს.

— ნიშნობა არ გვქონია. თბილისში, ერთ-ერთ პატარა რესტორანში, ძალიან პატარა, 70 კაციანი ქორწილი გადავიხადეთ. მეცვა თეთრი, ოღონდ არა საქორწინო კაბა. ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ჩვენ გვინდოდა. ეს არ იყო ჩვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული დღე. განსაკუთრებული დღე ის იყო, როცა ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ. ქორწილი ფორმალობა იყო, რომელიც ტრადიციების გამო უნდა გაგვეკეთებინა. ქორწილში თამადა ვახტანგ ხმალაძე იყო, — იხსენებს თინა ხიდაშელი.

ᴊᴇᴇᴢᴇ

„პატარა გიგას ბებო უყვარს, რადგან ბებო ყველაფერს უსრულებს და დედა ყველაფერს უშლის“.

მათი ქორწინების დღე 19 ოქტომბერია. „თუ ორივე საქართველოში ვართ, აღვნიშნავთ ამ დღეს. 10 წლისთავი ისე გამოგვეპარა, მხოლოდ მესამე დღეს გამახსენდა, რადგან მე და ჩემი მეუღლე ადგილობრივი არჩევნებისთვის სხვადასხვა ადგილას ვიბრძოდით. არადა ამ დღისთვის მთელი წელი ვემზადებოდით. საჩუქრების ყიდვაში მე ვაქტიურობ. დათოს პრინციპი აქვს — შენ რომ მე საჩუქარს მირჩევ და ყიდულობ ჩემთვის, ხომ გსიამოვნებს, ჰოდა, ორმაგ სიამოვნებას იღებ, ერთი, რომ მჩუქნი და მეორე, რომ არჩევო“, — ამბობს თინა ხიდაშელი.

ძღიეჩი ქალი

„ვცდილობ, საზოგადოებაში ყოფნისას არ შემეტყოს, შინაგანად როგორ ხასიათზე ვარ. მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემი ხასიათით არავინ შევაწუხო, რაც, მგონი, კარგად გამომდის. ოჯახში სულ ერთნაირ ხასიათზე ვარ. ხანდახან, სახლში რომ ვბრუნდები, ვიძინებ, ამიტომ დიდად არავის ვაწუხებ. არავისგან ვითხოვ ზედმეტ მზრუნველობას და ყურადღებას, მაგრამ დედაჩემი დღესაც ისე ზრუნავს ჩემზე, როგორც პატარა ბავშვზე. რაც გასაკეთებელია, ყველაფერს ის აკეთებს.

ყველაზე მეტად, რაც გარშემომყოფებს აწუხებთ, ჩემი სიჯიუტეა, რომელიც ძალიან ცუდი თვისებაა. მე ხელს არ მიშლის, სხვებს უშლით. საკმაოდ პირდაპირი ადამიანი ვარ. ვისაც ჩემი არ ესმის, ეს უკვე მისი პრობლემაა. არანაირი ქვეტექსტებით არ ვცხოვრობ. ძალიან ცნობისმოყვარე ვარ. მეკითხება თუ არ მეკითხება, ყველაფერში ცხვირს ვყოფ. ნერვული — ნაკლებად, მაგრამ საკმაოდ ფიცხი ვარ. ჩემი მართვა შეუძლებელია. საკუთარი პოზიციები და დამოკიდებულება მაქვს იმ საკითხების მიმართ, რომლებითაც დაინტერესებული ვარ.

ბავშვობის შემდეგ გარეგნულად დიდად არ შევცვლილვარ და ძალიან ვგავარ იმ ბავშვს, ხუთი წლის ასაკში რომ ვიყავი. ძალიან პრაგმატული ადამიანი ვარ, დედამიწაზე მყარად ვდგავარ და ვიცი საკუთარი ადგილი ცხოვრებაში. მინდა, მომიაზრებდნენ, როგორც სამართლიანობისთვის მებრძოლს. როცა მაქებენ, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. პრაქტიკულად არასოდეს ვიტყუები“.

წლების წინ, როცა თინა ხიდაშელი „სარკეში“ საკუთარ თავზე საუბრობდა, ამბობდა, რომ გარეგნობაზე ზრუნვა ნაკლებად აინტერესებდა და ამაში დროის დახარჯვა ენანებოდა: „საკუთარი თავის მოსავლელად ჩემი სტანდარტები მაქვს. არ ვხმარობ მაკიაჟს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დროს, რომელსაც ქალები თავიანთ თავზე ხარჯავენ. თითქმის არასოდეს დავდივარ სალონში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თმა მაქვს შესაჭრელი. მაკმაყოფილებს, როგორც ვახერხებ თავის მოვლას. ყველაფერში სწრაფი ვარ და, მათ შორის, ამ საკითხშიც“.

ეს იყო წლების წინ. მერე, როგორც ჩანს, შეხედულება შეეცვალა. ახლა ქალბატონი თინა მაკიაჟით და სალონური ვარცხნილობით, ისე როგორც სამკაულებით, ხშირად ჩნდება საზოგადოებაში თუ ეკრანზე.

შვილები

პოლიტიკოსთა წყვილს ორი ვაჟი ჰყავს — 13 წლის სანდრო და 7 წლის გიგა. არადა მამას თურმე უნდოდა, ორივე გოგო ჰყოლოდა.

თინა ხიდაშელი: „ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, დედის მოვალეობას ვერ ვასრულებ ისე, როგორც საჭიროა. ჩემი ყველაზე დიდი სისუსტე ის არის, რომ ძალიან ცოტა დროს ვატარებ შვილებთან. ვერ ვახერხებ, იმდენად ძლიერი ვიყო, რომ ეს ყველაფერი ერთად და ერთნაირი დოზით შევითავსო.

ჩვენმა შვილმა, სანდრომ, განსაკუთრებით 2008 წლის არჩევნების დროს განიცადა ის, რომ ჩვენი შვილია, რადგან ქუჩაში მისი ბევრი პლაკატი თვალებდათხრილი ნახა. ვუთხარი, ეს ცუდმა ადამიანებმა გააკეთეს-მეთქი. სანდრო და მისი მეგობრები მეუბნებოდნენ, გაგვაცანი, ვინ არის, ვინც ეს გააკეთა და ნახეთ, მაგათ რას ვუზამთო. სხვა მხრივ, სანდროს მოსწონს და ეამაყება, რომ პოპულარული დედ-მამა ჰყავს.

პატარა გიგას ბებო უყვარს, რადგან ბებო ყველაფერს უსრულებს და დედა ყველაფერს უშლის“.

ამ ინტერვიუში თინა ხიდაშელი იმასაც ამბობდა, რომ აუცილებლად გააჩენდა მესამე შვილსაც: „მესამე შვილის გაჩენა გადაწყვეტილი მაქვს. ჩემი არჩევანი რომ იყოს, →10

Cyan Magenta Yellow Black

მესამეც ბიჭი მინდა. მივეჩვიე ამას, თან უფრო ეკონომიურია, როდესაც სამივე შვილი ერთი სქესისაა — ერთმანეთის სამოსს ჩაიცვამენ, ერთ ოთახში დაიძინებენ და ა.შ. დათოს ორივე შვილი გოგო უნდოდა და მუცლადყოფნისას ორივეს ისე ეფერებოდა, როგორც გოგოს. ექიმზე სქესი შეგნებულად არ გავარკვიე. დათოს მესამე გოგო უნდა, ჩემთვის კი სულერთია".

დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი ჯერჯერობით ისევ ორი ბიჭის მშობლები არიან.

მოუცლელი დიასახლისი

მათ ოჯახში სიძესა და სიდედრს ფანტასტიკური ურთიერთობა აქვთ. ჩემზე უკეთესად ისინი ეწყობიან ერთმანეთსო, გვითხრა ხიდაშელმა.

ოჯახში მთავარი მზარეული თინას დედაა: „როცა დედა ბაზარში მიდის, დათოს უთანხმებს, რა მოიტანოს". ადრე თინაც იცლიდა კერძის მოსამზადებლად. როცა ახალგაზრდა წყვილი ერთად ცხოვრებას იწყებდა, თინამ, პირველ რიგში, სამზარეულოსთვის ისეთი ნივთები შეიძინა, რაც შრომას გაუადვილებდა — ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ტოსტერი, ბოსტნეულის საჭრელი დანადგარი და ა.შ. „ყველაფერი მაქვს, რაც მოუცლელი ქალისთვისაა საჭირო", — ამბობდა ის.

„სანდრომ განსაკუთრებით 2008 წლის აჩრევნების დროს განიცადა ის, რომ ჩვენი შვილია, ადგან ქუჩაში მისი ბევრი ჰიპატი თვალებდათხრილი ნახა".

თინა ხიდაშელი: „დათოს ძალიან უყვარს ბადრიჯნისა და ბულგარული წიწაკისგან სხვადასხვაგვარად მომზადებული კერძები. ამ ორ ინგრედიენტზე ექსპერიმენტები ჩამიტარებია. ათას რაღაცაში ამირევია და სხვადასხვა ვერსიით მომიმზადებია... როცა დედა თბილისში არ არის, სენდვიჩებით, ყველით, შებოლილი ხორცით ვიკვებებით. მაკარონი მიყვარს და სხვადასხვა სოუსით ვიცი მისი მომზადება. დათოს კრემიანი ნამცხვარი არ უყვარს, ამიტომ კექსებს ვაცხობდი...

ერთხელ მე და დათო სამხრეთ აფრიკაში ვიყავით სამი კვირით. იქ ზღვის პროდუქტები ძალიან იაფია, რაც მე ძალიან მიყვარს. დავდიოდით რესტორნებში. დათო კინაღამ გაგიჟდა. ბოლოს გამომიცხადა, ავსტრიულ რესტორანში მივდივართო. აღმოჩნდა, რომ ავსტრიული რესტორნის ტრადიციული კერძი შემწვარი ღორის კანჭია. მითხრა, ახლა რაც მინდა, ის უნდა შეეუკვეთო და შენი ხმა არ გავიგონოო! იმხელა ღორის კანჭი მოგვიტანეს, კინაღამ გული გამისკდა. ისე ჭამა, ზემოთ არ აუხედავს. სულ შეჭამა, რადგან სამი კვირის მშიერი იყო.

როცა მშივრები ვბრუნდებით, მე და დათო სამზარეულოში დიდ ექსპედიციებს ვაწყობთ. ზომას ველარ ვგრძნობთ. ყველაფერს ვიცხელებთ, რაც სახლში გვხვდება. ჭამას რომ ვიწყებთ, 15 წუთის მერე ერთმანეთს ვეკითხებით, იქნებ აღარ გვინდა-თქო... ჭამის დროს ყველაფერზე ვლაპარაკობთ და მაშინ ვაგვარებთ ყველა პრობლემას. ჩვენს ოჯახში ყველაზე დიდი ფული ჭამაში იხარჯება".

ტრაგედია

ოჯახი დაახლოებით 8 წლის წინ ტრაგედიის უნებლიე მონაწილე გახდა. 2005 წლის 24 აგვისტოს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანასთან ავტომანქანა, რომელსაც დავით უსუფაშვილი მართავდა და საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი სხვა მანქანა ერთმანეთს შეეჯახა. მეორე მანქანაში ორი ძმა იჯდა — 24 და 11 წლის ლევან და გიორგი მოისწრაფაშვილები. ორივე გარდაიცვალა. გამოძიებამ დამნაშავედ გარდაცვლილი მძღოლი ცნო. უსუფაშვილს პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. ავარიის დროს ავტომანქანაში იმყოფებოდნენ თინა ხიდაშელი და მათი უფროსი ვაჟი, სანდრო. მეორე შვილი, გიგა, მაშინ დაბადებული არ იყო. მათ სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღეს, რადგან უსაფრთხოების ბალიშებმა გადაარჩინა.

დავით უსუფაშვილი მომხდარზე ამბობდა, რომ „ჰონდას" მარკის ავტომანქანა მის სავალ ნაწილზე გადავიდა და გზა გადაუკეტა, რის გამოც შეჯახება გარდაუვალი იყო.

ქონება

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თბილისში მეუღლესთან, ორ ვაჟიშვილთან და სიდედრთან ერთად ცხოვრობს. ბინა ფანასკერტელის ქუჩაზე თინათინ ხიდაშელის სახელზეა გაფორმებული. მისი გარემონტება ოჯახს 4 500 ლარი დაუჯდა. ოჯახის საკუთრებაშია აგრეთვე თინა ხიდაშელის დედის სახელზე გაფორმებული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი საგარეჯოს რაიონის სოფელ ანთოკში. „ლექსუსის" მარკის ავტომობილის მფლობელი დავით უსუფაშვილია. პარლამენტის დეპუტატების ოჯახი ფასიან ქაღალდებს არ ფლობს და არც სამეწარმეო საქმიანობაში არის ჩაბმული.

დავით უსუფაშვილს ბანკში რამდენიმე ანგარიში აქვს გახსნილი. მის სახელზე 13.552 ლარი და 14.652 დოლარი ირიცხება. თინა ხიდაშელს 28.352 ლარი და 29.457 ევრო აქვს.

სახლი, სადაც ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარის ოჯახი ცხოვრობს, ორი ბინის გაყიდვით მიღებული თანხით შეიძინეს.

— გავყიდეთ ორი ბინა. ერთი — ჩემი ბინა რუსთავში და მეორე — თინას დედის ორთაჭალაში და ამ ფულით შევიძინეთ ამ სახლის კედლები. ამ კედლების საცხოვრებელ ბინად ქცევას რამდენიმე წელი დასჭირდა. 5 წელზე მეტი ვმუშაობდი ამერიკულ ორგანიზაციაში, სადაც, ჩვენი მასშტაბებით, საკმაოდ დიდი ხელფასი მქონდა, — უთხრა დავით უსუფაშვილმა „სარკეს" რამდენიმე წლის წინ.

✓ რუსულიდან ადვილ

ბექა ხოფერია: „მორალურად განადგურებული ვარ!"

■ ხათუნა ხოფერია

ხათუნა ხოფერია: «ჩემი შვილი ბუტა რობაქიძის ხვედრს გადაურჩა!»

რა შარში გაეხვა თიკა ჯამბურიას ყოფილი ქმარი

ცნობილი თბილისური ოჯახის ახალგაზრდა წარმომადგენელი, ბექა ხოფერია, 14 მარტის ღამეს პოლიციაში აღმოჩნდა. ის ყოფილი დეპუტატის, ხათუნა ხოფერიას (ირაკლი ალასანიას საარჩევნო შტაბის წარმომადგენლის) უმცროსი ვაჟი გახლავთ. საზოგადოება მას იცნობს ასევე, როგორც ახალგაზრდა მომღერალ თიკა ჯამბურიას ყოფილ ქმარს. მათ პატარა გოგონა ჰყავთ. ბექა სამ მეგობართან ერთად პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დააკავეს. მათ ბრალი სისხლის სამართლის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით წარედგინათ, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულებს — ბექა ხოფერიას და მის ორ მეგობარს, გიგა იობაშვილსა და ერასტი საბანაძეს, გირაოს სახით 7-7 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, როგორც აღმკვეთი ღონისძიება. მეოთხე მეგობარს, დავით ეჯიბიას კი, ადრე ნასამართლეობის გამო, წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. ბექამ და მისმა ორმა მეგობარმა დროებითი მოთავსების იზოლატორი 17 მარტს, ღამის პირველ საათზე დატოვეს. ძიება კვლავ მიმდინარეობს. შემდეგი სასამართლო სხდომა 7 მაისს არის დაგეგმილი. ამ ეტაპისათვის არც ერთ დაკავებულს არც ბრალი უღიარებია და არც ჩვენება მიუცია.

ხათუნა ხოფერია: „ბექას ცხვირზე და თვალის მიდამოებში აქვს დაზიანებები. პირველ დღეს, როცა ვნახე, სახე სამინელ მდგომარეობაში ჰქონდა, შეშეპებული იყო. ოგორც ამბობს, დაზიანება ინციდენტის დამთავრებიდან პოლიციის შენობაში მიყვანამდე მიაყენეს".

შვილის დაკავებისთანავე ხათუნა ხოფერიამ განგაში ატეხა და საზოგადოებას ამცნო, რომ ინციდენტის დროს პოლიციამ იარაღიდან ისროლა, ხოლო ბექა და მისი მეგობრები სასტიკად იყვნენ ნაცემი.

— სიტუაცია დაახლოებით ისეთივეა, რაც ბუტა რობაქიძის დროს იყო. უბრალოდ ჰაერში გასროლილი ტყვია ჩემს შვილს არ მოხვდა. ჩემს შვილს რომ ის ტყვია მოხვედროდა, გარწმუნებთ, მერე იქ ავტომატებსაც, ყუმბარებსაც და ყველაფერს დაყრიდნენ, რაც ამ სიტუაციისათვის საჭირო იქნებოდა, — ამბობდა ჟურნალისტებთან ხათუნა ხოფერია.

საქმე საკმაოდ ბუნდოვანია. მისი მონაწილეები, სანამ გამოძიება არ დამთავრებულა, გარკვეულ დეტალებს არ ამხელენ. კომენტარისგან თავს იკავებს ბექა ხოფერიას ადვოკატი გიორგი გვარამაძეც.

ხათუნა ხოფერია „სარკეს" შვილის გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე ესაუბრა.

— ქალბატონო ხათუნა, იქნებ დეტალურად გვაამბოთ, რა მოხდა 14 მარტის ღამეს?

— ერთადერთი, რაც დაზუსტებით ვიცი, არის ის, რომ

Cyan Magenta Yellow Black

იმ დღეს პოლიციელები სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ ჩაცმული. ბექა და მისი მეგობრები სტუმრად იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, არ ვიცი — რომელი, მასპინძელი თუ ვინ, მაღაზიაში ჩავიდა. მაღაზიასთან, რომელსაც „ორი ნაბიჯი“ ჰქვია და რომელიც თამარაშვილის ქუჩაზე მდებარეობს, სამოქალაქო სამოსში ჩაცმული ორი პირი იდგა და გაზეთს კითხულობდა. როცა ის მაღაზიიდან გამოვიდა, როგორც ჩანს, გამოჰყვნენ საცხოვრებელი სახლის სადარბაზომდე. როცა სადარბაზოს კარზე ზარი დარეკა და თქვა — კარი გამიღეთო, მან, ვინც ზემოთ, სახლში იყო, ხმაური გაიგონა. ხმაურზე ბექა და მისი მეგობრები ქვემოთ ჩამოვიდნენ და დაინახეს, რომ ამ პიროვნებას სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორი პირი სცემდა. ზოგი შუაში ჩადგა, ზოგმა საქმის გარჩევა დაიწყო, თუ რა ხდებოდა. ამ დროს ჰაერში 4 გასროლა მოხდა. ბექა და მისი მეგობრები ინციდენტში ჩაერთვნენ მაშინ, როცა დაინახეს, მათ ნაცნობს სცემდნენ. სასამართლოზე პროკურორმაც თქვა, რომ იმ პიროვნების ვინაობა დასადგენია. გასროლის შემდეგ გაირკვა, რომ ის ადამიანები პოლიციელები იყვნენ.

■ ბექა ხოფერია

— იმის თქმა გინდათ, რომ ის პიროვნება, ვის გამოც ბექა ბეგობრებთან ერთად ქვეყვთ ჩავიდა, არავის იცით, ვინა არის? არც ბექამ და მისმა მეგობრებმა? ანუ არ იცით, ბექამ სტუმრად ვისთან იყო?

— ამ სასამართლო პროცესზე აღმკვეთი ღონისძიების საქმე წყდებოდა. დანარჩენს გამოძიება და პროკურატურა მიხედავს. საქმის არსებითი განხილვა მომავალში მოხდება. დაკავებულებიდან თავს დამნაშავედ არც ერთი მიიჩნევს, ბრალს არ აღიარებენ, არც ჩვენება აქვთ მიცემული. მათ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას ედავებიან, მაგრამ პოლიცია სად იყო, არავინ იცის. როცა მათ შორის დავა მოხდა, ისინი სამოქალაქო სამოსში იყვნენ ჩაცმული.

— სასამართლო პროცესზე თუ იყვნენ ის პოლიციელები?

— არა. ისინი სასამართლოზე არ ყოფილან. ყველაფერი ძიების პროცესის დროს დადგინდება.

— გავრცელდა ხმები, რომ ბექა ხელიფნობაზე ორჯერ ყოფილა ნასამართლევი. ეს სიმართლეა?

— არა. პროკურორმაც გამოაცხადა და მოსამართლემაც დაადასტურა, რომ ბექა ხოფერია ნასამართლევი არ არის. ვის რაში სჭირდებოდა ჩემი შვილისთვის ამ ბრალის წაყენება და მისი პიროვნების ამ საკითხში დაკნინება, არ ვიცი. ერთი რამე კი ზუსტად ვიცი, მუხლი, რაც ბექას წაუყენეს, ძალიან დამძიმებული იყო. მოსამართლე ამ საკითხს ღრმად ჩასწვდა და დაინტერესდა. ის საკმაოდ დიდხანს მსჯელობდა, სანამ ამ გადაწყვეტილებას გამოიტანდა.

— როცა ბექა დაკავეს, საკმაოდ მძიმე შეფასება გააკეთეთ, ბუტა რობაქიძის ტრაგიკულ ისტორიასთან გაავლეთ პარალელი. ამის საფუძველი რამ მოგცათ?

— ეს იმის საფუძველზე დავასკვენი, რომ ჰაერში ოთხი გასროლა მოხდა მაშინ, როცა იქ მყოფებს ხელში არც იარაღი, არც ქვა, არც ჯოხი, ასანთის კოლოფიც კი არ სჭერიათ. ყველა მათგანი 25 წლამდე ასაკისაა, შეუიარაღებელი იყვნენ. გასროლისას ბრმა ტყვია ვის მოხვდებოდა, არავინ იცის. შემდეგში კი თავის გადასარჩენად ვინ რას იკადრებდა, არც ეს იცის ვინმემ.

— თქვენ გააკრცელეთ შემაშფოთებელი ინფორმაცია, რომ ბიჭები პოლიციელებმა სერიოზულად სცემეს. რა მდგომარეობაში იყო თქვენი ვაჟი?

— დიახ, დავით ეჯიბია დღესაც ვნახე და სერიოზულადაა დაშვებული, მას სახე პრაქტიკულად დანგრეული აქვს. ბექას ცხვირზე და თვალის მიდამოებში აქვს დაზიანებები. პირველ დღეს, როცა ვნახე, სახე საშინელ მდგომარეობაში ჰქონდა, შეშუპებული იყო. ძალადობის კვალი ახლაც ეტყობა. როგორც ამბობს, დაზიანება ინციდენტის დამთავრებიდან პოლიციის შენობაში მიყვანამდე მიაყენეს.

— როგორ მოხდა მათი დაკავება?

— ინციდენტის დროს ფორმაში ჩაცმული პატრულის თანამშრომლები მოვიდნენ. დაკავებისას არც ერთს უცდია გაქცევა, არც წინააღმდეგობა გაუწევიათ. მათ ჩვეულებრივად დაადეს ხელბორკილები და მანქანაში ჩასვეს.

■

„სარკე“ ბექა ხოფერიას დროებითი მოთავსების იზოლატორის დატოვების შემდეგ დაუკავშირდა. გამოძიების დასრულებამდე ის დეტალებზე არ ლაპარაკობს, თუმცა ამბობს, რომ იზოლატორში გატარებულმა დღეებმა დიდი მორალური ტრავმა მიაყენა:

ბექა ხოფერია: „მინდა, მოსამართლეს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო, რომ ახ გაგვნიხა და გახეთ ვახთ, დროებით, მაგრამ მაინც. მიუხედავად იმისა, რომ ჰოოკუოოხი ჩვენ მიმართ „ალაც ისე“ იყო განნყობილი და ბოლომდე ეცადა, გახეთ ახ გამოვსულიყავით, მოსამართლემ მაინც ახ გაგვნიხა“.

— იმ დღის შესახებ ჯერჯერობით საუბარი არ მინდა, რადგან დუმილის უფლებას ვიყენებ. დეტალებზე ვერ დაგელაპარაკებით. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი მხრიდან ისეთი არაფერი მომხდარა, ასეთი ამბავი ატეხილიყო. გამოძიება ყველაფერს დაადგენს. ჩვენ სასამართლოზე განვაცხადეთ კიდეც, რომ პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებას არ ვეთანხმებოდით. ისინი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და დაუმორჩილებლობას გვედავებოდნენ.

— იზოლატორში გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?

— მორალურად განადგურებული ვარ. ასე რომ ვთქვათ, ბიჭები მორალურად დავეცით. იქ გატარებული რამდენიმე დღე ჩემს ცხოვრებაში ალბათ ყველაზე რთულ პერიოდად დარჩება. დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიყავი. კარგად გვექცეოდნენ, არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა მოუყენებიათ. მინდა, მოსამართლეს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო, რომ არ გაგვწირა და გარეთ ვართ, დროებით, მაგრამ მაინც. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი ჩვენ მიმართ „რაღაც ისე“ იყო განწყობილი და ბოლომდე ეცადა, გარეთ არ გამოვსულიყავით, მოსამართლემ მაინც არ გაგვწირა. სამწუხაროდ, ჩვენი ერთი მეგობარი საპყრობილეშია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ იქ არ დარჩეს, ის დამნაშავე არ არის.

■

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბექა ხოფერიას ადვოკატი გიორგი გვარამაძე საქმის დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს, რადგან მისი დაცვის ქვეშ მყოფს ჯერ ჩვენება მიცემული არ აქვს, თუმცა გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდა.

გიორგი გვარამაძე:

— სასამართლო პროცესი მხოლოდ და მხოლოდ აღმკვეთი ღონისძიებისათვის იყო. არც ბრალეულობის საკითხი განიხილებოდა და არც მოწმეების დაკითხვა მომხდარა. ეს შემდეგი ეტაპია. ბექას სისხლის სამართლის 353-ე მუხლის მეორე ნაწილს ედავებიან. საქმის ვითარებაზე ახლა ვერ მოგიყვებით, რაღაც საკითხები გასარკვევია, რის შემდეგაც საბოლოო ვარიანტზე ჩამოვყალიბდებით. ბექას ჯერ ჩვენება არ აქვს მიცემული. მისი სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნებს ველოდებით. ამის შემდეგ კი ჩვენს პოზიციას დავაფიქსირებთ. ბექა ხოფერიას და დანარჩენ ორს აღმკვეთ ღონისძიებად 7-7 ათასი ლარი დაეკისრათ, მეოთხეს კი, რადგან ნასამართლევი იყო, წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. რის გამო იყო ის ნასამართლევი — არ ვიცი, თუ არ ვცდები, თაღლითობისთვის.

— ინციდენტში მონაწილე პოლიციელების ვინაობა იცით?

— რა თქმა უნდა, ისინი დაკითხეს.

— ის ადამიანი, ვისთანაც თავდაპირველად სამართალდამცავებს შელაპარაკება მოუვიდათ, ვინ არის?

— ამაზე გამოძიება მიმდინარეობს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ. ეს სამართლეა?

— ტესტი ალკოჰოლზე ჩატარებულია. ზოგიერთი მათგანი ნასვამი იყო.

— ბექა ნასვამი იყო?

— როგორც მახსოვს, კი.

■

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც:

„თამარაშვილის ქუჩაზე ათამდე ნასვამმა პიროვნებამ პოლიციელების მისამართით აგრესია გამოხატა. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიუხედავად, პოლიციის თანამშრომლები სიტუაციის განმუხტვას ცდილობდნენ, მაგრამ ერთ-ერთმა ნასვამმა პიროვნებამ სამართალდამცავს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. პოლიციელმა კი, ვითარების განმუხტვისა და თავდასხმის მოგერიების მიზნით, ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღით მცირე ინტერვალით ჰაერში ორჯერ გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელა“.

ხათუნა ხოფერია: „ჰაერში ოთხი გასროლა მოხდა მაშინ, როცა იქ მყოფებს ხელში არც იარაღი, არც ქვა, არც ჯოხი, ასანთის ყოლოფიც კი არ სჭერიათ. ყველა მათგანი 25 წლამდე ასაკისაა, შეუიარაღებელი იყვნენ. გასროლისას ბრმა ტყვია ვის მოხვდებოდა, არავინ იცის. შემდეგში კი თავის გადასარჩენად ვინ რას იკადრებდა, არც ეს იცის ვინმემ“.

კითხვაზე, თუ რატომ არ ეცვათ პოლიციელებს სამსახურის ფორმა და რატომ იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა **ნინო გიორგობიანმა** შემდეგი გვიპასუხა:

— მათ პოლიციის დამადასტურებელი ყველა საბუთი, ასევე რაცია თან ჰქონდათ. რაც შეეხება სამოქალაქო სამოსს, ოპერატიულ სამუშაოს აწარმოებდნენ, ასეთ დროს კი მათ შეუძლიათ, ფორმა არ ჩაიცვან.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black



„მამამ ბავშვობა წამართვა“

ვიცი, საიდან დავიწყო ჩემი ამბის მოყოლა, დიდხანს ვფიქრობდი, ჩემი გასაჭირისთვის რა დამერქმია — „მამამ ცხოვრება დამინგრია“ თუ „იქნებ ვინმემ მოწყალება გაიღოს და დამეხმაროს“. ჩემი ცხოვრებისთვის სახელის დარქმევას თქვენ, ჩემს საყვარელ ჟურნალს ვანდობ, რომელსაც სულ ვკითხულობ. პურის ფული რომც არ მქონდეს, „სარკეს“ ყოველთვის ვყიდულობ... არ ვიცი, რას მიმზადებს უფალი, კარგს თუ ცუდს, მაგრამ 22 წლის ვარ და 22 წამი არ გამიხარია ცხოვრებაში. მამამ ბავშვობაც წამართვა და მომავალიც, ერთი წამი არ გამახარა. რაც თვალი გავახილე და ფეხი ავიდგი, ეს კაცი მტანჯავს.

დაუნდობელი და სასტიკი ადამიანია, ახლა ცოტა მოტყდა, წლებმა შეცვალა, მაგრამ მის ხასიათს რა გამოასწორებს. მოვიდოდა მთვრალი და დედას ჩემზე ეუბნებოდა, შენი შვილი ექიმთან წაიყვანე, გაასინჯე, ქალიშვილია თუ არაო. ერთხელ ისიც გავიგონე, დედას რომ უთხრა, არავინ არის ისეთი, რომ გათხოვდეს და მომშორდესო. მცემდა, რაღაცეებს მიგონებდა და არავის აძლევდა უფლებას, ჩვენს ურთიერთობაში ჩარეულიყვნენ. ჩემს ძმასაც სასტიკად ექცეოდა, მაგრამ არა — ჩემსავით. ზოგჯერ ბიძაჩემი და ბაბუა ეტყოდნენ ხოლმე, ბავშვები ცოდონი არიანო. ის კი პასუხობდა, ჩემი ოჯახია და, რასაც მინდა, იმას ვუზამ, როგორც მინდა, ისე მოვექცევიო.

ძალიან გვიჭირდა, უბედურ დედაჩემს ხანხილი მიჰქონდა ბაზარში დიდი ვედროთი და ყიდდა. ერთხელ სახლიდან წავედი, რამდენიმე თვე ბებიასთან, დედაჩემის დედასთან ვცხოვრობდი. ყველა მეუბნებოდა, სახლში დაბრუნდიო, ძალიან არ მინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. წინა დღით ნერვიულობისგან 38 მქონდა ტემპერატურა. სახლში რომ მივედი, მამაჩემი ღამით მოვიდა მთვრალი და, რომ დამინახა, ისე მცემა, სულ სისხლი მადინა ცხვირ-პირიდან. ჯვარზე დაიფიცა, რომ მომკლავდა (გულზე ეკიდა ჯვარი). არ მესმოდა, რატომ უნდა მოვეკალი, მე ხომ ერთი უსუსური გოგონა ვიყავი. იმ დღიდან მეც დავიფიცე, რომ თუკი ვინმე ცოლობას მთხოვდა, ვინც უნდა ყოფილიყო, გავყვებოდი. მინდოდა, ამ კაცს როგორმე მოვშორებოდი.

ჩემი ძმა რომ წამოიზარდა, მამაზე არანაკლები სისასტიკე გამოამჟღავნა. ისიც საშინლად მცემდა და მაწამებდა.

ერთ დღესაც ტელეფონით გავიცანი ადამიანი, რომელიც ჩემი ქმარი გახდა. მას ძალიან შევუყვარდი. ჩემ შესახებ არაფერი დამიმალავს, ყველაფერი მოვუყევი. მან კი ისეთი მიმიღო, როგორიც ვარ. გავაფრთხილე, რომ ჩემთან ცხოვრება იოლი არ იქნებოდა, რადგან მამამ და ძმამ ნერვები აღარ შემარჩინეს. მან ყველანაირად გამიგო. გამოგიტყდებით, რომ უსიყვარულოდ გავთხოვდი, მხოლოდ იმისთვის გადავდგი ეს ნაბიჯი, რომ იმ ჯოჯოხეთს ჩამოვშორებოდი. მერე კი ჩემი ქმარი საოცრად შემიყვარდა. მის გარეშე ერთი დღეც ვერ ვძლებ.

ყველაფერი კარგად იქნებოდა და შეიძლებოდა, ის გადატანილი ტკივილიც მიყუჩებულიყო, რომ არა გაჭირვება. მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვიჭირს. საკუთარი ბინაც არ გვაქვს, ნაქირავებში ვცხოვრობთ. ჩვენი დამხმარე არავინ არის. გამწარებულმა ბავშვობამ ჩემს ჯანმრთელობას თავისი კვალი დაჩნია, საშინელი ნევროზი მაქვს. ქალური პრობლემებიც მაწუხებს. მკურნალობის ფული კი არ მაქვს. ექიმები მეუბნებიან, რომ თავს სასწრაფოდ უნდა მივხედო, თორემ მერე გვიანი იქნება, მაგრამ ამას როგორ მოვახერხებ, როცა ბანკიდან პროცენტიანი ვალები გვაქვს გამოტანილი, ქირას ვიხდით, თუკი რამე გაგვაჩნდა, ლომბარდში გვაქვს შეტანილი. ღამეებს ტირილში ვატარებ. ჩემს თავს ვეკითხები, ჩემი ცხოვრება სადამდე უნდა გაგრძელდეს ასე.

ღმერთის იმედი მაქვს. უფალი ყოველთვის მეხმარებოდა. მისი შემწეობა რომ არა, მამაჩემს აუცილებლად შემოვაკვდებოდი. ახლაც მისი და კეთილი ადამიანების იმედით ვცოცხლობ. იქნებ ჩემი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანოთ, რომ ვიმუშაო და მკურნალობის საშუალება გამიჩნდეს. იქნებ დედობამ ჩემს ცხოვრებაშიც გამოაჩინოს ნათელი სხივი და ბავშვმა ამქვეყნისკენ შემომაბრუნოს.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ქმარს „კაიფის“ დროს კინაღამ შემოვაკვდი“

ჩემი ქმარი ნარკომანი და მოთამაშეა. „კაიფის“ დროს იმდენჯერ ვყავარ ნაცემი, ვეღარ ვითვლი. ერთხელ კინაღამ შემოვაკვდი. მიყვარს და ვერ ვშორდები. სულ მატყუებს, გამოვსწორდები, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია. შვილზე ოცნებაში ამომხდა სული. უპატრონოდ, უყურადღებოდ ვყავარ მიგდებული. იმასაც მაყურებინა, როგორ იკეთებდა მორფს...

ეს ყველაფერი ჩემმა მშობლებმა არ იციან, სიძე ანგელოზი ჰგონიათ. მე კი უკვე ისე მიჭირს, თავის მოკვლაზე ვფიქრობ. მართალია, ვერ ვტოვებ, მაგრამ არც მასთან ყოფნა შემიძლია. ფაქტობრივად მონად ვმუშაობ, დღეში 10 ლარს მიხდიან. იქიდან 2 ლარია ჩემი, დანარჩენი ქმარს ხმარდება. მიშველეთ, გთხოვთ! აქედან გადაკარგვა მინდა. რომ ვერ დავინახავ, იქნებ გადამავიწყდეს. გამოსავლის პოვნაში დამეხმარეთ.

პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი, 21 წლის

გამოხმაურება

„მეუღლის ღალატი არ გეპატიება!“

ჟურნალ „სარკის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „არ ვნანობ, რომ მოძალადე ქმარს ვღალატობ“. ძალიან გთხოვთ, ჩემი გამოხმაურება დაბეჭდეთ. მესმის, რომ ეს ქალი მძიმე დღეშია, მაგრამ ღალატს გამართლება არ აქვს. თუ ასეთი მეუღლე გყავს, რომელიც ფიზიკურ შეურაცხყოფას გაყენებს, მაშინ გაშორდი. ასეთ შემთხვევაში არავინ განგსჯის, ვის შეიყვარებ და ვისთან იქნები. ამ სიტუაციაში კი მართლა ცუდად იქცევი.

მაპატიე, თუ გული გატკინე ჩემი კრიტიკით, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გითხრას სიმართლე.

მკითხველი

«შვილებმა გათხოვება არ მაპატიეს»

ჟურნალ „სარკეში“ დაიბეჭდა სტატია — „ჩემი ცხოვრების მამაკაცი საბერძნეთში ვიპოვე“. ამ ქალს დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. ახლა მინდა, ჩემი ამბავიც მოგიყვეთ.

ახალგაზრდა დავქრივდი. ორი შვილი გავზარდე. გათხოვებაზე არ მიფიქრია. ვამბობდი, რომ ბავშვებს მამინაცვალს ვერ მოვუყვანდი. შვილები დაოჯახდნენ, ცალკე ცხოვრება მოინდომეს. მე კი მარტო დავრჩი. სამსახურში გავიცანი მამაკაცი, რომელიც შემიყვარდა. ცოლს იყო გაშორებული. ერთმანეთს გავუგეთ და გადავწყვიტეთ, დავქორწინებულიყავით. გამიჭირდა შვილებისთვის ამის თქმა, მაგრამ ბოლოს გავბედე. მეგონა, გამიგებდნენ, ჩემს ამაგს, პატიოსნებას დააფასებდნენ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. შვილებმა ვერ მაპატიეს. დღემდე ხმას არ მცემენ. ძალიან მიჭირს მათ გარეშე. არ ვიცი, რა გავაკეთო, რომ ჩემკენ მოიბრუნონ გული.

თქვენი მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„დედამთილმა ჩვენი საწოლები გაყო“

ჩემი ცხოვრება ძალიან დამძიმდა. მაზლს ვალები დაედო, სახლი გაყიდა და პატარა ბინა გირაოთი აიღო. დედამთილი, რომელიც მანამდე მასთან ცხოვრობდა, ჩვენთან გადმობარგდა. ჩვენგან შორს რომ იყო, არ მაწუხებდა, მაგრამ მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება საშინელება აღმოჩნდა.

კოშმარი იმ წუთიდანვე დაიწყო, რა წუთშიც თავისი ბარგი-ბარხანა ჩვენს სახლში შემოიტანა და დააწყო. ჩემი სახლის დიასახლისი მაშინვე ის გახდა. ჩემი დალაგებული სახლი სხვანაირად გადაალაგ-გადმოალაგა. სამზარეულოდან დაიწყო. კარადიდან ჩემი დალაგებული ქვაბები, ჭურჭელი გამოიღო და სხვა რაღაცეები დააწყო. თან ამ ყველაფერს ბუზღუნით აკეთებდა. მისაღებში ავეჯიც შეცვალა. თან შენიშვნებს იძლეოდა, ოჯახის ქალმა ეს როგორ არ უნდა იცოდესო. მეზობლის ქალი შემოვიდა მის მოსაკითხად. მან კი გარდერობი, კარადები აჩვენა. აი, ახლანდელი ქალები ყველაფერს როგორ ყრიან, არც ჭუჭყი აღელვებთ და არც უწესრიგობაო. სირცხვილისგან ლამის მოვკვდი.

არადა არ ვარ მოუწესრიგებელი და უსუფთაო ადამიანი. ყველაფრის გაკეთება ვიცი და არც მეზარება. მანამდე ჩემი მაზლის ცოლი რომ წუწუნებდა, სახლში ნამდვილი ურჩხული მყავსო, არ მჯეროდა. თურმე ის საცოდავი ქალი რა დღეში ყოფილა!

დედამთილის ასეთ საქციელს ვითმენდი. თავს ვიმშვიდებდი, არა უშავს, თუ ასე ძალიან უნდა დიასახლისობა, ამ „თანამდებობას“ მას სიამოვნებით დავუთმობ-მეთქი. ერთ დღეს ბავშვი საბავშვო ბაღიდან გამოვიყვანე და ცოტა ხნით დედაჩემთან შევიარე. იქიდან რომ დავბრუნდი და ჩემს საძინებელში შევედი, თვალებს არ დავუჯერე. შეიძლება მკითხველებსაც გაუკვირდეთ, მაგრამ მართლა არაფერს ვიგონებ — ჩემი და ჩემი ქმრის საწოლები დაცალკევებული დამხვდა. მაშინ კი ვიკივლე, ეს რა არის-მეთქი. ეტყობა, მიხვდა, ზედმეტი რომ მოუვიდა და მომეფერა, შვილო, მე და ჩემი ქმარი სულ ასე ვიწექით, ქალი რომ დაღლილი დასაძინებლად დაწვება, სად აქვს იმის თავი, კაცის ხვრინვას ზედ ყურთან ახლოს უსმინოსო. ისე ლაპარაკობდა, ვითომ ჩემ გამო მოიქცა ასე, ჩემზე იზრუნა, რომ მშვიდად მეძინოს. კატეგორიულად მოვთხოვე, რომ ჩემს საძინებელში აღარ შესულიყო. სხვათა შორის, ვერაფერი მითხრა და ოთახიდან ცხვირჩამოშვებული გავიდა. საწოლები, რა თქმა უნდა, შევაერთე. მისი დალაგებული გარდერობიც გადავალაგე.

ქმარს ყველაფერი მოვუყევი. ვთხოვე, დედისთვის აეხსნა, რომ ასე აღარ მოქცეულიყო, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. მითხრა, რომ თურმე დედამთილს ვერ ვიტან და მისი ყოველი მოძრაობა ამ სახლში ნერვებს მიშლის. ვერ გავაგებინე, რომ ასე არ არის.

დედამთილი თვლის, რომ სახლში სადილი უნდა იყოს და არა — რაღაც სალათა, რომელიც ოჯახს ვერ დაანაყრებს. მისი თეორიით, დიასახლისმა სალათა „ოლივიე“ არ უნდა გააკეთოს, რადგან ზედმეტი ხარჯია. ამას ჯობია, კარგი ბორშჩი მოამზადოს. ყველაფერს მიკონტროლებს, როგორ ვაუთოვებ, სარეცხ მანქანას რამდენჯერ ვრთავ კვირაში, კომპიუტერთან რამდენ საათს ვატარებ, რას ვჭამ, რას ვსვამ... აღარ შემიძლია! მეშინია, ამის გამო ოჯახი არ დამენგრეს. ქმარს ვაფრთხილებ, რომ სახლიდან წავალ, მაგრამ ჩემს სიტყვებს არაფრად აგდებს. ერთ დღესაც ფაქტის წინაშე დავაყენებ და სახლში ცოლ-შვილი აღარ დახვდება!

ძალიან კარგად მესმის, რომ დედაა და ვერ მოიძულებს, სახლიდან ვერ გაუშვებს. მომწონს თუ არა, ჩემმა დედამთილმა თავისი შვილის გვერდით უნდა იცხოვროს, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმემ უთხრას, რომ ცუდად იქცევა? ჩემმა ქმარმა უნდა გააგებინოს, რომ ჩვენს ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ აქვს.

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ *რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ*

ტრიგანი-დ

ტრიგანი-დ

ტკივილგამაყუჩებელი საშუალება

შეიცავს: პარაცეტამოლი 500 მგ
დიციკლომინის ჰიდროქლორიდი 20 მგ

გამოიყენება ყურ-ნაწლავის, თიხემლების, თავის ტკივილის და ტკივილით მიმდინარე მენსტრუალური ციკლის სამკურნალოდ.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტიტანი გისურვებთ ჯანმრთელობას!

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 238-28-40; 238-88-71; 231-11-32;



Cyan Magenta Yellow Black

რის ფასად დაუჯდათ ია სუხიტაშვილს და ნანა შონიას კამერის წინ გახდა

ია და ნანა

რეჟისორ რუსუდან ჭყონიას ახალი ფილმი „ქიფ სმაილინგ ანუ გაიღიმე“ ათი ქართველი, თავ-თავისი პრობლემით დახუნძლული დედის ცხოვრებაზეა, რომლებიც, ბედის ირონიით, სილამაზის კონკურსში მოხვდნენ და ერთმანეთის მეტოქეები არიან. მათი ბრძოლა გამარჯვებისთვის ტრაგიკომიკურია. ფილმმა, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, მეტნაკლები გარდატეხა მოახდინა მასში მონაწილე მსახიობებშიც. მაგალითად, ია სუხიტაშვილმა პირველად გარისკა და ფილმში მკერდი მოიშიშვლა, ნანა შონიამ კი ერთ-ერთ სცენაში საცურაო კოსტიუმი ჩაიცვა, რაც მანამდე მისთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო. ორივესთვის ეს ნაბიჯი გმირობის ტოლფასი გახლდათ იმის გათვალისწინებით, რომ მათ გვერდით სექსსიმბოლო შორენა ბეგაშვილი იდგა.

ფილმის გადაღების პერიპეტიებს მსახიობი ქალები „სარკესთან“ ყვებიან.

— ქალბატონებო, რთულია დათანხმდე დებიუტანტ რეჟისორს გადაღებაზე?

ნანა: სცენარით იმდენად აღვფრთოვანდი, რომ არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი. ფილმი ათი ქალის გარშემო ვითარდება. ყველა ისეთი საინტერესო პერსონაჟი იყო, რომ ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ვითამაშებდი. თავიდან სხვა ქალის როლზე ამიყვანეს, მაგრამ მალე თვითონ შევთავაზე, მეთამაშა მრავალშვილიანი მეგრელი დედა. მეგრული ვიცოდი და მივხვდი, რომ უკეთესად გამომივიდოდა.

ია: აბსოლუტურად ვეთანხმები ნანას, ათივენი, პირველ რიგში, აღფრთოვანებულები ვიყავით სცენარით. ნანას მსგავსად, თავიდან მეც სხვა როლზე დამამტკიცეს, თუმცა მუშაობის პროცესში გვანცას როლი მომცეს. ყველაზე ნაკლებად ამ პერსონაჟზე ვფიქრობდი, რადგან სცენარში ეს როლი სულ სხვა ტიპის ქალისთვის იყო შექმნილი — ძალიან სექსუალურ ფორმებიანისთვის, რომელზეც ყველა კაცი გიყდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქართულ კინოში ძირითადად ომი და ნარკოტიკების თემაა, ამიტომ ამ ფონზე აბსოლუტურად განსხვავებული ტრაგიკომედია საინტერესო იყო ჩემთვის.

ნანა: იმის შიში არ მქონია, რა გამოვიდოდა. ქართველი მსახიობები არ ვართ განებივრებული ბევრი როლით, ამიტომ, როცა ახალ ფილმში გიწვევენ, უარის თქმა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ არანორმალურად დატვირთულ გრაფიკში ვმუშაობდით, როცა დავამთავრეთ, საშინელი სიცარიელის შეგრძნება დაგვრჩა. იაც დამეთანხმება, რომ ამ ფილმმა, როგორც კინომსახიობებს, დიდი გამოცდილება შეგვძინა.

ია: ბოლო დროს ქართულ კინოში ცუდი ტენდენცია შეინიშნება. მთავარ როლებს ძირითადად არაპროფესიონალები თამაშობენ. ბევრი თანამედროვე რეჟისორი რატომღაც ამბობს, რომ ფილმისთვის მათ პროფესიონალი მსახიობი არ სჭირდებათ. ასეთი მიდგომა მაღიზიანებს. გადასაღებ მოედანზე ყველანი მსახიობები ვიყავით. სწორედ ამის შედეგია, რომ ფილმს პროფესიონალური ხიბლი აქვს. ვენეციის კინოფესტივალზე როცა აჩვენეს, იცით, ყველაზე მეტად რა დამამახსოვრდა? მეუბნებოდნენ, მადლობა ემოციისთვისო. ქართულ კინოში ბოლო წლებში სწორედ ეს ემოცია დაიკარგა. ფილმებში ისეთი მშრალი დიალოგებია, რომ, ბუნებრივია, მას მაყურებელიც არ ეყოლება. უნდა ვაღიარო, რომ ბევრი ჩემი ძალიან ახლობელი რეჟისორის ფილმის პრემიერიდან ქურთუკმოფარებული გამოვპარულვარ.

— ამ ფილმმა სიამოვნების სანაცვლოდ თქვენგან ალბათ გარკვეული მსხვერპლიც მოითხოვა, სხვაგვარად უბრალოდ არ ხდება.

ნანა: 12 საათიანი სამუშაო დღე გვქონდა და ამ 12 საათის განმავლობაში, მაქსიმუმი, 5 წუთი შეიძლებოდა გადაეღოთ. მაყურებელს ვერ ეტყვი, იცით, მთელი დღე ვიყავი გადასაღებ მოედანზე, დავიღალე და ამიტომაც ისე ვერ ვითამაშე, როგორც საჭირო იყოო. ვერ გეტყვით, ის ათი ქალი რას ვაკეთებდით იმ პერიოდში, სანამ გადასაღებ მოედანზე ტექნიკური სამუშაოები მიდიოდა. ეს საგიჟეთი იყო! უნდა გენახათ, სად ვეყარეთ, ვის სად გვეძინა. ერთხელ შორენა ბეგაშვილი დაგვეკარგა, ვეძებეთ და ბოლოს ვნახეთ, ბავშვის ეტლში ეძინა.

— ათი ერთმანეთისგან განსხვავებული ქალის ერთად მუშაობა არც ისე იოლი იქნებოდა. ალბათ „შეტაკებებიც“ ხდებოდა.

ია: ნანა საოცრად დადებითი ენერგეტიკის ადამიანია. არ არსებობს პრობლემა, რომელიც მან უარყოფითად გადმოგცეს. საკუთარ პრობლემებზეც იუმორით შეუძლია საუბარი. ორი თვე ათი ქალი ერთ გარემოში ძნელია, ხანდახან იყო მცირე კონფლიქტებიც, მაგრამ ნანა ყველას ერთნაირად უყვარდა. მასთან ურთიერთობაში არასდროს მიგრძვნია, რომ ასაკით უფროსია. მუშაობაში შევხვედრივარ ნიჭიერ, მაგრამ საოცრად არაკომფორტულ ადამიანებს. დროთა განმავლობაში ასეთი პიროვნების აღარც ნიჭი გინდა და აღარც — მასთან მუშაობა. საშინელი ხასიათი ნელ-ნელა ნიჭსაც უკარგავს ხიბლს.

ნანა: ჩემი აზრით, მუშაობა მაშინ არის კარგი, როდესაც კომფორტული გარემო იქმნება. სხვა მსახიობის მიმართ საქებარი სიტყვები არასდროს დამინანია. მით უმეტეს, მიყვარს ახალგაზრდა მსახიობებთან ურთიერთობა. ია ძალიან დაკვირვებული ადამიანია, არაფერი გამოეპარება. ყოველთვის ყველაფერზე ადეკვატური რეაქცია აქვს. მთელ მის ცხოვრებას რომ გადავხედოთ, მივხვდებით, რომ ჭკვიანი მსახიობი და ქალია.

— იას საკონკურსო გამოცდილება აქვს, პროექტს „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ვგულისხმობ, ქალბატონო ნანა, თქვენი თუ ყოფილართ ოდესმე რაიმე კონკურსის მონაწილე?

ნანა: ჩემი საკონკურსო გამოცდილება მხოლოდ მუსიკალური პროექტით „იმედის ტალღა“ შემოიფარგლება. სხვათა შორის, ეს ლამაზი მუსიკალური პროექტი ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, რადგან ბევრმა ჩემმა კოლეგამ სიმღერა-სიმღერაში თავისი ბრჭყალი გამოაჩინა. გავიგე, ვინ-ვინ არის.

ია: ამ ცეკვების პროექტით ყველაზე მეტად მე გავერთე... ყველაზე ცუდ პერიოდში მომიწია თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა, ცეკვა საერთოდ ამოვარდნილი იყო სწავლებიდან. ამიტომ ყოველთვის მინდოდა ცეკვის სწავლა. ჩემმა ქორეოგრაფებმა დღემდე არ იციან, რომ ცეკვის სწავლისას ჩემებური დათვის მეთოდი მქონდა. მათი ახსნით ვერაფერს ვსწავლობდი.

— ზოგადად სილამაზის კონკურსებისადმი როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

ია: სხვათა შორის, სულ მგონია, რომ სილამაზის კონკურსები ტენდენციურია, რადგან ბევრი ლამაზი გოგო ყურადღების მიღმა რჩება.

ნანა: არ მიყვარს კონკურსების ყურება, რადგან კონკურსანტები მეცოდებიან. სილამაზეს ხომ თავისებური აღქმა აქვს. ყველას ჰგონია, რომ ყველაზე ლამაზია, ამიტომ ამ ტიპის კონკურსების ფინალში ძირითადად იმედგაცრუებულ და გულნატკენ გოგოებს ვხედავ.

— ქალბატონო ნანა, ამ ფილმში თქვენ, ისე როგორც ია, „უჩვეულო კუთხით“ გამოჩნდით — საცურაო კოსტიუმი ჩაიცვეთ. ამაზე იოლად დათანხმდით რეჟისორს?

ნანა: ნამდვილად არ ყოფილა ადვილი, რადგან ვთვლი, რომ საცურაო კოსტიუმის ჩაცმა და თანაც ეკრანზე, იდეალურ სხეულს მოითხოვს. ჩემში ყველაფერი როლმა გადაწონა. მე, როგორც მსახიობი ნანა შონია, ხომ არ გამოვსულვარ სილამაზის კონკურსში? ამიტომაც ყველაფერი გამართლებულია.

— თუმცა ქართველ საზოგადოებას სჩვევია გაშიშვლებული მსახიობის თითოეული ზედმეტი კილოგრამის დათვლა და ქილიკი. ამ რეაქციაზე არ გიფიქრიათ?

ნანა: მე ვარ მსახიობი და არ ვარ მოდელი, ამიტომ, როგორც ყველა ნორმალურ ქალს, მეც მაქვს გარეგნობაში ნაკლი, ზედმეტი კილოგრამები. ჩემი აზრით, პირიქით, როდესაც მაყურებელი ეკრანზე რაღაც ნაკლს გამჩნევს, უფრო დადებითად განეწყობა შენ მიმართ, საკუთარ თავთან შედარებას ახდენს, მაშინვე თანაგგრძნობს, რომ მასავით შენც ზედმეტი კილოგრამები გაქვს. ფილმებს მარტო მოდელები ხომ არ უყურებენ.

— ამ როლისთვის მაინც დაიკლებდით წონაში.

ნანა: სპეციალურად ამ როლისთვის დი-

ნანა: „მე ვახ მსახიობი და ახ ვახ მოდელი, ამიტომ, როგორც ყველა ნორმალური ქალს, მეც მაქვს გარეგნობაში ნაკლი, ზედმეტი კილოგრამები“.

ია: „გვეჩვენა ისეთი სექსსიმბოლო მედგა, ჰომლის გახდაც უფრო გაუხარებოდა მაყურებელს, ვგულისხმობ შორენა ბეგაშვილს, მაგრამ ეს მე გავაკეთე“.

Cyan Magenta Yellow Black

ალექსიშვილის კლინიკა

ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), ჰოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

კოტე მაისურაძე, *47 წლის (ინჟინერი. თბილისი).*

დიაგნოზი: წელის მალების ოსტეოქონდროზი, L5-S1 დისკის 7-მილიმეტრიანი პროლაფსი.

– ტკივილი წელის არეში თითქმის 10 წლის წინ დამეწყო. ბარშან სიმძიმე აეწიე და ტკივილი გამიმწვავდა, ველარ გავსწორდი ნელში, მერე ფეხში გადაინაცვლა და დამაკოჭლა, ხელჯოხი ამაღებინა. 24 საათის განმავლობაში მტკიოდა, მიბუჟდებოდა ფეხი. ღამით არ მეძინა, ძლიერი ტკივილების გამო წნევამ მომიმატა – 170-ზე ამივიდა. რა ნემსები აღარ ვიკეთე, ზოგი ექიმის დანიშნულებით, ზოგიც აფთიაქში მირჩიეს. შედეგი ვერ მივიღე. ბოლოს, ნათესავის რჩევით, ამ კლინიკაში მოვედი. გადამიღეს კომპიუტერით და აღმოჩნდა 7-მილიმეტრიანი თიაქარი, რომელიც ინვევდა ნერვის მოჭყლეტას. ჩამიტარეს პირველი პროცედურა, რამაც დაუჯერებელი ეფექტი მომცა – იმავე ღამეს მშვიდად დამეძინა. მეორე დღიდან ჯოხი გადავაგდე. ერთ კვირაში კი ტკივილები მთლიანად მოიხსნა. იცით, რა მომეწონა ამ კლინიკაში? ყველაფერი, რაც გამიკეთეს, ხალხური და ნატურალურია. დამირეგულირდა წნევაც და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ულრმესი მადლობა ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს!

ნონა გვაზავა, *52 წლის (დიასახლისი. ზუგდიდი).*

დიაგნოზი: რევმატიული პოლიართრიტი.

– 4-5 წელია, მაწუხებს ტკივილი მუხლებში, მხრებში, კუნთებში, პერიოდულად მიმწვავდება, როე – 45-მდე ამდის. მერე დვრბივარ ექიმებში, მინიშნავენ გამაყუჩებლებს და... ვარ ისე მიშვებული. მაგრამ, ასე ერთ დღეში ასეთი ეფექტი არასდროს მქონია, როგორც აქ, ამ კლინიკაში მივიღე. აქ რომ მოვედი, მუხლები დასიებული მქონდა, მეორე დილას კი – დამცხრალი. არაა ახლა ეს სასწაული?! ჯერ ერთი კვირაა, ვმკურნალობ. აქ გავიგე, რომ, თურმე, გლანდები მქონია გართულებული – ეს ყოფილა ყველაფრის თავი და თავი. გული რომ მაწუხებდა, ამის მიზეზიც ეს გლანდები და ჩირქი ყოფილა. ყველა ერთად ჩაერთო ჩემს მკურნალობაში და საუცხოო შედეგიც მაქვს. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ჩემი ექიმები ჩვენს იმედად!

ბუასილი მარტივად იკურნება

მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.

დავით გორგოძე, *41 წლის (მძღოლი. თბილისი).*

– ჩემი დიაგნოზია ანალური ნაპრალი და კოლიტი. დიდი ხანია, მაწუხებს. ეს, როგორც მანანა ექიმმა მითხრა, ჩემს პროფესიას უკავშირდება. ოპერაციას მეუბნებოდნენ ექიმები, მაგრამ, აქ მიღებულმა შედეგმა, საუცხოო მალამოებმა, ამაზე ფიქრიც კი შემაწყვეტინა. პირველივე სამკურნალო კურსმა მომიხსნა ის აუტანელი ტკივილი, ჯდომას რომ მიშლიდა. მომიწესრიგდა შეკრულობის პრობლემაც. კიდევ, კუჭის ტკივილები მაწუხებდა და ესეც აღარ შემიმჩნევია. ძალიან კმაყოფილი ვარ. უღრმესი მადლობა!

ქეთევან რატნიანი, *49 წლის (ეკონომისტი. რუსთავი).*

– ორჯერ ვარ ნაოპერაციევი, ლიგაცია გავიკეთე – უსისხლო ოპერაციას რომ ეძახიან. ცოტა ხანს კარგად ვიყავი, მაგრამ, მალევე დამეწყო ტკივილები. ისევ მივაკითხე ქირურგს, გამსინჯა და მითხრა, ნაპრალი გაჩნდაო (სავარაუდოდ, ოპერაციის გართულება). ვიმკურნალე მალამოებით, სანილებით, თუმცა, შედეგი ვერ მივიღე. შემდეგ მოვაკითხე მანანა ექიმს და, 1-2 დღეში ჩემი ტკივილები სად დაიკარგა, ვერ გავიგე. ბედნიერი და გახარებული ვარ.

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ეტა არ დამჭირვებია. ისე კი ზედმეტ კილოგრამებს მთელი ცხოვრება ვებრძვი. გადაღებები იმიტომაც მიყვარს, რომ ამ დროს ყოველთვის რეჟიმში ცხოვრობ და ეს წონაზეც აისახება. მგონი, ჩემს საცურაო კოსტიუმებზე მაყურებელს რეაქცია არ ჰქონია. სხვათა შორის, თავიდან მეც ზუსტად ისეთი რეაქცია მქონდა საცურაო კოსტიუმების დანახვაზე, როგორიც ჩემს გმირს. იმ მომენტში გულწრფელად ვამბობდი, არა, ამას არ ჩავიცვამ-მეთქი.

ია: მე კიდევ მთელი ცხოვრება შემჭამეს ამ კითხვებით — ვაიმე, რა გამხდარი ხარო. ერთი პერიოდი გაძლიერებულ კვებაზეც ვიყავი, მაგრამ ისეთი აღნაგობა მაქვს, რომ არ ვიმატებ. მადა ახლაც საოცარი მაქვს. საკუთარი თავი ისეთი მივიღე, როგორიც ვარ. ყველა მერილინ მონროსნაირი სექსუალური ვერ იქნება!

— ია, ფილმის ყურებისას თქვენგან და თქვენი გმირისგან მოველოდი ყველაფერს, გარდა იმისა, რომ მკერდს მოიშიშვლებდით.

ია: სულ ვხუმრობ, რომ გვერდით ისეთი სექსსიმბოლო მედგა, რომლის გახდაც უფრო გაუხარდებოდა მაყურებელს, ვგულისხმობ შორენა ბეგაშვილს, მაგრამ ეს მე გავაკეთე. არავინ თქვას, რომ კამერის წინ გაშიშვლება ადვილია. არ ვიცი, მომავალში როგორ იქნება, მაგრამ ეს პირველად ახლა გავაკეთე და ძალიან ვინერვიულე.

— შორენა ბეგაშვილთან შეტოქეობა ადვილი არ იქნებოდა.

ია: შორენა ჩვენთან ნომერი პირველი სექსსიმბოლოა, მომავალში რამდენი ქალიც უნდა გაშიშვლდეს, ის მაინც დარჩება, როგორც პირველი. მან ძალიან ბევრი იზრუნა საკუთარ გარეგნობაზე, თავისი შესაძლებლობები ძალიან კარგად იცოდა და გარეგნობა მიზანმიმართულად წამოსწია წინ. შორენა ძალიან მიყვარს, რადგან ამ ყველაფრის მიღმა ძალიან საყვარელი და კარგი გოგოა.

ნანა: შორენა ძალიან გულჩვილი და ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანია. ჩვენ შორის კონკურენცია ნამდვილად არ ყოფილა, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მას იდეალური სხეული აქვს.

ია: ბებია სულ მეუბნებოდა, სხვისი არასოდეს შეგშურდესო. ამ დროს საკუთარ თავს უნდა დაუსვა კითხვა, შენ რა მოგემატება იმით, თუ სხვისი შეგშურდება. მე რომ შორენასი შემშურდეს, ამით რა? ერთადერთი შეიძლება ცუდ ხასიათზე დავდგე.

— თქვენი ქმრების შეფასება როგორი იყო?

ია: არც არანაირი, ნული რეაქცია! ვთვლი, რომ ეს ყველაფერი მაყურებლისთვის ისეა მიწოდებული, რომ არავის გააღიზიანებს.

ნანა: იას მეუღლე მსახიობია, ჩემი ქმარი — თეატრის მხატვარი, ორივემ კარგად იცის ჩვენი პროფესია.

— ფილმში თქვენი გმირები სილამაზის კონკურსში ოჯახისა და შვილების გამო მონაწილეობენ. ორივე თქვენგანი დედაა და ალბათ კარგად გესმოდათ ამ ქალების.

ია: ჩემი გმირი იდეალური დედა ნამდვილად არ არის, ჩემთვის კი ჩემი შვილი ყველაფერია. სულ ვამბობ, თუკი ადამიანი ცხოვრებაში რამე კარგს გააკეთებს, პირველი შვილის გაჩენაა. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კარგი მას შემდეგ მოხდა, რაც ბავშვი მეყოლა. ჩემი ყველა მიზანი მომავალში შვილს უკავშირდება, თუნდაც ის, რომ ჯანმრთელად, კარგად ვიყო, რადგან ეს მას სჭირდება. რაც შემიძლია ვცდილობ, რომ გზა გავუკვალო ცხოვრებაში, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, განებივრებული და ზარმაცი გამოვიდეს.

ნანა: კარგად მახსოვს, როდესაც უფროსმა ბიჭმა მითხრა, ძალიან მინდა, მეგობარი მყავდესო. გამიკვირდა, ნუთუ შენ მეგობარი არ გყავს-მეთქი. შემდეგ ამიხსნა, მე მინდა, მყავდეს პატარა, ტიტველი მეგობარი, რომელიც შენი მუცლიდან გამოვაო. მივხვდი, რომ მას უნდოდა და ან ძმა. ამიტომ არცკი დავფიქრებულვარ და მეორე შვილი გავაჩინე. უფროსი ბიჭის სურვილების ასრულებას ძალიან დიდი კატაკლიზმები მოჰყვა ჩემს ცხოვრებაში. იმ პერიოდში „თეატრალურ სარდაფში“ ვთამაშობდი, ჩემი ორსულობის გამო რეპერტუარი გაჩერდა, მაგრამ ეს არ მინანია, ამას მოჰყვა „სარდაფის“ დახურვაც და რუსთაველის თეატრიდან ჩემი წასვლაც. შეიძლება ითქვას, რომ მეორე შვილის გაჩენის შემდეგ კარიერა თავიდან დავიწყე. ახლა იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ კარიერის გამო მეორე შვილის გაჩენაზე უარი მეთქვა.

ნანა: „ბევრმა ჩემმა ჯოლეგამ სიმღერა-სიმღერაში თავისი ბიჭყალი გამოაჩინა. გავიგე, ვინ-ვინ არის“.

— კრიტიკოსების ნაწილმა ფილმი რატომღაც ძალიან ფემინისტურად მიიჩნია. თავად თქვენში თუ არის ფემინიზმის თუნდაც მარცვალი?

ია: არ ვიცი, რატომ მიიჩნიეს მაინცდამაინც ფემინისტურად. ჩემთვის ფემინისტური პრინციპები არ არის მისაღები, რადგან ოჯახში ორი ადამიანი ერთნაირად უნდა აკეთებდეს საქმეს და ერთნაირად უნდა სწევდეს ცხოვრების ჭაპანს. როცა მამაკაცი ძლიერია, ქალისთვის ეს უფრო კომფორტია.

ნანა: ჩემთვის ამომავალი წერტილი ადამიანია და არა ის, თუ რომელი უფრო ძლიერი უნდა იყოს. მამაკაცებთან ყოველთვის ვმეგობრობ და ისინიც ძალიან მავსებენ. მათგან ყოველთვის ბევრ რამეს ვსწავლობ, მაგალითად, ჩემი მეუღლისგან ისეთი რაღაცეები მისწავლია... ფემინისტური აზროვნება ჩემგან შორს არის, პირიქით, მამაკაცებს ვაიდეალებ.

✓ **ავთო ჩიტიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ამერიკაში უსუფაშვილის დათესილი ივანიშვილის ვიზიტის დროს მოიმკება

ვაშინგტონს ნაციონალების ცრემლების აღარ სჯერა?

იმ ფონზე, როცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხმის ჩაწყვეტამდე უკიჟინებს „ოცნების“ ხელისუფლებას პროდასავლური კურსიდან გადახვევას და განგაშის ზარს სცემს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აშშ-ს სტუმრობდა. დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ირაკლი ჩიქოვანი შედიოდნენ, ამერიკის ხელისუფლების წევრებთან ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების გაფართოების საკითხზე გამართა კონსულტაციები. შეხვდნენ თეთრი სახლის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, კონგრესისა და სენატის წარმომადგენლებს.

უსუფაშვილის ვიზიტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი უსწრებდა წინ. მაია ფანჯიკიძის მთავარ მიზანს პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მომავალი ამერიკული ვოიაჟის დღის წესრიგის შეთანხმება შეადგენდა.

დავით უსუფაშვილი ერთკვირიანი მუშაობის შედეგით კმაყოფილია. დადებითად აფასებენ მის ვიზიტს ექსპერტებიც. ამ საკითხზე პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ვესაუბრეთ.

სოსო ცისკარიშვილი: „მიხეილ მავნეს შესნევს ძალა, ავნოს სახელმწიფოს და ახალ ხელისუფლებას“.

სოსო ცისკარიშვილი:

— ჩვენ მოწმენი ვართ გარკვეული სტრატეგიის, რომლითაც დღევანდელი მთავრობა ურთიერთობს ამერიკის ხელისუფლებასთან. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის დაანონსებული ვიზიტი ამერიკაში გადაიდო, მოწმენი ვართ მკაფიო, გეგმური ურთიერთობებისა. ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია ვაშინგტონს, მერე — შს მინისტრი, შემდეგ — იუსტიციის მინისტრი და ახლა — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. პრაქტიკულად ყველა წინაპირობა შეიქმნა იმისთვის, რომ გაზაფხულის დამლევს პრემიერის ვიზიტი შედგეს ამერიკაში. უსუფაშვილის ვიზიტი იყო პრემიერის ვიზიტის სამზადისის დამაგვირგვინებელი ნაბიჯი.

საინტერესოა ისიც, რომ განსხვავებით ზოგიერთი ევროპული პოლიტიკური წარმონაქმნისგან, რომელიც საეჭვო ინფორმაციებს ეყრდნობა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ ყველაფერი იცის. ის ცრუ ინფორმაცია, რომელიც დღესაც ვრცელდება პრეზიდენტისგან და უშიშროების, რეალურად კი საშიშროების საბჭოდ ქცეული სტრუქტურიდან, ვაშინგტონის მიერ პრაქტიკულად იგნორირებულია. ნაციონალების იდეოლოგების მცდელობა, რამენაირად ჩრდილი მიაყენონ დღევანდელი საქართველოს სწრაფვას ევროპული და ევროატლანტიკური ფასეულობებისკენ, ფუჭი გამოდგა. ამიტომ ის, რაც დაითესა ვაშინგტონში, ვგულისხმობ დღევანდელი ხელისუფლების მიწოდებულ ინფორმაციას, მოიმკება მაშინ, როცა ვაშინგტონში პრემიერის ვიზიტი შედგება.

— უსუფაშვილის მუშაობის პირველი შედეგი უკვე გამოჩნდა, როცა კონგრესის ცენტრის ანალიტიკოსმა ღიად თქვა კონსტიტუციაში ქვეყნის პოლიტიკური კურსის ჩაწერა არასწორიაო.

— რასაკვირველია. კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით, ასეთი ჩანაწერი რომ აღმოჩენილიყო კონსტიტუციაში. წარმოიდგინეთ, ნაციონალურ მოძრაობას ორი წლის წინ რომ აეხირუბინა, საგარეო ვექტორის პრიორიტეტული მიმართულებები კონსტიტუციაში ჩავწეროთო, ახლა ვიქნებოდით მწარე რეალობის წინაშე, როგორმე ამოგვეშალა კონსტიტუციიდან სიტყვა „სინგაპური“. ჩვენ ხომ ყველანი ერთად სინგაპურისკენ მივდიოდით. სასაცილოა, რომ თვლიან, თუ ჩაიწერა კონსტიტუციაში, მას ვერაფერი შეცვლის. თან ამას ამბობს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყნის მთავარ დოკუმენტს დღეგამოშვებით ცვლიდა საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ეს პრიმიტიული დემაგოგია შეიძლება რაიმე არგუმენტი იყოს მხოლოდ ევროპული სახალხო პარტიის იმ ნაწილისთვის, რომელსაც თეთრი და შავი ვერ გაურჩევია ან არ აქვს სურვილი, გაარჩიოს. არანაირი შეუქცევადობის გარანტია კონსტიტუციას არ აქვს და საგარეო კურსთან დაკავშირებული რეზოლუცია, რომელიც პარლამენტმა მიიღო, არის მუდმივმოქმედი დოკუმენტი, რომლის განხორციელება ბევრად უფრო მარტივია.

„ამერიკელები ჰიაგმატული ხალხია. ისინი ჰე�იზმის აღქმის უნარით აშკარად უსნიჭებენ ევროპელთა იმ ნაწილს, ჰომელთაც ვეჰ გაუჩეკვევიათ მარტივი ქეშმარიტება... ამ წეჰიღების ავტორი სახალხო ჰარტიელები ჩინგიზ ხანის მენტალიტეტის მატარებელნი არიან“.

„საუბარი იმაზე, ჰომ ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატო-ს წევრი, ჰომ აუცილებლად ვიქნებით ევროკავშირის ღირსეული წევრი, ნღებია მესმის. თუ ეს დამოკიდებულია ევროპის სახალხო ჰარტიაზე და თუ ევროპა არის სახალხო ჰარტია, შეიძლება ჩვენი ხალხის ღტოლვაც შემცირდეს ევროპისაკენ და სწორედ ეს გახლავთ ნაციონალური მოძრაობის ოცნებაც“.

ეკასთან ურთიერთობები დაალაგა?

— ვაშინგტონში, განსაკუთრებით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ისეთები აღარ არიან, რომლებიც, ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, არათუ — ფერადს, არამედ შავსა და თეთრსაც ვერ ასხვავებენ. შეიძლება კონგრესში ან სენატში იყოს თითო-ოროლა ნოსტალგიით გაჟღენთილი ადამიანი, რომელთაც ნაცმოძრაობასთან პირადი ურთიერთობები აკავშირებთ, მაგრამ, საერთო ჯამში, ამერიკელები პრაგმატული ხალხია. ისინი რეალიზმის აღქმის უნარით აშკარად უსწრებენ ევროპელთა იმ ნაწილს, რომელთაც ვერ გაურკვევიათ მარტივი ჭეშმარიტება.

— ევროპარლამენტის იმ წევრებს გულისხმობთ, ვინც საქართველოს პრემიერს მკაცრად უარყოფითი წერილები მისწერეს?

— ამ წერილების ავტორი სახალხო პარტიელები ჩინგიზ ხანის მენტალიტეტის მატარებელნი არიან. სურვილი, რომ ქარიშხალი ატეხონ ჭიქაში, ნამდვილად არის მოტივირებული გარკვეული ინფორმაციით, რომელიც ადვილი მისახვედრია, ვისგანაც ვრცელდება. დიახ, როცა ქვეყნის პრეზიდენტი ნახევარ წელზე მეტია, ვერ ხედავს მიზეზს, რატომ უნდა იქნეს მოწვეული უშიშროების საბჭოს სხდომა, ისიც და საბჭოს მდივანიც საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნისთვის. ყველა ხედავს იმ ქმედებებს, რასაც პრეზიდენტი ბოლო ხანებში ჩადის — იშვიათად სტუმრობს თავის ქვეყანას და სიცრუის გავრცელებით არის დაკავებული სხვადასხვა ქვეყანაში.

— თუ ამერიკასთან ურთიერთობა შედგა, ევროპასთან რატომ გაჭირდა? იქნებ წერილებით კონფრონტაციაში ჩაბმა არ იყო საჭირო.

— ევროკავშირს 28 სუბიექტი ჰყავს და მათთან ისეთი ინტენსიური კავშირი, როგორიც ამერიკასთან, ანუ ერთ მთავრობასთან გვაქვს, ძნელი წარმოსადგენია. თან მაშინ, როცა მიხეილ მავნე სრულიად ბლოკავს ელჩების დანიშვნას ამ ქვეყნებში და ეს იმ ელჩებზეა ლაპარაკი, რომლებიც მანვე შეარჩია, ხოლო პარლამენტმა, უმცირესობამ და უმრავლესობამ ერთად დაამტკიცეს. მავნებლობა სწორედ იმაშია, რომ ამ ელჩებს შესაძლებლობას არ აძლევს, სიმართლე გაიტანონ ევროპაში.

— მართლა ემუქრება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას ბრიტანეთი თუ სახალხო პარტიამ ისევ სხვათა შორის ჩაწერა დეკლარაციაში?

— ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში არის ორხელისუფლებიანობა. როცა ვადაგასული პრეზიდენტი ჯერჯერობით ისევ მართავს სასამართლო სისტემას, ადგილობრივ მმართველობას, დიპკორპუსს, კონტროლის პალატას, გარკვეული გავლენა შენარჩუნებული აქვს მედიასივრცეზეც, ეს ყველაფერი მიგვანიშნებს იმ საფრთხეზე, რომ შესწევს ძალა, ავნოს სახელმწიფოს და ახალ ხელისუფლებას. მისი მოქმედებები მეტყველებს, რომ მისი ამოცანაა, როგორმე დაბლოკოს ასოცირების ხელშეკრულება. ვერ დავავალდებუ-

ლებთ მთელ ევროპას, მხოლოდ საქართველოს საკითხებით იყოს დაკავებული და ღრმად ჩასწვდეს იმ საკითხებს, რომლებშიც ბევრი ეშმაკი იმალება, მაგრამ ასეთ წვრილმანებში ის ევროპელი ელჩები მაინც უნდა ერკვეოდნენ, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

— რამდენად მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტის ხელისმოწერა საქართველოსთვის?

— თუ ხელისმოწერა არ მოხდება, ეს იქნება ადგილზე ნაბიჯით სიარული, რომელშიც ისედაც ვიმყოფებით რამდენიმე წელიწადია. საუბარი იმაზე, რომ ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატო-ს წევრი, რომ აუცილებლად ვიქნებით ევროკავშირის ღირსეული წევრი, წლებია მესმის. თუ ეს დამოკიდებულია ევროპის სახალხო პარტიაზე და თუ ევროპა არის სახალხო პარტია, შეიძლება ჩვენი ხალხის ლტოლვაც

სტკივა სასამართლო და რომ არ დაინტერესებულიყო ამ ავადმყოფობის ანამნეზით, ის უფრო გასაკვირი იქნებოდა. ნებისმიერი პირადი ურთიერთობა და ინფორმაციის პირველწყაროდან მიღება აუცილებელია პირველი ნაბიჯის სტრატეგიის განსასაზღვრად.

არც ერთს უთქვამს, რომ მეორე დილიდან სხვანაირად იცხოვრებდა. ეს პროცესი არის რთული, ხანგრძლივი და ოღროჩოღრო, რადგან ქვეყანაში არის ორხელისუფლებიანობა და მიხეილ მავნეს აქტიური ფუნქცია გააჩნია.

— ივანიშვილმა საკმაოდ სასიტყვო სესია, მაგრამ ამავე დროს სათუთი თემა გააჩნია — ქვეყნის ანლიტიკურად მიწყობა, რაც თავისთავად გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმებას გულისხმობს.

— ამ სიახლის საძირკველი პროგრესულია, მაგრამ ვადები — გარკვეული საფრთხის შემცველი. ძალიან გამიხარდება, მაგრამ გამიკვირდება, რომ ეს ადგილობრივი მმართველობის რეფორმა ოქტომბრისთვის დასრულდეს. უპრიანი იქნებოდა, ხელისუფლებას საცდელი პროექტი გაეკეთებინა და მერე შედეგის მიხედვით მოგვეხდინა მისი ტირაჟირება, ანუ დროზე მივმხდარიყავით, სად არის დასახვეწი პროექტი. ასეთი მასშტაბური და სათუთი პროექტის წამოწყება საფრთხის შემცველია, რომელიც გონივრულობისა და მზაობის შემთხვევაშიც კი კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდება.

— ეს რიგორ?

— როცა მოსალოდნელია ორი სოფლის გაერთიანება ერთ სუბიექტად და ერთი რომელიმეს სახელის მინიჭება, წარმოგიდგენიათ, რა რეაქცია ექნება სოფლის მოსახლეობას? სერიოზული დროა საჭირო მოსახლეობის მოსამზადებლად. ნახევარი საქართველო უნდა დადიოდეს და მეორე ნახევარს უნდა უხსნიდეს, რა უპირატესობები აქვს ამ პროექტს და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ეს დამოკიდებულება საერთო საკუთრების მიმართ, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონებში.

მაგრამ გამსხვილების აუცილებლობა დგას, რადგან არის ისეთი სოფლები, რომელთა ფართი და მოსახლეობის რაოდენობა იმდენად განსხვავებულია, რთულია, ერთი სტანდარტის ქვეშ მოექცეს. არადა სოფლის და ადგილობრივი ორგანოს რაოდენობა რომ ერთმანეთს არ დაემთხვეს, ცხადია, რომელიღაცის შეერთება აუცილებელი გახდება. სახელიც ერთი უნდა შეურჩიონ. სულ ახალი სახელი თუ დაარქვეს, ეს უფრო გაართულებს სიტუაციას, რადგან ტოპონიმიკის შეცვლის ხარჯი ბევრად დიდი იქნება, ვიდრე მთლიანად რეფორმისა.

„სტატუსების ჩამოხიგება ქვეყანაში, სადაც სატრაბახო თემაა მოსახლეობის მრავალფეროვნება, შეიძლება ქაოტური ვითარების სერიოზული წინაპირობაც გახდეს. სასამართლო ნარმართო არასახელმწიფო ენაზე — სეპარატიზმის პირდაპირი ბიძგია. ამიტომ ამ იდეის ავტორებსაც ფართო სახელმწიფოებრივი აზროვნება არ აწყენდათ.

— რიგორ აფასებთ ივანიშვილ-კუბლაშვილის შეხვედრას და პრემიერის ამ განცხადებას, სადაც კუბლაშვილი საკმაოდ დადებითად დაახასათა. ფიქრობთ, რომ ერთი შეხვედრით ივანიშვილმა მასთან დაზავება შეძლო?

— ივანიშვილი კუბლაშვილს უნდა შეხვედროდა. საქართველოს

შემცირდეს ევროპისაკენ და სწორედ ეს გახლავთ ნაციონალური მოძრაობის ოცნებაც.

— ამ დღეებში ახალქალაქელმა სიმხნემ სიმხნე ესასათვის რეგიონული სტატუსის მინიჭება მოითხოვეს. საინტერესო ის არის, რომ ეს საკითხი რესპუბლიკელებმა და „ოცნების“ წევრებმა დააყენეს. რიგორ აფასებთ ამ ახალ თემას?

— ეს თემები ჩვენ გასული საუკუნის 90-იან წლებში გავიარეთ, როცა კონსტიტუცია ყალიბდებოდა. მაშინ სრულიად მკაფიო იყო, რომ საქართველოში არსებობს სახელმწიფო ენა ქართული, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე — ქართული და აფხაზური. სხვაგან რაიმე სტატუსი ქართულ და აფხაზურ ენებს არ გააჩნია. ის, რომ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება არსებობს სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის, კონსტიტუციური ნორმა გახლავთ. ამ ვალდებულების შეზღუდვას სახელმწიფო არ უნდა ეცადოს, მაგრამ სტატუსების ჩამორიგება ქვეყანაში, სადაც სატრაბახო თემაა მოსახლეობის მრავალფეროვნება, შეიძლება ქაოტური ვითარების სერიოზული წინაპირობაც გახდეს. თემა თავისთავად განსახილველია, მაგრამ სასამართლო წარმართო არასახელმწიფო ენაზე — სეპარატიზმის პირდაპირი ბიძგია. ამიტომ ამ იდეის ავტორებსაც ფართო სახელმწიფოებრივი აზროვნება არ აწყენდათ.

— რიგორ აფასებთ ივანიშვილ-კუბლაშვილის შეხვედრას და პრემიერის ამ განცხადებას, სადაც კუბლაშვილი საკმაოდ დადებითად დაახასათა. ფიქრობთ, რომ ერთი შეხვედრით ივანიშვილმა მასთან დაზავება შეძლო?

— ივანიშვილი კუბლაშვილს უნდა შეხვედროდა. საქართველოს

ზვიად ძიძიგური: „ევროპასთან კომუნიკაციის მონოპოლია სააკაშვილს აღარ ეძნება“

„ივანიშვილმა ევროპელ დეპუტატებს ისე მიმართა, როგორც ტოლმა ტოლს და ახა, როგორც ქვეშევრდომმა პატრონს!"

საქართველო-ევროპის ურთიერთობა ახალ ფაზაში — წერილების ომში გადავიდა.

„ომის“ გამჩაღებელი ევროპარლამენტის 23 დეპუტატი აღმოჩნდა, რომლებმაც 6 მარტს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს წერილი გამოუგზავნეს, სადაც პროევროპული კურსის შეცვლის მცდელობაში, დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლასა და ოპონენტების ძალადობრივი გზით დევნაში დაადანაშაულეს. პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კრიტიკა მიიღეს, ასევე წერილობით:

„მივმართავ ევროპელ კოლეგებს, დემოკრატიის ცოცხალ მაგალითად მიხეილ სააკაშვილს ნუ მოგვიყვანენ. ეს არის სირცხვილი ევროპის, ეს არის სირცხვილი საქართველოსი... ვითხოვთ ობიექტურობას და სიტუაციაში კარგად გარკვევას. თქვენ ევროპაში ცხოვრობთ, მაგრამ სააკაშვილის პოლიციური რეჟიმისთვის მხარდაჭერით თავად ემიჯნებით ევროპას. ამის გამო მალე თავადვე შეგრცხვებათ“.

— უსუფაშვილი კარგად წერს და სწორედ ამიტომ მან უპასუხა მიმართვას, თუმცა მისი წერილის ძირითადი აქცენტები ჩემი გაკეთებულია. ევროპელობა არ ნიშნავს, რომ ყველამ ჭკუა უნდა გვასწავლოს, — დააკონკრეტა მოგვიანებით პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა და მის მიერ აქცენტებგაკეთებულ წერილს საკუთარიც მიაყოლა. ევროპიდან კი სახალხო პარტიის დეკლარაცია მიიღო, სუსხნარევი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით:

„2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელსაც ძალაუფლების პირველი დემოკრატიული გადაცემა მოჰყვა, კანონის უზენაესობის, სასამართლოსა და მედიის დამოუკიდებლობის და დემოკრატიული სტანდარტების თვალსაზრისით უკან გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოს პოზიტიურ იმიჯს ზიანი მიაყენა. ამდენად, მოცემულ გარემოებებში, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და რატიფიკაცია ევროპის კავშირის და მისი წევრი სახელმწიფოების მხრიდან საფრთხის ქვეშაა“.

ამ დეკლარაციას უკვე მემორანდუმი შეაგება საქართველოს მთავრობამ, თან ფაქტებით გამყარებული...

წერილების ომს მშვიდად უყურებს საპარლამენტო უმრავლესობა და თვლის, რომ საგანგაშო არაფერია, სიტუაციის გაბუქებას მხოლოდ ნაცმოძრაობა ცდილობს.

ზვიად ძიძიგური, პარლამენტის ვიცესპიკერი:

— წერილობითი ურთიერთობა ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტაცია იდება ურთიერთობის შესახებ. როცა ევროპის ზოგიერთ წარმომადგენელს პრეტენზია აქვს საქართველოს მიმართ და ამაზე პასუხი ხელისუფლების მხრიდან ფიქსირდება პრესკონფერენციის ან სატელევიზიო მიმართვების სახით, ეს დოკუმენტურ სახეს ნაკლებად იღებს. როცა შავით თეთრზე წერია ის დარღვევები, რაც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა და ევროპელების პრეტენზია, რომ ჩვენ დემოკრატიულ კურსს თუ ევროპულ ფასეულობებს სათანადოდ არ ვიცავთ, ამაზე არგუმენტირებული პასუხებია გასაცემი. ეს ორივე მხარეს ავალდებულებს, რომ ისინი თავის განცხადებებში იყვნენ გაცილებით ინფორმირებული და ჩამოყალიბებული. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ მთელი 9 წლის განმავლობაში ევროპასთან თუ სხვა სტრუქტურასთან კომუნიკაციის მონოპოლისტი იყო სააკაშვილი. მართალია, რაღაც ურთიერთობები უმცირესობასაც ჰქონდა, მაგრამ შედარება არც შეიძლება.

ახლა კარდინალურად შეიცვალა ვითარება. არამარტო მიხეილ საკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდია ევროპარლამენტთან ურთიერთობაში, არამედ აქტიურად ჩაერთო რესპუბლიკური პარტია, „თავისუფალი დემოკრატები“, უკვე კონსერვატორებმაც გავჭერით გზა, იქაურ კონსერვატორებს დავუკავშირდით და თანამშრომლობის შესახებ მოვილაპარაკეთ.

ერთი რამ ფაქტია — ინფორმაცია ევროპარლამენტში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ერთი წყაროდან კი არ გაედინება, არამედ უკვე არის რამდენიმე პოლიტიკური ძალა, რომლებიც ამას ახორციელებენ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპარლამენტის წარმომადგენლობას და მთლიანობაში ევროკავშირის სხვადასხვა უწყებებს ჰქონდეთ მრავალმხრივი ინფორმაცია და აქედან

→18

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტარის
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

გაკეთდეს შეჯერებული დასკვნა, რეალობაში რა ხდება საქართველოში. ისიც უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ კარგად არიან ჩახედული ასეთი ტიპის ვნებათაღელვებში. კოჰაბიტაცია არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, იგივე იყო უნგრეთში, ცოტა უფრო ადრე რუმინეთში და ეს ყველაფერი ევროსტრუქტურებს ნანახი აქვთ. არც ევროპელებს მიაჩნიათ, რომ რამე ტრაგიკული ხდება საქართველოში. მთავარია, დაინახონ, რომ საქართველოს ხელისუფლება გულწრფელია და ყველა პოლიტიკური მოვლენა დემოკრატიის ფასეულობის პატივისცემის ფონზე მიმდინარეობს.

— ფორმამ კი არა, ტონმა გამოიწვია გარკვეული გაღიზიანება, რომელიც ჯერ უსუფაშვილის, შემდეგ კი ივანიშვილის წერილებში იგრძნობოდა.

— ეს არ იყო ტონი, რომლითაც ვინმე ქვეშევრდომი ელაპარაკება თავის პატრონს. ტოლი ტოლს როგორც ესაუბრება, ისეთი ტონია წერილებში და ვფიქრობ, უხეში და მიუღებელი არ ყოფილა. ამავე დროს ისიც არის დაფიქსირებული, რომ, როცა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სერიოზული დარღვევები დემოკრატიული თვალსაზრისით და არ დაინტერესებულან არც ერთხელ, ახლა რატომ დაინტერესდნენ. სიმართლე ყოველთვის უნდა ითქვას ღიად და პირდაპირ. ბიძინა ივანიშვილი არ არის ის ფიგურა, როცა სიმართლის თქმა საჭიროა, რაღაც კონიუნქტურის გამო ენის მოჩლექით ილაპარაკოს.

— ბეკრმა ეს ულტიმატუმად აღიქვა.

— ამას ამბობს ნაცმოძრაობა და ასე არ არის. ევროპარლამენტის დეპუტატი, რომელმაც მოინახულა სახლში ჩაწოლილი ჩიორა თაქთაქიშვილი 8 თებერვლის ინციდენტიდან 5 დღის შემდეგ, ერთხელ მაინც თუ დაინტერესებულა ვალერი გელაშვილის ბედით, რომელიც დღისით, მზისით, შეიარაღებულმა ნიღბიანებმა ისე სცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს? არც ის მახსოვს, კობა დავითაშვილის ცემის გამო რაიმე კითხვა დაესვათ წინა ხელისუფლებისთვის. ასეთი ურთიერთობის ფორმა ევროპარლამენტის ყველა წევრს ავალდებულებს, ცალმხრივი არ იყვნენ, როცა მსგავს თემებზე განცხადებებს გააკეთებენ.

— ურთიერთობის სხვა ფორმა რატომ ვერ გამოინახა, ასეთი ხისტი მეთოდი რატომ აირჩიეთ?

— თქვენ ისევ მიგაჩნიათ, რომ ხისტი იყო, მე ასე არ ვფიქრობ.

— მე კი არა, ვახტანგ ხმალაძემ შეაფასა ასე — წერილი ხისტი და ლოგიკური იყოო.

— ვიმეორებ, მე ასე არ ვფიქრობ.

— სახალხო პარტიის დეკლარაციაში წერია, რომ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა.

— ასოცირების ხელშეკრულებაზე გადაწყვეტილებას ევროკომისია იღებს და არა — ევროპარლამენტი. წერილის გაგზავნის გამო თუ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა კითხვის ქვეშ დადგება, რაღა იქნება ევროპული დემოკრატია? ეს არის უბრალოდ ოპოზიციის მიერ მუქ ფერებში დახატული პერსპექტივა, რომელიც სჭირდებათ თავიანთი პოლიტიკური წონის გასაძლიერებლად და ყველა ვხედავთ, რომ ამას რეალობასთან არანაირი საერთო არ აქვს.

„ამ წერილის ასლები 750 დეპუტატს დაუჩიგდა ევროპარლამენტში და 23-მა მოაწერა ხელი. ჯონსერვატორების პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც საქართველოს საკითხთან დაკავშირებით არის მომხსენებელი ევროპარლამენტში, განაცხადა, მხოლოდ 23 კაცი რომ აწერს ხელს, ეს არის პოზიტიური მესიჯი ახალი ხელისუფლებისთვისო".

— დეკლარაციამდე იყო რეკომენდაციაც ჟენევიდან. მაინც დაითხოვთ იუსტიციის საბჭოს, როგორც ამას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ირწმუნება?

— ჩვენი პოზიცია არის ცალსახა. ვენეციის კომისიამ, საერთო ჯამში, მოიწონა ის კონცეფცია, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სწორი მიმართულებით მივდიოდით და ამ პროცესს გავაგრძელებთ, რომელიც ეხება იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესს.

„ამ წერილის ასლები 750 დეპუტატს დაუჩიგდა ევროპარლამენტში და 23-მა მოაწერა ხელი. ჯონსერვატორების პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც საქართველოს საკითხთან დაკავშირებით არის მომხსენებელი ევროპარლამენტში, განაცხადა, მხოლოდ 23 კაცი რომ აწერს ხელს, ეს არის პოზიტიური მესიჯი ახალი ხელისუფლებისთვისო".

— საინტერესოა, როგორ აფერხებთ, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც რომ ეს დასკვნა სათქვენოდ წაიკითხოთ?

— ნაციონალური მოძრაობა შიფრავს თავის სასარგებლოდ, მაგრამ არ გვაქვს პრობლემა, კვალიფიციურ იურისტებთან ერთად გადავდგათ ნაბიჯები, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობას სრულიად უზრუნველყოფს.

იმაში, რომ, რაც ჩვენ გვინდა, ნაციონალური მოძრაობა ეწინააღმდეგება, არის ლოგიკა. რა თქმა უნდა, შეეწინააღმდეგება ამნისტიის გამოსვლას, ვინაიდან უნდა აღიაროს, რომ მას ბევრი პოლიტპატიმარი ჰყავდა; უნდა შეეწინააღმდეგოს სააკაშვილის დაცვის შემცირებას, რადგან ამით დიდი ზონდერბრიგადების და აქტივისტების ჩამოშორება მოხდება სახელმწიფო სამსახურებიდან; როცა ნაცმოძრაობა ამბობს, რომ პოლიტიკური ზეწოლა ხდება ყოფილი თუ ახლანდელი მაღალი თანამდებობების პირების მიმართ, რა თქმა უნდა, ასე უნდა თქვან, მაგრამ მთელ მსოფლიოში ვერ ნახავთ ადამიანს, ვინც გაამართლებს თბილისის მერს, რომელმაც 5 მილიონი აიღო ბიუჯეტიდან და თავის პარტიულ აქტივისტებს დაურიგა. მერე კი ამაყად განაცხადა, რომ ხალხი დაასაქმა. რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობამ უნდა გამოაცხადოს, რომ ბენდუქიძეს განათლების სამინისტრო ავიწროებს და დამალოს, რომ ავტორიზაცია სხვებსაც შეუჩერდათ. თანაც ეს გაკეთდა იმ ავტორიზაციის საბჭოს მიერ, რომლის ერთი წევრიც კი არ შეუცვლია მინისტრს, თან განათლების მინისტრს არანაირად ექვემდებარება. ეს არის მათი პიარტექნოლოგიის ნაწილი და ბენდუქიძეს უნდა, რომ დაჩაგრულად წარმოაჩინოს თავი. იქნებიან წინააღმდეგნი, მაგრამ ამის გამო რაიმე დაძაბულობა ქვეყანაში არ შეიქმნება.

ამ დღეებში გამოქვეყნდა აირარა-ს კვლევები, რაც ადასტურებს, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს მყარი მხარდაჭერა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან და ელოდება სერიოზულ ნაბიჯებს ეკონომიკის, სოციალური პრობლემების გადაჭრის და სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით.

— მაგრამ ფაქტია, რომ აგრარული უნივერსიტეტის თემამ იმუშავა, ხალი ხელახალი აკტორიზაციის მიცემის შესაძლებლობა ხელისუფლების უკანდახევად იქნა აღქმული.

— კი, მაგრამ ეს ყველაფერი პირია. ავტორიზაციის საბჭოს ჰქონდა მოთხოვნები, რომლებიც უნივერსიტეტმა შეასრულა და ამიტომაც მის აღდგენაზეა საუბარი. თან ავტორიზაციის შეჩერება არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი დაიხურა. 4 თვის განმავლობაში მას ჰქონდა ვადა, რომ ეს დარღვევები გამოესწორებინა. ეს განა არ არის ცნობილი საზოგადოებისთვის ან თვითონ ნაციონალებისთვის, მაგრამ არიან ისეთი ჟურნალისტებიც, ფიგურებიც და სტუდენტებიც, რომლებიც მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ამბობენ, წავალთ ახლა და ადმინისტრაციასთან გავარკვევთ, კარგი იყო ეს შეხვედრა თუ ცუდიო. რა თქმა უნდა, ასეთები ჩართული იქნებიან აქციაში, რომელიც ნაციონალების კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ ეს თანმდევი პროცესია, ჩვენ კი ჩვენი საქმე უნდა ვიცოდეთ და იმას მივყვეთ. ხმაური ალბათ სულ იქნება და ამის გამო ჩვენს ამოცანებზე უარი ვთქვათ და ამ მიმართულებებით საქმიანობა შევაჩეროთ? რა თქმა უნდა, არა.

„საკითხი ასე დგას — არიან მზად ნაცდეპუტატები, მიიღონ ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება მიხეილ სააკაშვილს არ მოეწონოს თუ ისევ სააკაშვილის ორბიტაზე რჩებიან".

— ამ დღეებში საკონსტიტუციო ცვლილებების გატანას გეგმავთ. რისი მოლოდინი გაქვთ?

— მოლოდინი მაქვს ცალსახა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები შევა, უბრალოდ, არ მინდა, რომ მხოლოდ 100 ან 110 ხმით გავიდეს ეს საკონსტიტუციო ცვლილებები. მინდა, ადამიანებმა, ვინც ჩემზე კარგად იციან, რომ ეს მახინჯი ჩანაწერი კონსტიტუციაში უნდა შეიცვალოს, აჯობონ თავიანთ ირგვლივ შექმნილ კონიუნქტურას და დაუჭირონ მხარი. ასეთ შემთხვევაში შეინარჩუნებენ თავიანთ წონას, მყოფადობასაც და საკაშვილისთვისაც უფრო მნიშვნელოვანი ფიგურები გახდებიან. მაქვს სურვილი, მხარდაჭერით ის მანკიერი წრე გაარღვიონ, სადაც ამდენი ხანი იმყოფებიან.

— ესე იგი დარწმუნებული ხართ, რომ 100 ხმა გაქვთ?

— ჩვენ გვაქვს კონსულტაციები უმცირესობასთან, ამიტომ ვიცით, რომ ცვლილებების გასვლას პრობლემა არ აქვს, მაგრამ რამდენით — 107-ით თუ 127-ით, ეს მხოლოდ იმ დღეს გაირკვევა, როცა კენჭისყრაზე დადგება საკითხი.

— რის სანაცვლოდ?

— სანაცვლო და სავაჭრო აქ არაფერია. გგონიათ, ჩვენ არ ვიცით, რომ სააკაშვილი ამ ცვლილებებს ვერ გამოიყენებს? რა თქმა უნდა, ვიცით. საკითხი ასე დგას — არიან მზად, მიიღონ ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება მიხეილ სააკაშვილს არ მოეწონოს თუ ისევ სააკაშვილის ორბიტაზე რჩებიან.

Cyan Magenta Yellow Black

„ჯიპისი“-ს ახალი შემოთავაზება: „ჯენერიკ მედიკამენტები ეკონომ შეფუთვით 20-30%-ით უფრო დაბალ ფასად“

ფარმაცევტულმა კომპანია „ჯიპისი“-მ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული პროექტის განხორციელება დაიწყო, კერძოდ: ეკონომ შეფუთვის მქონე „საერთაშორისო დასახელების“ (ჯენერიკ მედიკამენტები) მედიკამენტების შემოტანა-რეალიზაცია, რის შემდეგაც მომხმარებელს საჭირო მედიკამენტების ბევრად ნაკლებ ფასად შესყიდვა შეუძლია. ამ სახელწოდებითა და შეფუთვით მედიკამენტები უკვე იყიდება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. თუ რა უპირატესობა აქვს ამ მედიკამენტებს და რატომ დაინერგა საქართველოში, ამის შესახებ კომპანია „ჯიპისი“-ს გენერალური დირექტორი დავით კილაძე გვესაუბრება.

– ფარმაცევტული კომპონენტის დანახარჯების შემცირება ზოგადად სამედიცინო ხარჯების სტრუქტურაში არის უაღრესად აქტუალური საკითხი მთელ მსოფლიოში და, ბუნებრივია, იგივე პრობლემა დგას საქართველოშიც. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა გახლავთ ე.წ. ეკონომ შეფუთვის მქონე ჯენერიკ მედიკამენტების რეალიზაცია. ეს გზა აირჩია ჩვენმა კომპანიამ და საკმაოდ ხანგრძლივი შრომის შემდგომ დავიწყეთ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე აღნიშნული პროექტის დანერგვა (ეს გახლდათ დაკავშირებული მომწოდებელი პარტნიორის მოძიების და შემდგომ პრეპარატების რეგისტრაციის პროცესთან). ამ ეტაპზე ჩვენ ვახორციელებთ ეკონომ შეფუთვების მქონე (500 ან 1000 აბი) ჯენერიკ მედიკამენტების (აქტიური ნივთიერებების სახელით) იმპორტს და შემდგომ GPC-ის სააფთიაქო ქსელიდან საცალო რეალიზაციას. მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ზუსტად იმდენი აბი ამა თუ იმ მედიკამენტისა, რამდენიც იქნება გამოწერილი ექიმის მიერ რეცეპტში და არავითარ შემთხვევაში მეტი. მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტს ესაჭიროება მკურნალობისათვის, მაგალითად, 17 აბი და მინიმალური შეფუთვა არის წარმოდგენილი მხოლოდ 30 აბიანი კოლოფით. ასეთ შემთხვევაში ან უნდა დაიჭრას ბლისტერი, რაც დაუშვებელია, ვინაიდან შესაძლოა დაზიანდეს წარწერა, ინფორმაცია დასახელების, დოზის და ვარგისიანობის ვადის შესახებ, ან, როგორც ხშირად ხდება, პაციენტი ყიდულობს მეტ აბს, ვიდრე ეს მას სჭირდება. ჩვენს შემთხვევაში გაიცემა მკურნალობისთვის აუცილებელი რაოდენობის აბები, რომლებიც თავსდება სპეციალურ კონტეინერში და მასზე დაიტანება შემდეგი სახის ინფორმაცია: მედიკამენტის საერთაშორისო დასახელება, დოზირება, ვარგისიანობის ვადა, მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი ქარხნის და წარმოების სერიის შესახებ მონაცემები, რაც ზუსტ შესაბამისობაშია საერთაშორისო მედიკამენტაციისა და მის შესახებ ინფორმაციის გაცემის სტანდარტებთან.

– ვის ეკუთვნის პროექტის იდეა და რატომ გახდა ამ პროექტის საქართველოში დანერგვა საჭირო?

– როგორც მოგახსენეთ, ეს პრაქტიკა უკვე დიდი ხანია დანერგილია მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში, კანადაში, ისრაელში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის რიგ ქვეყნებში. ჩვენთვის საკმაოდ შრომატევადი პროცესია ამ პრაქტიკის დანერგვა საქართველოში, ვინაიდან მეტად რთულია ამერიკის ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაინტერესება ჩვენი ქვეყნის ბაზრით მისი სიმცირის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ ბოლო პერიოდში გასწია დიდი სამუშაო და შეიმუშავა მნიშვნელოვანი რეგულაციები მედიკამენტების საცალოდ გაცემის წესთან დაკავშირებით. დაიხვეწა და დაზუსტდა არსებული კანონმდებლობა, რაც იძლევა საშუალებას, მნიშვნელოვნად გაიაფდეს მედიკამენტის ღირებულება. ამ ეტაპზე სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტების ე.წ. ესენციალური სიის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ვფარავთ, მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ არის და აქტიურად ვმუშაობთ სიის გაფართოებაზე, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ჩვენს მომხმარებელს შევთავაზოთ ნებისმიერი მედიკამენტის გენერიული ალტერნატივა, ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტების სია დავფაროთ სრულად. რაც შეეხება ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან გარემოებას – მედიკამენტის ფასის ფაქტორს, მინდა, დაბეჯითებით აღვნიშნო, რომ ეს პროექტი სწორედ ამ საკითხის გადასაჭრელად არის შექმნილი. მომხმარებელი მკვეთრად იგრძნობს ფასის სხვაობას, რაც ჩვენს შემთხვევაში დაახლოებით 25-30%-ს შეადგენს. მაგალითისთვის, იბუპროფენის 1 აბის ფასი 25%-ით იაფია ბაზარზე არსებულ ყველაზე იაფ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში წარმოებულ ანალოგთან შედარებით, ჩვენ კი მედიკამენტების იმპორტს ვახორციელებთ აშშ-დან, კანადიდან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი წამოწყება განსაკუთრებით საინტერესოა და ღირებულია ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღებენ ერთსა და იმავე მედიკამენტებს. ჩვენს შემთხვევაში მათ მიეცემათ შესაძლებლობა, დაზოგონ საკმაოდ სოლიდური თანხა.

– მედიკამენტის დაბალი ფასი ხშირად პაციენტისთვის მედიკამენტის დაბალ ხარისხთან ასოცირდება

– ხარისხთან მიმართებაში ჩვენს მომხმარებელს შეუძლია იყოს სრულიად დარწმუნებული, რადგანაც აღნიშნული მედიკამენტების იმპორტს ვახორციელებთ აშშ-ის, კანადის და ასევე დასავლეთ ევროპის ბაზრებიდან. ეს პრეპარატები რეგისტრირებულია აშშ-სა და კანადაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გავლილი აქვს ხარისხის უმკაცრესი კონტროლი საერთაშორისო ლაბორატორიებსა და სხვადასხვა მარეგულირებელ ორგანიზაციებში. აქ დაცულია როგორც წარმოების, ასევე ტრანსპორტირების, შენახვისა და მიმოქცევის საყოველთაოდ აღიარებული მაღალი სტანდარტები, ე.წ. GMP და GDP. აღნიშნული პროექტი ჩვენი ქსელის თითქმის ყველა აფთიაქშია ჩაშვებული და ვიმედოვნებთ, რომ ეს ინიციატივა მომხმარებლისთვის დიდი შეღავათი იქნება.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

Cyan Magenta Yellow Black

ვალერი ხაბურძანიას პრორუსულ პოლიტიკაში საქართველოს მოსახლეობის 15-20 პროცენტის იმედი აქვს

უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია პოლიტიკურ პარტიას ქმნის, რომელიც რუსული ვექტორის გამტარებელი იქნება. რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, რეგიონულ გაერთიანებებში აქტიურობა, უსაფრთხო კავკასიის შექმნა რუსეთისთვის... ეს ყველაფერი გაერთიანებული საქართველოს სანაცვლოდ.

ექსმინისტრმა სამშობლო რამდენიმე დღით მოინახულა და თავისი გეგმების დაანონსებით შეძლო, ხმაური გამოეწვია, თუმცა მისი ჩამოსვლა არამხოლოდ პოლიტიკას უკავშირდებოდა, ოჯახური მიზეზიც ჰქონდა — სიმამრი გახდა. „სარკე“ მას მოსკოვში დაუკავშირდა და საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.

— ბატონო ვალერი, როგორც მითხრეს, ქალიშვილი გაგითხოვიბიათ, გილოცავთ!

— კი, ჯვრისწერა ჰქონდა, ეს იყო ჩემი თბილისში ჩამოსვლის მიზეზი.

— მე კი მეგონა, თქვენი ჩამოსვლა პოლიტიკურად გააქტიურებას უკავშირდებოდა, ისეთი განცხადებები აკეთეთ.

— არა, ჯერჯერობით არანაირი პარტია ან პოლიტიკური გაერთიანება არ შემიქმნია.

— მაგრამ უკვე გამოჩნდა, რომ თქვენ გარკვეული პოლიტიკური ამბიციები გაქვთ, ადგილობრივ არჩევნებშიც აპირებთ მონაწილეობას.

— ამბიციები რომ მაქვს, ამას მე კი არა, ხალხი ამბობს, თორემ მე მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებს ვაკეთებ.

— თქვენივე განცხადებით, პრორუსული ძალა ხართ. ჩვენთან პრორუსულობა რუსეთის იმპერიაში დაბრუნებას ნიშნავს, თქვენთვის?

— ეს ძალიან მარტივი შეხედულებაა პოლიტიკაზე. არიან ნაციონალური პარტიები, რომლებიც არ ცნობენ არც ამერიკას და არც რუსეთს და არიან პარტიები, რომლებიც ცნობენ რუსეთს, როგორც მომავალ პარტნიორს. სწორედ ასეთი იქნება პარტია, რომლის ჩამოყალიბებასაც ვაპირებ და, სხვებმა რომ მერე არ დაუძახონ, ამიტომაც ვამბობ, რომ პრორუსული იქნება.

— პარტნიორობაში რა იგულისხმება?

— პარტიის პირდაპირი მიმართულება იქნება დემოკრატია, განათლება, სოციალური კეთილდღეობა, საქართველოს სუვერენიტეტი, კავკასიის უსაფრთხოება და რელიგიური თანადგომა. სამწუხაროდ, ჩვენმა წინა შეცდომებმა აქამდე მოგვიყვანა და ახლა როგორმე უნდა მოვახერხოთ, იქითკენ წავიყვანოთ ურთიერთობა, რომ ეს სუვერენიტეტი რუსეთთან ურთიერთობის ფარგლებში ჩაჯდეს.

— თქვენ ისიც თქვით, რომ ოსეთი და აფხაზეთი არ არის ოკუპაციის კლასიკური მაგალითი.

— ჩვენ გვაქვს მხარდაჭერილ სეპარატიზმთან საქმე და არა — კლასიკურ ოკუპაციასთან. კლასიკური ოკუპაცია გულისხმობს სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაკავებას შენი სამხედრო ძალებით და იქ შენივე ადმინისტრაციის შექმნას. ჩვენს შემთხვევაში ადმინისტრაცია გვაქვს ოსური და აფხაზური. ამდენად, საქმე გვაქვს არა კლასიკურ ოკუპაციასთან, არამედ მხარდაჭერილ სეპარატიზმთან. კარგი იქნება, თუ ეს ტერმინი საერთაშორისო დონეზე დამკვიდრდება, რადგან ის რუსეთისთვის, ისევე როგორც აფხაზეთისა და ე.წ. სამხეთ ოსეთისთვის, ნაკლებად ყურისმომჭრელი იქნება და დიალოგის პროცესს გაამარტივებს.

— დღეკანდელ სიტუაციაში, როცა რუსეთი ჩვენთვის მტრად აღიქმება, რამდენად მომგებიანია საქართველოში ასეთი ტიპის პარტიის შექმნა?

— მე ვხედავ, რომ ასეთი ელექტორატი არსებობს და ვაპირებ, სწორედ მათზე ვიმუშაო. მგონია, რომ 15-20 პროცენტი ამის მომხრეა და თუ გაიზრდება, უკეთესი.

— 20 პროცენტი გადამეტებულია. რის საფასურად ფიქრობთ, რომ რუსეთი ოსეთსა და აფხაზეთს დათმობს?

— არა, ასე არ არის, არავითარი გაცვლა არ მოხდება, პირიქით, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზეა საუბარი და ამაში რუსეთს უნდა გავუცვალოთ კავკასიაში უსაფრთხოება, მხარი უნდა დავუჭიროთ, რომ გაძლიერდეს ამერკავკასიაში; ჩვენი მიზანი იქნება თანამშრომლობა მართლმადიდებლურ სამყაროსთან, ასევე უსაფრთხოების რეგიონული საკითხები.

— პრორუსულობის გამო ფეისბუქზე გამოთქმული მწარე კომენტარები არ გაბრაზებთ?

— ზოგიერთ მათგანს ვეხმიანები კიდეც, ვისთანაც ღირს საუბარი. კი, რა თქმა უნდა, ვიღაცას ჰგონია, აი, გამოჩნდა ახლა პუტინის მეგობარი და უნდა შეგვათრიოს საბჭოთა კავშირშიო. ამ ახალგაზრდებსაც ამ საბჭოთა კავშირზე მხოლოდ ბნელი წარმოდგენა აქვთ. მე საკითხს ვაყენებ ასე: ხომ არის პროდასავლური კურსი და მოდი, მან გაუწიოს კონკურენცია პრორუსულ და ნაციონალურ კურსს. საბოლოოდ რომელიც გაიმარჯვებს, ხალხი რომელსაც დაუჭერს მხარს, ის იყოს.

— დასავლური კურსი რომ გვინდა, ეს ბლებისციტმაც აჩვენა.

— მე კი პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არ არის მართალი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 60-მა პროცენტმა და ნატო-ს მხარი დაუჭირა ამ 60 პროცენტის 70-მა პროცენტმა. ეს მთელი მოსახლეობის 50 პროცენტიც არ გამოდის.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში არ შეიძლება ქვეყანა იყოს. ახლა საუბარია იმაზე, რომ 2020 წლამდე ნატო-ს გაფართოება არ იგეგმება. ევროკავშირს თავისი პრობლემები აქვს: აგერ დიდი ბრიტანეთი ცდილობს, ევროკავშირიდან გავიდეს, ევროზონიდან გასვლას ფიქრობენ იტალია, ესპანეთი.

„მე საკითხს ვაყენებ ასე: ხომ არის პროდასავლური კურსი და, მოდი, მან გაუწიოს კონკურენცია პრორუსულ და ნაციონალურ კურსს და საბოლოოდ ხომელიც გაიმარჯვებს, ხალხი ხომელსაც დაუჭერს მხარს, ის იყოს“.

მძიმე მდგომარეობა აქვს საბერძნეთს. სად მივდივართ ჩვენ, რას გვაძლევს ეს წასვლა, ხომ უნდა გავარკვიოთ ან სადაც არ მივდივართ, იქ რას ვკარგავთ? ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე ყოველგვარი გინების გარეშე შეიძლება მსჯელობა. მე ისეთი გიჟი ვარ, რომ ჩემი შვილებისთვის ცუდი მინდა?! უბრალოდ, სხვებისგან განსხვავებით, რუსეთიც ვნახე საქმეში, ამერიკის შეერთებული შტატებიც, ევროპაც და საქართველოც. არ ვარ გამოუცდელი ამ სიტუაციებში. პოლიტოლოგებიც დამერწმუნებიან, რომ სპეცსამსახურში უფრო კარგად ჩანს ის თემები, რაც ქვეყანას აწუხებს.

— რუსეთუმეებს დღეს ორჯონიკიძეებს ეძახიან, არ გეშინიათ, რომ შეიძლება იგივე იარლიყი გერგოთ?

— ილიასაც რუსეთუმეს ეძახდნენ და აკაკისაც, რომელმაც დაწერა ლექსი „დამეხსენი, ჩრდილოელო“. უშიშროების მინისტრი ვიყავი და ვიცოდი, რომ ყველა ჩემით კმაყოფილი ვერ იქნებოდა. მივიღებ კონსტრუქციულ კრიტიკას, შევალ დებატებში, მაგრამ ვერ მივიღებ ლანძღვა-გინებას. ეს არის იმ ადამიანის სახის მაჩვენებელი, რომელიც დისკუსიას ამ ტერმინებით იწყებს.

— ბურჯანაძე კუკავა, ნოღაიდელი ახსენეთ, ვისთანაც მომავალში ითანამშრომლებთ. მათ კი უარყვეს თქვენთან ყველანაირი კავშირი.

— მათთან ჯერ მართლაც არ მილაპარაკია, ვერ მოვიცალე, ამიტომ რას ფიქრობენ კოალიციის შექმნაზე ან კონსოლიდაციაზე, ჯერჯერობით უცნობია.

— კახა კუკავამ პრესკონფერენციაც მოაწყო, პრორუსული კი ვარ, მაგრამ სხვანაირი, ნაციონალურობაზე ორიენტირებულია.

— ჩვენი სპექტრი სამი ნაწილისგან შედგება: პროამერიკული, ნაციონალური და პრორუსული. ნაციონალისტური ის ჯგუფია, რომელიც ჩაკეტილია თავის ნაჭუჭში და გარეორიენტირი არ არის მისთვის მნიშვნელოვანი. მაგრამ, როცა ადამიანი მოსკოვში დადიხარ ან ცხოვრობ, წარმოუდგენელია, პრორუსულ ვექტორს ასცდე. თუ კახა კუკავა ისე ჩამოყალიბდა, რომ არანაირი ორიენტაცია არ აქვს, მაშინ თბილისში უნდა იჯდეს და რუსეთში არ უნდა დადიოდეს, ან თანაბრად უნდა დადიოდეს ამერიკაშიც და რუსეთშიც. მე ვთქვი ის, რაც არის რეალური, მაგრამ თუ პოზიორობას დავიწყებთ, რეალურ შედეგებს ვერ მივაღწევთ. ჩვენი ხალხი გულწრფელ პოლიტიკას ითხოვს. დამთავრდა პიარის, ტყუილის და მოჩვენებითობის დრო.

— ვინ დგას თქვენ უკან? ხშირად არის საუბარი თქვენსა და პუტინის მეგობრულ ურთიერთობაზე.

— არა! არა! ჩემ უკან დადგება ის ქართული დისაპორა, რომელიც არის რუსეთში, ანუ ჩვენი მოქალაქეები.

— იმაზე რას იტყვით, რომ თქვენი ფიგურა რუსეთის უშიშროების მიერ შემოგდებულად მოიაზრება ივორ გიორგაძის გაკოტრებული ფიგურის სანაცვლოდ?

— აბსოლუტური აბსურდია, რუსეთის უშიშროება ასე არ თამაშობს და მეც არ ვარ ის ადამიანი, ან შემაგდონ, ან გამომაგდონ. ჩავთვალე, რომ ახლა დროა ჩემი გააქტიურების.

— როგორც ამბობენ, რუსეთში საკმაოდ კარგი სამსახური გაქვთ.

— ვიცეპრეზიდენტი ვარ ერთ-ერთ კომპანიის კერძო სექტორში. მეგობრები დამეხმარნენ თავიდან, მაგრამ, ეტყობა, მეც ვივარგე, თორემ კერძო სექტორში ისე არავინ გამუშავებს.

— თურმე ცოლ-შვილი აქ გყავთ.

— კი, ჩემი ოჯახი აქ ცხოვრობს, მე იქით ვარ. წელიწადნახევარია მივდივარ და მოვდივარ.

— პოლიტიკაში ჩართვასაც მოსკოვიდან ფიქრობთ?

— ჯერჯერობით ჩემი მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა. საქართველოსთან მიბმული აქტიური პოლიტიკა დაიწყება ადგილობრივი არჩევნების დროს. ალბათ 2014 წლისთვის მეც აქ გადმოვალ საცხოვრებლად.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

განახლებული სასტუმრო, რომელიც აბანოთუბნის არქიტექტურულ შინაარსს შეესაბამება

სიახლე სიძველის დაცვით – უცხოელი ინვესტორები ქართულ ტრადიციებს ითვალისწინებენ

თბილისის ძველ უბნებში სასტუმროების ისტორია თავად ქალაქზე, იქ დროებით ჩასულ თუ მუდმივად მცხოვრებ ადამიანებზე, მაშინდელ თბილისზე მოგვითხრობს. სასტუმროებში გაჩერებული მგზავრები ამ სასტუმროების, იქაური პირობების, დასაქმებული ხალხის, ზოგადად ძველი ქალაქის ტრადიციებსა თუ კულტურის შესახებ ჩანაწერებს აკეთებდნენ და უკან დაბრუნებულები კი ჩვენს ქალაქზე ბევრ საინტერესო ამბებს ყვებოდნენ.

ძველი თბილისის მიმართ ტურისტების ინტერესი დღესაც არ განელებულა. ყოველდღიურად დედაქალაქი ათასობით უცხოელს მასპინძლობს. შესაბამისად, ახალი სასტუმროების მშენებლობა ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა, რაც ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

მაისის ბოლოს ძველ თბილისში, მეტეხის ხიდთან ახლოს, დედაქალაქ თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში – აბანოთუბანში ყოფილი „ტიფლისი პალასის“ რენოვაცია დასრულდება. შენობას, რომლის სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2011 წლის ბოლოს დაიწყო, აზერბაიჯანელი ინვესტორი 2010 წლიდან ფლობს. ახალი მესაკუთრე შენობის განახლებასა და მიმდინარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის წლის ბოლომდე მრავალმილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს.

ექსპერტთა გათვლებით, თბილისის ისტორიულ უბნებში მიმდინარე მშენებლობები და ჩატარებული სამუშაოები ზოგჯერ საფრთხეს უქმნის კულტურულ მემკვიდრეობას, ქალაქის იერსახეს და ურბანულ განვითარებას. მოსალოდნელი პრობლემის თავიდან ასაცილებლად და დედაქალაქის ინტერესების გათვალისწინებით აზერბაიჯანელმა ინვესტორმა შენობის რენოვაციის პროექტი ჯერ ქართველ არქიტექტორთა ჯგუფს გააცნო, მათი შენიშვნები გაითვალისწინა და მხოლოდ მის შემდეგ მიიღო შენობის განახლების გადაწყვეტილება.

ადგილმდებარეობა გვკარნახობს ასაგები ობიექტის ფორმასა და შინაარსს, თავად არქიტექტურა კი ეროვნული ფილოსოფიისა და იდეოლოგიის შედეგია, სწორედ ეს ქმნის გარემოს, რაც იმ ადამიანთა ფსიქიკასაც აყალიბებს, რომლებიც ამ გარემოში ცხოვრობენ. დღეს ახალი ინვესტორი უნარჩუნებს შენობას ღირებულებას და აუმჯობესებთ გარემოს.

„უფრო მეტიც შენობის რენოვაციის პარალელურად ვზრუნავთ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზეც“, – განმარტავს ინვესტორი.

შენობის მიმდინარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შესაბამისი სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს. სასტუმროს წინ განთავსებული სკვერის კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა ინვესტორმა რამდენიმე წელია აიღო თავის თავზე და სოლიდური თანხაც დახარჯა. სკვერი, რომელიც სასტუმროს ახალ მეპატრონეს სარგებლობაში გადაეცა, გამწვანდა, დასუფთავდა და გალამაზდა. შენობის გვერდით მდებარე, ნგრევის პირას მისული კიბე, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს და არ უწევთ შემოვლითი გზების გამოყენება, ახლიდან აშენდა და კეთილმოწყო მიმდებარე ტერიტორია.

რაც შეეხება სახელს, სასტუმროსთვის ინვესტორს ჯერ არ შეურჩევია. როგორც კომპანიაში აცხადებენ, მასზე სრულ ინფორმაციას გაზაფხულის მიწურულს შევიტყობთ. თუმცა ამ ეტაპზე ცნობილია, რომ სასტუმროს ძველი ფუნქცია შეუნარჩუნდება. 46 მაღალი დონის ნომერი და სამი რესტორანი, სხვადასხვა ტიპის სამზარეულოთი. ახალი სასტუმროს ახალი პატრონი ყველა სტუმარს უმაღლესი დონის მომსახურებას პირდება. გარდა ამისა, მონატრებული ვერანდა, საიდანაც ძველი თბილისის საუკეთესო ხედი იშლება, განახლებული სახით იქნება წარმოდგენილი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც შენობა გამორჩეული იქნება, ფასადის მოპირკეთებისთვის გამოყენებული ქართული აგურია, რომელიც ახალმა ინვესტორმა ქართველი არქიტექტორების რჩევით გამოიყენა.

განახლებული სასტუმრო ტურისტებსა თუ ადგილობრივ მოსახლეობას მომსახურების სრულ ასორტიმენტს შესთავაზებს.

სასტუმროს საერთაშორისო ქსელის ოპერატორი მართავს, რომელიც მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით მომხმარებელს მაღალი დონის მომსახურებას შესთავაზებს.

„გვსურს, ჩვენს სტუმრებს მაღალი დონის მომსახურება შევთავაზოთ და განსაკუთრებული შთაბეჭდილება შევუქმნათ, როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ მომხმარებლებს, რაც, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი ქალაქის და ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობის ზრდისათვის“, – აღნიშნავენ კომპანიაში.

რაც შეეხება ქართველ არქიტექტორთა ჯგუფს, ისინი ინვესტორის საქმიანობას დადებითად აფასებენ. „პროექტი საერთაშორისო ტურისტული ექსპერტების მიერ მომზადდა. თუმცა ჩვენ გარკვეული კორექტივები შევიტანეთ. მოვუმზადეთ სპეციალური დოკუმენტაცია მერიაში წარსადგენად მშენებლობის განახლების უფლებაზე. ინვესტორი საკმაოდ დამთმობი აღმოჩნდა, რადგან პატივს სცემს ქართულ ტრადიციებსა და ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, მიიჩნია, რომ აბანოთუბანი არის თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი. ბიზნესის განვითარებასთან ერთად აუცილებელია ამ დეტალების გათვალისწინება. შესაბამისად, ეს იქნება ბევრად უკეთესი შენობა, გაცილებით ახლოს მდგომი გარემოსთან, ვიდრე მისი პირვანდელი სახე იყო“, – განმარტავენ პროექტზე მომუშავე არქიტექტორები.

ინვესტორს საქართველოში საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს, გარდა „ტიფლის პალასის“ შენობის რენოვაციისა, ინვესტირებას ბათუმშიც ახორციელებს. ბათუმის ახალ ბულვარში მიმდინარეობს უმაღლესი დონის სასტუმროს მშენებლობა, რომელიც 35 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას ითვალისწინებს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ ჩააგდო შოკში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მიშა სააკაშვილის პაროდისტმა

ქართლოს ნატროშვილი: „როცა მიშას ხმით ვლაპარაკობ, გემოვნებაც მეცვლება და ხასიათიც“

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უკვე მესამე პაროდისტი გამოუჩნდა (აფციაურის და ლომაშვილის შემდეგ). ის 26 წლის ქართლოს ნატროშვილი გახლავთ. რამდენიმე წელია, რაც პრეზიდენტს ბაძავს, ოღონდ შინაურების წრეში. ფართო საზოგადოებამ კი მეგობრის დახმარებით გაიცნო. გასული წლის ოქტომბერში ქორწილში გაკეთებული პაროდია მისმა მეგობარმა ერთ-ერთ საიტზე ატვირთა. ვიდეო მალე გახდა პოპულარული. ამის შემდეგ ქართლოსს „კომედი შოუდან“ დაუკავშირდნენ და ტელევიზიაში მიიწვიეს.

ქართლოსი სააკაშვილს რეალურად ამსგავსებს საკუთარ თავს, პირველ რიგში, ენერგიულობით და კომუნიკაბელურობით. „მისი ხმით თუ ვლაპარაკობ, უფრო თამამი ვხდები. მაგალითად, შემიძლია ბანკში შევიდე და ყველას ხელი ჩამოვართვა. მსგავსი რაღაც ბევრჯერ გამიკეთებია. ერთხელ ბანკში შევედი და მიშას ხმით ვთქვი, ამ ადამიანებს რიგში ნუ აყენებთ-მეთქი. ჩემი ხმის გაგონებაზე ბანკის მმართველი ფერდაკარგული გამოვარდა“, — გვიამბობს პაროდისტი.

— ქართლოს, როდის გაგიჩნდათ პრეზიდენტის პაროდიის გაკეთების სურვილი?

— ეს ნიჭი ჩემში 2005 წელს აღმოვაჩინე. ერთხელ მიხეილ სააკაშვილი დავინახე ტელევიზორში და მაშინვე მივხვდი, რომ მისი პაროდიის გაკეთება შემეძლო. ამის შემდეგ მეგობრებთან, ახლობლებთან, ქორწილებში ვაკეთებდი, მაგრამ გამომზეურების წინააღმდეგი ვიყავი. ბოლოს ჩემი მეგობრის ქორწილში გავაკეთე მისი პაროდია. თებერვლის შუა რიცხვებში, როცა სოფელში ბებოს ნარდს ვეთამაშებოდი, მეგობარმა დამირეკა, გინდა თუ არა, შენი პაროდია „მაი ვიდეოზე“ უნდა ავტვირთოო. მე უარს ვეუბნებოდი, მაგრამ იმდენჯერ დამირეკა, ბოლოს მომბეზრდა და დავთანხმდი. საიტის ადმინისტრაციას ვიდეო მოეწონა და მთავარ გვერდზე დადო. შემდეგ ამ ყველაფრით „კომედი შოუს“ ბიჭები დაინტერესდნენ და დამიკავშირდნენ.

— რითია მიხეილ სააკაშვილი თქვენთვის საინტერესო?

— მის პაროდიას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ ის ქვეყნის პირველი პირია. უბრალოდ ამ ადამიანის ხმა ჩემთან ახლოს მოვიდა. ვიცი, ის როგორია მოხუცთან, ახალგაზრდასთან, ელჩთან, სტუდენტთან. მიშას პაროდიის გაკეთება არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ხმა შეცვალო. მის ხასიათში უნდა ჩაჯდე. როცა მისი ხმით ვლაპარაკობ, გემოვნებაც მეცვლება და ხასიათიც. სააკაშვილს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვხვდები, კადრმიღმა როგორი იქნება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ადამიანს მოხარშულს ვიცნობ. შევხედავ თუ არა, უკვე ვიცი, ის კარგ ხასიათზეა თუ ცუდზე. როგორც საქართველოს პრეზიდენტი დადის ყველგან, მეც ასე მოვიქეცი და მისი პაროდია გავაკეთე ყველგან — ბაზარში, პენსიის რიგში... ერთადერთი, ელჩებს არ შევხვედრივარ.

„ჰოცა მიშას ხმით ვსაუბრობ, ისეთი ქალები მომწონს, როგორიც მას. ათასი ქალიც რომ დააყენოთ, გეტყვით, მის სიმპათიებს რომელი დაიმსახურებს.“

ერთი შემთხვევა გამახსენდა. პარლამენტის ერთ-ერთ დეპუტატს ძალიან კარგად ვიცნობ, მის სახელსა და გვარს არ დავასახელებ. 2007 წლის აგვისტოში ქობულეთში თავის მეუღლესთან ერთად დავინახე. მიშას ხმით დავუძახე, შენ პრეზიდენტთან მოგიწევს საუბარი-მეთქი და შეხტა.

პაროდია, რომელიც ჩემმა მეგობარმა საიტზე ატვირთა, 4 ოქტომბერს, არჩევნების შემდეგაა გადაღებული. სუფრასთან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც ქეიფობდნენ. მიკროფონში სააკაშვილის ხმით გამოვაცხადე, მე მოვედი, რომ გამარჯვება მოგილოცოთ-მეთქი. ვინც ჩემგან ზურგით იჯდა, ფაქტობრივად შოკში ჩავარდა. მიშას ნაბიჯებით ყველას მივვარდი და ხელი ჩამოვართვი.

ხმის ტემბრთან ერთად ამ ადამიანის ხასიათში თუ ვერ ჯდები, მის პაროდიას ვერ გააკეთებ. ყოფილა შემთხვევა, როცა პატრულს სიფხიზლის შესამოწმებლად გავუჩერებივარ. ვიცი, ასეთ შემთხვევაში მიშა მათ რასაც ეტყვის და მეც იმ სიტყვებით მივმართავ: „რა უფლებით აჩერებთ პირველ პირს! ნუ დაკავდებით პრეზიდენტის სიფხიზლით თუ სიმთვრალით!“. ეგრევე მპასუხობენ, არა, არაო. თუმცა სიმთვრალეზე ტესტს მაინც ვიტარებ, ამით არასოდეს ვსარგებლობ. პატრულთან სხვანაირი ტექსტიც მაქვს, მაგალითად, თუ მეჩქარება, ვეუბნები, ახალი ქარხანა უნდა გავხსნა, თქვენთვის არ მცალია-მეთქი.

„პატრულთან სხვანაირი ტექსტიც მაქვს, მაგალითად, თუ მეჩქარება, ვეუბნები, ახალი ქარხანა უნდა გავხსნა, თქვენთვის არ მცალია-მეთქი“.

— პრეზიდენტი რომ გაიცნოთ, რას ეტყოდით?

— რომ ვნახო, მისივე ხმით ვეტყვი: „რატომ აკეთებ ჩემს პაროდიას?“. ვიცი, ამაზე გაგიჟდება, გაუხარდება.

— პოლიტიკაში რამდენად ერკვევით?

— ძალიან აპოლიტიკური ვარ. არ მაინტერესებს, ვინ იმარჯვებს და ვინ — არა. არჩევნებზეც არ დავდივარ, არც არასდროს ვყოფილვარ და არც წავალ!

— სხვა პოლიტიკოსს, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის პაროდიას არ გიცდიათ?

— არც მიცდია და არც გამომივა. მიშას პაროდია შიგნიდან მოდის.

— პრეზიდენტს გარეგნულად არ ჰგავხართ, მაგრამ სიცილი და სუნთქვაც კი ერთნაირი გაქვთ.

— თუ მე ახლა ავდგები და მიშას ხმით დაგემშვიდობებით, თქვენ ვიზუალურადაც მიმამსგავსებთ და სიარულიათაც. ის ან ძალიან ჩქარა დადის, ან ნელა. ყველაზე ორიგინალური სიცილი აქვს და ალბათ ყველაზე მეტად ამით ამიტომ ვგავარ. სიცილით, სუნთქვით თუ არ დაემსგავსე, მიშას პაროდია არ გამოგივა. ყველაფერი ერთად უნდა ააწყო.

— მამეკა ლომაშვილი, გიორგი აფციაური სწორედ მიხეილ სააკაშვილის პაროდიით გახდნენ ცნობილი. მათი აზრი იცით თქვენს გამოსვლებზე?

— ორივეს ვიცნობ, მაგრამ მათგან არაფერი გადმომცია. მათაც ძალიან მოსწონთ ჩემი პაროდია. მათ მიერ გაკეთებულ პაროდიაზე ხშირად გამცინებია, ტექსტიც კარგად აქვთ ხოლმე დაწერილი, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა რაღაც ნიუანსებზე ჩემთვის მითქვამს, რომ მიშა ამას ასე არ გააკეთებდა.

— მათ კონკურენტებად მიიჩნევთ?

— არა, მჯერა, რომ ეკრანებზე მათაც ვიხილავ.

— გეტყობათ, რომ მიშა სააკაშვილი გესიმპათიურებათ.

— როგორც ადამიანი, შეიძლება არ მომწონდეს, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი, კარგია.

— როგორ ფიქრობთ, ჰგავხართ მას რაიმე თვისებით?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისნაირი ენერგია მაქვს. არ დავიღლები, ისე ვივლი რეგიონებში და ეს გამიკეთებია კიდეც. ერთ დილას სენაკში ბებიაჩემმა კახური ყურძენი მოითხოვა. მე მანქანით კახეთში წავედი, ყურძენი, ღვინო, ჩურჩხელა ავიღე და სამ საათში სამეგრელოში ჩავიტანე. იმავე საღამოს კი ფეხბურთი ვითამაშე და არანაირი დაღლა არ მიგრძვნია. მეც მიშასავით კომუნიკაბელური ვარ. შემიძლია მზესუმზირის გამყიდველს ერთი საათი ველაპარაკო.

— მიხეილ სააკაშვილის ჩაცმულობა თუ მოგწონთ?

— ზოგჯერ საშინელი ფერის პერანგს იცვამს, რასაც მე ვერ ჩავიცვამ. ხანდახან ისეთებიც აცვია, მეც დიდი სიამოვნებით ვატარებდი.

— პრეზიდენტზე ხშირად ამბობენ, მექალთანეობ. ამითაც ჰგავხართ?

— ჯვარი სწერია, რომ სხვა ჭორს არ უგონებენ. ჩემი ენერგიულობა, რა თქმა უნდა, ამასაც გულისხმობს. წეღან ვერ გავბედე მეთქვა, თორემ, ენერგია რასაც მოითხოვს, იმ საკითხებშიც მიშას ვგავარ.

— იცით მისი გემოვნება?

— როცა მიშას ხმით ვსაუბრობ, ისეთი ქალები მომწონს, როგორიც მას. ათასი ქალიც რომ დააყენოთ, გეტყვით, მის სიმპათიებს რომელი დაიმსახურებს. მექალთანეობა ბევრნაირი შეიძლება იყოს. ყველა კაბინას არ უნდა გაეკიდო. კაცი, რომელიც ყველა მდედრობითს მისდევს, მექალთანე კი არა, უკვე სხვა რაღაც არის. ისეთი მექალთანე, როგორიც საქართველოს პრეზიდენტია, სულ სხვაა.

— თქვენ როგორი გოგონები მოგწონთ?

— თავმდაბალი, წყნარი გოგონები მომწონს. ადამიანს შინაგანი აურით ვაფასებ და არა — გარეგნობით.

— გყავთ შეყვარებული?

— ერთხელ მიყვარდა. ამჟამად შეყვარებული არ ვარ. ამ თვალსაზრისით, აკრძალულ ზონაში ვარ.

— რატომ, გული გატკინეს?

— ათიდან შვიდი-რვა ადამიანი სიყვარულით გულნატკენია.

— თქვენ?

— იმ შვიდ-რვაში მეც ვარ.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

ვიტო კოლელიშვილი: „როცა მოედანზე ვარ, გოგონებს ნამდვილად არ ვაკვირდები“

მსახიობების შვილის სპორტული ახჩევანი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი, 23 წლის ვიტო კოლელიშვილი, არტისტულ გარემოცვაში გაიზარდა. მამა ცნობილი მსახიობი და კინორეჟისორი ზაზა კოლელიშვილი გახლავთ, დედა, ნათია გოგოჭური — ასევე მსახიობი და სცენარისტი. ერთი პირობა ვიტომაც მშობლების კვალზე დადგომა გადაწყვიტა და თეატრალურ უნივერსიტეტშიც ჩააბარა, მაგრამ ბედმა საბოლოოდ რაგბიმდე მიიყვანა, თუმცა საამისოდ უკვე მოზრდილი ასაკი ჰქონდა.

დღეს კი წარმატებული სპორტსმენია. უკვე სამი წელია საფრანგეთში, კლუბ „კლერმონში“ თამაშობს. სამშობლოში ნაკრების თამაშების დროს ჩამოდის და კიდევ წელიწადში რამდენჯერმე. ახლაც თბილისში იყო, რუსეთთან თამაშის შემდეგ ნაკრებთან ერთად დაბრუნდა და ესპანეთის ნაკრებთან ითამაშა.

— ვიტო, რაგბის თამაში მოზრდილ ასაკში დაიწყეთ. მანამდე რა იყო თქვენი ინტერესის სფერო?

— რაგბის თამაში 15 წლის ასაკიდან დავიწყე. მანამდე სპორტის უამრავ სახეობაზე დავდიოდი, კალათბურთზე, ცურვაზე და ასე შემდეგ, მაგრამ სერიოზულად არც ერთზე მიფიქრია. რაღაც პერიოდი საერთოდ მივატოვე სპორტი, მერე კი ისე მოხდა, რომ რაგბიმ ჩამითრია, მას სხვანაირი ხიბლი აქვს. ერთხელ რომ ითამაშებ, თავს ვეღარ დაანებებ. ასე შემოვრჩი ამ სპორტს. დროთა განმავლობაში კი გარკვეული მიზნებიც დავისახე.

— მსახიობობაზე საბოლოოდ თქვით უარი თუ მაინც ფიქრობთ, რომ ოდესმე ამ სფეროში მოხვდეთ?

— თეატრალურში აკადემიური მაქვს აღებული, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შეიძლება სწავლის გაგრძელება, მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. როცა იქ ჩავაბარე, უკვე რაგბიზე დავდიოდი, სერიოზულად ვვარჯიშობდი, მაგრამ ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი, ბოლომდე გავყვებოდი თუ არა. თან საქართველოში რაღაცნაირი მიდგომაა, გეუბნებიან, შვილო, უსწავლელი ხომ არ დარჩები, უნივერსიტეტში უნდა ჩააბარო, ხისთავიანი ხომ არ იქნებიო. თეატრალურში ბავშვობიდან მინდოდა ჩაბარება, ეს ალბათ ჩემი ოჯახიდან გამომდინარე. ვიფიქრე, თეატრალურში ვისწავლი და რომელიც გადაწონის, იმას გავყვები-მეთქი. ისე მოხდა, რომ რაგბიმ გადაწონა.

— ოჯახში მეორე მორაგბეც გყავთ, თქვენი მიმდევანი ძმა ბაჩა. ძმებს კონკურენციის განცდა ხომ არ გაქვთ?

— ბაჩა ჩემზე ადრე მივიდა რაგბიზე. ორივე „ლელოში“ დავდიოდით. ბაჩა დღესაც იქ განაგრძობს თამაშს და საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძვის. კონკურენცია არ გვაქვს, ის საქართველოში თამაშობს, მე — საფრანგეთში. როგორც უფროს ძმებს სჩვევიათ, ბაჩას მიმართ მეც მომთხოვნი ვარ. ის 21 წლისაა, მე — 23-ის. სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ რაგბის თამაშით ვერ იცხოვრებ, ამიტომ ბაჩა სწავლობს კიდეც. ენახოთ, რა იქნება. ყველანაირად ვცდილობ, დავეხმარო. რჩევებსაც ვაძლევ, როცა მომმართავს.

— ოჯახი ძმების არჩევას რიგორ შეხვდა?

— მშობლებმა მითხრეს, ეს შენი ცხოვრებაა და, როგორც გინდა, ისე მოიქეციო. ჩემი არჩევანი გავაკეთე და ოჯახიც ძალიან მგულშემატკივრობს.

— გასაკვირია, მსახიობების ოჯახში გაზრდილი ადამიანი ამ თეატრისა და კინოს სამყაროთი როგორ არ „მოიწამლეთ“. მით უმეტეს, მამამ თავის ფილმში „ომი და ქორწილი“ გადაგიღოთ.

— მართლაც, ისეთ წრეში ვიზრდებოდი, სადაც მხოლოდ ხელოვნებაზე იყო საუბარი. რა თქმა უნდა, ასეთ დროს რაღაც გავლენის ქვეშ ექცევი, მაგრამ საკუთარი თავი რაგბიში უფრო ვიპოვე. მამას ფილმში პატარა ეპიზოდში ვმონაწილეობ. სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ასევე პატარა როლი ვითამაშე, მაგრამ ახლა სულ დაკავებული ვარ და სხვა რამეზე ფიქრისთვის დრო არ მრჩება. ჩემი ცხოვრების ნაწილი რაგბია, მინდა, ყველაფერი გავაკეთო და კარგად ვითამაშო. რაგბის 35 წლამდე თამაშობენ, მერე რა ხდება, კაციშვილმა არ იცის.

— მამათქვენის შესრულებული როლებიდან გამორჩეულად რომელი მოგწონთ?

— მისი ყველა ფილმი მომწონს, მაგრამ განსაკუთრებულად გამოვარჩევდი ფილმ „კუკარაჩაში“ მურტალოს როლს, „ნატვრის ხეში“ — შეთეს. ფილმში „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ მამა გიჟი აჩიკოს როლს თამაშობს. ეს ფილმი პირველად რომ ვნახე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რა თქმა უნდა, მამას ძალიან ვგულშემატკივრობ და გული მწყდება, რომ დღეს ქართული კინემატოგრაფია ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე იყო. კინომსახიობების უმრავლესობა დაუსაქმებელია. დედა და მამა ყველაფერს ერთად აკეთებენ. მამაჩემი თუ ფილმს იღებს, დედა სცენარს წერს.

— თქვენი დაქმა რას აკეთებენ?

— დიდი დაიკო, ნინო, ჟურნალისტია, „ინფო 9“-ში მუშაობს. ელენე პროდიუსერია, ბაჩა, როგორც იცით, რაგბის თამაშობს, კესო კი სკოლაში დადის.

— თქვენს საგულშემატკივროდ სტადიონზე მოდიან?

— კი, რა თქმა უნდა, მაგრამ სახლში ყოფნა და ტელევიზორით ყურება ურჩევნიათ, რადგან მოედანზე უფრო ემოციურები არიან. დედას ხშირად უთქვამს, რაღაც მომენტების ნახვა არ მინდა, ტელევიზორში რომ ვუყურებ, გავდიგამოვდივარ და ასე მირჩევნიაო.

— სპორტი ბევრი რაღაცის დათმობას გულისხმობს. თქვენთვის რა მინუსები და პლუსები აქვს რაგბის?

— როცა იმას აკეთებ, რაც გიყვარს და გსიამოვნებს, ეს უკვე პლუსია. მინუსი შეიძლება ის იყოს, რომ სხვა რაღაცეებისთვის დიდი დრო არ გაქვს. მით უმეტეს, როცა საზღვარგარეთ თამაშობ. შენს ახლობლებს, მშობლებს, ქვეყანას მოწყვეტილი ხარ. ამ სპორტისთვის დახარჯული დრო შენს საყვარელ ადამიანებს აკლდება. სანამ რაღაცას გადაწყვეტ, წინასწარ უნდა იფიქრო და აწონდაწონო, რა სირთულეებს შეხვდები. ამ ყველაფერზე მე წინასწარ მქონდა ნაფიქრი, თან მინდოდა, საქართველოს შემდეგ კარიერა საზღვარგარეთ გამეგრძელებინა.

— ბევრ სირთულეს წააწყდით ამ გზაზე?

— სირთულე ყველა სფეროშია. ერთს რომ გადალახავ, შემდეგი მოდის, მაგრამ მიზნად მისი გადალახვაც უნდა დაისახო. მთავარი მოთმინება და იმ საქმის სიყვარულია, რომელსაც აკეთებ. როგორც სპორტსმენმა, შეიძლება ტრავმა მიიღო. იმ დროს იმაზე ფიქრობ, რომ ვილაც ვითარდება, შენზე მეტს თამაშობს, შენ კი ტრავმა გაქვს. შეიძლება ისეთი კონკურენციის წინაშე აღმოჩნდე, რომ თამაში არც მოგიწიოს. ამ დროს შეიძლება მორალურად დაეცე და იფიქრო, რომ ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ამ ყველაფერს დაძლევ. არ არსებობს ისეთი რაღაც, რასაც ვერ შეძლებ. ზოგადად ასეა, თუ ძლიერი ნებისყოფა გაქვს, ყველაფერი შესაძლებელია.

— ბევრი თაყვანისმცემელი გოგონა გეყოლებათ. დაოჯახებაზე არ ფიქრობთ?

— ჯერჯერობით არ ვფიქრობ.

— საფრანგეთში წლებია ცხოვრობთ, უცხოელ გოგონას ცოლად მოიყვანდით?

— არა, რადგან მათ სხვა მენტალიტეტი, სხვა აზროვნება, სრულიად განსხვავებული ხედვა აქვთ.

— რიგორი გოგონა მოგწონებთ?

— პირველ რიგში, პიროვნულად უნდა შევეწყო, შემდეგ ვიზუალურად უნდა მომეწონოს. როცა წყვილს ერთმანეთის გესმის, იქ ყველაფერზე ფიქრი შეიძლება.

— ადვილია თქვენი მოსიბეჭდა?

— შეიძლება ადვილად მივიხიბლო, მაგრამ ურთიერთობა სხვა თემაა. სერიოზული ურთიერთობა სხვა რაღაცეებს მოითხოვს.

— სერიოზულად შეყვარებული არ ყოფილხართ?

— სერიოზულად დაფიქრებული ვყოფილვარ და შეიძლება ვარ კიდეც, ვნახოთ.

— შეიძლება ითქვას, რომ შეყვარებული ხართ?

— არ გიპასუხებთ.

— კალათბურთელების თამაშებზე ძირითადად მოდელი გოგონები დადიან. თქვენ რა ტიპის გოგონებს ხედავთ მოედანზე საგულშემატკივროდ?

— მოედანზე როცა ვარ, ამას ნამდვილად არ ვაკვირდები. ის კი არა, მინდვრის იქით რა ხდება, ვერ ვხედავ. შეიძლება ვიღაც მეძახდეს კიდეც და ვერ გავიგონო. იმ დროს ისე ვარ თამაშში ჩართული და კონცენტრირებული, ნამდვილად ვერავის და ვერაფერს ვხედავ.

— თავისუფალ დროს რიგორ ატარებთ?

— როცა პროფესიონალიზმისკენ მიდიხარ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, რაღაცეებს აკლდები, მაგრამ მაინც, ხან ღამის კლუბში მივდივართ, ხან— სხვაგან. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მორაგბეებს ზოგადად ასეთი ტრადიცია გვაქვს: ერთად ვიკრიბებით, ლუდს ვსვამთ, ოღონდ გარკვეულ დროს და გარკვეული თამაშების შემდეგ. მწვრთნელმაც შეიძლება თქვას, ახლა ისეთი თამაში მოვიგეთ, წავიდეთ და ყველამ ერთად აღვნიშნოთო. გუნდი ასე უფრო იკვრება.

✓ ეკა ლეკმონჯავა

„ჩაგბიმ ჩამითრია, მას სხვანაირი ხიბლი აქვს. ეჩთხეჯ ჩომ ითამაშებ, თავს ვეღარ დაანებებ“.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
ევგენი მიქელაძის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრთან ერთად
ნახმოგიდგენთ ფესტივალი „ფანარტი“
გაიცანით ახალგაზრდა კომპოზიტორები, ჯაზმენები,
როკერები, ლიტერატორები, მხატვრები, ფოტოგრაფები,
დიზაინერები, მსახიობები და კინორეჟისორები.
ეროვნული მუსიკალური ცენტრი. აღმაშენებლის 127. 24-31 მარტი.
საღამოს 8 საათი. დასწრება თავისუფალია. მარტისტების კვირეული იწყება!
ფესტივალის ჰარტნიორია „თიბისი ბანკი“. მედიაპარტნიორი „სთარhfm“ და ჟურნალი „სარკე“.

Cyan Magenta Yellow Black

„ხანუმა“ – რობერტ სტურუას „დამანგრეველი იუმორი“

45 წლის წინ რუსთაველის თეატრის სცენაზე, ავქსენტი ცაგარელის პიესის მიხედვით, სრულიად ახალგაზრდა რეჟისორმა „ხანუმა“ დადგა. ნოვატორულ სპექტაკლს თეატრალები და კრიტიკოსები თავიდან ეჭვის თვალით შეხვდნენ, არადა აღმოჩნდა, რომ ეს გენიალური მიგნება იყო. დარბაზში ტაში და ოვაციები გრგვინავდა. მაყურებელმა სიახლე არათუ მიიღო, მასზე დასასწრები ბილეთი ძნელად საშოვნელი გახდა. სპექტაკლი 10 სეზონის განმავლობაში სცენიდან არ მოხსნილა. დასმა ის 500-ჯერ ითამაშა და თურმე ჰყავდა ისეთი მაყურებელიც, რომელსაც 40-ჯერ მაინც ჰქონდათ „ხანუმა“ ნანახი.

■ რობერტ სტურუა მსახიობებთან ერთად

ის ახალგაზრდა რეჟისორი, რომლის ექსპერიმენტსაც თავიდან სკეპტიკურად შეხვდნენ, რობერტ სტურუა გახლდათ. თავად თვლიდა, რომ სპექტაკლის წარმატება იმდენად მისი დამსახურება არ იყო, რამდენადაც გენიალური მსახიობების — სალომე ყანჩელის, რამაზ ჩხიკვაძისა და ეროსი მანჯგალაძის. ამ სამეულიდან შეუძლებელია გამოყო ერთი რომელიმე მთავარი, ყოველი მათგანის ნიჭი თანაბრად და თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. რამაზისა და ეროსის დუეტი სრული იმპროვიზაცია იყო, თავად არ იცოდნენ რომელ ეპიზოდში რას შესთავაზებდნენ მაყურებელს. ერთხელ ეროსის ორკესტრის ხელმძღვანელ ლევონ ოგანეზიანთან პირდაპირ სცენაზე გაურჩევია „დინამოსა“ და „არარატის“ საფეხბურთო მატჩი.

ჟანრი ლოლაშვილი: „ეხთ ჰამეს ვიტყვი, ჰომ ეს იყო ახაჩვეულებრივი „ბითუჰობა“.

სალომე ყანჩელი სოლოლაკში გაიზარდა და სომხურ ყოფას კარგად იცნობდა, სომხური ენაც იცოდა. მისი ხანუმა ერთდროულად ძველთბილისურიც იყო და თანამედროვეც. როგორც მისი ვაჟი, რეჟისორი ოთარ ლითანიშვილი, იხსენებს, „სალომეს ხანუმა უფრო ბომონდური ქალი იყო, ვიდრე უბრალო თბილისელი მაჭანკალი“.

„ხანუმა“ ქართული თეატრის ისტორიას კიდევ ერთი საოცარი ეპიზოდით შემორჩა, სადაც სოფიკო ჭიაურელი კინტაურს ცეკვავს. ეს ცეკვა ოქროს ფონდშია შესული. მასთან დაკავშირებითაც არსებობს ერთი რამაზისეული „ექსპრომტი“. დროთა განმავლობაში სოფიკო მსახიობმა დავით პაპუაშვილმა შეცვალა. ერთ საღამოს დაავიწყდა, რომ სპექტაკლი ჰქონდა და ქეიფს შერჩა. ძლივს მიაგნეს და სასწრაფოდ თეატრში მიიყვანეს, მაგრამ მისი გამოფხიზლება ვერაფრით შეძლეს. სხვა გზა არ იყო, სცენაზე მაინც უნდა გასულიყო. სიტუაცია რამაზ ჩხიკვაძემ განმუხტა. მას უნდა ეთქვა ასეთი ფრაზა: „თქვენ ახლა იხილავთ ცეკვა კინტაურს“. მან კი თქვა: „თქვენ ახლა იხილავთ მთვრალი კინტოს ცეკვას“. და მართლაც, დავით პაპუაშვილმა მთვრალი კინტოს ცეკვა ბრწყინვალედ შეასრულა.

■

ჟანრი ლოლაშვილი მაშინ დამწყები მსახიობი იყო. ის სპექტაკლში თავად ფანტიაშვილის ამალის ერთ-ერთი წევრი გახლდათ. სწორედ ამ როლით დაიწყო მისი სამსახიობო გზა. **ჟანრი ლოლაშვილი** იხსენებს:

— სპექტაკლი მოკლე დროში დაიდგა, უფრო მეტი დრო მუსიკალურ მხარეს დასჭირდა. რობიკომ საოცარი ხერხები გამოიყენა და ამანაც მოიტანა ასეთი დიდი წარმატება. თავდაპირველი პიესა ჩვეულებრივი იყო, თუმცა რეჟისორმა მასში მრავალფეროვნება შეიტანა. ჩვენი „ხანუმა“ ნამდვილი ვოდევილი იყო. ერთ რამეს ვიტყვი, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი „ბითურობა“, ერთგვარი სისულელეებით სავსე. მასში იყო დაცინვა მაშინდელ ქალაქელებზე, თუმცა კარგი გასართობი იყო და, რაც მთავარია, ხალხს სწორედ ამის გამო მოსწონდა. ამ სპექტაკლმა მოლოდინს გადააჭარბა, მაყურებელი არ ილეოდა. სხვათა შორის, ხალხს უკვე ვცნობდით სახეებზე, რადგან ერთი და იგივე ადამიანები „ხანუმას“ რამდენჯერმე ესწრებოდნენ. ამის გამო გარკვეული ჩხუბიც მოგვდიოდა, რადგან სხვა მაყურებელსაც უნდა მისცემოდა დასწრების საშუალება. სალაროსთან მუდმივი რიგები იდგა.

თავდაპირველად ხალხი „ხანუმას“ არაერთგვაროვნად შეხვდა. ეს იყო დადგმა, რომელიც სრულიად სხვა ჟანრში იყო გადაწყვეტილი, მით უმეტეს, რუსთაველის თეატრისთვის. იყო სახუმარო ჟანრის, ყოველგვარი

■ ფანტიაშვილი და აკოფა – ეროსი მანჯგალაძე და რამაზ ჩხიკვაძე

რთული დრამატურგიული წრეების გარეშე. იყო ძალიან უბრალო სპექტაკლი, რომელშიც დამალული პათეტიკა, უტრირებული თეატრალური ხერხები, ორიგინალური მუსიკა, ძველი ქალაქური ფოლკლორი და სხვა ბევრი საინტერესო რამ იყო გამოყენებული. მსახიობებს ცალკეული პარტიები ჰქონდათ. რამაზი და ეროსი არაჩვეულებრივად მღეროდნენ. ასევე მღეროდნენ სხვა მთავარი გმირები.

მე სპექტაკლში ეროსი მანჯგალაძის გმირის მოახლე ბიჭი ტიმოთე ვიყავი. თავიდან დიდი ფუნქციები არ მქონდა,

ჯემალ ღაღანიძე: „იცით, „ხანუმას“ მაყურებელი ჩატომ ახ აჯდა? ყოველი დადგმა წინასგან განსხვავებული იყო. მაყურებელმა იცოდა, ჰომ ყოველ მოსვლაზე ჩაღაც ახალს აღმოაჩენდა, ჩადგან ჩვენ სულ ახალს ვუმატებდით“.

მაგრამ სულ ეროსის დავდევდი და ნელ-ნელა ჩემი გმირის ფუნქციებიც გაიზარდა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ მთლიან სპექტაკლში ვმონაწილეობდი და დიდი როლი გამომივიდა. ეროსის პერსონაჟის ყველა მოძრაობაზე ჩემს გმირს თავისებური რეაქცია ჰქონდა. ჩემი სამსახიობო ხელოვნება ტიმოთეს როლით დაიწყო. სასიხარულოა, რომ ასეთი შთამბეჭდავი სახე გამოვიდა.

გია ყანჩელის შესანიშნავი მუსიკა ამ სპექტაკლს ძალიან მოუხდა. სხვათა შორის, „ხანუმას“ მომზადებაში მიხეილ ჭიაურელიც მონაწილეობდა და მსახიობებს ძველ, ქალაქურ სიმღერებს გვასწავლიდა.

განსაკუთრებით თეატრმცოდნეები აგვიმხედრდნენ. რუსთაველის თეატრი ჰეროიკული დრამის თეატრად იყო მიჩნეული და უცებ ასეთი გარდასახვა მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. თეატრში რობიკომ პირველმა შემოიტანა დამანგრეველი იუმორი, რომელიც ყველანაირ ზღვარს სცდებოდა. რაც მთავარია, მან სალომეს, ეროსისა და რამაზს იმპროვიზაციის დიდი საშუალება მისცა. მათაც, როგორც უზადო ნიჭის პატრონებმა, ეს უფლება გამოიყენეს. რომ იტყვიან, თავები გაიგიჟეს.

სცენაზე იყო უამრავი კურიოზი, რისი გახსენებაც ძალიან მიჭირს, რადგან დიდი დრო გავიდა. „ხანუმას“ რაღაც ფენომენი ჰქონდა და ის, რაც იქ ხდებოდა, იმდროინდელ სხვა სპექტაკლებში არ იყო. საქართველო მოვიარეთ და ხშირად მაყურებლის სიმრავლის გამო რეგიონებში სტადიონებზე თამაში გვიწევდა. მიუხედავად თავდაპირველი კრიტიკისა, დარბაზი ინგრეოდა. მთელი თბილისის მოქეიფე საზოგადოება, ე.წ. ბოჰემა, „ხანუმას“ გამუდმებით ესწრებოდა. მათ ერთი დიდი ლოჟა ჰქონდათ აღებული და ჩამწკრივებულები ისხდნენ ხოლმე.

■

ჯემალ ღაღანიძე „ხანუმაში“ ვაჭარ ტყუილკოტრიანცის — სონას მამის ასრულებდა. სპექტაკლში მასაც ჰქონდა თავისი მუსიკალური პარტია — ძველთბილისურ ჰანგზე მღეროდა. მართალია, „ხანუმა“ მუსიკალურად გია ყანჩელმა გააფორმა, მაგრამ ძველი ქალაქური მელოდიებით მათ ცნობილი რეჟისორი მიხეილ

Cyan Magenta Yellow Black

ჭიაურელიც დაეხმარა **ჯემალ ღაღანიძეს**ახსენებს:

— თავიდან „ხანუმას“ მიმართ უარყოფითი აზრები გაჩნდა, თუმცა რობიკომ თავისი ჩანაფიქრი მაინც განახორციელა და გააკეთა სპექტაკლი, რომელიც 500-ჯერ მაინც დაიდგა და ყოველთვის დიდი ანშლაგით მიდიოდა. ბილეთის ყიდვა მხოლოდ გადამყიდველებში იყო შესაძლებელი. თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადარბაზოებში ყიდდნენ. თავდაპირველად პიესის მიხედვით ვთამაშობდით, მერე უამრავი იმპროვიზაცია გაჩნდა, ყველა მსახიობმა თავისი დეტალები დაამატა.

■ ხანუმა — სალომე ყანჩელი

სპექტაკლის მომზადება რომ დავიწყეთ, რობიკოს დიდი სურვილი იყო, ძველი თბილისის მუსიკა გამოგვეყენებინა. ფიქრის გორაზე ბატონ მიხეილ ჭიაურელთან მივედით. მან ბევრი საინტერესო დეტალი გაიხსენა და მელოდიებიც კი გვიმღერა, რაც შემდეგ დადგმაში გამოვიყენეთ. მსახიობები ხშირად იცვლებოდნენ, უმეტესად — ქალები. თავიდან სპექტაკლს კახი კავსაძე იწყებდა, თუმცა მალე მისი პერსონაჟი გაქრა.

ჯანჩი ღოღაშვილი: „მთელი თბილისის მოქეიფე საზოგადოება, ე.ნ. ბოჰემა, „ხანუმას“ გამუდმებით ესნიებოდა. მათ ეთქი დიდი ღოჟა ჰქონდათ აღებული და ჩამნაჯიოვებულები ისხდნენ ხოლმე“.

იცით, „ხანუმას“ მაყურებელი რატომ არ აკლდა? ყოველი დადგმა წინასგან განსხვავებული იყო. მაყურებელმა იცოდა, რომ ყოველ მოსვლაზე რაღაც ახალს აღმოაჩენდა, რადგან ჩვენ სულ ახალს ვუმატებდით და ვუმატებდით.

ერთ ამბავს მოგიყვებით: მეშვიდე კლასში უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. ერთხელ ქართულის გაკვეთილზე ვიცელქე და მასწავლებელმა, ელენე აბაშიძემ, კლასიდან გამაგდო. საკლასო ოთახში თავი შევყავი და ვუთხარი, ქალბატონო ელენე, დადგება დრო, რომ მსახიობი გავხდები და სპექტაკლებში ვითამაშებ, თქვენ კი ბილეთების რიგში ჩადგებით-მეთქი. მართლაც ახდა ჩემი სიტყვები. „ხანუმა“ რომ დაიდგა, თურმე ბილეთებს ვერაფრით შოულობდა. მის ქალიშვილს კი უთქვამს, დედა, ჯემალი ხომ შენი მოსწავლე იყო, მაგას უთხარი და ბილეთს გვიშოვისო. ქალბატონმა ელენემ თურმე უპასუხა, მაგას ბილეთს როგორ ვთხოვო. როგორც ჩანს, ის სკოლისდროინდელი ამბავი კარგად ახსოვდა.

■ აკოფა — რამაზ ჩხიკვაძე

ერთხელ „ხანუმას“ რადიოდადგმა გავაკეთეთ და იქაც იგივე მსახიობები ვიყავით. ერთ-ერთი ჩაწერის შემდეგ სალომე, ეროსი და რამაზი ერთად წავიდნენ თეატრში, რადგან იმ

ჯემალ ღაღანიძე: „ჰობიჯოს დიდი სუჰვიღი იყო, ძველი თბილისის მუსიკა გამოგვეყენებინა. ფიქრის გოჰაზე ბატონ მიხეიღ ჭიაუჰელთან მივედით. მან ბევჰი საინტეჰესო დეტალი გაიხსენა და მელოდიებიც ჯი გვიმღეჰა, ჰაც შემდეგ დადგმაში გამოვიყენეთ“.

დღეს სცენაზეც „ხანუმა“ უნდა გვეთამაშა. ეროსის „ნივით“ იყვნენ და ელბაქიძის აღმართზე ავარიას სასწაულებრივად გადაურჩნენ. მათ პირდაპირ დიდი მანქანა წამოვიდა და ძლივს დააღწიეს თავი, თორემ გადაუვლიდათ. როდესაც თეატრში მოვიდნენ, ყვებოდნენ, რაც მოხდა, რომ ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს. უცებ ეროსის სიცილი აუტყდა. შევეკითხე, რა გაცინებს-მეთქი. მიპასუხა, რა სასაცილო გასვენება გვექნებოდა, რომ დავხოცილიყავით, მე ხომ ვიცი, მეტიჩარა ქართველები რუსთაველის თეატრში დაგვასვენებდნენ და „ხანუმას“ კოსტიუმებში გამოგვაწყობდნენ; ჯერ დაიძახებდნენ, ხანუმა მოდის, მერე იტყოდნენ — აკოფა, ბოლოს კი ივანე მოდისო. სამწუხაროდ, ეროსის ენამ უყივლა, ამ შემთხვევიდან ძალიან მალე გარდაიცვალა.

✓ თეონა კერესელიძე

www.abdiibrahim.com.tr

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

Cyan Magenta Yellow Black

მოათვინიერებს თუ არა რბილი სიდედრი მკაცრ დედამთილს?

ირინა გუდაძის და ასმათ ტყაბლაძის ჰეალური ცხოვრება

■ ირინა გუდაძე
და ასმათ ტყაბლაძე

მსახიობები ირინა გუდაძე და ასმათ ტყაბლაძე სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ მძახლები არიან. მათი როლები პირველივე დღიდან მაყურებლისთვის საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ქართულ რეალობასთან ძალიან ახლოსაა. მკაცრი და ზოგჯერ უხეში დედამთილის როლს ქალბატონი ასმათი იმდენად ბუნებრივად თამაშობს სერიალში, რომ ბევრს სინამდვილეშიც ასეთი ჰგონია. მისი გმირისგან განსხვავებით, თბილი, მოსიყვარულე და გამგები სიდედრია ირინა გუდაძე. სინამდვილეში ორივე მსახიობი მხოლოდ სიდედრები არიან, რადგან თითო ქალიშვილი ჰყავთ.

„სარკე“ სერიალის სიდედრ-დედამთილს სასაუბროდ ბარში ეწვია, რომელიც ქალბატონი ასმათის საკუთრებაა. ფოტოგადაღების დროს ბევრი იხალისეს. ქალბატონი ასმათი ხუმრობდა, ნახეთ, ირინა როგორ მეხუტება, ეშინია, მის შვილს ცუდად არ მოვექცეო.

— ქალბატონებო, ძალიან საინტერესო როლები გაქვთ, მკაცრი დედამთილის და თანამედროვე გამგები სიდედრის. მოგწონთ თქვენი ამბლუა?

ასმათი: ძალიან მომწონს. როცა თეატრში ვთამაშობდი და დარბაზიდან ტაში დაგრიალდებოდა, ეს ყველაზე დიდი შეფასება იყო. კინოში კი მაყურებელთან პირდაპირი კონტაქტი არ გაქვს, ამიტომ, როცა ქუჩაში ვინმე თავის აზრს გეტყვის ან დაგირეკავს, ეს უკვე შეფასებაა. ქუჩაში ხშირად მაჩერებენ, ვაიმე, როგორ მომეწონეთ, თქვენ ჩემს დედამთილს მაგონებთო. ერთი მეჩხუბა კიდეც, განათხოვარი რძალი რატომ არ გინდათო. საწყალი, თვითონ ყოფილა განათხოვარი და დაუწუნიათ. სამჯერ განათხოვარიც შეიძლება გათხოვდეს-მეთქი, ვუთხარი და გაუხარდა, რა კარგი ქალი ყოფილხართ, იქ კი როგორი მკაცრი ხართო.

ირინა: სერიალში ჩემი შვილების პერსონაჟები სინამდვილეშიც ჩემი შვილის ტოლები არიან. მეც ქალიშვილი მყავს, ოღონდ ერთი. პრინციპში, ჩემი ასაკის და ჩემი მდგომარეობის ქალს ვთამაშობ.

ასმათი: სხვათა შორის, ირინას ეს როლი ძალიან უხდება. სინამდვილეშიც ძალიან თბილი, რბილია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ცუდი ქალი ვარ, მაგრამ ირინას ლამაზი, თბილი, დამთმობი ქალის როლი ძალიან მოუხდა. როგორ მითმობს ხოლმე... იმ დღეს, გადაღების დროს, ისეთი მკაცრი გავხდი, ირინას გავეხუმრე, ფრთხილად იყავი, როლში ისე შევედი, არ გცემო-მეთქი.

— ქალბატონო ირინა, რა აზრის ხართ ქალბატონი ასმათის პერსონაჟზე, ასეთ დედამთილს რეალურ ცხოვრებაში გაამტყუნებდით?

ირინა: სერიალში რაც მძახლებს შორის ხდება, აბსოლუტურად ტიპურია. სიდედრის ანუ ქალიშვილის დედის მდგომარეობა ჩემთვის ძალიან ნაცნობია, რადგან ჩემი გოგონაც გათხოვილია. თავიდან ძალიან რთული აღმოჩნდა, სიდედრობისთვის ალღო ამეღო. ზუსტად იგივე სიტუაციაა სერიალშიც. არ მიმაჩნია, რომ ასმათის პერსონაჟი ანომალიური პიროვნებაა. ის მარტოხელა ქალია, რომელმაც ვაჟიშვილი გაზარდა და მისთვის ყველაფერი კარგი უნდა. ამიტომ ცოტა მკაცრიც არის, ხასიათიც დაუმძიმდა. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ურთიერთობა დათბეს. იგრძნობა, რომ მძახლებს შორის კონფლიქტი უკვე დაიწყო, რადგან ისინი სრულიად განსხვავებული ტიპები არიან. ძალიან მინდა, რომ ასმათის პერსონაჟი დავიმეგობრო, დავიახლოვო და ჩემი შვილის მიმართ კარგად განვაწყო.

— რადგან ცხოვრებაშიც სიდედრი ხართ, თქვენი გმირის შტრიხები ალბათ რეალობიდან აიღეთ.

ირინა: ჩემი სიდედრობა, ბებიობა, ცხოვრების წესი და ურთიერთობები ამ პერსონაჟის გაგებაში და განსახიერებაში ძალიან მეხმარება.

— ანუ თქვენი გმირი თქვენ გგავთ.

ირინა: რაღაცნაირად მგავს. ჩემი ახლობლები, მეგობრები, შვილიშვილები მეუბნებიან, სერიალში ზუსტად ისე საუბრობ, როგორც ცხოვრებაში გველაპარაკებიო. ჩემი ქალიშვილი, ანა, 37 წლისაა. სამი შვილიშვილი მყავს.

— დიტოსნაირი სიძე თუ მოგეწონებოდათ?

ირინა: ჩემი სიძე დიტოსნაირად მშრომელია, მაგრამ მისგან განსხვავებული ტიპაჟია. მგონია, რომ ქალიშვილის ბედნიერებისათვის სიძესთან საერთო ენა უნდა გამონახო. სხვათა

ირინა: „ჩემს სიძესთან საერთო ენის გამონახვა გამიჭირდა“.

შორის, მე ეს ძალიან გამიჭირდა. როცა ერთადერთი ქალიშვილი თხოვდება, ამის აღქმა ძალიან ძნელია. სიძეც და მეც ერთმანეთს დავეხმარეთ, რომ ეს ურთიერთობა შემდგარიყო და ასეც მოხდა.

— მძახლებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

ირინა: სამწუხაროდ, ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა.

— ქალბატონო ასმათის გმირისსაირი მძახალი რომ შეგხვედროდათ, მასაც ასეთი თბილი იქნებოდით?

ირინა: ასეთი მძახალი რომ მყოლოდა, შევეცდებოდი, დამეახლოვებინა, დამერბილებინა, ყინული, რომელიც მის გულშია, გამეღო. მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანთან შეიძლება ურთიერთობა, მთავარი სურვილი და სიყვარულია.

— ქალბატონო ასმათ, ცხოვრებაში თქვენც სიდედრი ხართ. დედამთილი როგორი იქნებოდით?

ასმათი: ერთი ქალიშვილი, 24 წლის თამარი მყავს და ირინასავით მეც სიდედრი ვარ. დედამთილობა არასდროს გამომივა.

ჩემი გმირი ძალიან მკაცრია, მძახალთანაც უხეშია. გადაღება რომ მთავრდება, ირინას ვეკითხები ხოლმე, ხომ არ შეგჯავრდი-მეთქი. თუმცა ამ შემთხვევაში ამ ქალს ეს სიმკაცრე უხდება. მისი ერთადერთი შვილი 20 წელი აწამა კატომ. იდეალურ მამაკაცად ვზრდიდიო, ამბობს კიდეც დედა. ეს კატო კიდევ გათხოვდა, გამოთხოვდა, დიტო ისევ იმაზე გიჟდებოდა, არც ერთი დედა იტყოდა, უიმე, რა კარგია, რომ ის გოგო მოჰყავსო. არც მე ვიტყოდი, კარგია-მეთქი, მაგრამ შეიძლება ასეთი მკაცრიც არ ვყოფილიყავი.

სხვათა შორის, სესილია თაყაიშვილისგან იდეალური დედამთილობის მაგალითი მაქვს. ვერიკო ანჯაფარიძეც არაჩვეულებრივი დედამთილი იყო. ეს ორი გენიოსი ადამიანი თავის რძალს ემსახურებოდა. სესილია სულ რძლის მხარეს იყო და ყოველთვის შვილს

ასმათი: „გადაღების დროს ისეთი მკაცრი გავხდი, ირინას გავეხუმრე, ფრთხილად იყავი, ჩოლში ისე შევედი, არ გცემო-მეთქი“.

ამტყუნებდა. რძალს კი სესილია, მგონი, დედაზე მეტად უყვარდა.

— თქვენს სიძეს უყვარხართ?

ასმათი: ძალიან და თვითონაც კარგი ბიჭია. ერთი შვილიშვილი მყავს, 9 თვის ხდება. ცხოვრებაშიც ცოტა მკაცრი ვარ. არ მიყვარს, როცა არასწორად იქცევიან, თუნდაც ოჯახური წვრილმანების დროს, მაგრამ ამას ჩხუბით არასდროს ვაგვარებ. ვცდილობ, ჩემს სიძესთან უსიამოვნება არ მომივიდეს. თუ მასთან კარგი ურთიერთობა არ მექნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ცოლ-ქმარს შორისაც უსიამოვნება მოხდება. ხშირად სიძის მხარეს ვარ ხოლმე. თუ პატარა რამეზე წაკინკლავდებიან, ჩემს შვილს ვაჩუმებ. ის კი მეუბნება, შენ ის უფრო გიყვარსო.

— დიტოსნაირი შვილი მოგეწონებოდათ?

ასმათი: იმ რაღაცის, პლანის თუ რაღაცის მოწევა არ მომეწონებოდა, ვერაფრით ავიტანდი, მაგრამ მას ბევრი კარგი თვისება აქვს. არც მისი გინება მომეწონებოდა. არ მინდა, ძველ ბიჭებს ვაწყენინო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ასეთი შვილით აღფრთოვანებული არ ვიქნებოდი. სხვათა შორის, კოტეს (დიტოს როლის შემსრულებელი, კოტე თოლორდავა. ავტ.) ბავშვობიდან ვიცნობ, ჩემი დის უახლოესი მეგობრის შვილია. ერთ დროს, როცა მას რთული პერიოდი ჰქონდა, მხარში ვედექი და ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე დედაშვილს ვითამაშებდით. ვუსურვებ, რომ პირად ცხოვრებაშიც და კარიერაშიც ბედნიერი იყოს. ძლიერი მსახიობი, თან ძალიან მამაკაცურია.

— ქალბატონო ირინა, კატო და დიტო რეალურ ცხოვრებაში თქვენც მოგეწონებოდათ?

ირინა: დედას ყველანაირი შვილი უყვარს. ჩერჩეტია კატო, მაგრამ დედამისი, როგორც შეუძლია, ხელს უწყობს, რომ ბედნიერი იყოს. ამჩნევს, რომ კატო არასერიოზულია, თავის ცხოვრებაში ვერ გარკვეულა, მაგრამ დედისთვის ყველა შვილი საყვარელია. კატო კარგი გოგოა, მე მომწონს. დაბნეული, გაურკვეველი პერსონაჟია, მაგრამ არა უშავს, თანდათან გაერკვევა, დიტო ამას უკვე ცდილობს.

დედაც კარგ რჩევებს აძლევს კატოს, მეც ზუსტად ასე ვაძლევ შვილს რჩევებს. არ შეიძლება, სულ შენი თავი გეგონოს მართალი. ასმათის არ იყოს, მეც ყოველთვის ჩემს სიძეს ვამართლებ. როცა ხედავ, კაცი ყველაფერს აკეთებს, რომ შენი შვილი ბედნიერი იყოს, შვილიშვილები კარგად იყვნენ, რატომაც არა?! მე მართლაც ასეთი სიძე მყავს, მისით აღ-

Cyan Magenta Yellow Black

ფრთოვანებული ვარ. ამ ყველაფერს კი ხელის შეწყობა, მხარში დგომა სჭირდება. სხვათა შორის, სერიალში მეორე სიძეც — ვანიკო თარხნიშვილის პერსონაჟი ძალიან საინტერესოა. თავისი შეხედულებები, პრინციპები აქვს,

ირინა: „ძალიან მინდა, რომ ასმათის პერსონაჟი დავიმეგობრო, დავიახლოვო და ჩემი შვილის მიმართ ჯერგად განვაწყო".

ეს პერსონაჟიც მომწონს. ლექსებს წერს, მუსიკა უყვარს, ხელოვანი ადამიანია.

— საინტერესოა, თავის დროზე თქვენ როგორი რძლები იყავით.

ასმათი: დიდი ხანია, არავის რძალი არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი თაყვანისმცემლების დედებს ყველას ძალიან ვუყვარდი. შვილი მარტომ გავზარდე. ჩემს ოჯახში ჩემი დედიკო იყო, რომელიც 100 წლის გავხადე. ასეთივე რძალიც ვიქნებოდი. „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი" რომელ დარბაზშიც იყო, წელიწადნახევრის წინ იმ დარბაზში იყო ჩემი შვილის ქორწილიც და ჩემი შვილის ქორწილში რა კაბაც მეცვა, ის კაბა მეცვა ფილმის გადაღებებზეც.

ირინა: ჩემს დედამთილს და მამამთილს დედას და მამას ვეძახდი. ისინი უბრალო, მშრომელი, ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ, ლაგოდეხში ცხოვრობდნენ. დედამთილი ჩემს ხელში გარდაიცვალა, მე ვუვლიდი. ძალიან დიდი ამაგი მაქვს დედამთილზეც და მამამთილზეც. ბოლო წლებში ძალიან ბევრი გადაიტანეს, ჩემს მეუღლეს ძმაც და დაც უცებ გამოეცალა ხელიდან. დედამთილს ძალიან რთული ცხოვრება ჰქონდა და ამის გამო მძიმე ხასიათი ჩამოუყალიბდა.

— ქალბატონი ირინა, თქვენი მეუღლე ბროიგერ სიით ვინ არის?

ირინა: ჩემი მეუღლე, აკაკი შანშიაშვილი, კინორეჟისორია. უკვე 37 წელია ერთად ვცხოვრობთ, ძალიან ერთგული ადამიანია. ძალიან მგულშემატკივრობს. თეატრში დიდი პაუზა მქონდა, 9 წელია იქ არ მითამაშია. ახლა სრულიად სხვა საქმით ვარ დაკავებული, პროფესიულ საქმიანობას სრულად მოვწყდი და, სხვათა შორის, მეუღლემ მიბიძგა, ისევ ჩემს საქმიანობას მივბრუნებოდი.

— ახალი კატო გყავთ, ლელა მებურიშვილი. როგორ შეგვეკეთ ახალ პარტნიორს?

ირინა: პარტნიორზე ბევრი რამეა დამოკიდებული, მისგან გამომდინარე ყალიბდება ურთიერთობები. ლელასთან ბევრი გადაღება არ გვქონია, მაგრამ რაც იყო, ნორმალურად ჩაიარა. ნინო გაჩეჩილაძე მომწონდა, ის სერიალში მარგალიტივით იყო, მაგრამ ლელაც ძალიან მომწონს, არაჩვეულებრივი გოგოა.

ასმათი: ნინო გაჩეჩილაძემ თავი ძალიან შემაყვარა. მართალია, სერიალში რთული სცენები გვაქვს, ჩვენს დიალოგს რომ ვუყურებ, მე თვითონ ცუდად ვხდები, ვამბობ, ამ დროს კატო რა საცოდავად არის-მეთქი. ირინამ ნინოზე თქვა, მარგალიტი იყოო. ნინო თეთრი მარგალიტი იყო და იმედი მაქვს, რომ ლელა ჩვენს ნაცრისფერ მარგალიტად იქცევა. პირველ გადაღებაზე ძალიან ღელავდა და გავამხნევეთ. მსახიობს შეძახილიც სჭირდება.

— სანამ თქვენს ცხოვრებაში ეს სერიალი გამოჩნდებოდა, რას საქმიანობდით?

ირინა: სახლში კერძო საბავშვო ბაღი მაქვს გახსნილი. სხვათა შორის, ამ სერიალის წყალობით, ბავშვები მომემატნენ. თურმე ამბობენ, ირინასთან მივდივართ, ლიკუნას და კატოს დედასთანო. როცა მოდიან, ლიკუნას და კატოს ეძებენ.

ასმათი: ამ ბარის მფლობელი ვარ. აქ ყველაფერი ჩემი და ჩემი შვილის გაკეთებულია. ძალიან აქტიური ვარ. ჩემი სახლის წინა მხარე დანგრეული იყო და სკვერი გავაკეთე.

ასმათი: „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი" რომელ დარბაზშიც იყო, წელიწადნახევრის წინ იმ დარბაზში იყო ჩემი შვილის ქორწილიც და ჩემი შვილის ქორწილში რა კაბაც მეცვა, ის კაბა მეცვა ფილმის გადაღებებზეც".

ბევრი ამის წინააღმდეგი იყო, ავტომობილი სად გავაჩეროთო,მეუბნებოდნენ. ერთმა მითხრა, ჩემთან სტუმრები სულ მანქანებით დადიან და სად დააყენონო. ჩემთან ურმით და ცხენით ვინ ნახე-მეთქი, ვუთხარი და იქ სკვერი მაინც გავაკეთე. მართალია, სახლში რომ მივდივარ, მანქანის გასაჩერებელი ადგილი არ მაქვს, მოშორებით ვაყენებ, მაგრამ არ ვნანობ, ძალიან ლამაზი სკვერი გამოვიდა.

✓ ეკა ლემონჯავა

კაპსიკამი®

გამახურებელი მალამო ტკივილგამაყუჩებელი ეფექტით

- რადიკულიტი
- ოსტეოქონდროზი
- ნევრალგია
- ართრიტი
- კუნთოვანი ტკივილი

თანამედროვე ცხოვრება ნამდვილად არ გვანებივრებს. ჩვენს ხერხემალს, სახსრებს, კისრის კუნთებს, მყესებსა და იოგებს დაძაბულ რეჟიმში უხდებათ მუშაობა,მათი დაზიანება ძლიერ ტკივილს იწვევს და იძულებულს გვხდის, საყვარელ საქმიანობაზე უარი ვთქვათ.

მალამო კაპსიკამი თავისი გამახურებელი მოქმედებით გაგითბობთ მტკივნეულ უბანს, გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას, დაგიამებთ ტკივილს და მოგიხსნით კუნთოვან დაჭიმულობას. თქვენ მალევე იგრძნობთ შვებას და შემაწუხებელი ტკივილიც გაივლის.

კაპსიკამი გამოიყენება როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რადიკულიტის, ნეკნთაშუა ნევრალგიის, რევმატოიდული ართრიტის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის და მიოზიტის დროს.

მიღების წესი და დოზირება:

- აპლიკატორის საშუალებით შეიზილეთ 1-3 გრ კაპსიკამის მალამო მტკივნეულ უბანზე

პრეპარატის მოქმედება იწყება 3-5 წუთის შემდეგ, მაქსიმალური ეფექტი მიიღწევა 20-30 წუთში და გრძელდება 2-3 საათი.

- გამოიყენება დღეში 2-3 ჯერ ტკივილის სრულ გაქრობამდე.
- სპორტსმენებმა ვარჯიშის დაწყებამდე უნდა შეიზილონ პრეპარატი კუნთებში კანის ოდნავ შეწითლებამდე.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს



კაპსიკამი® - შვებისმომგვრელი სითბო და ტკივილი უკვალოდ ქრება!

Grindex

Cyan Magenta Yellow Black

„სკოლის დირექტორი მეარშიყება“

გასული წლის სექტემბერში სკოლაში ახალი დირექტორი დაგვინიშნეს, დაახლოებით 46 წლის კაცი. იგი კლასებში ხშირად დადიოდა და ყველას გვაკონტროლებდა, განსაკუთრებით კი ჩემს კლასს ადევნებდა თავს. მე ხშირად მეკითხებოდა რაღაცეებს. მოკლედ, მასთან ყოველდღიური კონტაქტი მქონდა. დაქალები „მეკაიფებოდნენ“, მგონი, მაგ კაცს მოსწონხარო. ამ ყველაფერზე ვიცინოდით, ბუნებრივია, ამას სერიოზულად არ ვუყურებდით.

ერთ დღეს, შუა ზამთარში, მე და ჩემმა მეგობარმა ჩვენი კლასელი გავწუწეთ, ამიტომ დამრიგებელმა დირექტორის კაბინეტში მიგვიყვანა. მან დაგვარიგა, გაგვაფრთხილა, ბევრი გველაპარაკა. ბოლოს ჩემი მეგობარი გაუშვა, მეც ავდექი, რომ მას გავყოლოდი, მაგრამ მითხრა, შენ დარჩიო. იძულებული გავხდი, ეს გამეკეთებინა და იქვე, ტახტზე ჩამოვჯექი. მან კი ამ დროს კარადიდან ჭიქები და შოკოლადი გამოიღო.

ვერ მივხვდი, რას აკეთებდა. მერე კი ამაზრზენად დაიწყო ლაპარაკი, მომიახლოვდა და... მე თავიდან მოვიშორე, ვუთხარი, ამას კიდევ ერთხელ თუ გაიმეორებდა, ვუჩივლებდი და მშობელს ვეტყოდი, მაგრამ ჩემმა მუქარამ არ გაჭრა. ყოველდღე საბაბს ეძებს, რომ კაბინეტში შემიყვანოს ან ჩემთან დარჩეს პირისპირ, მაგრამ ვცდილობ, ეს თავიდან ავიცილო. მირჩიეთ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე.

თქვენი ერთგული მკითხველი, 16 წლის

„ძმამ დაქალი დამაკარგვინა“

7 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. ოჯახში მხოლოდ სამნი დავრჩით — მე, დედა და უფროსი ძმა. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 4 წელია. მამის მაგივრობას ძმა მიწევდა. დედა ბევრს მუშაობდა, ამიტომაც სახლში მხოლოდ ორნი ვიყავით და პატარაობიდანვე მასზე ვიყავი დამოკიდებული. ხშირად ვჩხუბობდით, მაგრამ ბოლოს მაინც ვრიგდებოდით, რადგან ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ახლაც გვიყვარს. ჩხუბი კი უმეტესად ჩემი მოკლე კაბის ან კომპიუტერის გამო მოგვდიოდა.

ჩემი საუკეთესო დაქალი ჩემი ძმის კლასელია. მართალია, ჩემზე უფროსია, მაგრამ მაინც კარგად ვუგებთ ერთმანეთს და ბევრი რამ გვაქვს საერთო. ერთხელ სახლში დავპატიჟე, რამაც ჩემი ძმა ძალიან გააკვირვა. როცა ის გოგო წავიდა, მითხრა, მასთან გავლილი არ დაგინახო, უზრდელი და თავხედია, მეშინია, რამე შარში არ გაგხვიოსო.

შევეწინააღმდეგე, ავუხსენი, რომ ის ძალიან კარგი ადამიანია და მეგობარს არ დავკარგავდი. ჩემთვის მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ მეორე დღეს თურმე იმ გოგოსთან მივიდა და უთხრა, ჩემს დასთან გავლილი არ დაგინახო, ახლოსაც არ გაეკაროო. მას შემდეგ ის გოგო აღარც მელაპარაკება, ჩემზე ნაწყენია. ძმას უფლება არ ჰქონდა, ასე მომქცეოდა!

მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

„მასწავლებელი კლასელების წინაშე მლანძღავს, დედაჩემთან კი მაქებს“

14 წლის გოგო ვარ, ძალიან კარგად ვსწავლობ. ყოველთვის კარგი ქულები მქონდა, სანამ ახალი ინგლისურის მასწავლებელი არ მოგვიყვანეს. რატომღაც სულ ცდილობს, რაღაცაში გამომიჭიროს და ცუდი ნიშანი დამიწეროს. თუ გაკვეთილს ხსნის, ყურადღებით ვუსმენ, მაგრამ ის ბავშვებს ეუბნება, შეხედეთ, რა უყურადღებო და უზრდელიაო. მლანძღავს.

ერთხელ დედაჩემი მოვიდა სკოლაში, მან კი, ჩემდა გასაკვირად, ქება დამიწყო, რა კარგი ბავშვია, სულ მისმენს და ძალიან კარგად სწავლობსო. თუ დედაჩემთან მაქებს, ბავშვებთან რატომ მექცევა ცუდად?

აღარ ვიცი, რა ვქნა, როგორ დავარწმუნო დედა, რომ მასწავლებელი ასე მექცევა? ის ამბობს, ძალიან კარგი ქალია, რას ერჩი, ხომ ხედავ, როგორ გაქებსო. სინამდვილეში ასე არ არის. ბევრს ვმეცადინეობ, რომ გამომიძახებს, კარგად ვყვები, ყველა შეკითხვაზე პასუხს ვცემ, მაგრამ ნიშანს მაკლებს. მხოლოდ ამ საგანში მაქვს პრობლემა და არ ვიცი, როგორ მოვაგვარო. გთხოვთ, მირჩიეთ რამე!

„სარკის“ მკითხველი

„მპედაგოგი იმის გამო გადამეკიდა, რომ რეპეტიტორთან დავდივარ“

ძალიან ბევრს ვმეცადინეობ ყველა საგანში, მაგრამ, ალბათ როგორც ბევრ გოგოს, ფიზიკა მაინც ყოველთვის მიჭირდა. ისეთი მასწავლებელი მყავს, რომ ვერაფერს მაგებინებს. ძალიან სწრაფად და გაურკვეველი ენით ლაპარაკობს. ზოგჯერ ერთი რამის გამეორებას ორჯერ ვთხოვ. ძალიან რომ ჩამოვჩი ამ საგანში, მშობლებმა რეპეტიტორთან მიმიყვანეს.

საკმაოდ სწრაფად ავითვისე ყველაფერი, სკოლის პროგრამასაც მალე დავეწიე. გაკვეთილზე უკვე ყველა ამოცანას კარგად ვხსნიდი და მასწავლებელიც თავს იქებდა, აი, ხომ ხედავთ, ისე აგიხსენით, რთულ საკითხებს ესეც კი იგებსო. მერე კიდევ რომ მოვუმატე სწავლას, მასწავლებელს ეჭვი შეეპარა, რომ რეპეტიტორთან ვემზადებოდი, მერე კი ეს ერთმა ჩემმა ენაჭარტალა კლასელმაც დაუდასტურა.

ამის გამო ფიზიკის მასწავლებელმა ამითვალწუნა. ყოველ გაკვეთილზე ცდილობს, რამეში გამომიჭიროს. საკონტროლო წერაზე რაღაც რთული ამოცანები მომიტანა, შენ უფრო ძნელები უნდა ამოხსნა, თუ კარგი ნიშანი გინდაო. რამდენიმეს გაკეთება შევძელი, მაგრამ ბევრზე წარმოდგენაც არ მქონდა, რაზე იყო და ამოხსნა ვერ მოვახერხე. ამის შედეგად კი ცუდი ქულა მივიღე. დედას ეს რომ ვუთხარი, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ვისთვის მიემართა? საქმე ისაა, რომ ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი სკოლის დირექტორია და ნამდვილად სარგებლობს ამით.

დედა აპირებს, უჩივლოს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არ აკეთებს ამას, სიტუაციის გამწვავებას ერიდება. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ მირჩიოთ, ეს პრობლემა ისე როგორ მოვაგვარო, რომ დიდი ხმაური არ გამოიწვიოს.

მკითხველი, 16 წლის

Cyan Magenta Yellow Black

„სკოლის მანდატურმა სიყვარული ამიხსნა“

მეთორმეტეკლასელი ვარ. ისეთ სიტუაციაში არასდროს ვყოფილვარ, როგორც ახლა. მინდოდა, ამ წელს მხოლოდ სწავლაზე მეფიქრა, უმეტეს დროს მეცადინეობას ვახმარდი. ახლა ყველაზე მეტად ვნერვიულობ გამოცდების გამო, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ კარგ შედეგს მივაღწიო, მაგრამ ბევრჯერ ხელი მეშლება, მით უმეტეს, ერთი ადამიანისაგან, რომელმაც პრობლემები კიდევ უფრო გამიზარდა.

მეორე სემესტრში ჩვენს სკოლაში ახალი მანდატურები მოვიდნენ. ერთი ბიჭი 25 წლისაა. ის თავიდანვე დიდ ყურადღებას მითმობდა. ყოველ დასვენებაზე ჩვენს კლასთან იდგა და გველაპარაკებოდა. რამდენჯერმე ჩვენ ორსაც გვისაუბრია. მერე თურმე ჩემი ტელეფონის ნომერი გამოართვა კლასელს და იმის შემდეგ ხშირად მწერდა, კარგი გოგო ხარ, ყველაზე მეტად ამხიარულებ ბავშვებსო, მეუბნებოდა.

თავიდან ვფიქრობდი, ამას იმიტომ მწერდა, რომ მეგობრული ვეგონე, მერე კი სხვანაირი შინაარსის მესიჯები გამომიგზავნა, სიყვარულს მიხსნიდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე ჩემს კლასელებს აბარებს რაღაცეებს, ესა და ეს უთხარითო. 8 მარტს რეპეტიტორისგან რომ ვბრუნდებოდი, გზაში დამხვდა, მომილოცა და შეფუთული საჩუქარი გადმომცა. არ ვართმევდი, მაგრამ ძალით ჩამიგდო ჩანთაში. მითხრა, ძალიან მიყვარხარო. გაშეშებული ვიდექი და ვუსმენდი. მერე მივახალე, თავი დამანებე-მეთქი. სახლისკენ ჩქარა წავედი და უკან არც მომიხედავს. მერე საჩუქარი გამახსენდა, ამოვიღე და მის დასანახად მიწაზე დავდე. ეს ამბავი მეორე დილით მხოლოდ საუკეთესო მეგობარს მოვუყევი, სხვამ არავინ იცის.

თავს არ მანებებს, სკოლაში ჩემთან საუბრის გაბმას ცდილობს, მაგრამ ყველანაირად თავს ვარიდებ. თვითონაც კარგად ხვდება უკვე, რომ ჩემთან ურთიერთობის შანსი არ აქვს, მაგრამ თავისას არ იშლის.

მეშინია, რომ მთელი სკოლა ჩემზე ჭორაობას დაიწყებს, ვატყობ, ჩვენ მიმართ ინტერესი უფრო და უფრო ღვივდება. არ მინდა, ეს ჩემმა ოჯახმა გაიგოს, რადგან ვიცი, რა რეაქციაც ექნებათ. ჩემი მშობლები ქვეყანას შეყრიან და ეს მეცადინეობაში ხელს შემიშლის. ვოცნებობ, სკოლა მალე დავამთავრო.

„სარჩის“ მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

„ტყუილმა ჩვენს მეგობრობას ვერაფერი დააკლო“

მე 12 წლის გოგო ვარ. ორ კლასელთან, ტყუპებთან განსაკუთრებით ვმეგობრობ, მაგრამ ერთ დღეს-აც უმიზეზოდ გამებუტნენ. თურმე ერთმა ჩვენმა კლასელმა უთხრა, ვითომ მათზე ვიჭორავე. მათაც დაიჯერეს და წამეჩხუბნენ.

მე გაოგნებული დავრჩი. თავიდან არ მიჯერებდნენ, რომ მართალი ვიყავი, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ დარწმუნდნენ. მიხვდნენ, რომ იმ ბავშვმა ტყუილები თქვა. ამის გამო სამივე წავეჩხუბეთ მას. ეს რომ მასწავლებელმა გაიგო, ახსნა-განმარტება დაგვაწერინა, რომ ასე აღარ მოვიქცეოდით. კარგია, რომ იმ კლასელმა ჩვენს მეგობრობას ვერაფერი დააკლო.

მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ხაბურზანიას ამერიკელმა ცოლმა საქართველოში ვერ გაძლო

„არც ერთი პარამეტრით „ახალი ხმა“ „საქართველოს ვარსკვლავის“ კონკურენტი არ იყო!“

ყველა იმ შოუს უკან, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე გასულა და დღემდე გადის, ზოგი — დიდი წარმატებით, ზოგი — ნაკლებით, პროდიუსერი გიორგი ხაბურზანია დგას. 13 წელია გასული მას შემდეგ, რაც მან, ამერიკაში განათლებამიღებულმა ახალგაზრდამ, პირველად შეაბიჯა ამ არხზე და მის მფლობელებს თავისი იდეები შესთავაზა. ასეთ შემთხვევებზე ამბობენ ხოლმე, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდაო. მისი პირველი დიდი წარმატებული პროექტი „ვის უნდა ოცი ათასი“ იყო, რომელმაც მაშინდელ ქართულ ტელებაზარზე ფურორი მოახდინა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

36 წლის ასაკში გიორგი ხაბურზანიას მეორე ნახევარი ჯერ არ უპოვია. ერთი წარუმატებელი ცდა ჰქონდა. პირადზე ლაპარაკი იმდენად არ უყვარს, რომ კინაღამ ინტერვიუ შეგვაწყვეტინა: „ამ მხრივ საინტერესო მოსაყოლი არაფერი მაქვს“. წარმატებული პროდიუსერის მთავარ მიზნად ჯერჯერობით ის რჩება, რომ რაც შეიძლება მეტი ტელემაყურებელი მიაჯაჭვოს ეკრანს ახალ-ახალი სანახაობებით.

— გიორგი, ყველა ადამიანი უპირველესად ოჯახიდან მოდის. თქვენ როგორ გზრდიდნენ მშობლები ან თავად რა მიდრეკილებებს ამჟღავნებდით?

— დედისერთა ვარ. მამა, ავთანდილ ხაბურზანია, ადრე გარდამეცვალა, მაშინ ორი თვის ვიყავი. დედა, ლიანა გაბეჩავა, ინგლისური ენის სპეციალისტია, ლექტორია. მან დიდი როლი ითამაშა ჩემს აღზრდაში. ბავშვობიდან დიდ ინვესტიციებს დებდა ჩემს განათლებაში. რაც თავი მახსოვს, დედა სულ რაღაცას მაკითხებდა და მამეცადინებდა.

მშვენიერი, უზრუნველი ბავშვობა მქონდა. 55-ე სკოლაში ვსწავლობდი. სკოლაში საბჭოური ისტორია ისწავლებოდა. ცენზურა იგრძნობოდა ყველაფერში, მაგრამ ჯანსაღი თაობა იყო — რუსეთისკენ არ იხედებოდნენ, დასავლეთი აინტერესებდათ სწორედ იმიტომ, რომ ეს აკრძალული ხილი იყო. ვიცოდით, რომ მუსიკა, კულტურა და ა.შ. დასავლეთში უფრო საინტერესო იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში. მკვეთრად ჩანდა განსხვავება საბჭოთა კავშირისა და გონებაგახსნილ დასავლურ სამყაროს შორის.

მახსოვს, მიწისქვეშა გადასასვლელებში ხმის ჩამწერები იყო. კასეტას მიიტანდი და იმას გადაგიწერდნენ, რაც გინდოდა. სამწუხაროდ, არჩევანი შეზღუდული იყო. პატარა ვიყავი, „ქვინის“ მოსმენა რომ დავიწყე.

10 წლის ასაკიდან მინდოდა, საბჭოთა კავშირის ფარდა გადამეწია და დასავლეთი გამეცნო. გასული საუკუნის 90-იან წლებში საზღვრები ცოტა გაიხსნა. ამერიკელი სპეციალისტები, პროფესორები ჩამოდიოდნენ. დედა მათ დაუმეგობრდა და ერთ-ერთმა ოჯახმა დამპატიჟა თავისთან სასწავლებლად. ერთი წლით წავედი ამერიკაში, ტექსასელმა ოჯახმა დამპატიჟა. ტექსასის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში მივედი. გამიმართლა, რადგან სხვანაირად ვერ მოვახერხებდი წასვლას, ამისთვის საჭირო ფინანსები არ არსებობდა.

— რა სამყარო დაინახეთ აქედან ჩასულმა?

— მაშინ 15 წლის ვიყავი და სრული კულტურული შოკი მივიღე. 1990 წელი იყო. საქართველოში საშინელი პერიოდი იდგა. რეალურად ჩვენს სკოლებში სწავლა აღარ იყო. თბილისიდან სხვა პლანეტაზე აღმოვჩნდი, მაგრამ კინოებში როგორი ქვეყანაც მქონდა ნანახი, ისეთი არ დამხვდა. ქუჩაში არ ისროდნენ, დალაგებული, წყნარი სიტუაცია იყო. სახლის კარსაც კი არ კეტავდნენ. ქვეყნის სიმდიდრე ჩანდა. საშუალო ფენის ამერიკელს საკუთარი ეზოიანი სახლი ჰქონდა და ეს სიმდიდრედ არ ითვლებოდა. ძალიან მაღალ დონეზე იყო განათლება. შოკი მივიღე მაშინაც, როცა გაკვეთილზე დავინახე, რომ ოცდაათივე მოსწავლეს საშინაო დავალება გაკეთებული ჰქონდა.

„ამბობენ, ჰომ „მაესტრო“ ნინ ნავიდა, მაგრამ სინამდვილეში მას ჰეიტინგით „ჯომედი ეხი“ ესნიებს. ბაზაზე ჯონჯენტად „იმედი“ გვყავს, ისიც ხანდახან, ოოცა ხალაც ჰოოექტს აკეთებენ. მაგალითად, მათ ჰოოექტს „სეჯვავენ ვახსკვლავები“ და ჰიოვეი ჯომედიეს სეზიალს „შეა ქალაქში“ დიდი ჰეიტინგი ჰქონდა“.

„ჩვენ ღეკა ზაქარიაძისნაირი ტიპაჟის გამახვევება გვინდოდა, ჰომელიც აღრე ვეი გაიმახვევდა. შეიძლებოდა ვეოც მოხვედრილიყო ჯონჯესში. ის „ჯეოსტარშიც“ იღებდა მონანილეობას და დაინენეს“.

— ინგლისურად კარგად მეტყველებდით?

— მეგონა, ინგლისური ვიცოდი, მაგრამ თავიდან გამიჭირდა. სხვას თუ ორი საათი სჭირდებოდა სამეცადინოდ, მე რვა საათი ვმეცადინეობდი სწორედ ენის ბარიერის გამო. ერთი წლის მერე დავბრუნდი საქართველოში. უცხო ენების ინსტიტუტში ჩავაბარე და ორი წელი ვსწავლობდი. ტექსასში ყოფნისას იქაურ უნივერსიტეტებში გავაგზავნე ჩემი მონაცემები, ესეები და ა.შ. გამიმართლა, სწავლა დამიფინანსეს და დავბრუნდი, სტუდენტობა იქ გავაგრძელე. ვსწავლობდი ფაკულტეტზე, რომელსაც ეწოდებოდა რადიო, ტელევიზია და ფილმი პროდიუსინგის და მენეჯმენტის განხრით. 5 წელი ვცხოვრობდი იქ.

— „რუსთავი 2“-მა და თქვენ როგორ დაუკავშირეთ ბედი ერთმანეთს?

— ეს იყო 1999 წლის ბოლოს. 24 წლის ვიყავი. სხვადასხვა ტელეარხზე მივედი, რომ ჩემი პროფესიით მემუშავა, მაგრამ „რუსთავი 2“ იყო ერთადერთი, ყველაზე გამორჩეული არხი, რომელიც დროს 5 წლით მაინც უსწრებდა. მაშინ ეროსი კიწმარიშვილი და დათო დვალი იყვნენ არხის მფლობელები. მათ შევხვდი და ეგრევე გამოვნახეთ საერთო ენა.

— მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა იყავით, 24 წლის. რა მიზანი გქონდათ?

— მინდოდა, ქართულ ტელებაზარზე დასავლური პროდუქტი შემომეტანა. იმ პერიოდში რუსეთი იყო ჩვენთვის გამტარი. სატელევიზიო პროდუქტი დასავლეთიდან რუსეთის გავლით შემოდიოდა დამახინჯებული სახით. პოპკულტურა ისეთი სფეროა, რომ არ არის საჭირო, ბუფერული ზონა გქონდეს. ჩვენ კატეგორიულად არ გვჭირდება რუსეთიდან შემოსული ფსევდოდასავლური პროდუქტი. სადაც იქმნება მასალა, პირდაპირ იქიდან უნდა შემოდიოდეს. „რუსთავი 2“-მა გადადგა პირველად ეს ნაბიჯი და პროგრესზე ავეწყვეთ.

— რა იყო თქვენი პირველი პროექტი?

— ეს იყო „ვის უნდა ოცი ათასი“. ვერავის წარმოედგინა, რომ ეს პროექტი საქართველოში წარმატებული იქნებოდა, რადგან აქ ძალიან ცუდი სიტუაცია იყო, უშუქობა და სხვა პრობლემები.

— როგორ მოარგეთ ეს პროექტი საქართველოს?

— თუ სხვა ქვეყანაში იყო „ვის უნდა მილიონი“, ჩვენ ოცი ათასზე ჩამოვედით. მერე ბრიტანელებმა გალა ფესტივალი გააკეთეს, სადაც ყველა ქვეყნის წარმომადგენელი მიიწვიეს, ვინც ამ პროექტს აკეთებდა და ჩვენ პრიზი ავიღეთ, როგორც მსოფლიოში ყველაზე პატარა სტუდიის მფლობელებმა. მართლა ძალიან პატარა სტუდია გვქონდა.

— მერე კი იყო „ჯეობარი“, რომელსაც დიდ ინტერესთან ერთად დიდი სკანდალებიც მოჰყვა.

— ეს დიდი პროექტი იყო. არც გვჯეროდა, ასეთ ინტერესს თუ გამოიწვევდა. ახლაც კი ამბობენ, რომ ენატრებათ. მერე სხვადასხვა პროექტი გავაკეთე — „ხალხის ხმა“, „დასი“... მსოფლიო ტენდენციებს მივყვებით პოპკულტურაში. რაც მსოფლიო სატელევიზიო სივრცეში ხდება, ზუსტად იგივე მოგვაქვს საქართველოში. ჩრდილოეთ კორეა არ ვართ, რომ დანარჩენი სამყაროსგან განცალკევებით დავდგეთ.

— რაც გაგიკეთებიათ, იქიდან თქვენი ყველაზე საყვარელი პროექტი რომელია?

— მე და „რუსთავი 2“-ის გუნდს ძალიან გვიყვარს „ნიჭიერი“. ამას მარტო არ ვაკეთებ, პროდიუსინგში მთავარ ადამიანთან, დემნა ჯაფარიძესთან ერთად კეთდება ყველაფერი. საერთოდ, ყველა პროექტის წარმატება „რუსთავი 2“-ისა და მისი გუნდის დამსახურებაა, რადგან აქ ისეთი შრომისმოყვარე ადამიანები არიან, არსად რომ არ მინახავს.

Cyan Magenta Yellow Black

— ნაკლებად წარმატებული ან სულაც წარუმატებელი პროექტი რომელი გქონდათ?

— მაგალითად, „სუსტი რგოლი“, რომელსაც ძალიან დაბალი რეიტინგი ჰქონდა. ასევე „დასი“, სადაც რეალითის და თეატრის შერწყმა ვცადეთ, მაგრამ არასაინტერესო გამოვიდა. ყოფილა წარმატებული პროექტებიც, რომელიც პირადად მე არ მომწონდა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი.

— „ჯეოსტარის“ წარმატება და პოპულარობა მარინა ბერიძესა და მის გუნდთან იყო დაკავშირებული. რატომ გახდა საჭირო ამ ყველაფრის ჩანაცვლება „საქართველოს ვარსკვლავით“ და ახალი შემადგენლობით?

— ამის მიზეზი მარინა ბერიძე არ ყოფილა. ეს იყო აბსოლუტურად მარკეტინგული სვლა. „ჯეოსტარი“ „ამერიკის კერპის“ („ამერიქან აიდოლ“) ლიცენზირებული ვარიანტია. აქ ცოტა სხვანაირად დაიწყო თავიდან, ამიტომ მისი რებრენდინგი გახდა საჭირო ორმხრივ: პირველი, რომ პროექტი უნდა გახალისებულიყო და გათანამედროვებულიყო, რადგან დიდი ხანი გადიოდა ერთი და იმავე სახით და მეორე — პროექტი „რუსთავი 2“-თან უნდა ყოფილიყო ასოცირებული და არა — სპონსორ კომპანიებთან. ამავდროულად ბრიტანელების მოთხოვნა იყო, რომ ამ კონკურსის ფორმატი სრულად დაგვეცვა — ვინც კონკურსანტებს მუსიკალურად ამზადებდა, ჟიურიში არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ ლუკა ზაქარიაძისნაირი ტიპაჟის გამარჯვება გვინდოდა, რომელიც ადრე ვერ გაიმარჯვებდა. შეიძლებოდა ვერც მოხვედრილიყო კონკურსში. ის „ჯეოსტარშიც“ იღებდა მონაწილეობას და დაიწუნეს. ლუკა ზაქარიაძე არის სახე იმ ცვლილებებისა, რაც „საქართველოს ვარსკვლავში“ მოხდა. სულ ეს იყო და რატომღაც ვიღაცეებმა პირად დაპირისპირებად მიიღეს. დღესაც გული მწყდება, რომ მუსიკალური რედაქცია ჩვენთან აღარ არის, რადგან ერთ გუნდად ძალიან კარგად ვმუშაობდით.

— დღეს როგორი ურთიერთობა გაქვთ ქალბატონ მარინასთან?

— მან ბევრი ცუდი რამ დაწერა ჩემზე. არ ვიცი, რატომ და არც ჩავძიებივარ. პირადი დაპირისპირება არავისთან მაქვს.

— მსახიობ დუტა სხირტლაძის სახით შოუმენის აღმოჩენა სწორედ თქვენი დამსახურებაა. „ვის უნდა ოცი ათასის“ შემდეგ, წლების განმავლობაში, ის თქვენი სახე იყო, ბოლოს კი წაიყიდა. მისი წასვლით ბევრი დაკარგეთ თუ ცოტა?

— ამას ვერ შევაფასებ, დუტას წასვლით „რუსთავი 2“-მა დაკარგა თუ არა ბევრი. პროცენტულ მაჩვენებელს ნამდვილად ვერ ვიტყვი. ის დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩვენთან. ეს ჩვეულებრივი პროცესია, როცა წამყვანი ერთი ტელეკომპანიიდან მეორეში გადადის, განსაკუთრებული არაფერია. ამავდროულად აღვნიშნავ, რომ დუტა ჩემი აღმოჩენა არაა. „ვის უნდა ოცი ათასი“ რომ დავიწყეთ, დუტა მანამდეც თანამშრომლობდა „რუსთავი 2“-თან, როგორც მსახიობი. უბრალოდ სატელევიზიო კარიერა ჩვენთან დაიწყო. დასანანი ისაა მხოლოდ, სეზონი არ გადიოდა ისე, დუტასთვის ერთი ან ორი დიდი პროექტი რომ არ მიგვეცა. რეალიზების საშუალება ჩვენთან ყოველთვის ჰქონდა. იმედია, მისი კარიერა სხვა ეტაპზე გადავა და მეტს მიაღწევს.

„დასანანი ისაა მხოლოდ, სეზონი არ გადიოდა ისე, დუტასთვის ეთი ან ოთი დიდი პროექტი ჰომ არ მიგვეცა. ჰეალიზების საშუალება ჩვენთან ყოველთვის ჰქონდა“.

— რატომ წაიყიდა, რა პირობებზე ვერ შეთანხმდით?

— ალბათ იმიტომ წავიდა, რომ უკეთესი პირობები შესთავაზეს. კომპანიიდან კომპანიაში იმიტომ გადადიან, რომ უკეთეს პირობებს ეძებენ.

— იმ პერიოდიდან, როცა მუშაობა დაიწყეთ, „რუსთავი 2“-ზე არსის მფლობელები, ისე როგორც გენდირექტორები, მრავალჯერ შეიცვალნენ, იმისდა მიხედვით, რა ძალები მოდიოდნენ ხელისუფლებაში. თქვენ კი უცვლელი რჩებით. ყველანაირ ხელმძღვანელობასთან როგორ ახერხებთ საერთო ენის გამონახვას?

— მთელ მსოფლიოში მედიაბიზნესში ხელმძღვანელობა ხშირად იცვლება. ჩვენთან ჰგონიათ, რომ ახალი ხელმძღვანელობა თუ მოვა, მან თავისი ხალხი უნდა მოიყვანოს. ტელეკომპანია სახელმწიფო სექტორი არაა, ასე ხდებოდეს, ეს არის კომერციული სტრუქტურა. აქ ყოველთვის მთავარია ის ხალხი, ვინც კომერციულად მომგებიან პროდუქტს ქმნის. თუ ტელეკომპანიას რადიკალურად არ შეეცვალა ფორმატი, გუნდზე ხელმძღვანელის შეცვლა არ მოქმედებს. ბუნებრივია, როცა დირექცია იცვლება, თავიდან გაცნობა და ხედვების გაზიარება ხდება. გასართობ პროგრამებს რაც შეეხება, განსხვავებული ღირებულებების შეჯახება ხელმძღვანელობასთან არასდროს ყოფილა.

— ნიკა გვარამია როგორი ხელმძღვანელია?

— კარგი ხელმძღვანელი და გამოცდილი მენეჯერია. ძალიან განათლებული ადამიანია და ეს ყოველთვის პლუსია მენეჯერისთვის. ნახევარი სიტყვით იგებს ყველაფერს, რადგან ცოდნა და გამოცდილება აქვს.

— განვლილ წლებს რომ თვალი გადავავლოთ, როდის იყო „რუსთავი 2“-ის და მასთან ერთად თქვენი წარმატების მწვერვალი, ასე ვთქვათ, ვარსკვლავური დრო?

— ასე ვერ ვიტყვი, რადგან ტელევიზიაში რეიტინგი ყოველდღიურად იცვლება. თითოეული წარმატებული პროექტი ჩემი და ტელევიზიის გამარჯვება იყო.

— დღეს ვის მიიჩნევთ თქვენს კონკურენტ ტელეკომპანიად?

— „რუსთავი 2“-ის ერთადერთი კონკურენტი რეალურად „იმედია“. ამბობენ, რომ „მაესტრო“ წინ წავიდა, მაგრამ სინამდვილეში მას რეიტინგით „კომედი არხი“ უსწრებს. ბაზარზე კონკურენტად „იმედი“ გვყავს, ისიც ხანდახან, როცა რაღაც პროექტს აკეთებენ. მაგალითად, მათ პროექტს „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და პირველ კომედიურ სერიალს „შუა ქალაქში“ დიდი რეიტინგი ჰქონდა. ეს ჩვენთვის კარგია, რადგან სტიმული და გამოწვევაა. სატელევიზიო ბაზრის განვითარებისთვის კონკურენცია აუცილებელია, მაგრამ მაინც ვერ მივედით აქამდე. საქართველოს ტელებაზარზე მარტო კომერცია არ წყვეტს ყველაფერს, როგორც უნდა იყოს, წესით.

— „იმედის“ პროექტმა „ახალმა ხმამ“ დიდი კონკურენცია გაგიწიათ. გულახდილად რომ გკითხრათ, ბევრი მაყურებელი წაგართვათ?

— აბსოლუტურად ვერ დაგეთანმებით, რომ „ახალმა ხმამ“ დიდი კონკურენცია გაგვიწია. მე მიყვარს ფაქტებით და ციფრებით ლაპარაკი. არც ერთი პარამეტრით „ახალი ხმა“ „საქართველოს ვარსკვლავის“ კონკურენტი არ იყო! მას სამჯერ დაბალი რეიტინგი ჰქონდა „საქართველოს ვარსკვლავთან“ შედარებით. ინტერნეტშიც ლუკა ზაქარიაძის ვიდეო უფრო მეტჯერ არის ნანახი, ვიდრე — „ახალი ხმის“. შეიძლება უბრალოდ გარკვეულ სეგმენტში, ვგულისხმობ ახალგაზრდებს, „ახალ ხმას“ მეტი პოპულარობა ჰქონდა იმიტომ, რომ იქ არსებული რეპერტუარი უფრო მოსწონდათ. რეალურად, კომერციული თვალსაზრისით, „ახალი ხმა“ ჩვენი კონკურენტი არ იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მან სპონსორი — „ჯეოსელი“ — შეიცვალა მაშინ, როცა წარმატებული პროექტები ასეთ დიდ ცვლილებებს არ განიცდიან. ჩვენი სპონსორები, „ბილაინი“ და „თიბისი“, ისევ ჩვენთან არიან. ეს ჩემი ემოციური დამოკიდებულება კი არ არის, ფაქტობრივ მონაცემებს ვეყრდნობი — „ახალი ხმა“ „საქართველოს ვარსკვლავის“ კონკურენტი არ ყოფილა.

— დაბოლოს, პირადსაც შეეხოთ. ცოტა უცნაურია, რომ 36 წლის წარმატებული მამაკაცი მარტოხელა ცხოვრებას ეწევა. არაყინ გყვარებიათ თუ იმედგაცრუება განიცადეთ?

— არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი. ძალიან მოკლედ ვიტყვი, რომ ამერიკაში სწავლისას შემიყვარდა იქაური გოგონა, ცოლად მოვიყვანე და ერთად ვცხოვრობდით. საქართველოშიც წამომყვა, მაგრამ ორი წლის მერე დავშორდით. ალბათ დიდი სიყვარული არ გვქონდა.

„მინდოდა, ქართული ტელებაზარზე დასავლური ჰროექტი შემომეტანა... ჩვენ ჯატეგორიულად არ გვჭირდება ჩუსეთიდან შემოსული ფსევდოდასავლური ჰროექტი. სადაც იქმნება მასალა, ჰიდაპარის იქიდან უნდა შემოდიოდეს“.

✓ მანანა ნოდია

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

დიმიტრი ტატიშვილი: „ცოლი ჩემს გმირებს დასცინის“

მსახიობმა დიმიტრი ტატიშვილმა თეატრის სცენასთან ერთად სატელევიზიო სივრცეც აითვისა. პოპულარობაც სწორედ ეკრანმა უფრო მეტი მოუტანა, ვიდრე თეატრის სცენამ. ახლა უკვე მისი ხმაც ისევე ახდენს უცნობებზე ეფექტს, როგორც სახე, რომელიც სერიალებში ასე ხშირად ჩანს. რას ფიქრობს თავის გმირებსა და პოპულარობაზე, რომელიც მათი წყალობით აქვს, ამის შესახებ მსახიობი ინტერვიუში გვიამბობს.

— ბატონო დიმიტრი, „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ უცებ კონკურენტ სერიალში „შუა ქალაქში“ აღმოჩნდით. ეს თქვენი ინიციატივა იყო თუ სატუალამ მოიტანა?

— სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ჩემი გმირი დემნა თინას დაშორდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეა. ამასობაში კი სერიალიდან „შუა ქალაქში“ შემოთავაზება მივიღე. მსახიობი ვარ და როცა საკუთარი ძალების მოსინჯვის შესაძლებლობა მომეცემა, უარი რატომ უნდა ვთქვა? მით უმეტეს, არა მგონია, ამით სერიალს „ჩემი ცოლის დაქალები“ ხელი შევუშალო. პირიქით, მე მათი მეგობარი ვარ. თუ დამიძახებენ, მათთანაც მივალ. აქაც პროფესიონალები მუშაობენ, თავიანთი საქმე კარგად იციან და დიდი სიამოვნებით ვმუშაობ. თან, აქ თამაში ჩემთვის ახალი გამოცდილებაც იყო.

— რა მხრივ?

— ამ სერიალის ფორმატი — გადაღებებს მაყურებელი რომ ესწრება, ჩემს ცხოვრებაში პირველადაა. არც ერთ სერიალში ასე არ მითამაშია. ამ მხრივ „შუა ქალაქში“ საინტერესოა.

— სერიალებში თამაშის საკმაოდ დიდი გამოცდილება შეგიძლიათ. როგორ ფიქრობთ, რომელმა მათგანმა მოგიტანათ მეტი წარმატება?

— წარმატება რომელმა მომიტანა, ვერ გეტყვით, მაგრამ, კარგი გაგებით, ყველა სერიალმა ჩემზე თავისი კვალი დატოვა. სერიალებში „ქაღალდის ტყვია“, „დეტექტივები“, „ყავა და ლუდი“, „ჩემი ცოლის დაქალები“, რუსულ სერიალში „სტალინი ლაივ“ ვთამაშობდი. „ქაღალდის ტყვიაში“ ძალიან საპასუხისმგებლო როლი მქონდა, მღვდლის როლს ვასრულებდი. სასულიერო პირის თამაში კიდევ სულ სხვა პასუხისმგებლობაა. ვცდილობდი, მღვდლის როლი კარგად განმესახიერებინა, ვიღაცას რომ არ ეთქვა, რანაირი მოძღვარიაო.

„დეტექტივებში“ პოლიციელის როლი ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა. სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, რომ მასზე მუშაობა ასეთი საინტერესო იქნებოდა. რეალური საქმეები იყო, რეალური გამომძიებლები, პოლიციის თანამშრომლები გვეხმარებოდნენ, კონსულტაციებს გვიწევდნენ. ასე თუ ისე, ეს სფერო გავიცანი.

„ჩემი ცოლის დაქალებში“ ჩემი მეგობრები იყვნენ, თვითონ „ფორმულა კრეატივთან“ ვმეგობრობრობ. ფილმში გადამიღეს, ასევე — სერიალში „ჩიფსების თაობა“. დემნა საინტერესო როლი იყო, ვნახოთ, შეიძლება გაგრძელდეს კიდეც.

— მოგწონდათ დემნა, როგორც პიროვნება?

— ჩემი გმირი არაორდინარული და ცოტა არასტანდარტული აზროვნების კაცი იყო. თავისებური ადამიანი გახლდათ, თავისებური ლოგიკა ჰქონდა, რომელიც საზოგადოების ნორმებს არ ემთხვეოდა. ასეთი ადამიანები მართლაც არსებობენ.

— რაიმეთი თქვენ თუ გგავთ ან პირიქით, თქვენ თუ დაიმგავანეთ?

— სერიალი ისეთი სპეციფიკით იქმნება, შეიძლება გმირი თავიდან სხვანაირად იყოს ჩაფიქრებული და შემდეგ სცენარის ავტორმა და რეჟისორმა მსახიობის გამო რაღაც შეცვალოს. თავიდან თუ ერთი ტიპის კაცი იყო ჩაფიქრებული, საბოლოო ჯამში, სხვანაირი გამოვიდეს, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ დემნა ცოტათი მე დამემსგავსა. ადრე ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, თქვენს პერსონაჟებს თუ ჰგავხართო. ნახევრად ხუმრობით ვუპასუხე, ისინი მგვანან-მეთქი. ამაში სიმართლეც არის.

„ჩემს ახალ გმირს ისეთი ცოლი ჰყავს, ქმარ-შვილზე ჯიუხივით რომ ახის გადაფოფხიერი. ცოლი ჩემზე ასე რომ ზრუნავდეს, აღბათ ვეი გავუძღებდი“.

— გული გწყდებათ დემნაზე?

— იმ სერიალში თამაში მაინტერესებდა, სასიამოვნო იყო ჩემთვის, საფიქრალიც მქონდა, შრომატევადიც იყო. რა თქმა უნდა, სევდისმომგვრელია, როცა სასიამოვნო და საინტერესო მთავრდება.

— კონკურენტ სერიალში გადასვლის გამო მეგობრები ხომ არ გაგინაწყენდნენ?

— არა. იმ არხიდან ამ არხზე არ გადმოვსულვარ. სადაც ჩემი საქმის საკეთებლად მიმიწვევენ, იქ მივალ. სხვა არხზეც მივალ, რატომაც არა?! ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი არხია. თუ იქ პროფესიონალთა ჯგუფი იქნება, მათთან დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ.

— ფილმებისა და სერიალების გახმოვანებით თქვენი ხმაც უკვე თქვენსავით პოპულარულია. უცნობებს მის გაგონებაზე რეაქცია აქვთ?

— ხმას რაც შეეხება, მახსოვს, ერთხელ სამარშრუტო ტაქსში ვიჯექი. შუქნიშანთან გააჩერეთ-მეთქი, ცოტა ხმამაღლა ვთქვი, ისე, რომ მძღოლს კარგად გაეგონა. მან მაშინვე შემომხედა. როგორც ჩანს, თავიდან სახეზე არ შემოუხედავს და, ხმა რომ იცნო, უნდა გენახათ, მანქანა როგორ გააჩერა!

შოკოლადები მიყვარს და ხშირად ვყიდულობ. ყოფილა შემთხვევა, მაღაზიაში შევსულვარ და იმ მომენტში, ვთქვათ, გამყიდველი არ მიყურებს. შოკოლადი მომეცით-მეთქი, რომ მითქვამს, უცებ ნაცნობ ხმაზე გაკვირვებულს შემოუხედავს. ეს ძალიან სასიამოვნოა. არავინ თქვას, რომ პოპულარობა რამეში ხელს უშლის. პირიქით, ბევრ ენერგიას და სტიმულს მაძლევს, როცა ვხედავ, რომ ადამიანები თბილად და პატივისცემით მეპყრობიან. არადა მათ ხომ ამის არანაირი ვალდებულება არ აქვთ. როცა ამ სითბოს ვგრძნობ, ძალიან ბევრ რამეში მეხმარება. ეს ჩემთვის დიდი საჩუქარია.

— სერიალში „შუა ქალაქში“ თქვენი ახალი გმირი მოგწონთ?

— ცოტა ახირებული და უცნაური კაცია. ამ სერიალში ყველა გმირს ცოტა „გაფრენა“ აქვს. ჩემს გმირ გიასაც რაღაც უცნაურობები სჭირს, მაგრამ ეს საყურებლად სახალისოა. გია მეოჯახე კაცია, ოჯახზე ზრუნავს. დემნა მარტოხელა მგელი იყო, გია კიდევ მარტო ყოფნას ვერ აიტანს. ასეთი კაცებიც არსებობენ.

— რომელია თქვენს პიროვნებასთან უფრო ახლოს, დემნა თუ გია?

— მე უფრო შუალედური და უფრო სახლის კაცი ვარ.

— ანუ გიას გმირი გგავთ?

— ამ კუთხით მგავს. მე ასეთი „გაფრენები“ არ მაქვს. თავისუფალ დროს, გიასგან განსხვავებით, ყოველთვის მირჩევნია, სახლში მივიდე. გია სულელურ სიმღერებს მღერის, ეს ძალიან სასაცილოა. რაღაც იდიოტობებს მამღერებენ ხოლმე.

— ამ სერიალში ზედმეტად მზრუნველი, ხანდახან შემაწუხებლად ყურადღებიანი ცოლი გყავთ. რეალურ ცხოვრებაში ასეთი ქალი მოგეწონებოდათ?

— მე კი არა, გიას ჰყავს და მიხედოს თავის ცოლს! ჩემს გმირს ისეთი ცოლი ჰყავს, ქმარ-შვილზე კრუხივით რომ არის გადაფოფრილი. ეს დისკომფორტი არ არის, მაგრამ შემაწუხებელია და ხანდახან გიას ნერვები ეშლება, მაგრამ ცოლი უყვარს. იცის, რომ ამას ბოროტი განზრახვით არ აკეთებს, უბრალოდ ეს მისი ცხოვრების წესია. ალბათ ცუდი არ არის, როცა შენზე ზრუნავენ. ისე კი, ცოლი ჩემზე ასე რომ ზრუნავდეს, ალბათ ვერ გავუძღებდი. არ მინდა, ასე ყველაფერში ჩამეძიოს, ყველაფერზე იმან იზრუნოს და იფიქროს. ყურადღება კარგია, ის ყველას გვჭირდება, ამას ვითხოვთ კიდეც, მაგრამ დოზას გააჩნია.

— თქვენ როგორი ქმარი ხართ?

— მგონი, წყნარი ვარ. მიყვარს, როცა სახლში ყველაფერი თავის ადგილზეა.

— და თუ არ არის?

— თუ არ არის, ვითხოვ, რომ თავის ადგილზე იყოს. მოჩხუბარი კაცი არ ვარ და არც მთლად პედანტი, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იყოს, საყოფაცხოვრებო ნივთებიც და ოჯახის წევრებიც. ოჯახში ვინც უფროსია, ის უნდა იყოს უფროსი, ვინც დიასახლისია, ის — დიასახლისი.

„ბევრ ენერგიას და სტიმულს მაძლევს, როცა ვხედავ, რომ ადამიანები თბილად და პატივისცემით მეპყრობიან. არადა მათ ხომ ამის არანაირი ვალდებულება არ აქვთ. როცა ამ სითბოს ვგრძნობ, ძალიან ბევრ რამეში მეხმარება“.

— ანუ თქვენც ქართულად, ტრადიციულად ფიქრობთ, რომ მამაკაცი უნდა იყოს ოჯახის თავი და არანაირი თანასწორობა?

— აბა, ის მოგწონთ, ქალი რომ არის ოჯახის თავი? კაცი უნდა იყოს ოჯახის თავი, იმას უნდა ეკითხებოდეს ბევრი რამე და ბევრი რამე არც უნდა ეკითხებოდეს, რადგან ოჯახზე ზრუნვაში რაღაც წილი პასუხისმგებლობებისა, რა თქმა უნდა, დიასახლისსაც აქვს. საჭიროდ არ ვთვლი, სახლში რაც ხდება, ყველაფერი ვიცოდე. რაც მე მეხება, ის უნდა ვიცოდე, რაც ჩემს ცოლს ეხება, მან უნდა იცოდეს და თავი გაართვას.

— ცოლი რას გეუბნებათ, თქვენს რომელიმე გმირს თუ გამსგავსებთ?

— ცოლი უყურებს ხოლმე და ბევრს ხალისობს. ჩემზე იცინის, რადგან ცხოვრებაში ნაკლებად ეძლევა საშუალება, რამეზე დამცინოს. ეკრანზე დასაცინი როცა ვარ, გულიანად დამცინის ხოლმე, მე კი არა, ჩემს გმირს, მაგრამ იმ როლს ხომ მე ვთამაშობ და გამოდის, რომ ცოტას მეც დამცინის.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

„მინდა, ვიყო ქველმოქმედი და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დავეხმარო“

მარი მჭედლიძე ფონდ „ნატახტარის“ მხარდაჭერით სასწავლო ცენტრ „ნატალის“ კურსდამთავრებული გახდა

კომპანია „ნატახტარმა“ 2011 წლის ნოემბერში ფონდი „ნატახტარი“ დააფუძნა და საქველმოქმედო პროექტის „იზრუნე მომავალზე“ განხორციელება დაიწყო. ფონდის მიზანია მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პროცესში ხელშეწყობა. პროექტი ხორციელდება ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.

ფსიქოლოგების მუშაობის შედეგად გამოიკვეთა 16-18 წლის მოზარდების ჯგუფი და სწორედ მის წევრებზე გადანაწილდა ფონდის თანხის უდიდესი ნაწილი. ფსიქოლოგების დახმარებით თითოეული ბენეფიციარისთვის განისაზღვრა ის მიმართულებები, რომლებიც მათთვის საინტერესო იყო – სასკოლო საგნებში მომზადება, სწავლა კოლეჯებსა და პროფესიულ სასწავლებლებში, მართვის მოწმობის ასაღებად მოსამზადებელი კურსები, კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და მრავალი სხვა. ფონდის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა მოზარდების ტრანსპორტირებაც.

მარიამ მჭედლიძე

2012 წლის ბოლოსთვის რამდენიმე მოზარდმა პროექტის დახმარებით შეძლო სრულფასოვანი, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება.

ჩვენი სტუმარია პროექტის ბენეფიციარი მარიამ მჭედლიძე (ქ. ხაშურიდან), რომელიც კომპანია „ნატახტარის“ დახმარებით პროფესიას დაეუფლა და სამომავლო გეგმებიც საკმაოდ სერიოზული აქვს.

„სიმართლე გითხრათ, ბავშვობაში არასდროს მიოცნებია, ცნობილი და პოპულარული ადამიანი გავმხდარიყავი. უფრო „პრაქტიკული“ პროფესიები მიტაცებდა. მაგალითად, დაწყებით კლასებში ძალიან მინდოდა ექიმობა, მაგრამ ერთადერთი სფერო, რომელიც ყოველთვის მაინტერესებდა, არის სამოდელო სამყარო. მომწონდა დახვწილი და ლამაზი გოგონები, მათი სამოსი და გარეგნობა. მინდოდა, მეც მეზრუნა მათ გარეგნობაზე, მონაწილეობა მიმეღო „გალამაზების“ პროცესში. ამ ოცნების რეალიზებას ბავშვობაში თოჯინების გალამაზებით ვახერხებდი. ხშირად ახალ ტანსაცმელს ვუკერავდი, ვარცხნილობას ვუცვლიდი და მაკიაჟსაც კი ვუკეთებდი. ფონდ „ნატახტარის“ მხარდაჭერით ოცნება ჯერ – მიზნად და შემდეგ რეალობად მექცა. სასწავლო ცენტრში „ნატალი“ კოსმეტოლოგიურზე ვსწავლობდი, ეს იყო ორთვიანი სასწავლო კურსი და აღნიშნულ სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე. ამ ხნის განმავლობაში თბილისში ვცხოვრობდი. სწავლის საფასურთან ერთად ფონდმა „ნატახტარმა“ ბინითაც უზრუნველმყო. დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, ადვილად შევძლებ სამსახურის პოვნას და ბავშვობის მეორე ოცნების ასრულებას – ძალიან მინდა, ფსიქოლოგიურზე ჩავაბარო“, – გვიამბობს მარიამი და ხაშურის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში გატარებულ დღეებს იხსენებს.

მარიამი ამ ყველაფერს ოცნებად მაინც არ თვლის, მისთვის ეს ყველაფერი მიზნებია და არა – ოცნებები.

„მიზანდასახული ვარ და თუ რამეს ძალიან მოვინდომებ, ყოველთვის ვაღწევ. დარწმუნებული ვარ, რომ ერთ დღესაც ჩემთვის საყვარელი ადამიანები ჩემით იამაყებენ“.

ბავშვთა სახლში გატარებულ დღეებს მარიამი დიდი სიყვარულით იხსენებს. „ბავშვთა სახლში ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. ზოგი იქ დარჩა, ზოგიც ჩემთან ერთად საკუთარ სახლებს დაუბრუნდა. მათთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. ამჯერად ძმებთან ერთად გორში ვცხოვრობ. ძალიან მინდა, ქველმოქმედი გავხდე და მზრუნველობამოკლებულ პატარებს დავეხმარო. ამით მიღებულ სიამოვნებას არაფერი შეედრება“.

მარიამი თავისუფალ დროს მეგობრებთან ატარებს. უყვარს კითხვა, განსაკუთრებით – პოეზია. თავადაც წერს, თუმცა თავისი ნამუშევრების ჩვენთვის გაზიარება არ ისურვა: „ეს მხოლოდ ჩემთვის, თანაც, როცა მარტო ვარ და როცა რადაცის თქმა მსურს და ვერავის ვუმხელ, ალბათ ეს ღირებული მხოლოდ ჩემთვისაა!“

„მარი დაბნეული იყო, თუმცა ზუსტად იცოდა, რა უნდოდა. აკვიატებული ჰქონდა კოსმეტოლოგია. ჩვენც ხელი შევუწყვეთ და შარშან მივამაგრეთ სილამაზის ერთ-ერთ სალონს, სადაც მუშაობდა დამხმარედ, აკვირდებოდა პროცესებს, პროექტის ფარგლებში კი სტიპენდიის სახით ერიცხებოდა 100 ლარი. მოგვიანებით სწავლა დაიწყო სასწავლო ცენტრში „ნატალი“. მიიღო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატიც. პროექტის ფარგლებში ის მიიღებს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო აპარატურას და ამის შემდეგ შეეძლება, იმუშაოს ნებისმიერ სილამაზის სალონში“, – გვეუბნება ფსიქოლოგი გვანცა მეტივიშვილი.

გვანცა მეტივიშვილი

„პროექტის ფარგლებში მას ამ ეტაპზე ყოველთვიურად 500 ლარი ერიცხება ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ცხოვრობს დეიდასთან ერთად. ფონდმა „იავნანამ“ მათ გადასცა ბინა, რომელიც მოსაწესრიგებელია, „ნატახტარის“ ფონდის მხარდაჭერით მათ მალე საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესდებათ. პროექტი მართლაც უნიკალურია, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს იმედი მიეცათ. უნდა ნახოთ, როგორ ელოდებიან 14-15 წლის ბავშვები, როდის ჩაერთვებიან ამ პროექტში (ანუ, როდის გახდებიან 16-17 წლისანი). ეს ერთგვარი სტიმულია. იმედი მიეცათ მოზარდებს“.

Cyan Magenta Yellow Black

დინი ვირსალაძე: „მუზა აუზზე მომდის“.....

პიანისტი, კომპოზიტორი, ჯაზვუმენი დინი ვირსალაძე თავის კულულებს არასოდეს ღალატობს. მისი ვარცხნილობა — ხვეული თმის „მოწესრიგებული მოუწესრიგებლობა“ — მისივე იმიჯის ნაწილია. ყველაფერში ბუნებრიობის მომხრეა და ამიტომ, როცა დრო აქვს, კანს ბებიების რეცეპტებით მომზადებული ნიღბებით ინებივრებს. უყვარს წყლის სტიქია, რომელიც მისთვის ენერგიის და შემოქმედების წყაროა. მუსიკოსი ქალი ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს — სუფთა ჰაერზე ყოფნა, სწორი კვება, ბევრი წყალი... ხანდახან მაინც უწევს ამ პრინციპის დარღვევა, თუმცა ეს იმდენად იშვიათად ხდება, რომ მის გარეგნობაზე არ აისახება.

— ქალბატონო დინი, ხელოვანისთვის რამდენად მნიშვნელოვანია იმიჯი?

— აუცილებელია, ხელოვანს საკუთარი იმიჯი ჰქონდეს. მით უმეტეს, როცა ქალბატონს ეხება საქმე, ეს ორმაგად მნიშვნელოვანია. ყველა, ვინც სცენაზე გამოდის ან საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშაა, რა თქმა უნდა, ფორმაში უნდა იყოს.

— თქვენი ყოველდღიური და სასცენო სტილი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება?

— სხვადასხვა სტილი მაქვს. ყველაზე მეტად მიყვარს ჯინსები, მაგრამ სცენაზე მუსიკოსი სადღესასწაულოდ უნდა გამოიყურებოდეს. შეიძლება ჯინსიც კი ეცვას, მაგრამ რაღაც ისეთი დეტალი უნდა შეიტანოს ჩაცმულობაში, რომ სასცენო გახადოს. ვთქვათ, ამ ჯინსზე ჩაიცვას მაღალი ქუსლები და პიჯაკი. მე მცმია ასე. რა თქმა უნდა, არის სცენა, სადაც მხოლოდ საკონცერტო, გრძელი კაბა უნდა გეცვას. ასეც მცმია. როცა ამბობენ, რომ მთავარი მხოლოდ ის არის, ხელოვანი როგორ დაუკრავს (იმღერებს, ითამაშებს სცენაზე და ა.შ.), ასე არ არის, იმიჯიც მნიშვნელოვანია.

— მაკიაჟს ყოველდღე იკეთებთ?

— თუ სცენაზე ან გადაღებაზე არ ვარ, ყოველდღიურად იშვიათად ვიყენებ მაკიაჟს. ყოფილა შემთხვევა, რომ სცენაზე საერთოდ არ მქონია მაკიაჟი, რადგან გარუჯული ვყოფილვარ და ასეთ დროს მგონია, შეღებვა საჭირო არაა. არ მიყვარს ისეთი ვარცხნილობა, რომელიც ბუნებრივად არ გამოიყურება. ამიტომ თითქმის ყოველთვის ჩემს ხვეულ თმას ვანიჭებ უპირატესობას და მის ფორმას არ ვცვლი.

— თქვენი კანი ყოველთვის ნორმალისფერია, თითქოს ზამთარ-ზაფხულ სულ გარუჯული ხართ. ეს ბუნებრივი ფერია თუ მზის აბაზანების, სოლარიუმის ან ავტორუჯის დამსახურებაა?

— აუზზე სიარული ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ცურვის გარეშე არ შემიძლია. აქედან გამომდინარე, ზაფხულში ადვილად ვირუჯები. ხელოვნურად გარუჯვას ვერიდები, სოლარიუმში არასდროს დავდივარ. ვიცავ იმ წესებს, რაც უსაფრთხო გარუჯვას სჭირდება. ორი წლის წინ გავბედე და გუდაურში თხილამურებზე დავდექი. ახლა უკვე ზამთარში მთის ნამზეური მაქვს, თუ, რა თქმა უნდა, ჩემი დატვირთული გრაფიკის გამო იქ ასვლას ვახერხებ.

— კანს რა საშუალებებით უვლით?

— როცა დრო მაქვს და სახლში ვარ, ბუნებრივი საშუალებებით ნიღბებს ვიკეთებ. კიტრის, მარწყვის ნიღბები მიყვარს.

— ვინ გასწავლათ ეს ნიღბები?

— ზოგი ბებიისგან ვისწავლე, ზოგი — დედისგან. ვიცი, რომ სახისთვის ლიმონის წვენი ძალიან კარგია. ჯერ არ მიცდია, მაგრამ უახლოეს მომავალში ვაპირებ. სახის ბუნებრივ პილინგს აკეთებს. სულ ორი ან სამი წუთი უნდა გავიჩეროთ კანზე.

მიყვარს ბუნებრივი საშუალებები, რადგან ვფიქრობ, რომ ბევრად ჯანსაღია. მზა პროდუქციასაც ვენდობი, მაგრამ, თუ დრო მაქვს, მირჩევნია, სახლის პირობებში, ჯანსაღი პროდუქტით მოვუარო თავს. ძალიან მიყვარს ბუნებრობა ყველაფერში. ჯანსაღი ცხოვრების წესი — ჰაერზე ყოფნა, სპორტი, სწორი კვება და ა.შ. — ჩემი სისუსტეა. არ ვსვამ, არ ვეწევი, ნარკოტიკულ საშუალებებს არ ვიყენებ.

— ნაოჭებსა და მათთან ბოტოქსით ბრძოლაზე რას ფიქრობთ?

— ბოტოქსი თუ პლასტიკური ქირურგიის ჩარევა გარეგნობაში — ჩემთვის არასაინტერესოა. როცა ვხედავ, ზოგი როგორ შედეგს იღებს, ნამდვილად შიში მიპყრობს. თუმცა კარგ შედეგებსაც აღწევენ. მე კი ნამდვილად არ მსურს, ექსპერიმენტები ვატარო და ვნახო, კარგ შედეგს მივიღებ თუ ცუდს. თავიდან ალბათ ყველას უხდება კანის გადაჭიმვა თუ სხვა ამგვარი ჩარევა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ამ პროცედურების რამდენჯერმე გაკეთების შემდეგ, ბუნებრივ სახეს კარგავენ. არ მინდა, უემოციო, უმიმიკო, დეფორმირებული ნაკვთები და უაზრო გამომეტყველება მქონდეს.

> „მომატების ჯი ახა, სიგამხდრის ჰრობლემა მაქვს, ადგან ადვილად ვიკლებ და მერე ვცდილობ, ძველი წონა დავიბრუნო“.

— ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაში ხართ. ეს მხოლოდ თქვენი სპორტული ცხოვრების დამსახურებაა თუ დიეტასაც იცავთ?

— თუ დამიჯერებთ, დიეტა არასდროს დამიცავს. როცა ტკბილეულს ვხედავ, აუცილებლად ვაგემოვნებ, მაგრამ სპეციალურად არ წავალ ტორტის გასასინჯად. არ მიყვარს ძალიან ცხიმიანი საკვები. მნიშვნელოვანია, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მივიღოთ საკვები. ამას მუდმივად ვცდილობ. საღამოს 7 საათის მერე არ ვჭამ, რადგან მერე ვერ ვიძინებ. ძილის წინ თუ მომშივდა, მაწონს ან კეფირს გეახლებით, მაგრამ თუ საღამოს კონცერტი მაქვს, მერე აუცილებლად ვვახშმობ. არ შეიძლება ემოციურად და ფიზიკურად გადაღლილ ორგანიზმს კიდევ სტრესი დაუმატო და უარი უთხრა ენერგიის მიწოდებაზე. მომატების კი არა, სიგამხდრის პრობლემა მაქვს, რადგან ადვილად ვიკლებ და მერე ვცდილობ, ძველი წონა დავიბრუნო.

— თქვენს ჯანსაღ ცხოვრებაში არც ერთ მაგნე ჩვეულებას აქვს ადგილი?

— როგორ არა — გვიან ვიძინებ. მიყვარს, თუ ვახერხებ ადრე დაწოლას და ადრე ადგომას, რადგან ასეთ დროს ბევრ რამეს ვასწრებ. ხშირ შემთხვევაში კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, გვიან მიწევს დაძინება.

— ხელოვანი მუზის გარეშე წარმოუდგენელია. გარეგნობა, ფიზიკური მდგომარეობა მუზების „მოსვლა-წასვლაზე“ მოქმედებს?

— მუზა შეიძლება იმ დროსაც მოვიდეს, როცა ძალიან ცუდად ხარ ან ცუდად გამოიყურები. რასაკვირველია, როცა ჯანმრთელი ხარ, არაფერი გაწუხებს და კარგად გამოიყურები, მუზაც უფრო ადვილად გეწვევა. როცა აუზიდან ამოვდივარ, მაშინ განსაკუთრებით ხშირად მოდის მუზა ჩემთან.

> „ფიჩხიღის ღაქს ვეჰ ვეგუები. მგონია, ჰომ ჰაღაც სიმძიმე მაქვს თითებზე. ვეჰც ბეჭდებს ვიყენებ, მით უმეტეს — დაჯვჰის ღჰოს“.

მოთხოვნილება მაქვს, რომ ვიცურაო. ეს ჰაერივითაა ჩემთვის. თუ კვირაში ორჯერ ვახერხებ, აუზს ვესტუმრო, ეს ძალიან კარგია. ზამთარში ზოგჯერ მხოლოდ თვეში ერთხელ მიწევს მისვლა. წყალი იმდენად მიყვარს, მის გარეშე არ შემიძლია. ცოტა არაჯანსაღი სიყვარულიც მაქვს წყლის მიმართ.

— პიანისტისთვის თითები უმნიშვნელოვანესია. ალბათ თქვენც განსაკუთრებულად უვლით საერთოდ ხელებს.

— ხელები ქალს ნამდვილად მოვლილი უნდა ჰქონდეს. ვერ ვიტან გრძელ ფრჩხილებს, თუმცა სხვაზე მომწონს. პედიკიური და მანიკიური სალონში არასოდეს გამიკეთებია. მე თვითონ ვუვლი, რომ დაზღვეული ვიყო ინფექციისგან. ნუნები არასდროს მომიჭრია, ისევ ინფექციის შიშის გამო. ფრჩხილის ლაქს ვერ ვეგუები. მგონია, რომ რაღაც სიმძიმე მაქვს თითებზე. ვერც ბეჭდებს ვიყენებ, მით უმეტეს — დაკვრის დროს. ხელების მოვლისთვის სხვადასხვა საცხს ვიყენებ, განსხვავებით სახის კანისგან, რადგან არ ვიცი, ბუნებრივი საშუალებებით როგორ უნდა მოვუარო.

— თქვენი 25 წლის ვაჟის როსტომ ბარათაშვილისგან თუ იღებთ რჩევებს გარეგნობასთან დაკავშირებით?

— ამ მხრივ, რჩევებს არავისგან ვიღებ. თუ ვკითხავ, რა მიხდება, იმ შემთხვევაში შეიძლება მითხრას რამე. უფრო ხშირად კომპლიმენტებს ვიღებ მისგან. საერთოდ, ოჯახის წევრებისგან და გარშემომყოფებისგან ჩემს გარეგნობასთან დაკავშირებით, მაქსიმუმი, კომპლიმენტი მივიღო, მეტი არაფერი.

— წარსულში მოდელობა და პოდიუმზე გავლაც გაქვთ მოსინჯული. იმ პერიოდიდან რა ისწავლეთ, თუნდაც სიარულის მანერა თუ შეიცვალეთ?

— მას შემდეგ, რაც დიზაინერ მაკა ნაცვლიშვილთან მოდელად ვიმუშავე, ბევრი რამ შევიძინე. ვისწავლე მაღალ ქუსლებზე სიარული, მანამდე მხოლოდ დაბალძირიან ფეხსაცმელებს ვიყენებდი. სულ სხვანაირად დადის ქალი, რომელიც მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს იცვამს.

— როგორი გოგონა იყავით, გიყვარდათ სარკის წინ ტრიალი და დედიკოს კოსმეტიკის მოსინჯვა?

— კი, ეს ყველაფერი მიყვარდა და ერთი დამახასიათებელი თვისებაც მქონდა — ხელში ყოველთვის ვიჭერდი რამეს, რაც მიკროფონს ჰგავდა და ისე ვპოზიორობდი სარკესთან, ანუ ბავშვობიდან მქონდა მიდრეკილება სცენისკენ. ერთი პერიოდი ბალეტზე დავდიოდი და ილეთების დასახვეწად მუდმივად სარკის წინ მიწევდა ყოფნა. მაგრამ სარკეზე ზედმეტად შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ. დღესაც, მხოლოდ მაშინ ვიხედები სარკეში, როცა თავს ვიწესრიგებ და არასდროს იმაზე მეტ დროს არ ვატარებ მის წინ, ვიდრე მჭირდება.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

დათო იმედაშვილს ჰოლივუდის ბულვარიდან მანქანა აუცალეს

„ჩემს ავტომობილს ისეთი აგრესიული ვიზუალი აქვს, ყველა მერიდება“

„ჩემთვის მანქანა მხოლოდ ტრანსპორტი არ არის, ის ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა მანიჭებდეს“, — გვითხრა რეჟისორმა და პროდიუსერმა დათო იმედაშვილმა. სწორედ ამიტომ 2008 წელს გამოშვებული „მერსედეს ესელკა აემჯი“ სპეციალურ სალონში მიიყვანა, სადაც მანქანის ვიზუალს პატრონის გემოვნების მიხედვით შეცვლიან. დათო თვლის, რომ საჭეს პროფესიონალურ დონეზე მართავს. ამის წყალობით, არაერთი მძღოლი, განსაკუთრებით კი ქალები, ბევრჯერ გადაურჩენია, მათთვის ავტოავარია თავიდან აუცილებია. „ბეემვე“ ყველა მანქანას ურჩევნია, მაგრამ რატომ გაცვალა ის „მერსედესზე“, ამას თავად მოგვიყვება.

— თქვენი სულ პირველი მანქანა რა იყო?

— 23 წლის ვიყავი, როცა ფული ვისესხე და „ოპელ ვექტრა“ ვიყიდე. მას შემდეგ ბევრი ავტომობილი გამოვიცვალე, მაგრამ ის ჩემთვის ერთ-ერთ საყვარელ მანქანად დარჩა.

— ხშირად იცვლით ავტომობილებს?

— კი, არაერთი გამოვიცვალე. ძირითადად „ბეემვე“-ს მარკის ავტომობილები მყავდა. „ბეემვე ემ 3“-ის ორი მოდელი მყავდა, ძველი და ახალი თაობის, მაგრამ ორივე მანქანა დავამტვრიე.

— თქვენც მათთან ერთად დაამტვრიეთ?

— ორივე შემთხვევაში მანქანა გადასაგდები გახდა, მაგრამ მე, როგორც მეტნაკლებად მოწესრიგებული მძღოლი, ორივეჯერ უვნებლად გადავრჩი. ერთ შემთხვევას მოგიყვებით: აეროპორტის გზაზე მეგობართან ერთად მივდიოდი და, სხვათა შორის, არც თუ ისე სწრაფად — 140 კმ/სთ სიჩქარით. ვერ მივხვდი, სწორ გზაზე მანქანა რატომ მომიცურდა. გაზონებზე ავვარდით, მოვგლიჯეთ ყველაფერი და გადავცვივდით. მანქანას ბორბლები აღარ ჰქონდა. უსაფრთხოების ბალიშები გაიხსნა და გადავრჩით. ავტომობილი აღარაფრად ვარგოდა, გადავაგდეთ.

„ავტობანზე 250 კმ/სთ სიჩქარეც ამინევია, რაც ძაღიან საშიშია, რადგან ამ დროს მანქანას უკვე ვეღარ მართავ, მძღოლის ნიჭს არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს“.

შემდეგ მოხდა ისე, რომ „მერსედეს ესელკა აემჯი“ შევიძინე და მივხვდი, რომ ამ მარკისაც შეიძლება ძალიან მაგარი სპორტული მანქანა იყოს.

— მაინცდამაინც „მერსედესზე“ რატომ გააკეთეთ არჩევანი?

— უბრალოდ ვცადე და, სიმართლე გითხრათ, „მერსედესთან“ იმის მეათედი პრობლემა არ შემქმნია, რაც წინა მანქანებისგან მქონდა. „ბეემვე“ იმდენად მომწონს, ახლაც რომ ვხედავ, ემოციურად დადებითად ვიმუხტები.

— თქვენი ახლანდელი მანქანა საინტერესო პროცესშია. გასაყიდად ხომ არ აშზადებთ?

— ისეთი გამოვიდა, რომ ამის გამოცვლა, ცოტა არ იყოს, გამიჭირდება. „ესელკა აემჯი“ 5.5 ძრავით, როდსტერი (კაბრიოლეტი) — საკმაოდ ძლიერი მანქანაა, რვასიჩქარიან გადაცემათა კოლოფი აქვს — შვიდი წინ და ორიც უკან. ელექტრონული მექანიკაა. 0-დან 100-მდე სიჩქარეს ძალიან სწრაფად, 4-9 წამში ავითარებს. ამით ქალაქგარეთ ვერ გახვალ, „პარკეტის“ მანქანაა. ავარიისთვის ორსანტიმეტრიანი ბორცვიც საკმარისია. 2008 წელს სულ ახალი შევიძინე და მას შემდეგ ვიზუალურად ბევრჯერ შევცვალე. საქართველოში ერთადერთი კომპანია არსებობს, რომელიც ასეთი ხარისხის სამუშაოებს ასრულებს. ამ სალონში არაერთი უცხოელი მყავს ნანახი, რომლებიც ჩამოდიან და თავიანთი მანქანები ჩამოჰყავთ.

ჩემი „მერსედესი“ იქნება გლუვი, სტაფილოსფერი, შავში ნარევი. ოღონდ კი არ გადაიღებება, უბრალოდ სტაფილოსფერი ფირი გადაეკვრება. სალონიც სტაფილოსფერსა და შავ ალკანტარში გაკეთდება და მგონია, რომ ძალიან მაგარი გამოვა. სერიაც შესაბამისი მაქვს — „ესელკა 550“.

— ძვირი დაგიჯდათ მანქანის „დატუნინგება“?

— დაახლოებით 30 000 ლარი დაჯდებოდა, თუ მეტი არა. უბრალოდ ამ კომპანიასთან ბარტერული მოლაპარაკება მაქვს. სანაცვლოდ მათ ძვირადღირებულ ვიდეორგოლებს ვუღებ.

— გიყვართ სისწრაფე?

— როგორ არა! ჩემს მანქანას სიჩქარე 320 კმ/სთ-ში აქვს, მაგრამ მაქსიმალურით არასდროს მივლია, ტრასა არ იძლევა ამის საშუალებას. ავტობანზე 250 კმ/სთ სიჩქარეც ამინევია, რაც ძალიან საშიშია, რადგან ამ დროს მანქანას უკვე ვეღარ მართავ, მძღოლის ნიჭს არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. როცა ასე სწრაფად მოძრაობ, გზის გამოსახულება იბრიცება და რეაგირების საშუალება არ გაქვს, მთავარია, სწორად იარო. ტრასაზე ერთი კენჭი და... აფრინდები! ბევრ თვითმფრინავს ასაფრენად 80 კმ/სთ სიჩქარე სჭირდება, მეტი კი არა.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ყინულზე მანქანის მართვით „კიას“ ტურნირი მოვიგე. შეჯიბრში 160 კაცი მონაწილეობდა და ყველაზე კარგი დრო მე ვაჩვენე. მას შემდეგ, რაც დავიჯერე, რომ მეც და ჩემს მანქანასაც სწრაფად სიარული შეგვიძლია, უკვე ნაკლებად ვმაიმუნობ. თუ არის შესაძლებლობა, სწრაფი რბოლით ადრენალინს მაინც ვიღებ, თუმცა მოძრაობის წესების დარღვევა, გიჟობები არ მიყვარს.

— სწრაფი სიარული გიყვართ, გამოდის, რომ მოძრაობის წესებსაც არღვევთ.

— კანონმორჩილი მძღოლი ვარ. საჭესთან ნასვამი არასდროს ვჯდები, ღვედი ჯერ კიდევ მაშინ მეკეთა, როცა კანონი არ გვავალდებულებდა.

— სანამ თქვენს მანქანას სალონში ვიზუალს უცვლიან, რითი დადიხართ?

— ბოლო ოთხი თვეა, ანა (დათოს ცოლი ანა იმედაშვილი — ავტ.) ჩამოვსვი მანქანიდან და მისი ავტომობილით დავდივარ. ბრაზდება, მაგრამ რას იზამს?

— თქვენი ცოლი როგორი მძღოლია?

— ძალიან მაგარი! ანას მანქანა ისე დაჰყავს, რომ არც ეტყობა, საჭესთან ქალი თუ ზის. სხვათა შორის, კარტინგებზე დავდიოდით და მისი მსუბუქი წონის გამო ხშირად მიგებდა. ისე ატარებდა, რომ ჩემიდა მისი წონის კომპენსაციას ვერ ვახდენდი, ვერ ვეწეოდი. ნელი სიარული არ უყვარს, საკმაოდ სწრაფად დადის. ზოგადად ქალი მძღოლები ძალიან გამაღიზიანებლად მოძრაობენ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საჭესთან ისინი უფრო ფრთხილები არიან და ისეთ რთულ ავარიას არასდროს ახდენენ, როგორსაც კაცები. ქალ მძღოლებს ჩემთვის ავარიული სიტუაცია ხშირად შეუქმნიათ. ყოფილა შემთხვევა, რომ გზა წინ ისე ჩაუჭრიათ, მუხრუჭის საშუალება არ მქონია, რადგან ამ შემთხვევაში უკან მომავალი მანქანა დამეჯახებოდა და იძულებული გავმხდარვარ, მანქანა მომეცურებინა.

— საერთოდ თბილისელ მძღოლებზე რა აზრის ხართ?

— ჩვენთან მანქანით მოძრაობის კულტურა იმდენად არ არსებობს, მძღოლმა ყველა წესი რომ დაიცვას, დაიჩაგრება. როცა 20 კმ/სთ სიჩქარით დადიან და თან სწრაფმავალ ზოლს იკავებენ, ეს გამაღიზიანებელია. გაუგებარია, რატომ დგას პირველ ზოლში, როცა სხვას ეჩქარება. ისიც

„თუ „ჟიგულით“ დადიხარ, მაგარი მანქანის მძღოლები ცუდად გექცევიან, რაც ძაღიან არ მომწონს“.

საშინელებაა, როცა მძღოლს ორი ზოლი უჭირავს, შუაში მოძრაობენ და სხვას არ ატარებენ. ქართველებს სიგნალის მიცემის ძალიან ცუდი ჩვევა გვაქვს. მძღოლები უფრო კორექტულები უნდა იყვნენ. თუ „ჟიგულით“ დადიხარ, მაგარი მანქანის მძღოლები ცუდად გექცევიან, რაც ძალიან არ მომწონს. ანას ავტომობილით რომ ვმოძრაობ, არავინ მატარებს. ჩემს მანქანას კი ისეთი ხმა და აგრესიული ვიზუალი აქვს, ყველა მერიდება.

— თქვენ არ იყენებთ სიგნალს?

— გამოგიტყდებით და ხშირად ვიყენებ, რადგან ასეთ გარემოში ვარ. საჭესთან ხანდახან ვიგინები კიდეც.

— ყველაზე ხშირად რისთვის გაჯარიმებენ?

— სიჩქარის გადაჭარბების და ღერძულა ხაზების კვეთის გამო.

— თქვენი მანქანა „სითი პარკის“ „მსხვერპლი“ თუ გამხდარა?

— კი, როგორ რა! სხვათა შორის, ჩემი მანქანა მსგავს ამერიკულ კომპანიას ჰოლივუდშიც კი მოუპარავს. მე და ანა კინოპრემიერაზე ვიყავით დაპატიჟებული. ჰოლივუდის ბულვარზე მანქანის დაყენება ყოველთვის ჭირს. თავისუფალი ადგილი ვერსად რომ ვერ ვნახე, იქვე ახლოს, სხვა ორგანიზაციის ავტოსადგომზე გავაჩერე. კიდევ ერთი გოგო გვახლდა. ივენთი მალევე დასრულდა. გამოვედით და მანქანა არ არის! წაუყვანიათ.

მისამართი მომცეს, ტაქსი გამოვიძახე და წავედით. ლოს ანჯელესი ძალიან დიდი ქალაქია. როგორც თბილისიდან ხაშურში ჩახვიდე, იგივე მანძილი გავიარეთ. ის კომპანია ძალიან ცუდ დასახლებაში, ქალაქის ბოლოში იყო. შევედით და რას ვხედავთ! შუშის მიღმა ორი მამაკაცი ზის, ფეხები მაღლა აქვთ აწეული და სიგარეტს ეწევიან. იქაურობა ნატყვიარებით იყო სავსე. ალბათ გაბრაზებული ხალხი ესროდა მათ. როგორც კი რაღაცის თქმა დავაპირე, გაიღო კარი და გახეული მთვრალი შავკანიანები გინებით შემოცვივდნენ. მათ გამოჩენამდე ჩემს 400 დოლარიან ჯარიმაზე პრეტენზიის გამოთქმას ვაპირებდი, მაგრამ რომ მივხვდი, სროლა ატყდებოდა, ჩეკი მოვითხოვე და გამოვიქეცი.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

„შემოქმედებითად ძალიან მომშივდა“

გიორგი სუხიტაშვილი საქართველოდან მიდის

ომღერალი, ჯეოსტარი გიორგი სუხიტაშვილი საქართველოდან წასვლას აპირებს. ქვეყანა, სადაც ის ისწავლის და მუსიკალურ განათლებას გაიღრმავებს, გერმანიაა. გერმანული ენის შესწავლაც უკვე დაიწყო. ჩემი ნიჭის რეალიზებას ვეღარ ვახდენ, აქ არაფრის კეთებას იქ არაფრის კეთება მირჩევნიაო, გულდაწყვეტით გვითხრა გიორგიმ. ისიც აწუხებს, როცა წინა მთავრობის ფავორიტ მომღერალთა შორის ასახელებენ. ამბობს, რომ ეს სიმართლე არ არის და მათ მიერ გამართულ ღონისძიებებზე მხოლოდ გასამრჯელოს გამო გამოდიოდა. ბევრი სხვა ჭორის გაქარწყლებაც უწევს. ამ ყველაფერზე გიორგი თავად გვიამბობს.

— გიორგი, თქვენს საქმიანობაში რა სიახლეებია. ამ ბოლო დროს ნაკლებად ჩნდებით სცენაზე.

— ქვეყანაში რეფორმებია და არავის სცხელა საკონცერტოდ. მთავარი პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, ოპოზიციის წარმომადგენლები უფრო ხშირად ჩანან ფილარმონიის სცენაზე, ვიდრე მომღერლები. მომღერლები და მსახიობები ჯერჯერობით გაჩერებულები ვართ.

— რა მოლოდინი და იმედები გაქვთ?

— არ დაგიმალავთ და ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ჩემი პროფესიის მომავალს. ალტერნატივებზეც ვფიქრობ საქართველოს ფარგლებგარეთ. ძალიან ბევრი წელია მოლოდინის რეჟიმში ვარ და ეს მოლოდინი არ დასრულდა. დრო გადის, წლები გადის, 27 წლის ვარ და პერსპექტიულად აღარ უნდა ვითვლებოდე. ახალგაზრდა მომღერლებში აღარ უნდა „მთაგავდნენ“.

— საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აიღეთ გეზი უცხოეთისკენ?

— არა, არა! რომ გითხრათ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ განსაკუთრებული ცვლილებებია-მეთქი, მოგატყუებთ. ხაზგასმით მინდა, ვთქვა: ვიღაცეებს ჰგონიათ, რომ წინა მთავრობის ფავორიტი ვიყავი და რაღაცა პრივილეგიები მქონდა, მათ ვეტყვი, რომ ცდებიან.

— „ვიღაცეებს“ რომ ასე ჰგონიათ, ალბათ ამის მიზეზიც აქვთ.

— ნათქვამია, ცოდვა გამხელილი ჯობიაო. წინასაარჩევნო კონცერტებზე მიმღერია. ეს ისეთი კონცერტია, როდესაც ყველა მომღერალს ურეკავენ, მათ შორის დაბლოკილ მომღერლებსაც და მათაც ეძახიან. რაღაც ლოგოს ქვეშ სიმღერა არავის სიამოვნებს და არც მე მსიამოვნებს რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის მღერა...

— მაგრამ მაინც მღერიოდით.

— მხოლოდ გასამრჯელოს გამო.

— ამბობენ, რომ ბევრს უხდიდნენ მომღერლებს.

— კორპორატიულ საღამოებზე უფრო კარგ ჰონორარს იძლევიან, ვიდრე ისინი იხდიდნენ. მკითხველს უნდა აინტერესებდეს, რას რატომ ვაკეთებდი და არა — სად რამდენს ვიღებდი. კი, ბატონო, თუ ასეთი დიდია ინტერესი, ჩემს პატარა ქონებრივ დეკლარაციას გაგიმხელთ: ბევრი წელია ვცხოვრობ ქირით, სესხით გამოვიტანე მანქანა, რომელსაც უკვე ვყიდი. არასოდეს მიმუშავია რომელიმე სამინისტროში. ახლაც არ მაქვს სტაბილური შემოსავალი. ჩემთვის არაფერი შეცვლილა.

— სტაბილური შემოსავლისთვის რომელიმე კლუბს ან რესტორანს რომ მიმართოთ, ამაზე არ გიფიქრიათ?

— ცოცხალ მუსიკაზე რამდენიმე კლუბი მუშაობს. 17 წლიდან დავიწყე რესტორანში მღერა, წლების შემდეგ იქიდან წამოვედი. ახლა რომ დავბრუნდე და შაბაშებზე ვიმღერო, ძალიან უკანგადადგმული ნაბიჯი იქნება. კი არ ვაქილიკებ ვინმეს, უბრალოდ, ეს ეტაპი გავიარე. საქართველოში რესტორანში აღარ ვიმღერებ, ავდგები და წავალ სხვაგან.

— ახლა თავს რითი ირჩენთ?

— არ ვიცი. მესამე წელია თბილისის ბიგ ბენდში ვმღერი. მნიშვნელოვანი ჰონორარი არ მაქვს, მაგრამ აქ შემოსავლისთვის არავინ მღერის. ეს ის ადგილია, სადაც მომღერალი ივსება, რეპეტიციები აქვს და შემოქმედებით ეგოს იკმაყოფილებს. ეს არის და ეს. ჭორები კი დადის, რომ რაღაც ობიექტებზე წილები მაქვს, მაგრამ ტყუილია. ნეტა მქონდეს!

— გულგატეხილი და ხელჩაქნეული ხართ ქართულ ესტრადაზე?

— უბრალოდ დავიღალე. ჩემი აზრით, უნიჭო არ ვარ, ცხოვრების არც ერთ ეტაპზე დამიკლია ცდა, რომ რაღაც ღირებული შემექმნა. ხშირად ვაანალიზებ საკუთარ შეცდომებს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ ვიცი, რა შეცდომა დავუშვი. ჩემი ნიჭის რეალიზებას ვეღარ ვახდენ და ალბათ ამიტომ გეჩვენებით ხელჩაქნეული.

— სერიოზულად ფიქრობთ ქვეყნიდან წასვლაზე?

— დიახ. ალბათ გერმანიაში წავალ. ხვალვე შემიძლია წავიდე რუსეთში, მაგრამ ამას არ გავაკეთებ.

— რატომ?

— მამაჩემი ცხოვრობს რუსეთში, ამიტომ იმ ლოგიკით არ გეუბნებით ამას, რომ ოკუპანტების ქვეყანაში არ წავალ. მართალია, იქ ფულს ვიშოვი, მაგრამ შემოქმედებითი ზრდა არ მექნება. ვთვლი, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა. გერმანულ ენას ვსწავლობ, იქ ვაპირებ სასწავლებლად წასვლას და არა მგონია, მალე დავბრუნდე იქიდან. წლის ბოლომდე ვაპირებ გამგზავრებას.

— ასე რომ იფიქროს ყველამ, აქ ვინდა დარჩება?

— ეს ის სფეროა, რომელსაც ძალიან დიდი დახმარება სჭირდება. კულტურის სამინისტრო ან აქამდე რას აკეთებდა, ან ახლა რას აკეთებს? რატომ ვერ ვგრძნობ მის არსებობას?! რატომ არ ტარდება კონცერტი? რატომ უნდა გვეძახდნენ რომელიმე ბრენდის პრეზენტაციაზე, ვიღაცის ქორწილზე და ასე შემდეგ?! ჩემ გარშემო ვისაც კი ნიჭი აქვს, ყველას ქვეყნიდან წასვლაზე უჭირავს თვალი. მოვიგე პროექტი, გავხდი ჯეოსტარი, რა მერე? ალბომი გამოვუშვი, მაგრამ რა?..

— თქვენი მხრიდან ეს უმადურობა ხომ არ არის?

— არა, უმადური არასოდეს ვიქნები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 25 წლის ასაკში მიღწეული წარმატებით დღემდე კმაყოფილი და ბედნიერი ვიყო. წინსვლა მჭირდება. მომღერლისთვის განვითარება აუცილებელია. საქართველოში ბევრი წელია არაფერს ვაკეთებ. ამ „არაფერს“ სხვაგან გავაკეთებ. ჩემში ყველაფრის გადაფასება მოხდა და ამ გადაწყვეტილებამდე მივედი.

— გერმანიაში რას შესთავაზებთ მსმენელს?

— ქართული, ქალაქური ეთნოალბომი მაქვს და იმას გავიტან. ეს ყველაფერი იმისთვის გავაკეთე, რომ საზღვრებგარეთ გაგვეტანა, მაგრამ მხოლოდ ორჯერ შევძელით ამ პროექტის დაკვრა. პირველად ალბომის პრეზენტაციაზე დავუკარი საქართველოში, მეორედ — გერმანიაში, მაგრამ დაფინანსება არ იყო, ბენდით რომ წავსულიყავი, მინუს ფონოგრამით ვიმღერე. ეს პროექტი ისე მიყვარს, როგორც შვილი, მაგრამ 3 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შევასრულე. ბოლო ერთი წელია შემოქმედებითად ძალიან მომშივდა და ვერაფერი გავაკეთე.

„მთავარი პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, ოპოზიციის ნარმომადგენლები უფრო ხშირად ჩანან ფილარმონიის სცენაზე, ვიდრე მომღერლები“.

„მარტო იმიტომ, რომ ჩემზე სტატია დაიბეჭდოს და მეტად გამოვჩნდე ტელევიზიით, პირად ცხოვრებას იარაღად არ გამოვიყენებ“.

— ამბობენ, რომ გული დაგწყდათ, წელს „ევროვიზიაზე“ თქვენ რომ არ აგირჩიეს.

— არა, რა სისულელეა! პირიქით, ზოგიერთ ჩემს კოლეგას მოვუწოდე, თავი შეეკავებინათ უღირსი ინტერვიუებისგან. ძალიან გამიხარდა ნოდიკო ტატიშვილის და სოფო გელოვანის წარმატება. ისინი ჩემი მეგობრები არიან, გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას. მათზე ვის რა აქვს სათქმელი, უნიჭოები არიან თუ სიმღერა არ იციან?!

— თუმცა თქვენთვისაც რომ შემოეთავაზებინათ, არც თქვენ იტყოდით უარს.

— რა თქმა უნდა, ყველა დიდ სცენაზე სიმღერის სურვილი მაქვს. იმის ამბიციაც გამაჩნია, რომ ყველა დონის სცენაზე შემიძლია მღერა. „ევროვიზია“ მომღერლის წარმატებისთვის ძალიან კარგია.

— თქვენი კოლეგა ოთო ნემსაძე „უკრაინულ ხმაში“ მონაწილეობს.

— მიხარია ოთოს წარმატება, ვგულშემატკივრობ. ვეუბნები, რომ ბოლომდე გაიტანოს თავი. ის ძმასავით მიყვარს, მინდა, ის მიიღოს, რისი ღირსიც არის. მარტო პოპულარობა არაფერია, მთავარი საკუთარი თავის რეალიზებაა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღეს შეუძლებელია... ამოიწურნენ მომღერლები, ეს ახალ-ახალი მომღერლები ნაკლებად ნიჭიერები არიან. დონემ დაბლა დაიწია, დიდ სცენაზე მოყვარულის დონეზე სიმღერა კი დამღუპველია.

— პირად ცხოვრებაზე რას გვეუბნებით? როგორც ვიცი, შეყვარებული ხართ. მეორედ დაქორწინებას ხომ არ აპირებთ?

— ამაზე არ ვსაუბრობ. ტოქ შოუებში შემომთავაზეს, პირად ცხოვრებაზე მესაუბრა, მაგრამ არ მსურს და მორჩა! პოპულარული ჩემი პირადი ცხოვრებით არ გავმხდარვარ. ჩემი პროფესიით გავხდი ცნობილი და ამაზე ვისაუბრებ დაუღალავად, ისე, რომ ენაზე ჭვალი არ დამადგება. რაც შეეხება ჩემს პირადს, ეს მხოლოდ ჩემია და საჯაროდ ამაზე ლაპარაკი სწორად არ მიმაჩნია. მარტო იმიტომ, რომ ჩემზე სტატია დაიბეჭდოს და მეტად გამოვჩნდე ტელევიზიით, პირად ცხოვრებას იარაღად არ გამოვიყენებ. ვინც აკეთებს ამას, ეს მათი გადაწყვეტილებაა და არ ვთვლი, რომ ცუდია, მაგრამ ჩემი ცხოვრება სხვისი განსახილველი არასოდეს იქნება. თქვენი ჟურნალის საშუალებით ყველას ვთხოვ, ამ თემაზე ნურავინ მკითხავს.

✓ ლანა კეკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

ბრონქობრიუ დექსტრო

დექსტრომეტორფანის ჰიდროქლორიდი გუაიფენეზინი

ჯანმრთელი ბრონქები – სუფთა ბგერები

ხველის საწინააღმდეგო საშუალება ბავშვებისა და მოზრდილებისთვის

- ამცირებს ხველას
- ათხევადებს ნახველს
- აადვილებს ამოხველებას
- ამცირებს სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის შეშუპებას

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Brupharmexport

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27

რისი თქმა სურთ ქალებს აქსესუარებით

ამკაული ქალის ხასიათსაც განსაზღვრავს და მის გემოვნებასაც. სადა, უბრალო კაბა შეიძლება ერთი დეტალით სადღესასწაულო გახადო და პირიქით, ძვირფას კაბას შეუფერებელი სამკაულით პეწი დააკარგვინო. ჩვენი რესპონდენტები, საზოგადოებისთვის ცნობილი ქალები სამკაულებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მსახიობ მარინა კახიანს ყოველთვის ორიგინალური სამკაულები უკეთია, რამდენიმე გულსაბნევი მან საყურედ აქცია. ტელეწამყვანი სალომე დადუნაშვილი სამკაულებს თავად ქმნის და სხვებსაც ჩუქნის. მის კოლეგასა და მეგობარს, ნინო კურატაშვილს, ყოველ დილით ერთი დიდი საზრუნავი აქვს — აქსესუარების სკივრიდან რომელი ამოირჩიოს ეთერისთვის. დიზაინერ თამარ ნადირაძეს კი სამკაულების სიყვარულმა გადააწყვეტინა, აქსესუარების მწარმოებელი გახდეს. გამორჩეულად კი სამი ბეჭედი უყვარს, რომლებთანაც განსაკუთრებული ისტორიები აკავშირებს.

■ საყურეები „ყურძნის მარცვლებით"

მარინა ჯახიანი: „საყურის გარეშე სახლიდან არ გავალ"

— საყურის გარეშე სახლიდან არ გავდივარ, თითქოს ჩემი ნაწილი გახდა. მგონია, რომ ქალის აუცილებელი ატრიბუტია. ქალებს ჩვენი ქალურობის მტკიცება არ გვჭირდება, მაგრამ ბრჭყვიალა ნივთები ძალიან გვიყვარს. მაქვს ისეთი პერიოდები, როდესაც ზედმეტი სამკაული მაღიზიანებს. ზოგჯერ მოზრდილს ვიკეთებ, ზოგჯერ — მცირე ზომისას. ხანდახან კი, საყურის გარდა, არაფერს ვიკეთებ. მძივს, სამაჯურს და ბეჭედს ხშირად არ ვატარებ.

— განსაკუთრებით რომელი სამკაული გიყვართ?

— ჩემი ქმრის ნაჩუქარი ვერცხლის დაღესტნური სამკაული განსაკუთრებით მიყვარს, მაგრამ არ ვატარებ.

— ნივთებს თავიანთი ისტორიები აქვთ, პატრონს რადაცას ახსენებენ, უყვებიან.

— კი, ასეა. ეს საყურეები ბევრი წლის წინ მეუღლემ მაჩუქა. მაშინ სხვანაირი იყო. წლების შემდეგ ხრიზოლის გულსაბნევი ჩემმა მეგობარმა ქალმა მაჩუქა და რატომღაც მომინდა, ამ საყურეზე დამეკიდა. მეორე საყურეზე იაშმას გულსაბნევი კიდია. ამასაც ასევე საინტერესო ისტორია აქვს. ადრე რუსთაველის გამზირზე დიდი უნივერმაღი იყო. ერთხელ იქ ოქროულობის განყოფილებაში მივედი და გამყიდველ ქალს ვკითხე, იაშმა ხომ არ ჰქონდათ. იაშმა ჩემი ქვაა. მითხრა, რომ არ ჰქონდათ. მას შემდეგ ბევრი თვე გავიდა და ეს ამბავი საერთოდ დამავიწყდა. ერთხელაც უნივერმაღში რომ შევედი, ეს ქალი გამომეკიდა, მითხრა, რამდენი ხანია თქვენთვის ვინახავ ამ გულსაბნევსო და მაჩუქა.

■ მაია მიქაშავიძის მძივი

სამკაულს ხშირად თავადაც ვაკეთებ. ჩემს ოქროს საყურეებს წითელი და ყვითელი ყურძნის მარცვლები დავკიდე. ეს ყურძნები თეატრში რეკვიზიტად გვქონდა. სხვათა შორის, ძალიან ლამაზი გამოვიდა.

ეს ჯვარი ათენში მაჩუქეს. გასტროლებზე „მედეა" გვქონდა წაღებული. სპექტაკლის შემდეგ ქართველი გოგონა სცენაზე ამოვიდა და ჯვარი გულზე ჩამომკიდა. მას შემდეგ ეს ნივთი ჩემთვის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანია. უცნობი ადამიანების, მაყურებლების ნაჩუქარი ძალიან ბევრი ნივთი მაქვს.

ულამაზესი მძივი მაია მიქაშავიძემ მაჩუქა. სვაროვსკის თვლებით და მარგალიტებითაა გაკეთებული. ძალიან ორიგინალურია და მიყვარს.

ლურჯთვლიანი საყურეები, რომლებსაც ბეჭედი და გულსაბნევიც აქვს, ერთ-ერთი იტალიური ბრენდის მაღაზიის მეპატრონე ქალმა მაჩუქა და ძალიან მიყვარს. დღეს სწორედ ის ნივთები ავირჩიე თქვენთვის საჩვენებლად, რომლებიც მაჩუქეს და მიყვარს.

— უპირატესობას ოქროს, ვერცხლს ანიჭებთ თუ ბიჟუტერიასაც სიამოვნებით იკეთებთ?

— მქონდა პერიოდი, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლს ვხმარობდი. ბევრი დაღესტნური ნივთი მქონდა, მაგრამ უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც ვერცხლის სამკაულებს აღარ ვიკეთებ. ძირითადად ოქროს ვხმარობ, თუმცა ლამაზი ბიჟუტერია ხანდახან ოქროს მირჩევნია. ვერ ვიტყვი, რომ კარგი ბიჟუტერია ოქროზე იაფია.

დისბაქტერიოზის სიმპტომებს:
ფაღარათი, შეკრულობა, შებერილობა
პრობიოლოგი®
მოგიხსნით
ანთებიანობის ასალები
სასწრაფო დახმარება
ნაწლავის ფლორის დარღვევისას

შეფუთვაში 30 კაფსულა
საკვები დანამატი
Lactobacillus acidophilus (La-5®) + Bifidobacterium lactis (Bb-12®)
ბავშვები 7 წლის ასაკიდან: 1 კაფსულა დღეში. კაფსულის გახსნისას ბაქტერიები რჩებიან დაცულნი
მოზრდილები: 2 კაფსულა დღეში.
იკითხეთ "ჯი პი სი"-ს აფთიაქებში
"ფიკ მედიკალი"-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ტელ/ფაქსი: (+995 32) 255 20 59
ელ-ფოსტა: ficmedical_georgia@yahoo.com
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
MAYOLY SPINDLER
(საფრანგეთი)



■ ათენში ნაჩუქარი ჯვარი

იაფია. ხშირ შემთხვევაში ოქროს კარგ ნივთებს ფასებით ნამდვილად უტოლდება. ჩემთვის მაინც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ნაკეთობას აქვს. უცებ ნივთი შემიპყრობს და იმ წუთას ვხვდები, რომ მინდა, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ასე ნაუცბათევად ნაყიდ სამოსს თუ აქსესუარებს აუცილებლად ვხმარობ.ვენეციაში ძალიან ლამაზი დიდი საყურეები შევიძინე, მაგრამ, როგორც კი ჩამოვიტანე, დავშალე.

მომწონს ინდური სამკაულებიც. რამდენიმე ინდური სამკაული მაქვს, მაგრამ რატომღაც ვერ ვიხმარე. ძალიან დიდებია და ყოველდღე გამოსადეგი არ არის.

■

საღამე ღაღენაშვილის აღმოსავლური ზაჰღახშა

— როცა სამკაულებს ვაკეთებ, მხოლოდ ამ საქმეზე ვარ კონცენტრირებული და სხვა რაღაცეებზე არ ვფიქრობ, ამ

■ ირანული ბეჭედი

დროს ვისვენებ. უკვე მეორე წელია, რაც ამით ვარ დაკავებული. თქვენს მკითხველს არ ეგონოს, რომ ყველა სამკაული, რომლებსაც ფოტო გადავუღეთ, ჩემი გაკეთებულია. ყიდულობ კიდეც. განსა-

→40

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
ნინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

ანტიბიოტიკოთერაპია ხშირად იწვევს დისბაქტერიოზს

ვითარდება დისკომფორტი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ:

✓ შებერილობა ✓ მუცლის ტკივილი ✓ ფაღარათი

ანტიბიოტიკების მიღების პირველივე დღიდან მიიღეთ

ლაქტო-ჯი

ლაქტო-ჯი

სწრაფად აღადგენს ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორას.

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

ანტიბიოტიკებთან ერთად მკურნალობის პირველივე დღიდან.

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

GMP
ჯი-ემ-პი

კუთრებით საყურეები მიყვარს. როცა სადმე ვმოგზაურობ, სულ ვცდილობ, აქსესუარები შევიძინო. ინდური სამკაულებიც მაქვს. დიდი ბეჭედი, რომელიც მიკეთია, ირანშია ნაყიდი. ყველა სამკაულს გარკვეული დატვირთვა და ისტორია აქვს, ამის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია ჩემთვის მისი არსებობა.

— რომელიმეს ისტორია მოგვიყევით.

— ამ დიდ ბეჭედზე, რომელიც ირანში ვიყიდე, ჩიტია გამოსახული. ადრე ამით წერილს ან დოკუმენტს ბეჭედს არტყამდნენ. მასზე რაღაც ორნამენტებია, ეს ძველი ბეჭდის თანამედროვე ვერსიაა. ძალიან ლამაზია სპარსული და არაბული კალიგრაფია. ასეთი ტიპის ბეჭდები ძირითადად მამაკაცებს უკეთიათ. თეირანში არის ერთი ებრაელი მოხუცი მოვაჭრე, რომელსაც ძველმანებით სავსე პატარა მაღაზია აქვს. იქ ბევრი საინტერესო რაღაცის პოვნა შეიძლება. ამ კაცს ძალიან უყვარს, როდესაც ევაჭრებიან. ერთი ბეჭედი სწორედ მასთან შევიძინე და ძალიან მიყვარს, რადგან იმ ადამიანსაც მახსენებს.

ინდური ყელსაბამი სხვადასხვა ფერის მაქვს. თქვენთვის მწვანე წამოვიღე, ვარდისფერი და ცისფერიც მაქვს. სამივე მათგანი კალკუტაში ვიყიდე. იქ არის სამკაულების მაღაზია. ძალიან ძნელია ინდოეთში წახვიდე და სამკაული არ შეიძინო. იქ ყველაზე ღარიბ ადამიანსაც კი აუცილებლად ამშვენებს თუნდაც შუშის სამაჯურები. ამ სამაჯურებით მუშაობენ, ასე დადიან, იძინებენ, მათთვის ეს ჩვეულებრივი რამაა. ჩამოვიტანე და მეგობრებს ჩამოვურიგე. მანქანით მოვდიოდი, დავინახე მოვაჭრე, რომელსაც პატარა ფარდული ჰქონდა და შუშის სამაჯურებს ყიდდა. აღმოჩნდა, რომ ძალიან იაფი ღირდა, უზარმაზარ ყუთში, მგონი, ორი დოლარი გადავიხადე. ბოლოს იმდენი წამოვიღე, რომ ლამის ნახევარი საქართველო დავაჯილდოვე. მინის სამაჯურებს ერთი ის მინუსი აქვს, თუ არ გაუფრთხილდები, ადვილად ტყდება. საოცრად წკრიალა ხმა აქვს და თან ძალიან ლამაზია. ჯერ კიდევ მაქვს შემორჩენილი და ზაფხულს ველოდები, რომ გავიკეთო.

ზამთრის და ზაფხულის სამკაულები ფაქტურის, ზომის, ფერის მიხედვით მაქვს დაყოფილი. თუ სამკაულს შესაბამის გარემოში არ გაიკეთებ, არ წაიკითხება.

ზოგი ძალიან ძველი სამკაული მაქვს. მომწონს სადა, თანამედროვე სამკაულებიც, მაგრამ როდესაც საქმე მე მეხება, მაინც ძველს ვამჯობინებ. როცა თავად ვაკეთებ რამეს, ჩემი შთაგონების წყარო ყოველთვის უფრო ბაროკოს სტილია, შეიძლება ინდური სამკაულებიც გახდეს ჩემი მუზა.

— თქვენს გაკეთებულ სამკაულებს სხვებს ადვილად ჩუქნით?

— როცა სამკაულების კეთება დავიწყე, არც მიფიქრია, რომ ჩემი ნამუშევარი ვინმესთვის მეჩუქებინა ან მიმეყიდა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ჩემთვის ფაქტობრივად აღარაფერი დამრჩა, ორისამი საყურე ძლივს შევინარჩუნე. თუ ჩემი ნახელავი ძალიან მომწონს, ვცდილობ, დავიტოვო, მაგრამ ხანდახან არც ეს გამომდის. თუმცა მაქვს ისეთი ნაკეთობები, რომლებსაც არავის ვაძლევ.

როცა მთხოვენ, აი, ასეთი საყურე მინდაო, ზუსტად ისეთს მაინც არ ვაკეთებ. ამის გარდა, ის მიზეზიც არის, რომ თბილისი საკმაოდ პატარა ქალაქია და ადამიანები ერთ წრეში ტრიალებენ. მგონი, არავის გაუხარდება, რამდენიმე ქალი ერთნაირი საყურით გამოცხადდეს. ჩემი საყურე ექსკლუზიურობის გარანტი უნდა იყოს.

■

ნინო ჯუჰაძაშვილი: „ახ მჩვევია ძვირფასი სამკაულებით, ბრილიანტებით სიარული"

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად საყურეები მიყვარს. შემიძლია არ გავიკეთო ბეჭედი, სამაჯური, მაგრამ, თუ საყურე არ მიკეთია, მგონია, რაღაც არ მაცვია. ჩემი აქსესუარების ზომაში გაზრდა და გამრავალფეროვნება ჩვენი გადაცემის („სამოთხის ვაშლები") დამსახურებაა. ყოველი დილა იმაზე ფიქრით იწყება, ეთერში რა ჩავიცვა და რომელი აქსესუარი გავიკეთო. ხშირ შემთხვევაში შავი ფერის სამოსს ვიცვამ, რასაც ფერადი სამკაულებით ვახალისებ. ბოლო დროს ძალიან მეხმარება თბილისის მოდის კვირეულები, სადაც აქსესუარების გამოფენა იმართება. იქ ბევრ საინტერესო რამეს აღმოვაჩენ ხოლმე. მიყვარს სამკაულების თვალიერება. დიდ საყურეებს სალომე დადუნაშვილმა შემაჩვია.

→43

ყელი მტკივა? გაცივდა?
ჩვენ ვიცვლით მაცივე!!!

სანუნწნი ტაბლეტები

ჰექსალიზი

ბიკლოთიმოლი, ლიზოციმი, ენოქსოლონი

№ 004727

აეროზოლი ადგილობრივი გამოყენებისთვის

ჰექსასპრეი

ბიკლოთიმოლი

პირის ღრუს, ხახის, ხორხის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები *(მწვავე და ქრონიკული ფარინგიტი, ფარინგოლარინგიტი, ტონზილიტი, სტომატიტი, გინგივიტი, პაროდონტიტი, ტონზილექტომიის შემდგომი პერიოდი, გლოსიტი).*

№ 004728

- მოზრდილებში 1 ტაბლეტი ყოველ 2 საათში. მაქსიმალური დღიური დოზა 8 ტაბლეტი.
  ბავშვებში 6 წლის ზევით 1 ტაბლეტი ყოველ 4 საათში.
  მკურნალობის კურსი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.
- 6 წლის ასაკიდან 2 შესხურება 3-ჯერ დღეში კვებისგან დამოუკიდებლად. მკურნალობის კურსი არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.
- შესაძლებელია გამოყენება ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

იკითხეთ "ჯი პი სი"-ს აფთიაქებში

BOUCHARA RECORDATI

მწარმოებელი: ლაბორატორია "ბუშარა რეკორდატი" (საფრანგეთი), "ფიკ მედიკალი"-ს წარმომადგენლობა საქართველოში. ტელ/ფაქსი: 995 (32) 255 20 59. E-mail: ficmedical_georgia@yahoo.com www.ficmedical.ru

საცხოვრებელი კომპლექსი „m² იპოდრომთან“: ასაშენებელი 9 კორპუსიდან 7 კორპუსის კარკასი აშენებული და გადახურულია

დ ეველოპერულმა კომპანიამ „m² უძრავი ქონება“ მედია ტური ჩაატარა, სადაც ჟურნალისტებს საცხოვრებელი კომპლექსის „m² იპოდრომთან“ მშენებლობის პროგრესის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. აღნიშნული პროექტი 2012 წლის აპრილში ჰოლანდიის განვითარებული ბანკის დაფინანსებით დაიწყო, რომელმაც მშენებლობა სრულად 20 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა.

მშენებლობის მონიტორინგს ჰოლანდიის განვითარების ბანკის მოთხოვნით ამერიკული სამშენებლო საინჟინრო კომპანია „აეკომი“ ახორციელებს, რის შედეგადაც მშენებლობის მკაცრი კონტროლი მიმდინარეობს.

„აეკომის“ წარმომადგენელი პრაკაშ კაუშიკი: „მინდა აღვნიშნო, რომ ვარ ძალიან კმაყოფილი, რადგან „m² იპოდრომთან“, მშენებლობა მიმდინარეობს უმაღლესი ხარისხის მასალებით, ასევე ადგილი აქვს თანხების სწორ და მიზნობრივ ხარჯვას და მეტიც, შენების ვადები უსწრებს დაწესებულ გრაფიკს. „აეკომი“ – ეს არის საერთაშორისო კომპანია, რომელსაც აქვს 8 მილიარდი ბრუნვა წელიწადში და 400 ოფისი მსოფლიოს გარშემო, მათ შორის ერთ-ერთი არის თბილისში, მე, როგორც მისმა წარმომადგენელმა, მინდა აღვნიშნო, რომ „m² იპოდრომთან“ თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია“.

მნიშვნელოვანია ბინების გაყიდვის ტემპიც. ამ ეტაპზე ბინების ნახევარი უკვე გაყიდულია.

გიორგი ვახტანგიშვილი (დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორი): „როგორც ხედავთ, საცხოვრებელი კომპლექსის „m² იპოდრომთან“ მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. 9 კორპუსიდან 7 კორპუსის კარკასი უკვე დასრულებული და გადახურულია. დღეისათვის კომპლექსში არსებული ბინების ნახევარი უკვე გაყიდულია. პროექტში სულ 522 ბინაა. ბინები მომხმარებელს ბარდება სრული რემონტით, თუმცა თეთრი კარკასის არჩევის საშუალებაც ეძლევათ. ბინების ფართები კი 47-დან 90 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ბინის შეძენის მსურველთათვის მოქმედებს შიდა განვადება, რომელიც უპროცენტო გახლავთ, ხოლო მინიმალური თანამონაწილეობა 35 %-ს შეადგენს. განვადების ვადა მშენებლობის დასრულებამდე, ანუ 2014 წლის სექტემბრამდე გრძელდება. ბინის მფლობელი სრულ თანხას მხოლოდ კომპლექსის დასრულებისას იხდის, უზრუნველყოფას კი მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება შეადგენს“.

რელიფი

მწვავე პრობლემებიც რბილია გვიდაწყვეტ!

რელიფი ეფექტურად ხსნის ბუასილის ყველა სიმპტომს

რელიფი
გამოშვების ფორმა:
რექტალური სანთელი და მალამო
ზვიგენის ღვიძლის ქონი
ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი

რელიფი ადვანსი
გამოშვების ფორმა:
რექტალური სანთელი და მალამო
ზვიგენის ღვიძლის ქონი
ბენზოკაინი

რელიფი ულტრა
გამოშვების ფორმა:
რექტალური სანთელი
ზვიგენის ღვიძლის ქონი
პიდროკორტიზონის აცეტატი
თუთიის სულფატი

BAYER

150 Years
Science For A
Better Life

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს
მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

ლაქტაციდი

ის, რაც ყველა ქალის სჭირდება!

ჰიგიენა მედიცინის დარგია, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებებს შეისწავლის. იგი ასევე დაავადებათა პროფილაქტიკის გზებს და ჯანმრთელობის შენარჩუნების მეთოდებს გულისხმობს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ მედიცინის დოქტორი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი მაკა გეგეჭკორი გვესაუბრება.

რას გულისხმობს ქალის ინტიმური ჰიგიენა?

ჰიგიენა არის გარკვეულ ღონისძიებათა ნუსხა, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ დღის წესრიგი, ელემიენტარული ქცევის წესები, კვების რეჟიმი და მათ შორის სისუფთავის დაცვა.

დღეს ჩვენ ინფექციების ერაში ვცხოვრობთ და ინფექციის ინიციაცია, გარდა სქესობრივი ცხოვრებისა, ჰიგიენურ თავისებურებებთანაც ასოცირდება. პირადი ჰიგიენა დასაცავია არა მხოლოდ სქესობრივად აქტიურ ადამიანებში, არამედ ბავშვებში, მოზარდებში, გვიან რეპროდუქციულ ასაკშიც.

მოზარდობის პერიოდში ჰიგიენას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ის სისტემები, რომლებიც ორგანიზმის მიერ გამომუშავებულ დამცავ ორგანიზმებს გულისხმობს, ამ დროს ყალიბდება. ასევე ბიოლოგიურად აქტიური პერიოდია მენსტრუაცია, როცა ცვლილებებს განიცდის დამცავი სისტემები, ორსულობა, მშობიარობა და, რა თქმა უნდა, გვიანი რეპროდუქციული ასაკი და მენოპაუზა, როცა ორგანიზმი უკუგანვითარებას განიცდის და ქალი ინფექციის პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე.

რატომ არის მნიშვნელოვანი ჰიგიენის დაცვა?

ქალის ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი ამ სფეროს უკავშირდება. ეს არის მისი მენსტრუაციული ფუნქცია, ორსულობა, მშობიარობა და გვიანი რეპროდუქციული ასაკი. ქალის პირველი შემხები ზედაპირი ინფექციასთან ანატომიურად, ეს არის საშოს კარიბჭე, რომელიც აღჭურვილია დამცავი სისტემებით.

შეიძლება თუ არა, არასწორმა ჰიგიენურმა პროცედურამ დააზიანოს საშოს მიკროფლორა?

რა თქმა უნდა. ქალი უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ დაბანით და არა გამორეცხვით.

რა შეიძლება გააკეთოს ქალმა ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად?

ითვლება, რომ ყველაზე კარგი ხარისხის საპონიც კი ქალის გენიტალიების მტერია. ის ქმნის ისეთ გარემო პირობებს, რომელიც ხელს უწყობს მთვლემარე მიკროორგანიზმების გაღვიძებას. ამიტომაც არსებობს ინტიმური ტერიტორიების დასაბანი ძალიან მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომლებიც შეიცავენ სწორედ იმ ნივთიერებებს, რაც დამცავ მექანიზმს ქმნის. ერთ-ერთი ასეთი იდეალურია ფრანგული წარმოების ლაქტაციდი.

ლაქტაციდი არის ინტიმური ტერიტორიების დასაბანი საშუალება, რომელიც შეიცავს რძის ექსტრაქტებს და ჩვეულებრივი საპნისაგან განსხვავებით ინარჩუნებს ბუნებრივ ინტიმურ ბალანსსა და უზრუნველყოფს არამხოლოდ სისუფთავეს, არამედ დაცვას გაღიზიანებისა და უსიამოვნო სუნისაგან. ლაქტაციდი დამზადებულია რძის მჟავასა და რძის შრატისგან, რომელსაც შეიცავს ქალის ორგანიზმი, ამიტომ, ფაქტობრივად, ბუნებრივ დასაბან საშუალებას მოვიხმართ.

როგორ უნდა მოვიხმაროთ ლაქტაციდი?

ლაქტაციდი არ არის წამალი, რომელსაც მოხმარების წესები და დოზები აქვს. შეგვიძლია გამოვიყენოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგვჭირდება. მოზარდობის პერიოდში, როცა საოფლე ჯირკვლები გაძლიერებულად მუშაობს, შესაძლებელია სხეულის სხვა ტერიტორიებზე მოხმარებაც. ასევე რეკომენდებულია კაცებისთვის გარეთა სასქესო ორგანოების დასაბანად.

GE.LAC.13.02.01

SANOFI

სანოფი-ავენტისის წარმომადგენლობა საქართველოში

მის.: მეტეხის ქ. N 22 ტელ.: 227 36 91 ფაქსი: 277 16 02

მეგონა, რომ ასეთი დიდი ზომის საყურეები მხოლოდ მას უხდებოდა, მაგრამ ახლა მეც ძალიან ვიხდენ. ჩემი აქსესუარების კოლექციაში ბევრია სალომეს გაკეთებული. ის ძალიან ლამაზ „ბრაშებსაც“ აკეთებს და ამითაც განებივრებული ვარ.

ეს ყელსაბამი, ბეჭედი და საყურეები, რომლებიც მიკეთია, ჩემი ბოლო შენაძენია, ინტერნეტით გამოვიწერე. ასეთ ხერხებსაც მივმართავ. ამ პროცესმა ჩათრევა იცის და ვცდილობ, ძალიან არ ჩავება, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ორიგინალურ აქსესუარებს აღმოვაჩენ ხოლმე, არ არსებობს, არ გამოვიწერო.

— განსაკუთრებულად რომელი გიყვართ?

— არ ვიცი, რომელი გამოვარჩიო. მეუღლის ნაჩუქარი ბეჭედი ძალიან მომწონს, მაგრამ ხშირად არ ვხმარობ. არ მჩვევია ძვირფასი სამკაულებით, ბრილიანტებით სიარული, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიკეთია. აქსესუარებს ყოველთვის სამოსს ვუხამებ. სვაროვსკისთვლებიანი სამკაულებიც მაქვს, რომლებიც ძალიან სადაა და ხშირად ვიკეთებ. ერთი წყვილი საყურე მაქვს, რომელიც აბსოლუტურად ყველანაირ სამოსს უხდება. თუ მეჩქარება და ტანსაცმლის შესაბამისი სამკაულების მოძებნის დრო არ მაქვს, უცებ იმ საყურეებს ვიკეთებ და გავრბივარ.

■

თამარ ნადირაძე: „სამ ბეჭედს ხელიდან არ ვიხსნი“

— აქსესუარები ძალიან მიყვარს, ამიტომ გადავწყვიტე, აქსესუარების წარმოება დავიწყო. შეიძლება ძალიან ჩვეულებრივი კაბა მეცვას, მაგრამ მასზე მასიური სამკაულები გავიკეთო და სხვანაირი გავხადო.

— სამკაული აუცილებლად ძვირფასი უნდა იყოს თუ ბიჟუტერიასაც იკეთებთ?

— ბიჟუტერიაში იმდენი თანხა მაქვს გადახდილი, რომ ბევრ ბრილიანტს და ოქროს ვიყიდდი. რამდენიმე წლის წინ ჩემი ოქროს სამკაულები მოვიხსენი და შევინახე. სამი ბეჭედი მაქვს, რომლებსაც ხელიდან არასოდეს ვიხსნი. 19 წლის იყო ჩემი შვილი, როდესაც სასწავლებლად უცხოეთში წავიდა, მაშინ რომ გავიკეთე ეს ბეჭდები, აღარ მომიხსნია. ერთს პატარა ბრილიანტის თვალი აქვს, ჩემი შვილი რომ დაიბადა, მის სახელზე მაშინ ვიყიდე. მეორე ბეჭედზე სპილოებია გამოსახული, ძალიან მიყვარს.

სპილო ხომ სიძლიერის სიმბოლოა. მესამე ბეჭედი ჩემმა შვილმა 8 მარტს მაჩუქა, მაშინ მე-8 კლასში იყო. დანარჩენ სამკაულებს სამოსს ვუხამებ.

✓ ქეთი დინოშვილი

ტერაფლექსი

გვიხსნიან ძვლოვანი ცხცრების ტკივილებისგან!

BAYER

150 Years
Science For A Better Life

- ✓ ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსრებსა და ხერხემალში
- ✓ ახდენს ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას
- ✓ ზრდის სახსრების მოქნილობას
- ✓ ამცირებს მოთხოვნილებას ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდულ პრეპარატებზე
- ✓ აუმჯობესებს პაციენტთა სიცოცხლის ხარისხს

ტერაფლექსი ადვანსი
დაავადებების
გამწვავებისას

ტერაფლექსი
დაავადებების ბაზისური
თერაპიისათვის

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

რატომ მღერის მაკა ზამბახიძე რატი დურგლიშვილის გარეშე

დუეტ „ჯორჯიას“ დაშლაზე თითქმის მთელი ქალაქი საუბრობს. გავრცელებული ხმებით, რატი დურგლიშვილსა და მაკა ზამბახიძის შორის შავმა კატამ გაირბინა, პირადი უთანხმოება მოხდა. ამ ჭორს ისიც ამყარებს, რომ თითქმის ერთი თვეა, მაკა ზამბახიძე თბილისის ერთ-ერთ კლუბში მარტო, რატის გარეშე მღერის. „სარკესთან“ საუბარში რატიმაც უარყო გავრცელებული ხმები და მაკამაც. მაკა კი თავის სოლო გამოსვლებს იმით ხსნის, რომ რატი საზღვარგარეთ აპირებს წასვლას. ჩვენთან საუბარში კი რატიმ ესეც უარყო... მოკლედ, თუ რა ხდება მომღერლების ცხოვრებაში, დასკვნების გაკეთებას მკითხველს მივანდობთ.

— მაკა ძალიან აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ თქვენი დუეტი დაშალა ეს სიმართლეა?

— უკვე რამდენიმე ადამიანმა დამირეკა და იგივე შეკითხვა დამისვა. ჩვენი დუეტი არ დაშლილა, არა!

— თქვენ ერთ-ერთ კლუბში რატის გარეშე მღერით.

— კი და შეიძლება ეს ხმებიც ამიტომ გავრცელდა, მაგრამ რატი, როგორც ვიცი, რამდენიმე თვით საზღვარგარეთ აპირებს წასვლას. ამიტომ რასაც დუეტში ვმღეროდით, იმავე პროგრამას კლუბში მარტო ვმღერი.

— ანუ თქვენსა და რატის შორის გაბნეულობას უარყოფთ?

— არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა. თუ ჩვენი დუეტი დაიშლება, დამერწმუნეთ, პრესკონფერენციას გავმართავთ და საჯაროდ გამოვაცხადებთ. ეს ყველაფერი ასე ჩუმად არ მოხდება.

— სანამ საზღვარგარეთ წაკა თქვენთან ერთად რატომ არ მღერის?

— ემზადება, ეს ყველაფერი კი დროს მოითხოვს.

— საზოგადოების თავშეკრის ადგილებზეც ერთ ჩანთით ერთად.

— როგორ არა! 8 მარტს ერთად ვიმღერეთ, შარდენზეც კარაოკე ფართიზე ერთად ვიყავით.

„სარკე“ ამის შემდეგ რატი დურგლიშვილსაც დაუკავშირდა.

რატი დურგლიშვილი:

— ზღაპარია, რომ ჩვენი დუეტი დაიშალა. ბევრი ადამიანი გულდაწყვეტით მირეკავს და მწერს, რატომ დაიშალეთო. ყველას ვუხსნი, რომ ეს სიმართლე არ არის. მაკამ სოლო სიმღერა რომ ჩაწეროს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, დუეტი დაიშალა? უბრალოდ მე სურვილი არ მქონდა, რომ კლუბში მემღერა, მაკას ჰქონდა. კლუბში აპარატურა არ ვარგა, მე კი ბევრ რაღაცას ვაქცევ ყურადღებას.

— მაკამ თქვა კლუბში მასთან ერთად იმიტომ არ მღერით, რომ საზღვარგარეთ მგზავრობთ სამართლიანი?

— საზღვარგარეთ წასვლაზე დიდიხანია ვფიქრობ, ეს ყველა ადამიანის ოცნებაა. იქ დიდი შანსი გაქვს, რომ ბევრი რამ გააკეთო. ახლახან, სანამ დამირეკავდით, მაკამ მეც დამირეკა და მკითხა, მიზეზი ხომ ეს არისო და ვუთხარი, არა-მეთქი... დუეტი არ დაშლილა. გიმეორებთ, ამ შემთხვევაში ასე გამოვიდა, მაკას სურვილი აქვს, რომ კლუბში იმღეროს, მე — არა.

ეკა ფანგანი და ბექა ჩხაიძე ერთმანეთს დაშორდნენ

„ყველაფერი დამთავრდა, მე ჩემი გზა მაქვს და მას – თავისი“

თბილისური ბომონდის ცნობილი შეყვარებული წყვილი გაიყარა — ეკა ფანგანი და ჯგუფ „ალილოს“ წევრი ბექა ჩხაიძე სულ ცოტა ხნის წინ ერთმანეთს დაშორდნენ. ეკამ ეს ამბავი „სარკესთან“ დაადასტურა. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ისინი მეგობრებად დარჩნენ, რადგან, როგორც ჩანს, კონფლიქტი მოხდა და ეკას ყოფილ შეყვარებულთან არანაირი ურთიერთობისსურვილი არ აქვს.

— ასეთი რაღაცეები ხდება და ჩვენს შემთხვევაშიც მოხდა. ახლა ვხვდები, რომ ადრე თუ გვიან ასე იქნებოდა, — ამბობს ეკა ფანგანი, — კარგია, რომ სერიოზული ნაბიჯის გადადგმის მერე არ მოხდა, რასაც ვგეგმავდით.

— სერიოზული ნაბიჯში ოჯახის შექმნას გულისხმობთ?

— ბუნებრივია, ადამიანების ურთიერთობა ყოველთვის აქეთკენ მიდის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, ზუსტი თარიღი დაგეგმილი არ გვქონდა.

— მესამე ადამიანი ხომ არ ჩადგა თქვენ შორის?

— არა, უბრალოდ ინტერესების თანხვედრა არ მოხდა. ბოლოს სულ ვჩხუბობდით... არ მსურს დეტალებზე საუბარი. ერთმანეთთან ძალიან შეთავსებული წყვილებიც შორდებიან.

— დღეს რაგორი ურთიერთობა გაქვთ თქვენ და ბექას?

— დღეს მასთან ურთიერთობა არ მაქვს. არ ვიცი, ოდესმე რა ურთიერთობა გვექნება. მე ჩემი გზა მაქვს და მას ალბათ — თავისი. ყველაფერი დამთავრდა.

— ანსამბლ „ალილოს“ პროდიუსერი იყავით, რომლის წევრიც ბექა. მათთან გაგიჭირდებთ ძველებურ ურთიერთობას?

— ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ჩვენ არამხოლოდ საქმე გვაკავშირებს, პირველ რიგში, მეგობრები ვართ. არ მიფიქრია, მათ პროდიუსერად დავრჩები თუ არა. შეიძლება მე თვითონ არ მომინდეს იმ საქმეებში ჩარევა, სადაც ბექაც იქნება.

— თქვენს პირად ცხოვრებაში ახალი ობიექტი ხომ არ ჩანს ჰორიზონტზე?

— არა და ამის არანაირი სურვილიც არ მაქვს. დავრწმუნდი, რომ ბედნიერება თავისუფლებაშია.

სრული კომფორტი მოძრაობის დროს

ოპტიმალური არჩევანი ოსტეოქონდროზისა
და ოსტეოართროზის ბაზისური თერაპიისათვის,
გაძლიერებული სამკურნალო ეფექტით

- აღადგენს და აჯანსაღებს ხრტილოვან ქსოვილს
- ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსარში
- აუმჯობესებს მოძრაობას

ქონდროიტინ სულფატი - 500 მგ
გლუკოზამინის ჰიდროქლორიდი - 500 მგ

ყურადღება!
სააფთიაქო ქსელებში კვლავ გრძელდება აქცია
უნიფარმისგან შეიძინეთ ართრა და მიიღეთ საჩუქარი!

UNIPHARM, INC
New York, USA

“UNIPHARM, INC”
წარმომადგენლობა საქართველოში,
ქ. თბილისი, შროშის ქ. N1, ბინა 5
ტელ.: 291 09 50; ფაქსი: 291 09 60
მობ.: 599 20 11 44; 595 38 08 80

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

გიორგი მოსიძე: „ქართველ კაცებზე ლეგენდა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინაშია“

„კლაიპედაში დისკოთეკაზე არ შეგვიშვეს, ბებრები ხართო“

ოაზროვნეთა კლუბის „მამა“, გადაცემის „რა? სად? როდის?“ წამყვანი გიორგი მოსიძე, თავის საზღვარგარეთულ ვოიაჟებს მოგზაურობას არ უწოდებს, რადგან ძირითადად საერთაშორისო ღონისძიებებზე დადის და ქალაქების დასათვალიერებლად დრო ნაკლებად რჩება. საერთო ჯამში, 50-მდე ქვეყანაშია ნამყოფი, რომელთაგან გამორჩეულად იტალია ახსენდება. ბოლო დროს ცოლთან ერთად დაიწყო საზღვარგარეთ სიარული. თვლის, რომ პეტრაში ერთობლივი მოგზაურობა მათი ყველაზე დიდი ტურისტული მიღწევაა. წელს საქართველოს კალათბურთის ნაკრების მხარდასაჭერად სლოვენიაში აპირებს წასვლას ევროპის ჩემპიონატზე და დიდი კურიოზების მოლოდინშიცაა.

გიორგი მოსიძე:

— ქვეყნიდან ჩემს გასვლას მოგზაურობას ვერ დავარქმევ, რადგან ძირითადად მივლინებებსა და ღონისძიებებზე მიწევს წასვლა. მოგზაურობა ცოტა სხვა რამ გახლავთ. სადაც ჩავდივარ, როგორც წესი, ქალაქის დათვალიერებისთვის დრო ნაკლებად მაქვს. მივლინებებში საკმაოდ ხშირად დავდივარ და 50-მდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ევროპის ქვეყნების 80% მოვლილი მაქვს, აზიაში კი იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ვიყავი. შუა აზიაში არ ვყოფილვარ. ყველა ქვეყანას რაღაც ხიბლი აქვს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი სამხრეთ იტალიაში მოგზაურობა იყო.

— რით იყო ეს მოგზაურობა გამორჩეული?

— რომიდან სამხრეთით მდებარე ქალაქები მოვიარე — ნაპოლი, კამპანა, კალაბრია და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ვფიქრობ, რომ საქართველომ განვითარებით მათ უნდა მიბაძოს, მათი კურსი აიღოს. გერმანიას და ჰოლანდიას ჩვენ აქ ვერასდროს ავაშენებთ და ამის ილუზია არც გვაქვს. იტალია თავისი ბუნებით, მიწათმოქმედების კულტურით ძალიან საინტერესოა. ტრასების გვერდით ვაზის, ზეთისხილისა და ფორთოხლის პლანტაციები ენაცვლება ერთმანეთს.

პლუს, იტალიაში ძველი ქალაქებია აღდგენილი და ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს, მაგალითად, ტაორმინა, რომელიც უკვე სიცილიას ეკუთვნის და მოქმედ ვულკან ეტნას მოპირდაპირე მთაზე მდებარეობს. ამ ქალაქში რომ დადიხარ, თავი უძველეს გარემოში გგონია. ამფითეატრები ყველგან აღდგენილია. ერთ-ერთში, მართალია, არანაირი სპექტაკლი არ იმართება, მაგრამ ზიხარ და მოპირდაპირე მთაზე ვულკან ეტნას აქტიურობას უყურებ. ეტნა არცთუ დიდი ხნის ჩამქრალი გახლავთ, მაგრამ მოქმედია და აქტიურ ვულკანებს მიეკუთვნება. მის შემხედვარეს შეგრძნება გეუფლება, რომ ფერფლმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაგფაროს.

— ბევრისგან მსმენია, იტალიელებსა და ქართველებს შორის მსგავსება დიდიაო.

— მართლაც, ქართველებსა და იტალიელებს შორის დიდი მსგავსებაა. ისინიც ხმაურიანები და ჟესტიკულაციით აღსავსე ხალხია. სამწუხაროდ, იტალიელებმა, როგორც წესი, არც ინგლისური იციან და არც სხვა უცხო ენა, ამიტომ კონტაქტში შესვლა რთულია, მაგრამ გულღიები არიან და დახმარების გაწევასაც ყოველთვის ცდილობენ, ოღონდ ამ მისიას ძირითადად პოლიცია ასრულებს და იტალიაში თუ რამე გაგიჭირდებათ, კარაბინერს უნდა მიმართოთ.

— იტალიის გარდა თქვენთვის დასამახსოვრებელი კიდევ რომელი მოგზაურობა იყო?

— პრაღაში არაერთხელ ვარ ნამყოფი, მაგრამ ბოლოს გასული წლის მაისში ცოლთან ერთად გახლდით და ამ ქალაქმა ჩვენზე წარუშლელი კვალი დატოვა, რადგან იქაურობას რაღაც სხვა პეწი აქვს, სხვა კულტურა შეიგრძნობა. ამას კიდევ უამრავი ისტორიული პირი ემ-



■ გიორგი მოსიძე იტალიაში

„ამფითეატრში ზიხარ და მოპირდაპირე მთაზე ვულკან ეტნას აქტიურობას უყურებ... მის შემხედვარეს შეგრძნება გეუფლება, რომ ფერფლმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაგფაროს“.

ატება, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და როცა ძველი პრაღის ქუჩებში დადიხარ და წარწერებს ათვალიერებ — „აქ ცხოვრობდა ფრანც კაფკა“, ხვდები, რომ ისტორიას საკუთარი ხელით ეხები.

— ცოლთან ერთად ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი?

— ბოლო დროს დავიწყეთ ერთად მოგზაურობა. როცა საკრებულოს წევრი ვიყავი და ევროსაბჭოს ღონისძიებებზე დავდიოდი, იქ ემილიას გარეშე მიწევდა წასვლა. თუ სამოგზაუროდ მივდივარ, ცოლიც მიმყავს. ის ჩემ გარეშე საზღვარგარეთ არ დადის, მე თუ წავიყვან სადმე. ამის გამო ძალიან წუხს, მაგრამ სამ ბავშვს ვერავის ვუტოვებთ. თან მესამე ისეთი გვყავს, არც არავინ დაიტოვებს, ძალიან ცელქია.

ისრაელში — აღთქმულ მიწაზეც ერთად ვიყავით. მკვდარმა ზღვამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა, ვიცურავეთ კიდეც. იქიდან იორდანიაში, ქალაქ პეტრაში გადავედით. ეს ქალაქი სადღაც ჩაკარგულში, ნახევრად უდაბნოში, კლდეშია ამოკვეთილი, სადაც სულ მუდამ ქვიშიანი ქარი უბერავს. პეტრაში მე და ჩემი ცოლი პილიგრიმებივით დავდიოდით. ეს ჩემი და ემილიას ყველაზე დიდი ტურისტული მიღწევა გახლავთ. იტალიაშიც ერთად ვიყავით, თურქეთშიც ერთად დავისვენეთ ორი შვილით. ამ ზაფხულს კი სამი ბავშვით წასვლა მოგვიწევს და უკვე გული გვისკდება, წარმოგვიდგენია, რა იქნება.

■ იერუსალიმში

— როგორც წესი, ქალებს საზღვარგარეთ შოპინგი ძალიან უყვართ. თქვენ თუ დაჰყვებით ცოლს მაღაზიებში?

— სამოგზაუროდ ძირითადად სამეგობროდან რამდენიმე წყვილი მივდივართ ხოლმე ერთად და ამ საქმეს ქალები უჩვენოდაც გადასარევად ართმევენ თავს. მე არ დავყვები, რადგან ამის არც ნერვები მაქვს და ჩვენი გემოვნებაც განსხვავდება ერთმანეთისგან. რომ არ ვიჩხუბოთ, ცალ-ცალკე ვშოპინგობთ ხოლმე.

— პირადად თქვენ როგორ შოპინგობთ?

— თუ რამე კონკრეტულის ყიდვა მინდა, სანამ გავემგზავრები, ინტერნეტში წინასწარ ვნახულობ, მისი შეძენა სად შეიძლება. მაგალითად, ბოლოს ვილნიუსში ვიყავი, სადაც „ტრუსარდის“ შარვლის ყიდვა მინდოდა. მასპინძლებმა წინასწარ მომწერეს, რომელ სასტუმროში ვიცხოვრებდი. ინტერნეტში მოვძებნე, ამ შარვალს სად ვიყიდდი და „გუგლ მაპში“ სასტუმროდან მაღაზიამდე ფეხით სავალი მარშრუტი ამოვბეჭდე.

„ჩოცა ძველი პრაღის ქუჩებში დადიხარ და წაიწერებს ათვალიერებ — „აქ ცხოვრობდა ფრანც კაფკა“, ხვდები, რომ ისტორიას საკუთარი ხელით ეხები“.

— უცხოეთიდან ცოლისთვისაც ჩამოგაქვთ საჩუქრები?

— ჩემთვის ვყიდულობ ხოლმე ტანსაცმელს, ემილიასთვის კი — არა, რადგან, რაც ჩამოვუტანე, დიდი მადლობები მიხადა, მაგრამ არაფერი ჩაიცვა. არასდროს უგრძნობინებია, რომ არ მოსწონდა, მაგრამ მე ხომ მივხვდი, ამიტომ აღარაფერი ჩამომაქვს.

— არც სუვენირები?

— არა, რადგან არ მიყვარს. უაზრობაა და არც ის მიყვარს, როცა მჩუქნიან. მერე აღარ ვიცი, სად წავიღო. ერთი პერიოდი უჯრები სუვენირებით მქონდა გამოტენილი, მერე გადავყარე. ვთვლი, რომ ამაში ფულის დახარჯვა არ ღირს. სუვენირების ყიდვას ჯობია უცხოეთიდან იქაური ტკბილეული წამოიღო. ტკბილეული ისეთი რამაა, არ დაიკარგება, ვინმეს აჩუქებ. მოკლედ რომ გითხრათ, ტკბილეული წაუგებელი საჩუქარია.

— უცხო ქვეყნებში ადგილობრივ კერძებს თამამად აგემოვნებთ?

— სხვათა შორის, სხვა ქვეყნის სამზარეულოსთან შეგუება ძალიან მიჭირს. სუშის მოყვარული ვარ და სუში ბარებში აქაც ხშირად დავდივარ. იაპონიაში კი სულ სხვა

→46

Cyan Magenta Yellow Black

კულტურაა. ახლობლებმა ფუგუს საჭმელად წამიყვანეს. ფუგუ შხამიანი თევზის სახეობაა, რომელმაც, თუ ცუდად მომზადდა, შეიძლება სიკვდილიც გამოიწვიოს. ამ თევზის ჭამა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ რას ვიზამდი, 100 ევრო გადაიხადეს, პატივი მცეს და უნდა მეჭამა. არ დამავიწყდება, როგორ თანთალებდა პირში. რომ გადაყლაპავ, მის თანთალს მუცელშიც გრძნობ.

სხვა სამზარეულოებიდან იტალიურს გამოვყოფდი. იქაურ პიცას რა შეედრება! სიმართლე გითხრათ, ფრანგულ სამზარეულოს ვერ ვეგუები. უპირატესობას მარტივ საჭმელებს ვანიჭებ.

— იაპონიამ კიდევ რითი მოგხიბლათ?

— აბსოლუტურად სხვა პლანეტა, კულტურა, მენტალობა და დროის სხვა ათვლაა. ჩვენთან თუ 2013 წელია, იაპონიაში 2033 და შეიძლება 2053 წელიცაა. ეს ქვეყანა იმდენად საინტერესოა, ყველამ უნდა ნახოს. ასეთი უნდა იყოს კაცობრიობის მომავალი.

— ლამაზი ქალებით რომელ ქვეყანაში მოგხიბლეთ?

— ჰოლანდიაში ფეხით თუ გაივლით, ვერ იტყვით, რომ ლამაზი ქალები დადიან, მაგრამ ჰაიაგაში, ერთ-ერთ ძალიან პოპულარულ ღამის კლუბში, ულამაზესი გოგოები ვნახე. ალბათ ნაღები საზოგადოება იკრიბებოდა, რადგან მსგავსი სილამაზის, გემოვნებით ჩაცმული და მოვლილი ამდენი კარგი გოგო ერთად არსად მინახავს. იქ ჩვენთვის, ქართველებისთვის, კიევისგან და მინსკისგან განსხვავებით, არჩევანი ნაკლებად იყო, რადგან მათთვის ჩვენ არანაირ ინტერესს წარმოვადგენდით, მაგალითად, როგორც თქვენთვის ბანგლადეშელი სტუდენტი მამაკაცები. ქართველ კაცებზე ლეგენდა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინაშია.

— მოგზაურობა ვისთან ერთად გიყვართ, ვინაა თქვენთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი?

— გოგი კახიძესთან ერთად სიამოვნებით ვმოგზაურობ. ის ჩვენს გადაცემაში უხუცესი

„ჩემთვის ვყიდულობ ხოლმე ტანსაცმელს, ემილიასთვის ჯი — ახა, ხადგან, ხაც ჩამოვუტანე, დიდი მადლობები მიხადა, მაგრამ ახაფეხი ჩაიცვა. ახასდრომს უგძნობინებია, რომ ახ მოსწონდა, მაგრამ მე ხომ მივხვდი, ამიტომ აღარაფეხი ჩამომაქვს“.

გახლავთ. ჩემი უფროსი ბიჭის ნათლიაცაა. მასთან ერთად მოგზაურობა ხშირად მიწევს. ბოლოს უკრაინაში, ვინიცის ოლქის სანატორიუმში ვიყავით სამკურნალოდ. ამ სანატორიუმში საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფიზიოთერაპიულ 10 დღიან პროცედურებს ატარებენ.

— რატომ დაგჭირდათ?

— 40 წელს მიღწეულ ქართველ კაცებს, რომლებსაც ჭარბი წონა გვაქვს აკრეფილი, ყველას ზურგის ტკივილი გვაწუხებს. ეს კი ყოველდღიური ჯდომითი სამუშაოთია გამოწვეული.

— ალბათ დიდხანს ფრენაც დისკომფორტს გიქმნით.

— გეთანხმებით. ადრე ფრენა ძალიან მიყვარდა და თვითმფრინავში თავს კარგად ვგრძნობდი. ბოლო დროს კი ფრენის დროს ხან ზურგი

„იაპონია აბსოლუტურად სხვა პლანეტა, კულტურა, მენტალობა და დროის სხვა ათვლაა. ჩვენთან თუ 2013 წელია, იაპონიაში 2033, შეიძლება 2053 წელიცაა“.

ტოკიოში

მტკივა, ხან ვერ ვიძინებ. ეტყობა, ასაკი შემომეპარა. ადრე დიდხანს ფრენის შემდეგ დისკოთეკაზე წასვლაც შემეძლო, ცეკვაც და ყირაზე გადასვლაც. უკვე 5 წელია, რაც გადაფრენის მერე კარგი გამოძინება მჭირდება, თორემ მერე საქმის კეთებას ვერ შევძლებ.

როცა დიდხანს ფრენა მიწევს, ფილმებს ვუყურებ ხოლმე. შარშანწინ ნიუ იორკის კინოაკადემიის კურსები დავამთავრე ტელესერიალების პროდიუსერის განხრით. ამ სფეროში მუშაობას ახლა ვიწყებ და ჩემი პროფესიული საჭიროებისათვის ყველა იმ წამყვან სერიალს, რომელიც დღეს მსოფლიო ეკრანებზე გადის, სკანირებას ვუკეთებ, ანუ ვუყურებ და ვარჩევ. ამისათვის კი თვითმფრინავში იდეალური სიტუაციაა.

— ტურბულენტურ ზონაში არასდროს მოხვედრილხართ?

— კი, როგორ არა. 2005 წელს საქართველოს დელეგაცია კიევიდან ვბრუნდებოდით. სალონის ბოლოში ვიჯექი და ფანჯრიდან შორს რაღაც წერტილი დავინახე, რომელიც თანდათან გვიახლოვდებოდა. უკვე წივილ-კივილი რომ დავიწყეთ, ჩვენმა თვითმფრინავმა მაშინ აიღო საჭე გვერდით. მართალია, იმ თვითმფრინავს ავცდით, მაგრამ დიდ ტურბულენტურ ორმოში ჩავვარდით. არ ვიცი, ამას რა ჰქვია, მაგრამ შეგრძნება გვქონდა, რომ კუჭი ყელში ამოგვივიდა. თვითმფრინავის შიში არც ამის მერე დამჩემდა, რადგან ვთვლი, რომ თუ გიწერია, აუცილებლად აგისრულდება.

— თქვენი მოგზაურობებიდან სახალისო ისტორიაც გაიხსენეთ.

— ასეთი ბევრია. შარშანწინ დიდი კამპანიით კლაიპედაში კალათბურთის ევროპის ჩემპიონატზე ვიყავით წასული, სადაც საქართველოს ნაკრებიც თამაშობდა. იქ დაგვემართა, თუ დაგვემართა! ჯერ ღამით ქალაქში დავიკარგეთ, მერე შეცდომით გეების ბარში შევბოდიალდით. ვიღაც ჯეელებმა რომ გაგვიღიმეს, მერე მივხვდით, სადაც ვიყავით და, რა თქმა უნდა, გამოვედით. ბოლოს დისკოთეკაზე წავედით, მაგ-

„სვენიჩების ყიდვას ჯობია უცხოეთიდან იქაური ტანსაცმელი წამოიღო. ტანსაცმელი ისეთი ხამაა, ახ დაიჯახგება, ვინმეს აჩუქებ. მოკლედ ჩემ გითხხათ, ტანსაცმელი ნაუგებელი საჩუქახია“.

რამ არ შეგვიშვეს. გვითხრეს, ბებრები ხართ, თქვენი კლუბი ქუჩის გადაღმა არისო. მივედით და დაგვხვდა წარწერა: „40 წლის ზემოთ“ და შესაბამისი კონტინგენტიც. არადა თავს 40 წლის ზემოთ მამაკაცად ჯერ არ ვგრძნობ!

— ასე ჯგუფურად ხშირად მოგზაურობთ?

— საკმაოდ. წელსაც ვაპირებთ საქართველოს ნაკრების მხარდასაჭერად სლოვენიაში „ევრობასკეტზე“ დიდი კამპანიით წასვლას და ვფიქრობ, იქ იქნება კურიოზები, თუ იქნება.

— საერთო ენას ყველაზე კარგად რომელი ქვეყნის წარმომადგენლებთან პოულობთ?

— უკრაინელებთან. მათთან ბევრი საერთო მაქვს და იქ ყველაზე მეტი მეგობარი მყავს. ერთ-ერთმა შვილიც მომინათლა. ასე რომ, ამ ქვეყანასთან ნათელმირონობა მაკავშირებს.

— უახლოეს მომავალში აპირებთ სადმე გამგზავრებას?

— ბაქოში კასპიის თასზე მიწევს წასვლა, ამჯერად ორი დღით.

✓ სოფიო ბოჭორიძე

მაიამი

მაიამი — არნახული გართობა ლათინური ამერიკის კარიბჭესთან

ქალაქი მაიამი ამერიკის ერთ-ერთ მზიან შტატში, ფლორიდაში მდებარეობს. ის ერთგვარი კარიბჭეა ლათინური ამერიკისკენ, შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს. მაიამი მათთვისაა განკუთვნილი, ვისაც გართობა უყვარს.

ქალაქის სტატუსი მაიამიმ 1896 წლის 28 ივლისს მიიღო. ის არამარტო აშშ-ის კულტურულ და ფინანსურ ცენტრად ითვლება, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც განთქმულია. 2010 წელს მაიამი შეფასდა, როგორც მეშვიდე ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი აშშ-ში და 33-ე — მსოფლიოში. 2008 წელს კურორტი ჟურნალმა „ფორბსმა“ ამერიკის უსუფთეს ქალაქად აღიარა. 2001 წლიდან მაიამიში სამშენებლო ბუმი დაიწყო. 2002 წელს ინვესტორებმა ერთდროულად 50-მდე ახალი ცათამბჯენის მშენებლობა დაიწყეს, რომელთა სიმაღლე 122 მეტრს აღემატებოდა.

Cyan Magenta Yellow Black

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ

მაიამიში ტროპიკული კლიმატია გამეფებული. ცხელი ზაფხული და ხანმოკლე, თბილი ზამთარი იცის. იანვარში საშუალო ტემპერატურა 19 გრადუსია, ხოლო ზაფხულში ჰაერი 35 გრადუსამდე თბება. თოვლი იქ არ იცის.

წვიმიანი სეზონი მაისიდან იწყება და ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გასტანს. მიუხედავად წვიმებისა, ამ დროს ტემპერატურა 29-35 გრადუსამდე მერყეობს.

ᲔᲜᲐ

მაიამის, ისევე როგორც მთელი შტატების, ოფიციალურ ენად ინგლისურია გამოცხადებული. ის ერთადერთი ქალაქია ლათინური ამერიკის ფარგლებგარეთ, სადაც მოსახლეობის უმეტესობა, დაახლოებით 65%, ლათინოამერიკული წარმოშობისაა, ამიტომ ქალაქში ესპანური ყველაზე პოპულარული ენაა.

საგანმანათლებლო სისტემა ორივე ენაზეა დაფუძნებული. ნებისმიერი ადგილობრივი მცხოვრები ორივე ენას კარგად ფლობს, ერთმანეთში კი მაინც ესპანურს იყენებენ.

მაიამიში ჰაიტურ კრეოლზე, ფრანგულსა და პორტუგალიურ ენებზე მოსაუბრეებსაც მრავლად შეხვდებით.

ᲤᲣᲚᲘ

ამერიკული დოლარი მაიამის ოფიციალური ვალუტაა. საერთოდ ამერიკული დოლარით არამარტო შტატებში, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფლად ისარგებლებთ. ტურისტებს სხვა სახის ვალუტა იშვიათად ჩააქვთ, მაგრამ რომც ჰქონდეთ, ეს პრობლემა არაა, რადგან ვალუტის გადაცვლა იოლად შეგიძლიათ.

მაიამი საკმაოდ ძვირი კურორტია, ამავე დროს გასაკვირად დაბალი სახელმწიფო გადასახადებია.

ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ

კურორტს ორი აეროპორტი ემსახურება, საიდანაც ფრენები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილისკენ ხორციელდება. საერთაშორისო აეროპორტი ქალაქის დასავლეთით, ცენტრიდან 10-15 წუთის სავალზე მდებარეობს. მეორე, ფორტ ლოდერდეილის სახელობის აეროპორტი კი ცოტა მოშორებით, 40-45 წუთის სავალზეა განთავსებული. ქალაქის ცენტრალურ უბნამდე მისვლა ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით შეგიძლიათ.

მაიამის პორტი ცნობილია, როგორც „მსოფლიოს კრუიზული პორტი“, რადგან მას მსოფლიოში ყველაზე მეტი კრუიზული ხაზი აქვს.

მაიამის მიმართულებით შტატებიდან ავტობუსები ყოველდღიურად გადის. მატარებლით მგზავრობას რაც შეეხება, ის მხოლოდ ნიუ იორკიდან და ვაშინგტონიდან ხორციელდება.

ქალაქში გადაადგილებისათვის მეტრო პირველ ადგილზეა. ყველაზე იაფ ტრანსპორტს ავტობუსი და მეტრო წარმოადგენს. მათი ღირებულება ნებისმიერ ადგილამდე 2,5 დოლარია. ტაქსით მგზავრობის ღირებულება კილომეტრობით განისაზღვრება და 1 კმ-ის ფასი 2,5 დოლარია. მაიამიში თითქმის ყველა ადგილობრივს საკუთარი ავტომობილი ჰყავს და ისინი პარკირებისათვის ყოველთვიურად 125 დოლარს იხდიან. ამ საფასურის გადახდა მანქანის დაქირავების შემთხვევაშიც მოგიწევთ.

კურორტზე წლის ნებისმიერ სეზონზე სააგენტოები გაცილებით მეტ ველოსიპედს აქირავებენ, ვიდრე მანქანას. ქალაქი უზრუნველყოფილია ველოსიპედისტებისათვის განკუთვნილი ტრასებით. გირჩევთ, გადაადგილებისთვის სპეციალური რუკა შეიძინოთ, რომლის ყიდვასაც ნებისმიერ სადგურში შეძლებთ.

ᲡᲐᲛᲖᲐᲰᲘᲣᲚᲝ

რთულია, რამდენიმე წინადადებით დაახასიათო ისეთი ფართო და მრავალფეროვანი ქვეყნის სამზარეულო, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. მაიამიში ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ კერძს დაგემოვნებთ. საუკუნეების განმავლობაში ამერიკულ სამზარეულოს ავსებდნენ ესპანელი, ფრანგი, ჩინელი, აფრიკელი თუ ებრაელი იმიგრანტები.

არსებობს რამდენიმე ძირითადი ინგრედიენტი, რომლებიც საფუძვლად უდევს ამერიკულ სამზარეულოს. ესენია ამერიკული წარმომავლობის მცენარეები: სიმინდი, გოგრა და ლობიო — სამეული, რომელსაც მკვიდრი ამერიკელები „სამ დას“ უწოდებდნენ და ფართოდ მოიხმარდნენ.

ადგილობრივები სიმინდს მოხარშულს მიირთმევენ ან ისეთ პოპულარულ კერძებში იყენებენ, როგორიც არის სუკოტაში — ჭყინტი სიმინდისა და ლობიოსგან მომზადებული კერძი. გოგრა გამოიყენება როგორც სუპებში, ასევე ნამცხვარში.

■ მაიამი ბიჩი

ტრადიციული ამერიკული კერძები მოხარშული, მოშუშული ან შემწვარი ხორცით მზადდება. ამგვარი კერძებიდან აღსანიშნავია ე.წ. მოხარშული სადილი. ეს გახლავთ ბოსტნეულთან ერთად მოხარშული ხორცი, ასევე — თევზის წვნიანი „ჩაუდერი“.

წარმოუდგენელია, მაიამი ბარბექიუს დაგემოვნების გარეშე დატოვოთ. ეს გახლავთ გრილზე შემწვარი ხორცი ან თევზი, რომლითაც ღია ცის ქვეშ გაგიმასპინძლდებიან.

ადგილობრივებს გაზიანი სასმელების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ, ამიტომ, მიუხედავად იმისა, მოითხოვთ თუ არა, მომსახურე პერსონალი მაინც მოგიტანთ.

ამ ქალაქის მოსახლეობას, ისევე როგორც მთელი ამერიკის მცხოვრებთ, ძალიან უყვართ ჭამა, ამიტომ ქუჩაში მრავლად შეხვდებით ხალხს ჰოთ დოგებით ხელში. ქალაქში 24 საათის განმავლობაში 300-მდე სწრაფი კვების ობიექტი ფუნქციონირებს. ყველგან შემოგთავაზებენ აღმოსავლურ კერძებს: ფალაფელს, ქაბაბს.

რაც შეეხება სასმელს, ყავა და ჩაი ერთნაირად მოთხოვნადია. ალკოჰოლიდან კი უპირატესობა რომს ენიჭება.

ᲦᲘᲗᲡᲗᲕᲘᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲝᲑᲔᲑᲘ

მაიამიში ტურიზმი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. ბიზნესგარემო, ქვიშიანი სანაპიროები, ფესტივალები და კლუბები ყოველწლიურად 38 მილიონ ტურისტს იზიდავს. არტ დეკოს ისტორიული უბანი სამხრეთ სანაპიროზე მაიამის მდიდრული ქალაქის იერს აძლევს. აქ მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული კლუბები და მაღაზიები.

ახლა მაიამი ბიჩს შევავლოთ თვალი. ის მაიამის კურორტული ზონაა. მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი და საუკეთესო ოკეანის სანაპირო ზოლი ფლორიდას აღმოსავლეთით მდებარე კუნძულებზეა განლაგებული.

კულტურულ ღირსშესანიშნაობებს რაც შეეხება, პირველად ვილა ვიცკაიას უნდა ეწვიოთ. ეს რენესანსის სტილში აგებული ხელოვნების მუზეუმია. ის მე-16 საუკუნეში მოყვარულმა არქიტექტორმა ააგო, რომელსაც სურდა, ამერიკის მიწაზე უცხო კონტინენტისა და წინა საუკუნის ძეგლები გადმოეტანა.

აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმი — ფლორიდას ისტორიული მუზეუმი, სწორედ მაიამიში მდებარეობს. მუზეუმში უამრავი არქეოლოგიური თუ ისტორიული წყაროა დაცული. სწორედ აქ ინახავენ ამერიკისა და კარიბის ზღვის ისტორიას.

მაიამის საბავშვო მუზეუმი საშუალებას გაძლევთ, ბავშვობაში გადაინაცვლოთ. აქ მინიატურული საბავშვო ქალაქია მოწყობილი და ნამდვილი სამოთხეა ყველა ასაკის ადამიანისთვის.

ძალიან საინტერესოა სამეფო ციხე-დარბაზი, რომლის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ადამიანის მიერაა გაკეთებული. მზის საათი დღესაც ზუსტ დროს აჩვენებს. მისი ქვები საკმაოდ მძიმეა.

ახლა კი მაიმუნების სამყაროში გადავინაცვლოთ, აქ ხომ უმშვენიერესი ზოოპარკია განთავსებული. ტროპიკული ხეები, მაიმუნის გასაოცარი ჯიშები და გარემო ნამდვილ ტროპიკებში ამოგაყოფინებთ თავს!

აუცილებლად უნდა მოინახულოთ ოკეანარიუმი, სადაც დელფინები და ზვიგენები გასაოცარ შოუს გაჩვენებენ. აქვეა აგებული უძველესი ესპანური ეკლესია, ძალიან ლამაზი და დიდი ისტორიით დატვირთული კედლები და წყნარი ეზო.

რაც მთავარია, მაიამი მთლიანად გასართობ ცენტრს წარმოადგენს. აქ ფლორისა და ფაუნის საოცარი შერწყმაა, ქალაქში ყველაფერია: ზოოპარკი, ჯუნგლები, ალიგატორების ფერმა, ბოტანიკური ბაღი, ინდური ხეების პარკი, იაპონური ბაღი, პეპლების სამყარო, ლომების საფარი.

ᲣᲡᲐᲤᲘᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲡᲔᲑᲘ

მაიამი ამჟამად კრიმინალის დაბალი დონით გამოირჩევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიფრთხილე უნდა მოადუნოთ. ჩანთებისა და ძვირფასი ნივთების გატაცების შემთხვევები ხალხმრავალ ადგილებში ყოველდღიურად ფიქსირდება.

საგზაო წესების დარღვევისთვის დიდი ჯარიმებია დაწესებული. არ გაბედოთ მანქანის მართვისას მობილურით ლაპარაკი ან ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვა.

გაითვალისწინეთ, პლაჟზე ალკოჰოლის შეტანა სასტიკად იკრძალება. ნებისმიერ შემთხვევაში დასახმარებლად პოლიციას მიმართეთ.

ᲣᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲯᲘ

ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები;
შტატი — ფლორიდა;
ქალაქი — მაიამი;
ფართობი — 143,15 კვ.კმ;
მოსახლეობა — 409.719;
სახელმწიფო ენა — ინგლისური;
ოფიციალური ვალუტა — დოლარი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

„იმისთვის ვისჯები, რომ ქმარს სხვა ქალისგან ბავშვის გაჩენა დავაძალე“

სხვისი შვილის დედის ტკივილი

სამწუხაროდ, ჩვენ გვერდით არაერთი ხანდაზმული ადამიანია, ვისაც თავის დროზე სავსე ცხოვრება ჰქონდა, ამაგს, ზრუნვას უშურველად გასცემდა საყვარელ ადამიანებზე, დღეს კი ოჯახის წევრებისგან გარიყულია, მარტოობით იტანჯება და ყოველ ახალ დღეს შიშით შეჰყურებს. ეს ხვედრი ერგო ჩვენს რესპონდენტს, ქალბატონ ელიკოს, რომელმაც სხვისი ბიოლოგიური შვილი საკუთარივით გამოზარდა, მის ცოლშვილსაც უპატრონა, მაგრამ სიკეთე უმადურობით გადაუხადეს. სასოებით გაზრდილმა შვილმა მთელი ცხოვრება თავდაყირა დაუყენა, უსახლკაროდ დატოვა. ნათესავს შეკედლებული ქალი თავის სატკივარს „სარკეს“ უამბობს.

ელიკო:

— 17 წლის ასაკში გავთხოვდი, სკოლის დამთავრებისთანავე. ჩემი ქმარი, ნოდარი, 35 წლის დაღვინებულ მამაკაცი გახლდათ. ჩვენი ქორწინება გარიგებით შედგა. ნათესავმა იაქტიურა. ნოდარი ახალგაზრდა, ლამაზ ქალს ეძებდა საცოლედ. მამით ობოლი ვიყავი და ოჯახში ძალიან გვიჭირდა, თავი ძლივს გაგვქონდა. დედაჩემი ფაქტობრივად შიმშილობდა, რომ შვილები გამოვეკვებეთ. სამი დედმამიშვილი ვიყავით, მე უფროსი გახლდით.

— ახალგაზრდა ქალიშვილი ალბათ ლამაზ საყვარულზე ოცნებობდით, უცხო კაცზე გარიგებით გათხოვებას როგორ შეხვდით?

— ძალიან მტრულად. გათხოვებისთვის მზად არ ვიყავი, თანაც უსიყვარულოდ, მით უფრო — მამისტოლა კაცზე, რომელსაც თქვენობით ველაპარაკებოდი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ოჯახის გამო გადავწყვიტე, გაჭირვებიდან რომ ამომეყვანა. შინაგანად სულ მქონდა იმის განცდა, რომ მსხვერპლი ვიყავი და ქმარს, როგორც მოძალადეს, ისე ვუყურებდი, თითქოს ის იყო დამნაშავე ჩემს ბედუკუღმართობაში.

— თქვენი მეუღლე როგორი პიროვნება გამოდგა?

— ნოდარი საკმაოდ გამოცდილი, მიხვედრილი, წინდახედული და საზრიანი კაცი იყო. ჩემი სულიერი მდგომარეობა მაშინვე შეიცნო და ძალიან ფაქიზად მომიდგა. ყოველმხრივ მანებივრებდა, სიმორცხვე და კომპლექსები მომიხსნა. თანდათანობით შევეჩვიე და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ქმარი არანორმალურად შემიყვარდა.

— ბედნიერი ოჯახი შექმენით?

— ერთადერთი, რაც ჩვენს ბედნიერებას აკლდა, შვილი იყო. ორსულად არ ვრჩებოდი. მართალი გითხრათ, თავიდან ძალიან ახალგაზრდა ვიყავი იმისთვის, რომ ეს დანაკლისი მეგრძნო. ჩემს ქმარს კი უკვე ასაკი შეეპარა და უშვილობას ძალიან განიცდიდა. ეს განცდა ჩემზეც გადმოვიდა. ვდარდობდი იმის გამო, რომ არ შემეძლო, საყვარელი კაცისთვის შვილი გამეჩინა. მაშინ საამისოდ სამედიცინო საშუალებები არ იყო, ექიმბაშებთან დავდიოდი, რამაც ჩემს ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, ამიტომ ყველაფერს შევეშვი და ღმერთს მივენდე. ნოდარმა მითხრა, ოღონდ შენ მყავდე კარგად და შვილზე აღარც ვიფიქრებო.

მოხდა სასწაული: როცა უშვილობაზე დარდი გონებიდან ამოვიგდე, სწორედ მაშინ დავრჩი ორსულად — გათხოვებიდან 18 წლის შემდეგ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ნოდარი საერთოდ ჭაბუკივით დაფრინავდა, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა ჩემთვის და ჯერ არშობილი შვილისთვის... მაგრამ ბოლოს საშინელება დატრიალდა. არ ვიცი, რა იყო ეს — ბედისწერა თუ ექიმების შეცდომა, მშობიარობის დროს შვილიც დავკარგე და საშვილოსნოც, თავად კი სასწაულებრივად გადავრჩი.

„მხოლოდ ნოდარის შვილი მინდოდა. უშვილოდ ვიყავი, ქმარი საკუთარ თავზე მეტად მეცოდებოდა. ბოლოს ისეთი რამ გავაკეთე, რასაც ალბათ ვერც ერთი ქალი გარისკავს. ქმარს შევეჩვიე, შვილი სხვა ქალთან გააჩინე და გავზრდი-მეთქი. მხოლოდ მისი შვილი მინდოდა, სხვა არავისი“.

— რამხელა ტრაგედია გადაგიტანიათ!

— საშინელ დღეში ჩავვარდი. 9 თვეს რომ მუცლით ატარებ, შვილის შეგრძნება გიმძაფრდება. ჩემს პატარას ველაპარაკებოდი, ვუმღერდი კიდეც, მისი დაკარგვის შემდეგ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უკვე გაზრდილი შვილი დავკარგე. ეს ენით აუწერელი განცდა იყო! ჩემი ქმრის მიმართაც დანაშაულის გრძნობა გამიჩნდა, რომ შვილს ველარასოდეს გავუჩენდი. ეს ყველაფერი ნოდარისთვისაც მძიმე გადასატანი იყო — გეგმები ჰქონდა დალაგებული, ნანატრ ბიჭს როგორ გაზრდიდა და დააყენებდა გზაზე... ჩვენს ოჯახში შავი ფარდა დაეშვა, აღარაფერი გვიხაროდა.

— ამ მდგომარეობიდან როგორ გამოხვედით?

— ახლობლებმა გვირჩიეს, ბავშვი გვეშვილა. ქმარიც არ იყო წინააღმდეგი, მაგრამ მე თავი გავიგიჟე, სხვის შვილს ვერ მოვეფერები და ვერ გავზრდი-მეთქი. მხოლოდ ნოდარის შვილი მინდოდა. უშვილოდ რომ დავტოვე, ქმარი საკუთარ თავზე მეტად მეცოდებოდა. ბოლოს ისეთი რამ გავაკეთე, რასაც ალბათ ვერც ერთი ქალი გარისკავს.

— რა გამოსაყალი იპოვეთ?

— ქმარს შევეჩვიდი, შვილი სხვა ქალთან გააჩინე და გავზრდი-მეთქი. მხოლოდ მისი შვილი მინდოდა, სხვა არავისი.

— თქვენი ქმარი რომ სხვა ქალთან გაიზიარებდა სარეცელს, ეს არ გაღელვებდათ?

— შვილის ყოლის სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ჩემ მიმართ ქმრის სიყვარულსა და ერთგულებაში დარწმუნებული ვიყავი. ვიცოდი, სხვა ქალის გამო არასოდეს მიმატოვებდა.

— ნოდარი ადვილად დაგთანხმდათ?

— თავიდან ეს ჩემს ახირებად ჩათვალა, მაგრამ უკან რომ აღარ ვიხევდი, ბოლოს ჭკუაში დაუჯდა. თან ყველა ეუბნებოდა, შენს ცოლს მდგომარეობიდან მხოლოდ ბავშვი გამოიყვანსო... ნოდარმა ერთ რუს ქალთან გააჩინა ბავშვი და შინ მოიყვანა.

— მოგიტანათ ბავშვმა ის ბედნიერება და სიხარული, რასაც ელოდით?

— პატარამ ჩვენს ოჯახში დიდი სიხარული და ხალისი შემოიტანა, თითქოს ხელახლა დავიბადეთ, ძალიან ბედნიერები ვიყავით. ძალიან ჭკვიანი იყო, მამამისს ჰგავდა. სახელიც მისი დავარქვი, ნოდიკოს ვეძახდი. რვა წლის შემდეგ კი უბედურება დატრიალდა, ჩემი ქმარი ინფარქტით გარდაიცვალა. ნოდართან ერთად დასამარდა ჩემი ბედნიერება.

არაჩვეულებრივი, ყოველმხრივ შემკული ადამიანი იყო, მისი თანადგომა ძალიან დამაკლდა. თანაც ჩვენი ბიჭი ზრდასთან ერთად საგრძნობლად იცვლებოდა. აღარ მიჯერებდა, ყველაფერში მეურჩებოდა და მიპირისპირდებოდა. გარდატეხის ასაკში მთლად გამიუცხოვდა, მასთან კონტაქტში საერთოდ ვერ შევდიოდი. სულ გაღიზიანებული იყო, ყველაფერზე ყვიროდა. ჩემ მიმართ ცინიკურად განეწყო, სიბრალულის შეგრძნება დაკარგა. ყველა მეუბნებოდა, ამ ასაკის ბიჭებში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ეცადე, გაგებით მოეკიდო, აუცილებლად გადალახავს და სასიკეთოდ შეიცვლებაო. მეც ამ იმედით ვცოცხლობდი. მის აღზრდაში ნათესავებიც მედგნენ მხარში და ეს ძალას მმატებდა. სკოლა რომ დაამთავრა, ინსტიტუტშიც მოვაწყვეთ, მაგრამ არ ივარგა და პირველივე კურსიდან გამორიცხეს.

— ასაკის მატებასთან ერთად ზნე და განწყობა არ შეიცვალა?

— თითქოს ცოტა მოუბრუნდა გული ჩემკენ, მაგრამ ისევ აგვემღვრა წყალი. „კეთილისმსურველისგან“ შეიტყო, რომ მისი ბიოლოგიური დედა არ ვიყავი და ამის

Cyan Magenta Yellow Black

გამო უფრო მკვეთრად დამიპირისპირდა. საშინელებებს ჩადიოდა. თუ უგუნებობა მოეძალებოდა, სახლში ფანჯრის მინებს და ნივთებს ამსხვრევდა. ზოგჯერ სახლიდანაც გარბოდა და იკარგებოდა. მთელი სანათესაო ეძებდა და ხან სად ვპოულობდით, ხან სად. ერთ მშვენიერ დღეს სიურპრიზიც მომიწყო, უცხო გოგო კარზე მომაყენა და თავის ცოლად გამაცნო. ვერც სწავლას დაუდო გული და ვერც მუშაობას, სულ გარე-გარე დარბოდა. ეს გოგოც ჩემი საპატრონეველი გახდა.

— რძალთან რა დამოკიდებულება გქონდათ?

— ირმა თავიდან ძალიან თავჩაღუნული, საცოდავი და უენო იყო, თავის აზრს არაფერზე გამოთქვამდა. ვცდილობდი, ცოტა გამეთამამებინა, მისთვის უცხოობის კომპლექსი მომეხსნა. ნოდიკო საშინლად უპასუხისმგებლო გამოდგა, ცოლს ყურადღებას არ აქცევდა, აბუჩად იგდებდა. საბრალო გოგოს სულ ცრემლები სცვიოდა. მის ტირილზე კი ნოდიკო უარესად ღიზიანდებოდა და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა. რძლის მიმართ ძალიან გულმოწყალე ვიყავი. ყოფილა შემთხვევები, როცა ცოლქმარს ვაშველებდი და შუაში ვუდგებოდი, ცოლისკენ მიმართული ჩემი შვილის მუშტი მეც მომხვედრია... შემდეგ ირმამ ულამაზესი გოგონა გაგვიჩინა, ანანო.

— ბავშვმა ალბათ გამოასწორა თქვენს ოჯახში სიტუაცია.

— ეს სასიამოვნო სიახლე იყო, ირმასაც თითქოს ბრძოლის უნარი შესძინა, მაგრამ ნოდიკოს მაინც არაფერი ეშველა. უარესობისკენ წავიდა, სმას მიჰყო ხელი. ლოთობის გამო სულ შარში ეხვეოდა. ხშირად პოლიციასთან გვქონდა საქმე. ოჯახში თუ რამ ძვირფასი გამაჩნდა — ჩემი ქმრის დანატოვარი, ყველაფერი გავყიდე და ის ფული პოლიციაში ჩავყარე, ჩემი შვილი ციხეში რომ არ მოხვედრილიყო.

— ჭკუაში მაინც არ ჩაყარდა?

— სამწუხაროდ, არაფერი ეშველა, დეგრადაციისკენ მიდიოდა. შვილიშვილს ვზრდიდი, ჩემი რძალი მუშაობდა და თავი როგორღაც გაგვქონდა. ანანო კარგი გოგონა გაიზარდა, შესახედად ლამაზი, სკოლაშიც კარგად სწავლობდა. იღბლიანი გამოდგა, რაღაც პროგრამაში მოხვდა და საზღვარგარეთ გაუშვეს სასწავლებლად. მერე ჩემმა რძალმაც ჭკუა იხმარა და თავს უშველა.

„ეთიოპიისმსუჩავეიისგან" შეიტყო, რომ მისი ბიოლოგიური დედა ახ ვიყავი და ამის გამო უფრო მკვეთრად დამიპირისპირდა. საშინელებებს ჩადიოდა. თუ უგუნებობა მოეძალებოდა, სახლში ფანჯრის მინებს და ნივთებს ამსხვრევდა. ზოგჯერ სახლიდანაც გარბოდა და იკარგებოდა".

— რას გულისხმობთ?

— საზღვარგარეთ გაგვეპარა ვიღაც კაცთან ერთად. ღამე რომ აღარ დაბრუნდა, ძებნა დავუწყეთ. ნოდიკომ ქვეყანა გადაატრიალა. თურმე ირმას ყველა დაქალს სცოდნია, მაგრამ შიშით ხმას ვერ იღებდნენ. ნოდიკო ისეთ დღეში იყო, რომ ეპოვა, ხელიდან ვერ გამოგლეჯდნენ. სად აღარ ვეძებეთ! ბოლოს ირმას ნათესავმა მითხრა, გათხოვდა და უცხოეთში წავიდა, ნოდიკომ რომ ვერ მიაგნოსო.

ჩემი შვილი კი იყო იმის ღირსი, რაც ცოლმა გაუკეთა, მაგრამ მე რა დავაშავე? რატომ დავისაჯე ასე? რატომ მერგო ასეთი ხვედრი? შვილს ზედ გადავყევი და დღემდე არაფრად მაგდებს. რძლის მიმართაც არანაკლები ამაგი მქონდა, შეიძლება ითქვას, შვილივით გამოვზარდე და გზაზე დავაყენე. ჩემი შემწეობით პიროვნებად და ქალად ჩამოყალიბდა. მისთვის კი უვარგისი ქმრის ერთი უბედური დედა ვიყავი მხოლოდ. ალბათ არც გაემტყუნება, დაიტანჯა თავისი ქმრის ხელში. შვილიშვილსაც ზედ ვყვებოდი, მაგრამ ჩემი არსებობა აღარც კი ახსოვს... არ ვიცი, რა შევცოდე ასეთი, რატომ დამემართა ასე. ნუთუ უფლის ნებას წინ აღვუდექი იმით, რომ ჩემს ქმარს სხვა ქალთან შვილის გაჩენა დავაძალე?! იქნებ იმისთვის ვისჯები, სხვის შვილს რომ ვზრდიდი?

— ახლა შვილთან ერთად ცხოვრობთ?

— ჩემი შვილი დიდ ვალებში გადავარდა და მოკვლით ემუქრებოდნენ. იძულებული გავხდი, ბინა გამეყიდა, მაგრამ მისი ვალები ბოლომდე მაინც ვერ დავფარე. ახლა ვიღაც ქალთან ერთად ცხოვრობს ქალაქის ძველ უბანში. იმ ქალს არ ვიცნობ, არც ის ვიცი, რით სულდგმულობენ. გულის სიღრმეში იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა, ეგებ იმ ქალმა უპატრონოს და შეძლებისდაგვარად გზაზე დააყენოს-მეთქი, მაგრამ... საერთო ნაცნობისგან შევიტყვე, რომ იმ ქალსაც სმა ჰყვარებია.

— თქვენ სად აფარებთ თავს?

— ერთმა ღვთისნიერმა ნათესავმა შემიკედლა, შვილიშვილის გაზრდაში ვეხმარები. ბოლო ხანებში შეუძლოდაა, ბევრი რამ აწუხებს. ღმერთს მის კარგად ყოფნას ვთხოვ. რამე რომ დაემართოს, არ ვიცი, ვინ უფრო მეტად გახდება სატირალი — მე თუ მაგული. იმ ოჯახში ვინღა გამაჩერებს?!

— ინტერვიუს დასაწყისში თქვენი დედმამიშვილებიც ახსენეთ, რომ თავის დროზე მათი კეთილდღეობის მიზნით გათხოვდით. ისინი თქვენს დღევანდელ ცხოვრებაში რატომ აღარ ჩანან?

— სამწუხაროდ, და დიდი ხნის წინ გარდამეცვალა. გაუთხოვარი იყო და მემკვიდრე არ დარჩენია. რაც შეეხება ძმას, ისეთი აფთარივით ცოლი შეხვდა, მტრისას! ჩემს ძმას თავის ჭკუაზე ატარებდა, სულ გამოათაყვანა. არამარტო დედმამიშვილები, მთელი სანათესაო დააკარგვინა. მათი შვილებიც უცხოეთში ცხოვრობენ, მათთან ურთიერთობა არ მაქვს.

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ რომის ლეგენდარულ პირველ მეფესაც და უკანასკნელ იმპერატორსაც რომულუსი ერქვათ.

❖ ნეფერტიტი ტუტანხამონის დედა იყო.

❖ ძველად რომაელ ქალებს არ ჰქონდათ სახელები. მათ თავიანთი მამის ქალიშვილად ან ქმრის ცოლად მოიხსენიებდნენ.

❖ როდესაც ჩინგის ხანი დაასაფლავეს, მის საფლავს ნიშანი არ გაუკეთეს, მეტიც, თავი მოუყარეს 14.144 ცხენს, რომლებიც რამდენიმე დღე თელავდნენ მიწას, რათა საფლავის ყველანაირი კვალი წაშლილიყო.

❖ ვეზუვის ამოფრქვევამდე რომაელებმა არაფერი იცოდნენ ვულკანების შესახებ.

❖ საფრანგეთის მეფე ანრი მეოთხემ 3-ჯერ შეიცვალა სარწმუნოება.

❖ ნინძები იაპონიაში I საუკუნემდე არსებობდნენ.

❖ საბრძოლო სპორტის სახეობა კარატე ინდოეთში შეიქმნა, მაგრამ ჩინეთში განვითარდა.

❖ ფრანკები ერთ-ერთი გერმანული ტომი იყო.

❖ ახალდაქორწინებული ნეფის მიერ სახლში ხელში აყვანილი პატარძლის შეყვანის ტრადიცია ძველი რომიდან მოდის.

❖ იერუსალიმის ტაძრის მხოლოდ ერთმა კედელმა მოაღწია დღემდე და მას ებრაელები გოდების კედელს უწოდებენ.

❖ პირველი მსოფლიო ომი ისტორიაში პირველია, რომლის გამოცხადებაც დეპეშით მოხდა.

❖ პირველი მეჩეთი ამერიკაში 1831 წელს აშენდა.

❖ აშშ-ის მე-14 პრეზიდენტი ფრანკლინ პირსი პირველი იყო, ვინც თეთრ სახლში ნაძვის ხე დადგა.

❖ ქსენოფობია უცხოსა ან უჩვეულოს მიმართ შიშს ნიშნავს.

❖ ფლორიდას შტატი ფართობით ინგლისზე დიდია.

❖ ქალაქი ვენეცია 13 პატარა კუნძულზე დგას.

❖ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული.

❖ აფრიკის კონტინენტზე ყველაზე გავრცელებული ენა არაბული გახლავთ, მეორე ადგილზეა სუაჰილი, რომელსაც აფრიკის კონტინენტის თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფი მეტნაკლებად ფლობს.

❖ თურქეთის უდიდესი ქალაქი სტამბული, ისევე როგორც მარადიული ქალაქი რომი, ბორცვზეა გაშენებული.

❖ კანადელმა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ აინშტაინის ტვინი 1%-ით უფრო განიერი იყო, ვიდრე ნორმალური ადამიანის.

❖ ადოლფ ჰიტლერს არქიტექტორობა სურდა, მაგრამ ვენის საარქიტექტორო სკოლაში მისაღები გამოცდები ვერ ჩააბარა.

❖ ბეთჰოვენს მიაჩნდა, რომ თუ სახე გაპარსული ჰქონდა, მუზა ეკარგებოდა და მუსიკას ვეღარ წერდა.

Cyan Magenta Yellow Black

კარტოფილის დიეტა — მინუს 3 კილო 5 დღეში

დიდი ხანია, მივეჩვიეთ აზრს, რომ კარტოფილი ასუქებს, ამიტომ „კარტოფილის დიეტა“ ჩვენი ყურისთვის უჩვეულოდ ჟღერს. სინამდვილეში კარტოფილი არც ისე კალორიულია — 100 გრამში 70 კკალორიაა. მთელი უბედურება ისაა, რომ ჩვეულად გვექცა, კარტოფილს უხვად მოვასხათ ზეთი, სოუსი, დავამატოთ ხორცი, კატლეტი. სწორედ აქედან ჩნდება ჭარბი წონა. საკმარისია კარტოფილის სწორად გამოყენება დაიწყოთ და 3 დღეში 1,5 კგ-ს დაიკლებთ, ხოლო თუ დიეტას 5 დღე დაიცავთ, მაშინ — 3 კგ-ს.

ჰით ახის ჯარტოფილი სასარგებლო?

მის შემადგენლობაში შედისC ვიტამინი (განსაკუთრებით ბევრია ახალ კარტოფილში), რომელიც ჩვენი იმუნური სისტემისთვის შეუცვლელია. მდიდარია კალიუმით, რომელიც განსაკუთრებით ბევრია კანქვეშა ფენაში. სწორედ კალიუმი ასრულებს მნიშვნელოვან როლს გულის კუნთის ნორმალური ფუნქციის შენარჩუნებაში. ასევე შეიცავსH, PP, B_1, B_2, B_5 და B_6 ვიტამინებს, კაროტინოიდებს (აუცილებელია კარგი მხედველობისთვის).

დიეტის პლუსები და მინუსები

როგორც ყველა სხვა დიეტას, კარტოფილის დიეტასაც აქვს თავის ღირსებები და ნაკლოვანებები. მინუსი მცირეა და იმაში მდგომარეობს, რომ, მიუხედავად თვალსაჩინო სარგებლობისა, კარტოფილს არ შეუძლია ჩვენი ორგანიზმი ყველა აუცილებლით უზრუნველყოს. ამიტომ დიეტოლოგები გირჩევთ, დიეტის განმავლობაში ნებისმიერი ვიტამინური კომპლექსი მიიღოთ.

რაც შეეხება პლუსს — უამრავია. ხანმოკლეა და დღეში წონაში 500-600 გრამით იკლებთ. კარტოფილის კერძები ნებისმიერ კაფეში შეგიძლიათ შეიძინოთ, ასე რომ, დიეტას სახლის გარეთაც დაიცვათ. დიეტა არ ითხოვს კალორიების მუდამ თვლას, არ მოგიწევთ ტვინის ჭყლეტა იმაზე, ერთი პროდუქტი მეორეს ეხამება თუ არა (მაგალითად, როგორც განცალკევებული კვების დროს). უბრალოდ, ჩვეულებრივ კარტოფილს მიირთმევთ და წონაში სწრაფად იკლებთ.

ჯარტოფილის დიეტა

დღეში 1,5 კგ კარტოფილი დაგჭირდებათ. ბოლქვები კარგად გარეცხეთ და კანიანად მოხარშეთ ან აირღუმელში შეწვით. შემდეგ მთელი კარტოფილი 6 ულუფად გაყავით და დღის განმავლობაში ცოტ-ცოტა მიირთვით.

პირველი ორი ულუფა ყოველგვარი დანამატის (მარილისა და ცხიმის) გარეშე ჭამეთ. დარჩენილში უკვე შეგიძლიათ ცოტა მარილი, ლიმონის წვენი და მცენარეული ზეთი დაუმატოთ.

სითხე დღეში არანაკლებ 2 ლიტრისა (მაგალითად, უშაქრო მწვანე ჩაი, მინერალური უგაზო წყალი ან ბალახეული ნაყენი) უნდა მიიღოთ, ვინაიდან კარტოფილს თვისება აქვს ორგანიზმიდან სითხე გამოდევნოს.

თუ ძლიერი შიმშილის გრძნობა შეგაწუხებთ, შეგიძლიათ დღის რაციონში 2 მოხარშული კვერცხი ჩართოთ, ხოლო ულუფის ყოველ მიღებაზე 1 ნაჭერი ჭვავის პური დაუმატოთ.

დაბოლოს, დიეტა რეკომენდებულია 3-დან 5 დღემდე, მეტი არა! კურსის გამეორება დასაშვებია თვეში ერთხელ.

კანის მოვლის წესები

ნებისმიერ ასაკში სახის ყველანაირი ტიპის კანის მოვლა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: გაწმენდა, დატენიანება, კვება, დაცვა.

კანი დილა-საღამოს გაიწმინდეთ. უმჯობესია, ძირითადი პროცედურა საღამოს ჩაიტაროთ, რათა კანმა ღამით დაისვენოს და ისუნთქოს.

დაიბანეთ გადადუღებული და არა — ონკანის წყლით. ეცადეთ, საპონი არ გამოიყენოთ. თუ მუდამ საპნით დაიბანთ, კანის გაუწყლოება და გაუცხიმოვნება მოხდება.

სახის გასაწმენდად არ გამოიყენოთ სპირტის შემცველი კოსმეტიკა ან ტუალეტის წყალი, მაშინაც კი, თუ კანი ცხიმიანი გაქვთ. ასეთი საშუალებები კანს აშრობს და პიგმენტური ლაქების გაჩენას ეხმარება.

25 წლამდე შეგიძლიათ გამოიყენოთ დამატენიანებელი რძეA დაE ვიტამინის შემცველი კრემები. 25 წლის შემდეგ აუცილებელია ტენის დანაკარგის მუდმივად შევსება დამატენიანებელი კრემებით.

35 წლის შემდეგ საჭიროა კრემები და ემულსიები პროტეინების მაღალი შემცელობით, სახელდობრ, კოლაგენით მდიდარი, რომელიც კანის ელასტიკურობას აღადგენს.

ზედმეტი კრემი და რძე ქაღალდის ხელსახოცით მოიცილეთ, კანი რომ არ „გადაიტვირთოს“.

სპეციალური ტანვარჯიში ქალის ჯანმრთელობისთვის

ასაჟი და ტანვარჯიში შეგუბებასა და ანთებას თავიდან აგაცილებთ, ვინაიდან სისხლის მიმოქცევასა და ლიმფის დინებას აუმჯობესებს, მაგრამ ქალის ორგანიზმი ყველაზე ნაკლებ მისაწვდომია მასაჟისთვის. ამიტომ სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის ამ თვალსაზრისით შესანიშნავია მუცლით ცეკვა. ის წელის, მუცლი-

სა და თეძოების საჭირო დატვირთვას უზრუნველყოფს, მცირე მენჯის სისხლის ცირკულაციას აუმჯობესებს, ორგანიზმიდან უკეთესად გამოდის შლაკები, ხერხემლის მდგომარეობა უმჯობესდება. გარდა ამისა, მუცლით ცეკვა კისრის ოსტეოქონდროზისა და ჰიპერტონიის შესანიშანვი პროფილაქტიკაა. ამასთანავე, ასეთი ვარჯიში ფსიქოლოგიურადაც კარგია — თავდაჯერებას მატებს და ხალისიან განწყობაზე გვაყენებს.

მუცლის ცეკვის გარდა არსებობს სხვა სახის ტანვარჯიში, რომელიც მენჯისა და შინაგანი ორგანების მუსკულატურას წვრთნის. ეს კი, თავის მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ქალის ნორმალური მშობიარობისთვის, შარდის შეუკავებლობის ასაკობრივი სიმპტომის თავიდან ასაცილებლად.

მინი-ტანვარჯიში ქალის ჯანმრთელობისთვის

1. გააკეთეთ ისეთი მოძრაობა, თითქოს მოშარდვა იძულებით შეწყვიტეთ 5-10 წამი. დააფიქსირეთ, ამ დროს კუნთების რომელი ჯგუფი იძაბება.

2. ახლა კუნთები მსუბუქი ძალდატანებით დაჭიმეთ და ასეთი პოზა 3 წამი შეინარჩუნეთ. ასე გააგრძელეთ, რამდენსაც შეძლებთ. თქვენი შესაძლებლობები თანდათან გაიზრდება.

3. 1 წუთის განმავლობაში, სწრაფ ტემპში კუნთები მაქსიმალურად დაჭიმეთ და მოადუნეთ.

4. ბოლოს ასეთი რიტმით გაიჭინთეთ: 2 წამი გაჭინთვა, 2 წამი — დასვენება. გააგრძელეთ 30 წამის განმავლობაში.

ვინაიდან სავარჯიშო შეუმჩნეველია, მისი შესრულება პრაქტიკულად ნებისმიერ ადგილას და თქვენთვის მოსახერხებელ დროს შეგიძლიათ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

პაჭარა ქვეშაფსიები

როგორ მივაჩვიოთ ბავშვი ღამის ქოთანს

ბავშვობის ასაკში ღამის ენურეზისგან (უნებლიე შარდვა) განკურნება ბევრად უფრო იოლია, ვიდრე შედარებით მოზრდილ ასაკში. ამ პრობლემისადმი მშობლების დამოკიდებულება ისეთივე უნდა იყოს, როგორიც სხვა დაავადებების მიმართ. აუცილებელია ენურეზის მიზეზის დადგენა. სათანადო მკურნალობის დასანიშნად ასევე საჭიროა პედიატრის, ნევროპათოლოგისა და ნეფროლოგის კონსულტაცია.

ჰოდის ავტეხოთ განგაში

ღამით უნებლიე შარდვა შეიძლება გაგრძელდეს 3-4 წლის ასაკამდე. მისი აღმოფხვრა ერთბაშად არ ხდება, არამედ ეტაპობრივად. თუ თქვენს შვილს 5 წელი შეუსრულდა, მაგრამ სიტუაცია არ გამოსწორდა, განგაშის ატეხის დროა.

შარდის შეუკავებლობის მიზეზი საკმაოდ ბევრი რამ შეიძლება იყოს. მიზეზის დასადგენად კვალიფიციური სპეციალისტის მეთვალყურეობა, მის მიერ მითითებული ანალიზების ჩატარება აუცილებელია.

ღამის ენურეზი შესაძლოა ფსიქოლოგიურმა დარღვევებმაც გაამწვავოს. მაგალითად, თუ ბავშვი არ არის მისთვის კომფორტულ გარემოში, როცა რაღაცას განიცდის, ნერვიულობს. ასეთ დროს რჩევისთვის აუცილებელია მიმართოთ ბავშვთა ფსიქოლოგს, რათა დროულად დაეხმაროს პატარას და მისი ნერვიულობისა და ფორიაქის მიზეზი დაადგინოს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ძილის წინ ბავშვს აბსოლუტურად მშვიდი გარემო შეუქმნათ — მოარიდეთ ტელევიზორში დაძაბული სიუჟეტის მქონე გადაცემების ყურებას, ნუ მოუყვებით ძილის წინ მძაფრსიუჟეტიან ზღაპრებს, ნუ აჭმევთ ძალიან გვიან და ნოყიერად, რადგან ამ ყველაფერმა შეიძლება ღამის ენურეზი გამოიწვიოს.

პრობლემა პამპერსიდან — აღზრდასთან დაკავშირებული დეფექტი ასევე შეიძლება იყოს ენურეზის განვითარების ხელისშემწყობი. როგორც დაკვირვებებმა ცხადყო, რაც უფრო აქტიურად დაიწყებთ პამპერსის გამოყენებას, მით უფრო გააქტიურდება უნებლიე შარდვა შედარებით მოზრდილ ასაკში. ახალშობილის შარდის გამოყოფა პრაქტიკულად ავტომატურ რეჟიმში ხდება. დაახლოებით 6 თვის ჩვილს უყალიბდება კონტროლის ცენტრი, რომელიც შარდის გამოყოფას აკონტროლებს. როცა ბავშვს მოშარდვა სურს, ის ერთგვარ დისკომფორტს განიცდის.

ადრე, როცა პამპერსი არ არსებობდა, დედიკოები ამ ხელსაყრელ პერიოდს სწორად იყენებდნენ და შვილს გადაყენებას აჩვევდნენ. ამის სასიკეთო შედეგი კი ის იყო, რომ 1 წლის ბავშვს უკვე შეეძლო გამოეხატა, როდის უნდოდა მოშარდვა.

ახალშობილის შარდის ბუშტი 35-40 მლ შარდს იტევს. როგორც კი ბუშტი ამ რაოდენობის სითხით გაივსება, მაშინვე იწყებს შარდის გამოყოფას. თავიდან ეს პროცესი დაახლოებით 30-40 წუთში ერთხელ ხდება, 6 თვისთვის — დაახლოებით საათში ერთხელ, ხოლო 1 წლის ასაკში — 1,5 საათში ერთხელ.

რაც შეეხებათ 4-დან უფრო დიდი ასაკის ბავშვებს, მათ ასაკში შარდის ბუშტი სრულიად ჩამოყალიბებულია და მისი მოცულობა 100-150 მლ-მდე იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკის ბავშვებში უნებლიე შარდვა აღარ უნდა იყოს. თუ პატარას დედიკო არ მიაჩვევს დროულად ღამის ქოთნის გამოყენებას, დიდი ალბათობაა, პრობლემა მოუგვარებელი დარჩეს.

თუ თქვენი შვილი უკვე 4 წლისაა, მაგრამ ვერაფრით შეძელით მისთვის შარდვის რეფლექსის გამომუშავება და ღამის ენურეზის სიხშირემ არ იკლო, ამის გამო ბავშვთან ჩხუბი და მისთვის მორალის კითხვა აბსოლუტურად უშედეგოა. აუცილებელია შვილის ნევროპათოლოგთან მიყვანა და ამის გადადებას არ გირჩევთ. რაც უფრო დროულად შეირჩევა ეფექტური თერაპია, მით უკეთესი.

დასვით შვილი ღამის ქოთანზე ყოველ 1,5 საათში ერთხელ. ეცადეთ, ამ პროცესს ერთგვარი თამაშის სახე მისცეთ, რომ პატარას არ მობეზრდეს.

მნიშვნელოვანია დაავკვირდეთ, კონკრეტულად რა შემთხვევებში უფრო ხშირია შარდის გამოყოფობა — როცა ტირის, როცა გაბრაზებულია თუ როცა მშვიდადაა.

და კიდევ, თუ ერთ-ერთ მშობელს ბავშვობაში ღამის ენურეზი აწუხებდა, არ არის გამორიცხული, ეს პრობლემა შვილისთვის მემკვიდრული საჩუქარი იყოს. ასევე მისი არსებობა გარკვეულწილად შეიძლება დაკავშირებული იყოს დედის პრობლემურ ორსულობასა და მშობიარობასთან.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ღამის ენურეზის შემთხვევების 15% ადენოიდების არსებობასთანაა დაკავშირებული. მიზეზი შეიძლება ქრონიკული ტონზილიტი, თირკმლებისა და კუჭის დაავადებებიც გახდეს.

დაბოლოს, ზუსტი დიაგნოზის დასადგენად აუცილებელია ბიჭების შემთხვევაში უროლოგთან ვიზიტი, გოგონებისთვის კი უროლოგთან ერთად გინეკოლოგის კონსულტაციაც.

სტატისტიკური მონაცემებით, სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ღამის ენურეზი აწუხებთ ვაჟების 4%-ს და გოგონების 2%-ს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

ალერგიულ ბავშვებს პირველადი ჰერპესი ემუქრებათ

პატარას სიცოცხლის პირველ წელიწადს საკმაოდ ბევრ სიახლესთან უწევს შეხება. მას ამ პერიოდში ჰერპესის ვირუსით დაინფიცირებისგან დედის ანტისხეულები იცავს, რომელთაც პლაცენტიდან და დედის რძიდან იღებს. 2 წლის ასაკიდან კი ყველაფერი რადიკალურად იცვლება.

პირველადი ჰერპესი გაცილებით რთულად მიმდინარეობს, ვიდრე მისი განმეორებითი გამოვლინებები. მაგალითად, შეიძლება პატარა დაავადდეს ჰერპესული კონიუნქტივიტით, პირის ჰერპესული სტომატიტით, ჰერპესული ანგინით. გარდა იმისა, რომ ამ დროს ბავშვი ძალიან წუხს, აღენიშნება მაღალი სიცხეც, უჭირს საკვების მიღება, დაქვეითებული აქვს მადა.

პირველადი ჰერპესი შესაძლოა კანზეც გამოვლინდეს. როგორც წესი, თავს იჩენს გამონაყარი ტუჩებზე, ცხვირთან. ქავილისა და წვის გამო პატარა საშინლად ჭირვეულობს. დაახლოებით 6-9 დღე მაინც უნდა, რომ ჰერპესული გამონაყარი გამოშრეს. სრულად განკურნებას კი დაახლოებით 2 კვირა სჭირდება.

ბავშვები, რომლებიც ალერგიისა და დიათეზისკენ არიან მიდრეკილები, პირველადი ჰერპესით დასნებოვნების რისკჯგუფში შედიან. შესაძლოა განვითარდეს ჰერპესული ეგზემა. ამ დროს გამონაყარი გაცილებით უხვია და შეიძლება მოიცავდეს კისრის, ყელის, თავის არეს; პატარას 40 გრადუსამდე აქვს სიცხე, ჯირკვლები ზომაში საგრძნობლად მომატებულია. ბავშვი ინტერესს კარგავს ყველაფრისადმი, პასიურია, არ აქვს მადა, აღენიშნება ძილქუში. თუ მსგავსი ტიპის გამონაყარი შეამჩნიეთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!

Cyan Magenta Yellow Black

ზაზა მარჯანიშვილი: „მარიკუნაში ის თვისებები ვიპოვე, რაც დედაჩემს ჰქონდა“

„ქალი ელეგანტური, სადა და ცოტა მორცხვიც უნდა იყოს“



მუსიკოს ზაზა მარჯანიშვილს სამი ქორწინების გამოვლა დასჭირდა, რომ ბედნიერება მეოთხე ცდაზე ეპოვა. თავისი მეორე ნახევარი მან ყოფილ ტელესახე მარინა სალუქვაძეში აღმოაჩინა. ამბობს, 42 წელი მის გარეშე ცხოვრება მეყო, ახლა მის გარდა არავინ მინდაო. რამდენი კითხვაც დავუსვით ქალებზე, საუბარს მუდმივად ცოლთან პარალელით იწყებდა ან ამთავრებდა.

ოჯახის შექმნასა და მუსიკის წერას ერთმანეთს ამსგავსებს — როგორც მუზა მოდის დაუპატიჟებლად, ასევე არც სიყვარული გეკითხება, ოჯახი შექმნა თუ არა. ელეგანტურად ჩაცმული ქალიც მისთვის მუსიკის შესავალს ჰგავს, რომლის მიღმაც საინტერესო ნაწარმოებს ელოდები.

— ბატონო ზაზა, რადგან ქალის არსზე უნდა ვისაუბროთ, პირადად თქვენი მშვენიერი ლედით დავიწყოთ. გახსოვთ, სულ პირველად როდის ნახეთ მარინა სალუქვაძე?

— 2006 წელს მარინამ თავის გადაცემაში „ტაბუ“ მიმიწვია. მაშინ მას არ ვიცნობდი და მის გადაცემაში ჩვენი საერთო ახლობლის წყალობით მოვხვდი. რთულია, მარინა არ მოგეწონოს, რომ დავინახე, გავოცდი, მოვიხიბლე.

— პირველად ყველაზე მეტად რას მიაქციეთ ყურადღება?

— გარეგნობის გარდა, უპირველეს ყოვლისა, რასაც ყურადღება მივაქციე, გამართული საუბარი იყო, რაც, სამწუხაროდ, ბევრ ჟურნალისტს არ ახასიათებს. მარინას ეტყობოდა, რომ ოჯახისგან სხვა სკოლა ჰქონდა გავლილი. მისი მშობლები რომ გავიცანი, მივხვდი, არ შევმცდარვარ. ჩვენს ურთიერთობას გაცნობის შემდეგ 6 თვიანი პაუზა ჰქონდა, რადგან ამერიკაში წავედი. გულში სულ უმაყოფილების გრძნობა მქონდა. მარინამ გადაცემის შემდეგ ჩემი ჩანაწერები მთხოვა, დავპირდი, რომ აუცილებლად მივაწვდიდი, მაგრამ თავიდან ამომივარდა. ამერიკაში რომ წავედი, ჩემს ძმასთან დავრეკე და მარინასთვის ალბომის გადაცემა მას ვთხოვე.

— თქვენს შემოქმედებას მანამდე არ იცნობდა?

— ერთი უცნაური რამ გაირკვა. თურმე მარინა ჩემს მუსიკას წლების განმავლობაში უსმენდა და არ იცოდა, რომ მე ვიყავი. ამერიკაში ყოფნის პერიოდში ვირტუალურად დავმეგობრდით. აღმოჩნდა, რომ ერთნაირად ვფიქრობდით, რაღაც სიტუაციაში ერთნაირ გადაწყვეტილებებს ვიღებდით. ეს ყველაფერი საინტერესო იყო. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობაც.

— ყველაზე მეტად რა დააფასეთ მასში?

— მე მაქვს ასეთი თეორია — მამაკაცი და ქალი აცდენილი წრფეები არიან, ერთმანეთი არ უნდა გადაკვეთონ და, თუ გადაიკვეთებიან, მაშინ უკვე კონფლიქტი და შეჯიბრი იწყება. მე კი ვიგრძენი, რომ მარინა ზუსტად ის აცდენილი წრფე იყო, რომელიც ჩემთან კონფლიქტში ვერასდროს შემოვიდოდა, რადგან აბსოლუტური ქალი იყო და მე კიდევ ყოველთვის პრეტენზია მქონდა, აბსოლუტური კაცი ვყოფილიყავი. ამიტომაც ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა ჩვენ შორის მაქსიმალური ჰარმონია ყოფილიყო, რომელსაც ოჯახი ერქმეოდა.

— მარინასთან შეხვედრამდე სამი უიღბლო ქორწინების გამოცდილება გქონდათ. ოჯახის მეოთხედ შექმნაზე ფიქრი არ გაშინებდათ?

— არა. სამწუხაროდ, დედის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ნამდვილი ქალის არსებობა არ მიგრძვნია. მარიკუნაში ის თვისებები ვიპოვე, რაც დედაჩემს ჰქონდა. ჩემი აზრით, მეორე ნახევარი ყველა ადამიანს ჰყავს. ზოგჯერ ხვდები, რომ ის არ არის შენი მეორე ნაწილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, შენ კარგი ხარ და ის ცუდი, უბრალოდ შენი არ არის. აი, მარინა არის ჩემი!

— ყოფილ ცოლებთან ურთიერთობას აგრძელებთ?

— მათთან ურთიერთობა იშვიათად მაქვს. ერთთან 22 წლის ბიჭი მყავს, მეორესთან კი — 7 და 6 წლის ბიჭები.

— ქალისა და მამაკაცის იდეალური თანაცხოვრებისთვის რა არის საჭირო?

— ალბათ მამაკაცი უნდა იყოს ჩემნაირი, ქალი — მარიკუნასნაირი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. არ ვიცი, სიტყვა „იდეალური“ ჩვენს ყოფით ცხოვრებაში რამდენად არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მე და მარიკუნა იდეალურ ურთიერთობასთან ყველაზე ახლოს ვართ. ოჯახის შექმნა მუსიკის წერასავითაა, არაფერს გეკითხება, ყველაფერი თავისით ხდება. უბრალოდ ამ საოცრებას ღირსეულად უნდა შეხვდე.

— რიდის ქრება სიყვარული?

— როცა ის წრფეები გადაიკვეთება, რაზეც უკვე გითხარით. სოციალური პრობლემების გამოც დანგრეულა ოჯახი და ზვიად გამსახურდიას გამოც. მოგეხსენებათ, პოლიტიკური მოსაზრებების გამო კონფლიქტები არაერთ ოჯახში ხდება. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ სისულელეების გამო ოჯახს ანგრევენ. ქალი კაცის მისიას აიღებს ხოლმე, კაცი კი სათანადო ადგილას ვერ დგას.

■ მარინა და ზაზა

„ოჯახის შექმნა მუსიკის წერასავითაა, არაფერს გეკითხება, ყველაფერი თავისით ხდება“.

„ჯერ ასეთი ოჯახის მომხრე ვარ. ქმარი დომინანტია, მონადირეა, რომელმაც სახლში ნადავლი უნდა მოიტანოს... გემს ორი კაპიტანი ერთი ოჯახი ჰყავს, ასეა ოჯახშიც“.

— რა არ არის ქალის მისია?

— საკუთარ თავზე ის პასუხისმგებლობა არ უნდა აიღოს, რაც სინამდვილეში კაცს აკისრია. მებრძოლი და ამორძალური ფსიქიკის ქალი 21-ე საუკუნის დასაწყისმა წარმოშვა.

— ოკეანის გაღმა, ამერიკაში, დიდხანს იცხოვრეთ, ამიტომ ქართველი და ამერიკელი ქალების შედარებაც არ გაგიჭირდებათ. რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

— ბევრი რამით, თითქმის ყველაფრით. ამერიკაში ქმრის ღალატი სამშობლოს ღალატის ტოლფასია და რაც შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს, მკვლელობის შემდეგ, ყველაზე დიდი დანაშაული ეს არის. ქართველებს კი ჰგონიათ, რომ იქ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ყოველთვის ღალატობენ. ალბათ ასეთი დასკვნა ფილმებიდან გამოაქვთ. ასე თუ ვიფიქრებთ, კინოში დინოზავრებსაც აჩვენებენ... ამერიკაში მამაკაცსაც და ქალსაც ოჯახში თავიანთი მოვალეობები აქვთ, ეს აირევა თუ არა, ოჯახიც დაინგრევა. შეიძლება არ დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცოცხალი დეკორაციებივით იცხოვრებენ, სიყვარული აღარ ექნებათ. როცა ოჯახში ქალი კაცია და კაცი — ქალი, ასეთ ურთიერთობას ოჯახი აღარც ჰქვია.

— ოჯახში უპირატესი ვინ უნდა იყოს?

— მე მაინც კლასიკური ოჯახის მომხრე ვარ. ქმარი დომინანტია, მონადირეა, რომელმაც სახლში ნადავლი უნდა მოიტანოს... გემს ორი კაპიტანი არასდროს ჰყავს, ასეა ოჯახშიც.

— თქვენ და მარინა როგორ ახერხებთ, რომ თქვენი „წრფეები“ არ გადაიკვეთოს?

— ჩვენ იმდენი ფუფუნება არ გვაქვს, რომ დრო კონფლიქტებში დავკარგოთ. 42 წელი მარინას გარეშე გავატარე და მეყო! კულტურული კომპრომისებით სხვადასხვა ოჯახურ საკითხებს ვწყვეტთ. მინდა, სულიერი და გონებრივი ერთობა გვქონდეს. ერთი სულიერი მამა გვყავს და ეკლესიაშიც ერთად დავდივართ. საჩუქრების კეთება ძალიან მიყვარს და ვერ ვიტან, როცა ჩემი საჩუქარი ჯიბის სისქეს აღემატება. ჩვენ ერთმანეთს რაღაცას ყოველდღე ვჩუქნით. აუცილებელი არ არის, საჩუქარი მატერიალური იყოს — ჩახუტება, თვალებში ყურება... ბევრი რამ არის, რაც ჩვენს გონებაში სამუდამოდ ილექება. საათი შეიძლება გაფუჭდეს, ასეთი მოგონებები კი...

— ქალბატონი მარინა თქვენს საქმიანობაში ძალიან აქტიურადაა ჩართული,

Cyan Magenta Yellow Black

ბიზნესი ერთად წამოიწყეთ. როგორი პარტნიორია საქმეში?

— მარიკუნას ძალიან სხარტი აზროვნება აქვს, ბოლოს და ბოლოს გურულია. რასაც ხელს მოჰკიდებს, უცებ სწავლობს და აკეთებს. თუ შემოქმედებით საღამოს ვაკეთებ, მარიკუნას აბსოლუტურად ვენდობი. კარგად იცის, რა იქნება მომგებიანი, რა ესიამოვნება ხალხს და მსმენელი და სტუმარი რით შეიძლება მეტად დავაინტერესოთ. მის რჩევებს აუცილებლად ვითვალისწინებ, რადგან რა ხდება აქ, ჩემზე უკეთესად იცის. ძალიან ბანალურ რამეს გეტყვით: როცა ჩამოვედი, იმდენი კაცი მიღიმოდა, მეგონა, ბევრი მეგობარი მყავდა. უცებ კი აღმოჩნდა, რომ ერთად მხოლოდ მე და მარიკუნა ვყოფილვართ. მან კარგად იცის, რომელი ღიმილი რას ნიშნავს, მე კი ახლა ვისწავლე.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ მარინას ქალიშვილთან?

— კარგი. თათუკა 25 წლის არის. ჩვენთან არ ცხოვრობს, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვხვდებით. თათუკასთან შედარებით ელეგანტური მარიკუნა ხულიგანია. თათუკა ჩემთვის წიგნის გმირია. საოცარი ადამიანია, იდუმალებითა და კულტურით სავსე. იმდენად სხვანაირია, რომ მისი მერიდება. მგონია, რომ მე ვარ ახალგაზრდა და ის — ჩემზე ზრდასრული. როცა ვესაუბრები, სულ მინდა, ფეხზე ავდგე. მას წყაროს წყალივით ამოუწურავი რაღაც გააჩნია, მუდამ საინტერესოა.

— ყველაზე მეტად რა გიხიბლავთ ქალში?

— ქართველ ქალებში რაც ძალიან მომწონს, ელეგანტურობაა. მუსიკალურ კომპოზიციას თავისი შესავალი აქვს, რომელმაც უნდა დაგაინტერესოს. ქალის ჩაცმულობაც დაახლოებით ასევეა. არ მინდა, რომ

> **„ჩოცა ჩამოვედი, იმდენი ჯაცი მიღიმოდა, მეგონა, ბევჩი მეგობაჩი მყავდა. უცებ ჯი აღმოჩნდა, ჩომ ეჩთად მხოლოდ მე და მაჩიჯუნა ვყოფიღვაჩთ. მან ჯაჩგად იცის, ჩომეღი ღიმიღი ჩას ნიშნავს, მე ჯი ახღა ვისწავღე".**

თხასავით გაყიდული იყოს და ყველაფერი უჩანდეს. ქალი ელეგანტური, სადა და ცოტა მორცხვიც უნდა იყოს.

— თამამი ქალი რას იწვევს თქვენში?

— ჩემი ქართულის მასწავლებელი ამბობდა, მძიმე თავთავი თავდახრილია, ცარიელი — თავაწეულია. თამამ ქალზეც ზუსტად ასეთი ასოციაცია მაქვს. სიბრძნე და განათლება ეგოს უკუპროპორციულია და როცა ქალში ეგოს დავინახავ, უცებ აღარ მაინტერესებს. ვერ ვიტყვი, რომ ყველა ქალის ერთი ნახვით ამოცნობა შეიძლება, რადგან ამ სფეროში თავს გენიოს მამაკაცად არ მივიჩნევ. არსებობენ ქალები, რომლებიც შარმს გადმოაფრქვევენ და შემდეგ ირკვევა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი ყოფილა.

— მოუტყუებიხართ ქალს?

— უჰ, რამდენიც გენებოთ! მაგრამ ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

— ეთანხმებით გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ყველა ქალი ღალატობს?

— ისეთი გიჟური თეორია მაქვს, რომ არავის სჯერა. ჩემი აზრით, მახინჯი ქალი არ არსებობს, ყველას აქვს თავისი შარმი. უბრალოდ თვალი კარგად უნდა გაახილო და გონებაც კარგად უნდა დაძაბო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ არსებობს ქალი და ვარ კაცი.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

«ბარსელონას» პრეზიდენტი თაღლითობაში დაადანაშაულეს

■ სანდრო როსელი

საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" პრეზიდენტი სანდრო როსელი, რომელიც ასევე სპორტულ-მარკეტინგული კომპანიის მფლობელიცაა, ბრაზილიაში მისი ფირმის კომერციული საქმიანობის გამო თაღლითობაშია ბრალდებული.

როსელმა 5 წლის წინ დააარსა კომპანია „აილანტო", რომელიც ბრაზილიაში სპორტულ ღონისძიებებს უკეთებს ორგანიზებას. 2008 წლის ნოემბერში ფირმამ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციისგან მიიღო შეკვეთა ამხანაგური მატჩის გამართვაზე, რომელშიც ერთმანეთს ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებები უნდა შეხვედროდნენ.

თამაშამდე ერთი კვირით ადრე კონტრაქტს ხელი მოეწერა, რომლის პირობების თანახმად, კომპანიამ 4 მილიონი დოლარი მიიღო მომსახურების ფართო კომპლექსისთვის, რომელშიც შედიოდა მოთამაშეთა ტრანსპორტირება და განთავსება, მარკეტინგული მომსახურება და სხვა წვრილმანები.

გარკვეული დროის შემდეგ კომპანიის საქმიანობით ბრაზილიის პროკურატურა დაინტერესდა. სათანადო შემოწმებით გაირკვა, რომ როსელის კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობა მხოლოდ 500 ათას დოლარადაა შეფასებული.

ამჟამად ბრაზილიის პოლიცია კომპანიის საქმეს იძიებს. თუ კატალონიური კლუბის პრეზიდენტის დანაშაული დამტკიცდება, სანდრო როსელს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

■ ლარისა რიკელმე

რიკელმე ეროტიკას ვერ ეშვება

რამდენიმე თვის წინ პარაგვაის ეროვნული ნაკრების ყველაზე სახელგანთქმულმა გულშემატკივარმა, უმშვენიერესმა ლარისა რიკელმემ, განაცხადა, რომ ეროტიკულ ფოტოსესიებში მონაწილეობას აღარ მიიღებდა. ამის მიზეზად კი ბოიფრენდი, ფეხბურთელი ფაბრო დაასახელა, რომელსაც ეს ყოველივე აღიზიანებდა.

როგორც აღმოჩნდა, გოგონამ ცდუნებას მაინც ვერ გაუძლო და ისევ გაშიშვლდა ერთ-ერთი ბრაზილიური ფირმისთვის, რომელიც სხვადასხვა ეროტიკული აქსესუარების წარმოებითაა დაკავებული. ფოტოსესიის დროს ლარისამ კარგად წარმოაჩინა ეროტიკული თეთრეული — ბადისებური წინდები, სტრინგი და კორსეტი.

ინტერნეტში რიკელმეს ერთი ფოტოსურათი ერთი კვირის წინ გამოჩნდა, ახლახან კი მისი ვიდეორგოლის დემონსტრირება გაიმართა, რომელშიც ლარისა ბიბლიოთეკაში, სააბაზანოსა და რეტრო ავტომობილის ფონზე პოზირებს.

ჯერჯერობით უცნობია, მოეწონა თუ არა ფაბროს ეს ვიდეორგოლი.

ბალოტელის ინგლისური ტელეშოუები ენატრება

■ მარიო ბალოტელი

ახლახან სკანდალურად ცნობილმა, ეპატაჟურმა და თავნება ხასიათით გამორჩეულმა იტალიელმა ფორვარდმა, მარიო ბალოტელიმ, რომელიც ამჟამად „მილანის" ღირსებას იცავს, იმაზე ისაუბრა, თუ რა ენატრება ყველაზე მეტად თავისი ბრიტანული ცხოვრებიდან.

ამ ნუსხაში თავისუფლად შეიძლებოდა შესულიყო ცნობილ მოდელებთან ურთიერთობა, გაუთავებელი ჯარიმები მანქანის არასწორი მართვისა და გაჩერებისთვის, ასევე ინგლისური კლუბის მთავარ მწვრთნელ რობერტო მანჩინისთან კონფლიქტები, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საქმე უფრო პროზაულადაა — ბრიტანეთში ცხოვრების დროს 22 წლის ფორვარდს ყველაზე მეტად ადგილობრივი ტელეშოუების ყურება შეუყვარდა.

— ძალიან მომწონს ბრიტანული ტელევიზია, კარგად მართობს, — განაცხადა ბალოტელიმ, — იქ ორი წამყვანია, ანტი და დეკი. მეტად მხიარული ყმაწვილები არიან და კარგ შოუებს აწყობდნენ. მართალია, ყოველთვის არ მესმოდა მათი, მაგრამ გულწრფელად ვაღიარებ, რომ ძალიან მენატრებიან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ტელეშოუების მონატრებას მარიოს შედეგიანობაზე არ უმოქმედია. ბალოტელიმ „მილანის" შემადგენლობაში 5 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 5 გოლი გაიტანა.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

Cyan Magenta Yellow Black



კაცი, რომელსაც 2000 თოჯინა ბარბი აქვს

ფლორიდაში მცხოვრები 41 წლის სტენლი კოლორიტე საკუთარ თავს ბარბიმენს (ბარბის კაცს) უწოდებს, რადგან ის 2 ათასი თოჯინა ბარბის მფლობელია. მან თოჯინების შეგროვება ბავშვობიდან დაიწყო და ყოველწლიურად დაახლოებით 30 ათას დოლარს ხარჯავდა კოლექციის შესავსებად. მისი შვიდოთახიანი ბინიდან ოთხი ოთახი და მათ შორის აბაზანაც, თოჯინებს უკავიათ.

სტენლის თავისი თოჯინებისათვის შეძენილი აქვს 3 ათასი კაბა, მათ შორის რამდენიმე დიზაინერ ოსკარ დე ლა რენტასგან, ასევე თვითმფრინავი, მოტოციკლეტი და ლიმუზინიც კი. მისი საყვარელი ბარბი 1992 წელს გამოშვებული თოჯინაა, რომლის ღირებულებაც 975 დოლარია.

სტენლის კოლექცია 80 ათას დოლარადაა შეფასებული, მაგრამ მის გაყიდვას სულაც არ აპირებს. პირიქით, საკუთარი მუზეუმის გახსნაზე ოცნებობს, რომლის მონახულებისას ნებისმიერ სტუმარს გაკვირვებისაგან ყბა ჩამოუვარდება.

კოლორიტე მეგობარ მამაკაც დენის შლიკერთან ერთად ცხოვრობს, რომელიც მის გატაცებას იზიარებს. სტენლის თქმით, ბარბი არ არის მხოლოდ სათამაშო ბავშვებისთვის, იგი მოზრდილი კოლექციონერებისთვისაცაა განკუთვნილი.

8 წლის ბიჭმა 61 წლის ქალზე იქორწინა

ზიმბაბვეში 8 წლის სანელეი მაზილელამ 61 წლის ელენა საბანგუზე იქორწინა. ქორწილის ცერემონიას 100-მდე ნათესავი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ელენას 5 შვილი და მისი პირველი მეუღლეც.

ბიჭუნას განცხადებით, ელენასთან ცხოვრების დაკავშირება მას გარდაცვლილი პაპის სულმა სთხოვა. იმის გამო, რომ ელენა წინაპრებს დიდ პატივს სცემს, მეორედ გათხოვებაზე უარი არ უთქვამს, თანაც საქმროს ოჯახმა მას 500 ფუნტი სტერლინგი გადაუხადა. სანელეისა და ელენას არ გაუფორმებით საქორწინო კონტრაქტი და ისინი არც ერთად ცხოვრებას აპირებენ. ორივენი თავიანთი ცხოვრების ჩვეულ სტილს დაუბრუნდებიან.

„მე ვუთხარი დედაჩემს, რომ მინდოდა დაქორწინება. საცოლედ ელენა ამოვირჩიე, ვინაიდან ძალიან მომწონს. ახლა კი სკოლაში სწავლას გავაგრძელებ და როდესაც გავიზრდები, ცოლად ვინმე უფრო ახალგაზრდას მოვიყვან“, — განუცხადა სანელეიმ ჟურნალისტებს.

სიმწიფის ატესტატი 106 წლის ასაკში

მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბევერლიში მცხოვრებ ფრედ ბატლერს საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი 106 წლის ასაკში ოფიციალურად გადასცეს. ცერემონიალი 13 მარტს სკოლის ბიბლიოთეკაში შედგა. მას ქალაქის მერი და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ბატლერი იძულებული გახდა, მე-10 კლასში სწავლა მიეტოვებინა და მუშაობა დაეწყო, რათა მარტოხელა დედას დახმარებოდა, რომელსაც 5 შვილის აღზრდა მძიმე პირობებში უწევდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ის ჯარში მსახურობდა, ომის შემდეგ კი მუშაობა გააგრძელა.

ბატლერმა ყველას დიდი მადლობა გადაუხადა და განაცხადა, უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ, როგორც იქნა, ნანატრი ატესტატი მეღირსაო.

ნაგაზმა პატრონი თვითმკვლელობისგან იხსნა



საფრანგეთში გერმანული ნაგაზის ჯიშის ძაღლმა პატრონს თვითმკვლელობაში ხელი შეუშალა. ოთახში შეკეტილი 63 წლის ქალი იარაღით აპირებდა თავის მოკვლას. როგორც ჩანს, ძაღლმა საშიშროება იგრძნო, კარი შეაღო და თოფს ისე მივარდა, რომ გასროლის ტრაექტორია შეაცვლევინა.

შედეგად, ძაღლის პატრონი მკერდზე მცირე განაკაწრით გადარჩა.

გასეირნება თეთრ ზვიგენთან ერთად

მყვინთავმა ოუშენ რამსიმ მეტად სარისკო ექსპერიმენტი ჩაატარა. მან ჰავაიზე უზარმაზარ თეთრ ზვიგენთან ერთად იცურა. 2 დღის განმავლობაში ოუშენი წყლის სიღრმეში ჩაშვებული სპეციალური გალიიდან აკვირდებოდა უზარმაზარ ზვიგენს და მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა მასთან მიახლოება. წყლის ბინადარს მისთვის ზიანის მიყენება არც კი უცდია, პირიქით, გოგონასთან ერთად მშვიდად დაცურავდა.

სპეციალისტებს ამ ფაქტის ახსნა უჭირთ. გოგონას თქმით, მისი სურვილია, ადამიანები დაარწმუნოს, რომ ზვიგენები არც ისეთი საშიშები არიან, როგორც წარმოგვიდგენია.

Cyan Magenta Yellow Black

ქალი გახდასვლილი ქმრის პენსიით ცხოვრობდა

მიჩიგანის შტატში მცხოვრები 71 წლის ლინდა ჩეზი დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით დააკავეს. იგი ქმრის პენსიას იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ კაცი დაახლოებით წელიწადნახევრის წინ გარდაიცვალა.

ქალი მას შემდეგ დააკავეს, რაც მის სახლში, მისაღებ ოთახში მეუღლის ნეშტი აღმოაჩინეს. ლინდას მკვლელობაში არ ადანაშაულებენ, მას ბრალი მხოლოდ იმაში დასდეს, რომ მეუღლის გარდაცვალების შესახებ შესაბამის სტრუქტურებს არ შეატყობინა.

ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ მამაკაცი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა 2011 წლის დეკემბერში. თავდაპირველად მას ნათესავებმა დაუწყეს ძებნა, სახლშიც მივიდნენ, მაგრამ კარი არავინ გაუღო, სანამ სამართალდამცავებმა ძალით არ შეამტვრიეს.

ლინდას განმარტებით, საყვარელ ქმართან განშორება არ სურდა. ქალი ფსიქიატრიულ კლინიკაში უკვე გაგზავნეს.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ფაზლი

მსოფლიოს ყველაზე დიდი ფაზლი 24 ათასი ნაჭრისაგან შედგება და მის აწყობას 50 წლის ბრიტანელმა ამანდა უორინგტონმა 17 თვე მოანდომა. ყველაზე რთული იყო მისაღები ოთახის კედელზე ფაზლის ყველა ნაწილის სათითაოდ და თან სწორად მიკვრა. სურათი 13 კილოგრამს იწონის, მისი სიგრძე კი 4,5 მეტრია.

ამანდა ფაზლს საღამოობით, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ აწყობდა. მსოფლიოში ყველაზე დიდი ფაზლი გინესის რეკორდების წიგნში უკვე შევიდა. მასზე კოსმოსში, მიწაზე და წყალქვეშ არსებული ცხოვრებაა ასახული.

მსოფლიოში პირველი პანდა-სასტუმრო გაიხსნა

პირველი პანდა-სასტუმრო, რომელიც ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში გაიხსნა, სტუმრების მიღებას მაისიდან შეძლებს. სასტუმროს დამაარსებლის, ჯიან ქინის მიზანი მსოფლიოში პანდების პოპულარიზაციაა. ის უახლოეს მომავალში პანდებისათვის სასტუმროს გახსნას ლონდონშიც გეგმავს.

სწორედ სიჩუანის პროვინციაში მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი ვოლონგის პანდების თავშესაფარი. 2011 წელს მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ თავშესაფრის აღდგენაში სახელმწიფომ 100 მილიონი დოლარი დახარჯა.

სასტუმროში ყველაფერი პანდებთან არის დაკავშირებული, მომსახურე პერსონალიც კი პანდების კოსტიუმებშია გამოწყობილი.

პატარძალი ტაძრის ჯაჭში გაიქცა

16 წლის კარლ ბრაიენი საპატარძლო კაბის გაბარიტების გამო ტაძრის კარებში გაიჭდა. კაბა 30 ფენისაგან იყო შეკერილი, 18 მეტრიანი შლეიფი ამშვენებდა და 3 ათასი ძვირფასი ქვით იყო მორთული. მისი შეკერვა კარლის 25 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

16 კილოგრამიანი საქორწინო კაბის ჩასაცმელად პატარძალს ზუსტად ცხრა საათი დასჭირდა. კაბის სიგანე 2,5 მეტრი იყო და ამის გამო გოგონა ტაძრის შესასვლელში ვერ შეეტია, შესვლასა და საკურთხეველთან მისვლაშიც სტუმრების დახმარება დასჭირდა. ცერემონიის შემდეგ ნეფემ დაღლილი პატარძალი სტუმრების დახმარებით ხელში აყვანილი გაიყვანა გარეთ.

და-ძმა დედის ჩონჩხს სახლში ინახავდა

ამერიკაში მცხოვრები იაპონელები, ერთი ძმა და ორი და მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც გაირკვა, რომ ისინი 3 წლის წინ გარდაცვლილი დედის ნეშტს სახლში ინახავდნენ. მათი განცხადებით, ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, ისინი დედის სხეულს ინახავდნენ, რადგან სწამდათ, რომ ის ღმერთი გახდებოდა.

65 წლის კაცმა და 59 და 52 წლის დებმა პოლიციას თავდაპირველად წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ სამართალდამცავებმა მათ სახლში შეღწევა მაინც შეძლეს. დათვალიერების შედეგად ერთ-ერთ ოთახში ბამბის ღეიბზე ქალის ჩონჩხი აღმოაჩინეს.

შვილების განცხადებით, მათი დედა კვლავ ცოცხალია. როგორც ცნობილია, ტრადიციული იაპონური რელიგია ზოგჯერ უშვებს წინაპართა გაღმერთებას, მაგრამ არა აკლდამის ან მიწის გარეთ.

ეს ისეთით?

- პირველი რეკლამა ინგლისში გამოჩნდა 1477 წელს.
- რუსეთში მარლენი კაცის სახელია, ევროპაში — ქალის.
- მოსკოვში, რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, 177 მილიონი მონეტა ინახება.
- ყველაზე დიდი მონეტა მე-17 საუკუნეში მოიჭრა და ის 17კგ-ს იწონიდა.

- როცა ძროხები ბევრ სტაფილოს ჭამენ, მათი რქები ვარდისფერი ხდება.
- თუ აქლემს სწყურია, მას შეუძლია 19 წუთის განმავლობაში 45 ლ წყალი დალიოს.
- ყოველწლიურად ფრანგები 44 მილიონ ლოკოკინას მიირთმევენ.

Cyan Magenta Yellow Black

როგორი დიასახლისი ხარ?

1. რამდენად ხშირად ალაგებთ კარადის უჯრებს?

ა) ექვს თვეში ერთხელ სახლში რევიზიას ვატარებ, ძველ ნივთებს ვყრი ან აგარაკზე ვაგზავნი — 3

ბ) კარადაში ყოველთვის წესრიგი მაქვს. თაროებზე ყველაფერი აკურატულად მაქვს დალაგებული. ბავშვობიდან მიყვარს წესრიგი — 1

გ) იშვიათად. ჩემს კარადაში ისეთი ქაოსია, მისი დალაგება ძნელია — 5

2. სტუმრებისთვის სპეციალურად გამოაცხვეთ ვაშლის ღვეზელი, მაგრამ დაგეწვათ, მაინც გაუმასპინძლდებით სტუმრებს?

ა) არავითარ შემთხვევაში! მხოლოდ შოკოლადსა და ყავას მივართმევ — 1

ბ) რა თქმა უნდა, აბა, რისთვის ვიწვალე? — 5

გ) თუ ღვეზელი ძალიან არ დაიწვა, მაშინ სტუმრებს გავუმასპინძლდები და მოვუბოდიშებ, რომ ამჯერად ისეთი არ გამოვიდა, როგორც ყოველთვის — 3

3. მაღაზიაში წასვლამდე საყიდელი პროდუქტის სიას ადგენთ?

ა) აუცილებლად, ასე არასოდეს მეხარჯება ფული სხვა რამეში და ზუსტად ვიცი, რა არ გვყოფნის სახლში — 1

ბ) რა საჭიროა ამის გაკეთება? პირდაპირ მაღაზიაში გადავწყვეტ, რა მაქვს საყიდელი — 5

გ) დიახ, თუმცა ამ სიაში მხოლოდ ძირითად პროდუქტს ვწერ, დანარჩენს ხასიათისა და დარჩენილი თანხის მიხედვით ვყიდულობ — 3

4. წარმოიდგინეთ, რომ ახალ სახლში გადახვედით საცხოვრებლად. რას იყიდით პირველ რიგში?

ა) ტელევიზორს. მისი არსებობით ახალ სახლში გადაბარგება უფრო გამიადვილდება — 5

ბ) სარეცხ მანქანას. მის გარეშე ვერაფერს გავხდები — 3

გ) მაცივარს. მთავარია, სახლში ყოველთვის მქონდეს ახალი პროდუქტი — 1

5. ჟურნალ-გაზეთებიდან კულინარიულ რეცეპტებს თუ აგროვებთ და ადევნებთ თუ არა თვალს გადაცემებს ჯანსაღი კვების შესახებ?

ა) იმ შემთხვევაში, თუ მართლა რამე საინტერესოს წავაწყდები — 3

ბ) არა. საჭიროების შემთხვევაში დედას ან ბებიას ვურეკავ — 5

გ) დიახ, ყოველთვის მაინტერესებს ახალი კერძების გასინჯვა — 1

6. გეხმარებათ თუ არა მეუღლე საოჯახო საქმეებში?

ა) ხანდახან შემიძლია დახმარება ვთხოვო. ის თითქმის არასოდეს მეუბნება უარს — 3

ბ) ხშირად ერთად ვალაგებთ სახლს, ვამზადებთ საჭმელს, ვაკეთებთ კოსმეტიკურ რემონტს — 1

გ) საოჯახო საქმეები მხოლოდ მე მაბარია — 5

7. როგორც წესი, მხოლოდ თქვენ მიერ მომზადებული კერძები განიჭებთ სიამოვნებას.

ა) რა თქმა უნდა, ოჯახის წევრებს და ახლობლებს მხოლოდ საკუთარი ხელით მომზადებული კერძებითა და ტკბილეულით ვუმასპინძლდები — 1

ბ) ხანდახან. ასეთ დროს საკუთარი თავის მიმართ სიამაყის გრძნობა გიჩნდება — 3

გ) უნდა გამოგიტყდეთ, რომ დედაჩემს უფრო გემრიელი გამოსდის — 5

8. ყოველკვირეულად სახლს ერთსა და იმავე დღეს ალაგებთ?

ა) გააჩნია, რა განწყობაზე ვარ — 5

ბ) ძირითადად შაბათ-კვირას ვალაგებ, ამ დღეებში უფრო მეტი დრო მაქვს — 3

გ) მხოლოდ შაბათობით — 1

შედეგები:

8-17 ქულა — თქვენი სახლი იდეალურ მდგომარეობაშია, თქვენ კი იდეალური დიასახლისი ხარ. ზედმეტად დიდ დროს ხომ არ უთმობთ საოჯახო საქმეებს? გირჩევთ, უფრო მეტი დრო მოძებნოთ დასვენებისთვის.

18-30 ქულა — იცით, როგორ უნდა მოამზადოთ გემრიელი კერძი, როგორ გქონდეთ სახლი მუდამ წესრიგში. ასე გააგრძელეთ!

31-40 ქულა —დასვენება, მეგობრებთან შეხვედრა... ყველაფერზე ფიქრობთ სახლის დალაგებისა და საჭმელის კეთების გარდა. სამწუხაროდ, ამას გარშემომყოფებიც ამჩნევენ. ამ ჩვევის გამოსწორება ძნელია, მაგრამ ეცადეთ, კვირაში 2-3 საათი სახლის დალაგებასაც დაუთმოთ.

ხმის ასტროლოგია

ასტროლოგები თვლიან, რომ ყოველ ადამიანზე ოთხი ძირითადი სტიქიიდან — წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა — ერთ-ერთი მათგანი მბრძანებლობს. ისინი არამხოლოდ ადამიანის ხასიათზე ახდენენ გავლენას, აგრეთვე მის გარეგნობაზე, ჯანმრთელობასა და ხმაზეც კი.

ცეცხლის სტიქიის ნიშნის ქვეშ დაბადებულებს, როგორც წესი, ომახიანი, მკაფიო ხმა აქვთ. თუ აუდიტორიის წინაშე გამოდიან, მიკროფონი არ ესაჭიროებათ.

მიწის ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის დამახასიათებელია თანაბარი ხმა ინტონაციებისა და ემოციური ამოფრქვევების გარეშე. ხშირად თანამოსაუბრეს მათი ხმა ძლიერ მონოტონური ეჩვენება.

ჰაერის სტიქიაში დაბადებულებს წკრიალა ხმა აქვთ. მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები ინტონაციურად კარგად შეფერილია და მათი მოსმენა ერთი სიამოვნებაა.

წყლის სტიქიის ადამიანების ხმა ნაკადულის რაკრაკის, მდინარის მდორე დინების ან ჩანჩქერის ხმაურის მსგავსია. ამასთან, მათ მეტყველებაში ხშირად მეტი ემოციაა, ვიდრე ინფორმაცია.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

3								7
		5	2		6		1	
1				4		9		
9						2		
2	6		1	5				
		4		7			3	
			8				6	
	7			2		5		
	3	8			9			1

№ 2

9				8				4
	3		6				2	
		7		5		1		
	5		7					9
8				1				
		6			8		4	
	4	1	9			3		
					7		5	
	8	2						6

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

ტესტი მშობლებისათვის

როგორ უმკლავდებით „მიყიდეს“?

ეიძლება ითქვას, რომ პირველი სიტყვა, რომელიც ბავშვის ტუჩებს „დედასა“ და „მამას“ შემდეგ დასცდება, „მომეა“. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ეს „მინდასა“ და „მიყიდესთან“ ერთად პატარას ლექსიკონის მთავარ სიტყვად იქცევა. ალბათ ისიც შეგიმჩნევიათ, რომ ზოგი ბავშვი მაღაზიაში ნამდვილ სპექტაკლს მართავს, ხოლო ზოგისთვის ერთხელ ნათქვამი „არაც“ საკმარისია. თქვენ როგორ უმკლავდებით შვილის ბაგეებიდან წარმოთქმულ „მიყიდეს“?

1. ბავშვი ნაწყენია. ის გიყვებათ, რომ მისმა მეგობარმა ბაღში სათამაშო ამწე მიიტანა და არავის ათხოვა. თქვენი რეაქცია:

ა) ჰპირდებით, რომ უკეთესს უყიდით.

ბ) სთავაზობთ, ახლავე ითამაშოთ მშენებლობანა და ამ მიზნით მისი ყველა მანქანა გამოიყენოთ.

გ) იღებთ მუყაოს და ამწეს კეთებას იწყებთ.

2. სამსახურში ძალიან დატვირთული ბრძანდებით და შვილთან ცოტა დროს ატარებთ. ამის კომპენსაციას ცდილობთ:

ა) მანქანებით, თოჯინებით, რადგან იცით, რომ რაც უფრო მეტი სათამაშო ექნება, მით უფრო ნაკლებად იგრძნობს უთქვენობას.

ბ) სათამაშოებით, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, რათა ბებიასთან ერთად ითამაშოს, როცა თქვენ შინ არ იქნებით.

გ) ერთად გატარებული დროის ხარისხით — თავისუფალ დროს მთლიანად ბავშვს უთმობთ.

3. როცა ბავშვი კარგავს ინტერესს ახალი ძვირადღირებული სათამაშოს მიმართ, თქვენ:

ა) სათამაშოს აგდებთ ან სკივრში ინახავთ.

ბ) ახსენებთ შვილს მის არსებობას და სთავაზობთ, კიდევ ითამაშოს.

გ) ამ სათამაშოთი ახალ თამაშს მოიგონებთ.

4. მიგაჩნიათ, რომ ბავშვისთვის საჩუქარი უნდა იყოს:

ა) სპონტანური.

ბ) კარგად დაგეგმილი სიურპრიზი.

გ) საოცნებო.

5. მაღაზიაში ხართ, შვილს ხელში უჭირავს მანქანა (თოჯინა) და ითხოვს სათამაშოს, რომელიც ძალიან ჰგავს მისას. თქვენ:

ა) ყიდულობთ.

ბ) მერყეობთ.

გ) უხსნით, როგორ უყვარს ის თავის მანქანას (თოჯინას).

6. როდის ჩუქნით ბავშვს სათამაშოს, რომელსაც გთხოვთ?

ა) პირველი ან მეორე მოთხოვნისთანავე, უარს აზრი არ აქვს.

ბ) ერთხანს თავს იკავებთ, მაგრამ საბოლოოდ ნებდებით.

გ) დღესასწაულისთვის, მაგრამ თუ ბავშვი ისტერიკას გამართავს, სულაც არ უყიდით.

7. ესაუბრებით თუ არა შვილს ფინანსური პრობლემების შესახებ?

ა) არა, ბავშვი ამისთვის მეტისმეტად პატარაა.

ბ) დიახ, თუ სათამაშოების მაღაზიაში ხართ და ფული არ გყოფნით.

გ) დიახ, ვაგროვებთ ფულს და ვადგენთ გეგმას, ვის რა ვუყიდოთ.

8. ხშირად ყიდულობთ შვილისთვის იმას, რასაც გთხოვთ?

ა) თითქმის ყოველდღე.

ბ) კვირაში 3-4-ჯერ.

გ) კვირაში 1-2-ჯერ.

9. მაღაზიაში შვილისთვის ტანსაცმელს ეძებთ, უეცრად ხედავთ სათამაშოს, რომელიც ბავშვობისას ძალიან გინდოდათ...

ა) კარგად დაათვალიერებთ და გზას გააგრძელებთ.

ბ) თავს ვერ შეიკავებთ და იყიდით.

გ) იწყებთ ფიქრს, როგორ დაზოგოთ ფული, რათა სათამაშო შეიძინოთ.

10. როცა შვილთან ერთად სასეირნოდ მიდიხართ, საფულე თან მიგაქვთ?

ა) ყოველთვის.

ბ) თუ მაღაზიაში შესვლას არ აპირებთ — არა.

გ) თუ გზად სათამაშოების მაღაზიასთან უნდა გაიაროთ — არა, რადგან თავად ვერ შეიკავებთ თავს.

11. როგორი სათამაშოები უყვარს თქვენს შვილს?

ა) გასართობი.

ბ) კონსტრუქტორები.

გ) ის ყველაფრით თამაშობს.

12. ბავშვი სათამაშოებთან შეჩერდა და გთხოვთ, მორიგი რობოტი უყიდოთ, თქვენ კი მიგაჩნიათ, რომ რაც აქვს, სავსებით საკმარისია. რას ეტყვით?

ა) „შენ უკვე დიდი ხარ და უნდა ხვდებოდე, რომ...“.

ბ) უხსნით, რა ნაკლი აქვს ამ სათამაშოს.

გ) ამბობთ მტკიცე უარსდა კამათს აღარ აგრძელებთ.

13. სად გირჩევნიათ ბავშვისთვის სათამაშოების ყიდვა?

ა) სადაც წაადგებით.

ბ) საგანგებოდ შერჩეულ ადგილებში.

გ) მხოლოდ განსაზღვრულ მაღაზიაში.

14. როგორ ფიქრობთ, უნდა ჰქონდეს თუ არა 4 წლის ბავშვს ფული?

ა) არა, საამისოდ ჯერ პატარაა.

ბ) დროდადრო აძლევთ პატარას მცირე თანხას.

გ) ბავშვს აქვს ყულაბა.

დაითვალეთ, თქვენს პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს.

შედეგები:

„ა“ ვარიანტი — აუცილებლად უნდა იმუშაოთ საკუთარ თავზე. ეჭვს არ იწვევს, რომ ბავშვის ჩვევა — იყვიროს, მოითხოვოს, იტიროს, იატაკზე გაგორდეს და იფართხალოს, თქვენ ჩამოაყალიბეთ და ამუამადაც უწყობთ ხელს მის პროგრესირებას. სწორედ მშობლების ბრალია, რომ ბავშვი ფიქრობს: „სურვილს მაინც ავისრულებ!“. რასაკვირველია, ასეთი აღზრდა კარგს არაფერს მოგიტანთ. თქვენთვის ეს ისედაც ცხადია. გაცილებით მნიშვნელოვანია გაარკვიოთ, რა არის ისეთი თქვენს მსოფლმხედველობაში, რომ ბავშვის უსაფუძვლო მოთხოვნები ქვეცნობიერად ბუნებრივად მიგაჩნიათ. თქვენ ვერ გრძნობთ საკმაო სიმტკიცეს, რათა წინააღმდეგობა გაუწიოთ ბავშვის ჭირვეულობას. იქნებ დანაშაულის განცდა გაქვთ იმის გამო, რომ ბევრს მუშაობთ, იშვიათად ხართ შინ და ასე ცდილობთ საკუთარი დანაშაულის გამოსწორებას. კარგად გესმით, რომ თქვენს შვილს სულაც არ სჭირდება ახალი ბაჭია თუ მანქანა. პატარა იმიტომ ითხოვს სათამაშოს, რომ მას თქვენი სიყვარული და სითბო აკლია. ვერავითარი საჩუქარი ვერ შეცვლის დედის სიყვარულსა და ყურადღებას. ეცადეთ, ერთი საღამო გაატაროთ შვილთან, ითამაშოთ დახუჭობანა, დაჭერობანა და დაინახავთ, რომ მეორე დღეს პატარა მაღაზიას მშვიდად ჩაუვლის.

„ბ“ ვარიანტი — ჯერჯერობით ახერხებთ, შეინარჩუნოთ ბალანსი ბავშვის მოთხოვნებსა და თქვენს რეალურ შესაძლებლობებს შორის, თუმცა ეს ბალანსი ძალზე მერყევია. არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი შვილის სურვილთა დიაპაზონი და მშობლებით მანიპულირების უნარი დღითიდღე იზრდება, თქვენი შესაძლებლობები კი მას ფეხდაფეხ ვერ მისდევს. ბავშვები შესანიშნავად ხედავენ მშობლების სუსტ მხარეებს და ხშირად უფროსები ვერც კი ხვდებიან, როგორ ახდენენ შვილების ჭირვეულობების პროვოცირებას. ცხადია, ასაკთან ერთად ბავშვი არ შეიცვლება, პრობლემა თავისთავად არ მოგვარდება. ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობას რომ საფრთხე არ დაემუქროს, უნდა გახსოვდეთ წესები, რომელთა დარღვევაც არ შეიძლება. სიტყვა „არა“ ნიშნავს მყარ უარს და არა ვაჭრობის დაწყებას. თუ კამათი დაიწყო, ბავშვი აუცილებლად დაგამარცხებთ. თუ სახანძრო მანქანა არ იყიდეთ ორშაბათს, მისი ყიდვა არც ხუთშაბათსაა საჭირო, არც მაშინ, თუ დაიღალეთ და პატარას მოთხოვნებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გიჭირთ.

„გ“ ვარიანტი — თქვენი პოზიცია სწორია. არ აძლევთ ბავშვს საშუალებას, თავის ჭკუაზე გატაროთ. პატარა ვერასოდეს გახდება ტირანი. თქვენ შესანიშნავად გესმით, რომ აუცილებელია ბავშვის სურვილებისა და თქვენი ფინანსური შესაძლებლობების დამთხვევა. თუმცა აქაც არსებობს ერთი საშიშროება — ზედმეტი არ მოგვივიდეს. ბავშვი, რომელსაც ყველაფერს უკრძალავენ, შესაძლოა გაიზარდოს შეგნებით „ჩემთვის არ შეიძლება“, „მე არ ვარ ღირსი“, ამიტომ აუცილებელია, როგორც უნდა გიჭირდეთ, შვილს დროდადრო მაინც აჩუქოთ სათამაშოები. მას უჭირს, გაუძლოს ცდუნებას, როცა ლამაზ პისტოლეტს ხედავს, მაგრამ თუ მაღაზიაში რამდენიმე დღე არ დაბრუნდებით, ბავშვს სათამაშო დაავიწყდება. თუ აიღებთ მუყაოს, ფერად ქაღალდს და პატარას პისტოლეტს თქვენ გაუკეთებთ, მას ექნება უძვირფასესი სათამაშო, რომელშიც მისი მონდომება და თქვენი მზრუნველობაა ჩაქსოვილი. უფროსებმა ხომ შესანიშნავად ვიცით, რომ სათამაშო და ტკბილეული ბავშვისთვის სულაც არ არის მთავარი, მშობლების ყურადღება და სიყვარული გაცილებით ძვირფასია!

Cyan Magenta Yellow Black

რით არის საშიში ტატუ

გადაწყვიტეთ, მოდური ტატუ გაიკეთოთ? უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვისთვის პროცედურის დროს და შემდეგ, რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი გითვალისწინეთ. სანამ ნახატს გაიკეთებთ, უმჯობესია, წინასწარ ექიმთან კონსულტაცია გაიაროთ. საქმე ისაა, რომ ამ პროცედურის შემდეგ უამრავი გართულება არსებობს. მაგალითად, კანის ზოგიერთი დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, ბრონქული ასთმა. გარდა ამისა, ტატუს გაკეთებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაწიბურები (სამწუხაროდ, მათი გაჩენის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია). თუ ექიმი რაიმე უკუჩვენებას არ გამოავლენს, შეგიძლიათ შემდეგი ნაბიჯი გადადგათ: სპეციალიზებული ცენტრი შეარჩიოთ.

სტერილურობა მნიშვნელოვანია

პროცედურის წინ დარწმუნდით, რომ სალონს, რომელზეც ყურადღება შეაჩერეთ, ასეთი მომსახურების უფლებაზე ლიცენზია აქვს. დაინტერესდით, როგორ ტარდება პროცედურა, როგორ ხდება მოწყობილობის სტერილიზაცია, გამოიყენება თუ არა ერთჯერადი ნემსები და ხელთათმანები. გახსოვდეთ: ჰიგიენისა და მრავალჯერადი დეზინფექციის წესების დაუცველობის შემთხვევაში,C ჰეპატიტით, ჰერპესის ვირუსითა და სხვა ინფექციებით დასნებოვნების რისკი იზრდება. ასევე დაინტერესდით, ოსტატი ტატუსთვის როგორ საღებავს იყენებს. მაღალხარისხიანი პიგმენტური საღებავები არატოქსიკურია, ხოლო დაბალხარისხიანი შეიძლება შეიცავდეს საშიშ ნივთიერებებს (ალდეჰიდებს, დენატურატებს, ეთილის სპირტს და სხვა), რომლებიც დერმატოლოგიურ დაავადებებსა და ალერგიულ რეაქციას იწვევენ. მხედველობაში იქონიეთ: ნახატის გაკეთებისას რეაქცია მაშინვე არ ვლინდება. ქავილი, წვა და სხვა უსიამოვნო სიმპტომები შეიძლება ტატუს გაკეთებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაჩნდეს.

ინფექციებს მოეჩიდეთ

ახალგაკეთებული ტატუ არსებითად, ღია ჭრილობაა. თუ არ მოუვლით, ჭრილობაში შეიძლება ინფექცია შეიჭრას. ყოველდღიურად, დღეში 2-ჯერ, ნახატზე ანტიბაქტერიული ან შემახორცებელი კრემი წაისვით. შესაძლებლობის მიხედვით ეცადეთ, ტატუ არ დაისველოთ, სანამ კანი საბოლოოდ არ მოშუშდება. ჭრილობის სრულ შეხორცებამდე აბანო, საუნა, აბაზანა და სოლარიუმი გამორიცხეთ. თუ ინფექციის ნიშნები (ტემპერატურა, სიწითლე, ტკივილი, შეშუპება ან ჩირქის გამოყოფა) გაჩნდა, დაუყოვნებლივ ექიმი გამოიძახეთ.

როგორ ნავშალოთ ჯვალი?

არასდროს გამორიცხოთ იმის ალბათობა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ტატუ მოგბეზრდებათ და მისგან გათავისუფლება მოგესურვებათ. ამ შემთხვევაში რას გვათავაზობს მედიცინა?

ნახატის მოცილება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე გაკეთება. ეს საკმაოდ ხანგრძლივი, მტკივნეული და ძვირადღირებული პროცედურაა. გარდა ამისა, შეიძლება ნაიარევი და ნაწიბურები დარჩეს. სადღეისოდ რამდენიმე მეთოდი გამოიყენება.

1. შენიღბვა. ტატუს არ აცლიან, არამედ ძველ კონტურებს კანის შესატყვისი საღებავი პიგმენტით ოსტატურად გადაფარავენ. ამ მეთოდს ძირითადად მცირე მოცულობის ტატუს კორექციისთვის იყენებენ.

2. კრიოდესტრუქცია — ეს არის ტატუს თხევადი აზოტით მოცილება. მეთოდის ეფექტურობა მაღალია, თუმცა ნაწიბურების წარმოქმნა გამორიცხული არ არის.

3. ელექტროკოაგულაცია. ნახატის მოცილება ელექტროდენით მოწვის გზით ხდება. პროცედურა ანესთეზიის ქვეშ კეთდება. შესაძლებელია ნაწიბურების წარმოქმნა.

4. დერმაბრაზია (გახეხვა). ნახატის მოსაცილებლად კანის ზედა ფენის ალმასის ფრეზით აფხეკა ხდება. მეთოდი მაღალკვალიფიციურ კოსმეტოლოგს ითხოვს. დაინფიცირების გამოსარიცხად აუცილებელია კანის დამუშავება ხსნარებითა და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით. ზოგჯერ ტატუს გასაქრობად საკმარისია 2-3 სეანსი, ხოლო მოშუშების პროცესმა შეიძლება რამდენიმე თვე მოიცვას.

5. ლაზერით მოშორება. სადღეისოდ ეს ყველაზე ეფექტური მეთოდია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტატუს ლაზერით მოცილება გარშემომყოფ ჯანსაღ ქსოვილს არ აზიანებს.

სტრეს-სიგნალები: დროულად მიუსმინეთ

ხშირი განცდების გამო ჯანმრთელობასთან პრობლემები გაჩნდა? ორგანიზმი ამგვარად გვამცნობს, რომ დროა ზომები მივიღოთ.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები

სტრესის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა კუჭ-ნაწლავის ტრაქტი. მწვავე სტრესის ფონზე საჭმლის მონელება ირღვევა, შეიძლება დიარეა და ყაბზობა განვითარდეს. ქრონიკული სტრესი ხშირად ხდება გასტრიტის, პანკრეატიტის, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომისა და სტრესული წყლულის მიზეზი.

რჩევა. დაგეხმარებათ დამამშვიდებელი ბალახების (შავბალახა, ვალერიანი) ნაყენი, დიეტა (უჯრედისებრივ, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები), ყაბზობასთან ბრძოლა.

ნონის მატება

მეცნიერთა უკანასკნელი გამოკვლევებით, სტრესსა და სიმსუქნეს შორის კავშირი გამოვლინდა. საქმე არამხოლოდ ისაა, რომ განცდების ფონზე ბევრ ადამიანს მადა ემატება. როგორც აღმოჩნდა, სტრესის ჰორმონები ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას აბრკოლებენ.

რჩევა. წონის ნორმალიზაციას ფიზიკური დატვირთვა და მცენარეული დიეტა ეხმარება.

თავის ტკივილი

გადატანილი სტრესის შემდეგ თავის ტკივილი ხშირი გამოვლენაა. განსაკუთრებით დამახასიათებელია ტკივილი კეფის არეში. ამის ყველაზე ხშირი მიზეზი კუნთური ტონუსის ცვლილებაა.

რჩევა. სტრესით განპირობებული თავის ტკივილის დროს სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, კისრის კუნთების, მხრებისა და თავის მასაჟი, წყლის კონტრასტული პროცედურები. რაც შეეხება ანალგეტიკებს, უმჯობესია, მათი მოხმარებისგან თავი შეიკავოთ.

გული და სისხლძარღვები

სისხლძარღვების სპაზმი და გულის მუშაობის გაძლიერება — ორგანიზმის სტრესზე რეაქციაა. თუ ეს ხშირად ხდება, შეიძლება გულისა და სისხლძარღვების დაავადებები განვითარდეს.

რჩევა. თუ ინერვიულეთ, რამდენიმე სავარჯიშო გააკეთეთ ან უბრალოდ გაისეირნეთ. დაძაბულობა გაივლის.

ალერგიული ჯანი

ქრონიკული სტრესის დროს ერთ-ერთი პირველი კანი იტანჯება. ალერგიული რეაქციების მიმართ მისი მიდრეკილება იზრდება, ბუნებრივი ანტიალერგიული დაცვა ქვეითდება. შეიძლება კანი აიქერცლოს, ფერიმჭამელები და ფურუნკულები გაჩნდეს.

რჩევა. ზოგადი ანტისტრესული ღონისძიებების გარდა (რელაქსაციის სხვადასხვა ანტისტრესული საშუალებები) სასარგებლოა კანის მატონიზირებელი პროცედურები: კონტრასტული შხაპი, მომადუნებელი არომატული აბაზანები, ფიზიკური დატვირთვა, ცურვა.

ფსიქიკურად: დისტრესი

შეგახსენებთ, რომ დამღუპველად მოქმედებს არა თავად სტრესი, არამედ მისგან არაადეკვატური გამოსვლა — დისტრესი. ასეთი რამ ხდება, თუ სტრესულ სიტუაციას დიდხანს „ცოხნით“, წყენის პატიება არ შეგიძლიათ ან უსიამოვნო მოვლენებს მუდამ იხსენებთ. სტრესიდან სწორად გამოსვლა ჯანმრთელობისთვის სარგებლობის მომტანია.

თავდაცვის საშუალებები. სტრესისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებად სპეციალისტები თვლიან რეგულარულ ფიზიკურ დატვირთვას; ჰობის, რომელსაც მთელი არსებით მიეცემით; სრულყოფილ ძილს; სასიყვარულო გართობას. გარდა ამისა, საჭიროა მეტი ანტისტრესული პროდუქტის (ბოსტნეული, ხილი, ზღვის პროდუქტები) მიღება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვჰასუხობს ექიმი



— მაწუხებს ჭარბთმიანობა. შეიძლება ჰორმონალური დარღვევა მქონდეს? მენსტრუაცია მომდის ნორმალურად, მაგრამ მის მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მეწყება სისუსტე, თავბრუსხვევა, ვარ უსასიათოდ. გთხოვთ, მირჩიოთ როგორ მოვიქცე.

— ჭარბთმიანობის დროს, პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს ჰორმონალური გამოკვლევა. მის გარეშე ვერც ერთი ექიმი ვერ მოგცემთ სწორ რჩევას. მენსტრუაციის წინ მსგავსი ჩივილები ჰორმონალური ცვლილებებით არის გამოწვეული. მენსტრუალური სინდრომი თუ მკვეთრად არის გამოხატული, საჭიროა ექიმის სპეციალისტის ჩარევა, რადგან, ერთი შეხედვით, ბუნებრივი ჩივილები შემდგომში გართულების მიზეზი ხდება ხოლმე. ეცადეთ, მიიღოთ მსუბუქი დამამშვიდებელი საშუალებები მენსტრუაციის წამოსვლამდე.

— სახეზე ხალები მაქვს. შეიძლება თუ არა მისი მოცილება?

— ნებისმიერი ხალის მოცილება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მხოლოდ სპეციალისტის რჩევით შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილება.

— გამომდის ძირმაგარები. რისი ბრალია ან მკურნალობის რა ხერხს მიკმართოთ?

— ძირმაგარა, იგივე ფურუნკული, ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითების გამო ჩნდება. იგი მსუბუქი დაავადებაა და ავადმყოფის ორგანიზმში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ იწვევს. არსებობს მალამოები, რომელთა საშუალებითაც მისი სრული განკურნება შესაძლებელია. თუ გართულებული მდგომარეობა გაქვთ, ექიმს მიმართეთ, რომ, გარდა გარეგანი საშუალებებისა, დაგინიშნოთ შინაგანად მისაღები პრეპარატებიც, რათა ჩირქოვანი, ანთებითი პროცესი ბოლომდე ალაგდეს. არ გირჩევთ მასზე ძლიერ დაწოლას და ძალით გამორწყვას. ხალხური მედიცინიდან ცნობილია, რომ უნდა დაიფინოთ მრავალძარღვას ახალი ფოთოლი, რომელზეც თაფლი იქნება წასმული. ასევე საუკეთესოა ცეცხლზე დარბილებული ხახვის ფურცლის დაფენა.

— ორი კვირაა გადამცდა ციკლი, ტესტის პასუხი უარყოფითია, შეიძლება ტესტი ცდებოდეს? ვიმკურნალე ციტომეგალოვიროსსა და ჰერპესზე, მილების გამტარობა არ გამომიკვლევია, სხვა დანარჩენი ნორმაში მაქვს, შეიძლება ფეხმძიმედ დავრჩე?

— ბუნებრივია, ფეხმძიმედ დარჩენა შესაძლებელია, მაგრამ ტესტი თითქმის არ ცდება, ერთი კვირის განმავლობაში მენსტრუაცია თუ კიდევ არ წამოგივიდათ, ექოსკოპიური გამოკვლევა ჩაიტარეთ.ამის საჭიროება არსებობს.

— ვარ გათხოვილი, მაქვს გამონადენი. შეიძლება თუ არა, კლოტრიმაზოლის სანთელი გავიკეთო ერთი თვის განმავლობაში?

— მკურნალობის კურსი არის 10 დღე. სასურველია, ჯერ ნაცხის ანალიზი ჩაიტაროთ და მკურნალობაც შესაბამისად ჩაიტაროთ. თუ კლოტრიმაზოლის სანთელი ექიმმა დაგინიშნათ, გამოიყენეთ, ოღონდ წყალში დაასველეთ და ისე მოიხმარეთ.

— ეოზინოფილები მაქვს მომატებული საკმაო რაოდენობით. რისი ბრალი შეიძლება იყოს?

— ეოზინოფილების მატების მიზეზი ხშირად ალერგიაა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სიმპტომებით ვლინდება. სისხლის საერთო ანალიზის მხოლოდ ერთი მაჩვენებლით დაზუსტებით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ალერგია მაინც უნდა გამორიცხოთ, რომელიც შეიძლება ჯერ შემაწუხებელი არ არის და ამიტომ ყურადღებას ნაკლებად ამახვილებთ.

— მაქვს მშრალი სახის კანი, მირჩიეთ რამე ნიღაბი ან კრემი. ვარ 40 წლის.

— მშრალი კანის დროს საუკეთესო შედეგს მოგცემთ, თუ ყოველდღიურად სახეზე არაჟანს დაიდებთ და 15-20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანთ. შემდეგ წაისვით კრემი, რომელიც უშუალოდ მშრალი კანისთვის იქნება განკუთვნილი.

— ფეხმძიმობის ტესტი აფიქსირებს თუ არა გარე ორსულობას?

— გარე ორსულობის და ფიზიოლოგიური ფეხმძიმობის დროსაც ტესტი დადებით შედეგს აფიქსირებს, რადგან ორივე შემთხვევაში შარდში ჰორმონი ქორიონალური გონადოტროპინი მომატებულია. საჭიროა სისხლის ანალიზის ჩატარება აღნიშნულ ჰორმონზე, რომლის პასუხიც თითქმის უტყუარია გარე ორსულობის გამოსარიცხად.

— ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ არ ხდება ოვულაცია. რა პრეპარატით შეიძლება მკურნალობა?

— ოვულაცია ქალის ორგანიზმში ერთ-ერთი რთული პროცესია, რომლის დადგომა-არ დადგომა უამრავ ცვლილებაზე მიუთითებს. ეს არ არის ისეთი შემთხვევა, როცა ერთი რომელიმე პრეპარატის მიღებით სასურველ შედეგს მიიღებთ. აუცილებლად მოგიწევთ განმეორებითი კვლევის ჩატარება და მკურნალობა, რომ თქვენთვის სასურველი შედეგი მიიღოთ.

— მყავს მოზარდი ბიჭი, რომელსაც დაებერა ძუძუს თავები. რას მირჩევთ. რომელ ექიმს მიკმართოთ?

— თქვენი შვილის ასაკში მსგავსი შემთხვევები არსებობს, რაც მოზარდის ჰორმონალურ ცვლილებებს უკავშირდება. რომ არ გამოგეპაროთ მის ორგანიზმში მიმდინარე მკვეთრი ცვლილება, გირჩევთ, ბავშვი ანდროლოგთან მიიყვანოთ.

— როგორ მოვიშორო ტრიქომონა?

— ტრიქომონის დროს აუცილებელია როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი პრეპარატების მიღება. მიმართეთ ექიმს. გასათვალისწინებელია ხომ არ გაქვთ სოკოც, რომელიც ტრიქომონასთან ერთად ყოველთვის არსებობს და საჭიროა კომპლექსური მკურნალობის ჩატარება.

— შეიძლება, მიომა გადაგვარდეს ავთვისებიან სიმსივნედ? რა იწვევს მას და ყველა შემთხვევაში საჭიროა მისი ამოკვეთა?

— მიომა კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომლის ავთვისებიანად გადაგვარების მაგალითები იშვიათად მოიპოვება, იგი ძირითადად რეპროდუქციის ასაკში ვლინდება და მიზეზი ჰორმონალური დარღვევაა, ძირითადად — პროგესტერონის ნაკლებობა. თუ მიომა ჰორმონოთერაპიის ფონზე მოცულობაში არ იმატებს, შეიძლება ის მკურნალობას დაექვემდებაროს და ოპერაციული ჩარევა საჭირო არ გახდეს.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯეოსელიდან. თქვენს კითხვებს შეძლებისდაგვარად გავცემთ პასუხს. ერთი სმს-ის ფასია 50 თეთრი.

ფრჩხილების ფერი დაავადებებს ამხელს

ფრჩხილების ნებისმიერი არაბუნებრივი შეფერილობა ორგანიზმში რომელიღაც დარღვევაზე მიუთითებს.

ძლიერ ვარდისფერი ფრჩხილები დამახასიათებელია ჰიპერტონიით დაავადებულთათვის. თერაპევტს მიმართეთ და წნევა რეგულარულად გაისინჯეთ.

ბაცი ვარდისფერი, თითქმის გამჭვირვალე ფრჩხილები ორგანიზმში ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების დეფიციტზე მეტყველებს.

ფრჩხილების მოცისფრო შეფერილობა ხშირად ჩნდება გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების ან თირკმლის უკმარისობის დროს. ადამიანს აწუხებს ქოშინი, საერთო სისუსტე. ასეთი სიმპტომების დროს, პირველ რიგში, კარდიოლოგს მიმართეთ. სისხლში ჟანგბადის ხანგრძლივი უკმარისობა არ შეიძლება.

მუქი ლურჯი ფრჩხილები შესამჩნევია ვენების თრომბოზის, დიაბეტური განგრენის დროს.

ყვითელი ფერი თირკმლის, ნაღვლის ბუშტის ან ლიმფური სისტემის დაავადებების დროს ჩნდება.

Cyan Magenta Yellow Black

1. ხელისგული თითებიანად; 2. კატის გასაგდები შეძახილი; 3. ქიმიური ელემენტი; 4. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 5. საფეიქრო ბანანი; 6. მოვლენის განვითარების დასრულებული წრე დროის გარკვეულ მონაკვეთში; 7. ბლანდი; 8. თავისივე ქონში მოხრაკული ხორცი; 9. მთათა სისტემა სამხრეთ ამერიკაში; 10. ოპტიკური კომპანია; 11. მოკლე ორლესური მახვილი; 12. კავშირგაბმულობის სახეობა; 13. ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი; 14. ბოლოში ჩაკეტილი პატარა ქუჩა; 15. მდინარე ჩინეთში; 16. ვაზების მწკრივები; 17. რომის პაპის გვირგვინი; 18. დიდი კარი, შესასვლელი; 19. გრამატიკის ნაწილი; 20. კედელში გაკეთებული თარო; 21. ტყის ქათმისნაირთა ფრინველი; 22. სახის მიმიკის მოშლა; 23. იაპონიის ფულის ერთეული; 24. გოეთეს დრამა; 25. სპორტულ შეჯიბრში დაწინაურებული პირი; 26. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში; 27. სასიამოვნო; 28. ჯირითი; 29. ... ალიევი; 30. უნგრელი მათემატიკოსი; 31. კათოლიკეთა მღვდელი; 32. დიდი ინგლისელი პოეტი; 33. ორიანი კამათელზე; 34. კაცი, მამაკაცი; 35. ფრე; 36. მახინჯი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 37. მამრობითიც, მდედრობითიც; 38. ბერძნული ანბანის ასო; 39. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 40. სახელმწიფო აფრიკაში; 41. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 42. სარკმლის ზედა საგდული; 43. ... როლანი; 44. ფლობერის რომანი; 45. სახელმწიფო ტერიტორიის ადმინისტრაციულ პოლიტიკური ერთეული; 46. ლომების ოჯახი; 47. ... კლინტონი; 48. მუსიკალური ვიდეორგოლი; 49. ზღვის წვრილი თევზი; 50. სოლო პარტია ოპერაში; 51. რისამე გადმონაშთი; 52. ხელფასის ანგარიშში წინასწარ აღებული თანხა; 53. პორტუგალიელი ფეხბურთელი; 54. მზის ღმერთი ინდუიზმში; 55. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 56. ბგერის ნახევარი ტონით ასამაღლებელი ნიშანი; 57. მჭიდროდ ნაქსოვი ბუსუსებიანი ქსოვილი; 58. სრული უწესრიგობა; 59. ტკბილი კრისტალური საკვები; 60. კრემიანი ნამცხვარი; 61. მოკლე ანეკდოტი ანტიკურ ეპოქაში; 62. გლაზუნოვის ბალეტი; 63. მსახიობი.





სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

ქართველი ხუროთმოძღვარი (XI საუკ.)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ეტაპი; 2. პანდა; 3. ეტა; 4. მადამ; 5. სამანი; 6. რა; 7. ცდა; 8. ალაგე; 9. აგამია; 10. მია; 11. ბოთე; 12. ბათუმი; 13. ფარა; 14. ამანათი; 15. მეგ; 16. ნოტა; 17. ტომ; 18. მსაჯი; 19. აღვი; 20. რიგვედა; 21. მარაკანა; 22. ეხი; 23. დემეტრა; 24. იუტი; 25. იაგანი; 26. სიათა; 27. გარანტი; 28. კანდიდ; 29. კუ; 30. გინეა; 31. „ოროველა“; 32. ურდუ; 33. ლაზერი; 34. ან; 35. თარი; 36. ამაო; 37. ანტონ; 38. ავანსი; 39. ვარნა; 40. მურყანი; 41. „ილიადა“; 42. მის; 43. მამის; 44. სირია; 45. ნაგანო; 46. აზატი; 47. ედა; 48. „კენტავრი“; 49. ხინკალი; 50. ესკორტი; 51. ყვითრი; 52. ილარიონი; 53. იაშა; 54. კრედო; 55. კალია; 56. მაკრო; 57. ალმასი; 58. ლაკოლითი; 59. ციმბირი; 60. მისის; 61. სია. **სურათებზე:** ოთარ მეღვინეთუხუცესი; გურანდა გაბუნია; თათული დოლიძე; ჟანრი ლოლაშვილი.

ჯოდი: ჯატაჯა.

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ბოლო ნოტი
2. უარყოფის ნაწილაკი
3. ჭრილობა
4. სოფელი სიღნაღის რაიონში
5. ერთ-ერთი ეროვნება
6. ხანა, ეპოქა
7. მექსიკური ცეკვა
8. ქალბატონი ინგლისურად
9. ბალახი დიდი ფოთლებით
10. ქართული გაზეთი
11. გამოსაწევი სათავსი
12. დამხმარე თეორემა
13. ამერიკაში აგებული რუსეთის კრეისერი
14. ხეთების ქალღმერთი
15. დიდი ბორცვი
16. ჯარი, ლაშქარი
17. ბილიარდის ჯოხი
18. უქოჩრო თუთიყუში
19. „... წყნეთელი“
20. ქალთა ქართული ცეკვა
21. ბედიღბალი
22. ... ხაიამი
23. რისამე დედააზრი
24. სტალონეს მეტსახელი
25. იუპიტერის თანამგზავრი
26. ჰო, დიახ

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ფორინტი; 2. რუ; 3. ნო; 4. ბოა; 5. იდო; 6. აი; 7. ჰედონია; 8. ეტლი; 9. ჰამაკი; 10. სოფია; 11. ანოა; 12. სამიტი; 13. დვრიტა; 14. ეჰე; 15. ჰეიდარ; 16. რიფი; 17. რკო; 18. ანტიგენი; 19. შნო; 20. შარიფი; 21. ამიმია; 22. დო; 23. ბუ; 24. ფუნდამენტი. **სურათებზე:** თოფი; მაკრატელი; ნემსი; პისტოლეტი.

Cyan Magenta Yellow Black

იცხოვრეთ წყენის გარეშე

ეუფერებელ დროს წარმოთქმული ერთი სიტყვა, თქვენი მისამართით შემთხვევით გამოტყორცნილი ირიბი მზერა და უკვე ნერვიულობას იწყებთ. თქვენთვის დასკვნებს აკეთებთ: ყველაფერი დღესავით ნათელია. აქ მაინცდამაინც არ გწყალობენ, უფრო ზუსტად — ვერ გიტანენ, ამიტომ გამცირებენ, შეურაცხყოფას გაყენებენ, ან უარესი, იგნორირებას გიკეთებენ.

დაფიქრდით: რამდენად ხშირად მოგდით თავში ასეთი აზრები, თითქმის ყოველდღე? მეტისმეტი წყენიაობა, უპირველეს ყოვლისა, თქვენვე გიწამლავთ ცხოვრებას. დროა, ცოტა უფრო „სქელკანიანი“ გახდეთ.

განა მარტო თქვენ ხართ ასეთი?

მსგავსი უარყოფითი გრძნობები თითქმის ყოველი ჩვენგანისთვის ნაცნობია. წყენა, შეურაცხყოფა შემთხვევით თუ განზრახ, ეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.

კოლეგებს შეუძლიათ მკაცრად გააკრიტიკონ პროექტი, საყვარელმა მამაკაცმა შეიძლება უტაქტო შენიშვნა მოგცეთ თქვენს კულინარულ ტალანტთან დაკავშირებით, სიმპათიური მეზობელი შეიძლება შეხვედრისას არ მოგესალმოთ.

ასეთ სიტუაციებს ვერ გაექცევით, მუდამ ხდება, მაგრამ ამისგან ტრაგედიას შექმნით თუ არა, ამას თითოეული თავად წყვეტს.

წყენია ნატერა

წყენია ადამიანი გარშემომყოფების გულგრილი დამოკიდებულების მიზეზებს თავის თავში ეძებს და მაშინვე ჩაკეტილ წრეში ექცევა: „მაწყენინეს იმიტომ, რომ არავის ვუყვარვარ, არ მაფასებენ, პატივს არ მცემენ“. სამწუხაროდ, ასეთი აზრები თვითშეფასებას ძლიერ დარტყმას აყენებს, რომელსაც ისედაც ვერ ვუწოდებთ მაღალს. დროა, შეწყვიტოთ თავის გაკიცხვა წარუმატებლობა-მარცხის გამო. თვითრწმენის არქონა, ნეგატიური განწყობა უზომო წყენიაობას იწვევს.

სინამდვილეში საიდან მოიტანეთ, რომ გარშემომყოფებს ათვალწუნებული ჰყავხართ? ნუთუ თქვენ მიმართ არასდროს ამჟღავნებენ ყურადღებისა და პატივისცემის ნიშნებს?

სიმართლეს ვარჯვევთ

უსიამოვნო სიტუაციაში მოხვედრისას ცოტა დისტანცია დაიჭირეთ და ყველაფერს გარედან შეხედეთ. ალბათ მოიძებნება მიზეზების მთელი მასა, რომლებიც თქვენი შეურაცხმყოფლების დაუშვებელ ქცევებს ახსნის.

თქვენთვის სიურპრიზი იქნება, როდესაც აღმოაჩენთ, რომ ბევრ მიზეზს პირადად თქვენთან კავშირი არ აქვს.

კოლეგებს მიაჩნიათ, რომ პროექტი დამუშავებას ითხოვს, ვინაიდან მითითებულ ხარჯთაღრიცხვაში არ ჯდება. საყვარელ მამაკაცს დილიდან კბილი სტკივა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საჭმელი სიამოვნებას არ ანიჭებს. ხოლო მეზობელს ყურები ყურსასმენებით აქვს დაცობილი და ამიტომ თქვენი თავაზიანი მისალმება არ ესმის.

ასეც ხდება: ვიღაც ცუდ გაწყობას განზრახ გიქმნით. რეცეპტი ასეთია: თავს ნუ დაკარგავთ. თავხედს თქვენი ცრემლები მხოლოდ სიამოვნებას მიანიჭებს. არც იფიქროთ გაბრაზება, უმჯობესია პასუხად გაიცინოთ და გაეცალოთ.

გამოსავლის ჰოვნა ადვილია

გაგაცნობთ სამ ტიპურ სიტუაციას და მათზე ღირსეულად რეაგირების გზებს.

პირველი სიტუაცია — კოლეგები სამუშაოს შემდეგ კაფეში წავიდნენ. მხიარულობდნენ და იცინოდნენ. თქვენ ცარიელ ოფისში დაგტოვეს.

ფიქრობთ: „გამირბიან, ზურგსუკან მოითათბირეს. რადგან ასეა, საერთოდ აღარ დაველაპარაკები!“

როგორ მოიქცეთ? შურისძიების სურვილი და გულისწყრომა ცუდი მრჩეველია. ეცადეთ, სიტუაცია გააანალიზოთ. შეიძლება გაიხსენოთ, რომ რამდენიმე ხნის წინ მსგავს წინადადებას იგნორირება გაუკეთეთ. თუ სიტუაციის გარკვევა გსურთ, უმჯობესია, ყველაფრის შესახებ კოლეგებს პირდაპირ ჰკითხოთ. ან მომავალში ძალდაუტანებლად თქვით: „მეც თქვენთან ერთად წამოვალ, წინააღმდეგი ხომ არ ხართ?“ და კიდევ, იმუშავეთ თვითშეფასების ამაღლებაზე, საკუთარი ღირსების შეცნობაზე.

მეორე სიტუაცია — მეგობარს თქვენთვის დაბადების დღის მოლოცვა დაავიწყდა. რამდენიმე დღე გავიდა და მაინც არ რეკავს, ბოდიშს არ იხდის.

ფიქრობთ: „საშინლად ნაწყენი ვარ. მორჩა, ჩვენი მეგობრობა დამთავრდა“.

როგორ მოიქცეთ? ნუ დაელოდებით ტელეფონთან. უმჯობესია, მისი ნომერი თავად აკრიფოთ და აღიაროთ, რომ გულნატკენი ხართ. ალბათ მეგობარს ასეთი გულმავიწყობისთვის საპატიო მიზეზი ექნება და ორი წუთის შემდეგ ამ გაუგებრობაზე ორივე გაიცინებთ. ვინ იცის, შეიძლება თავისი შეცდომის გამო თავს უხერხულად გრძნობდა, ეშინოდა, პირველს დაერეკა და მოენანიებია?

მესამე სიტუაცია — ბოლო დღეებში ქმარი საშინელ ხასიათზეა: სახლში დაბრუნებული ორ სიტყვას წაილუღლუღებს და ტელევიზორთან ჯდება.

ფიქრობთ: „ჩემზე ბრაზობს. ასეთი რა დავუშავე?“

როგორ მოიქცეთ? არ ღირს, ყველაფერში თავი დაადანაშაულოთ. სრულიად შესაძლებელია, ქმარს ხელმძღვანელთან უსიამოვნო საუბარი ჰქონდა, ან თავს ცუდად გრძნობს. რა თქმა უნდა, თუ რამდენიმე დღე მიყოლებით ასეთი პირქუში იქნება, დაელაპარაკეთ. გულწრფელი დაინტერესება გამოავლინეთ. მალე ყველა თავის პრობლემას გულახდილად იტყვის. ალბათ თავში ორიოდე მნიშვნელოვანი იდეა მოგივათ, რაც უსიამოვნების დაძლევა-გამოსწორებაში დაეხმარება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

როგორ განვდევნოთ უკმაყოფილება

ებისმიერი საბაბით ბრაზობთ (ნივთი თავის ადგილას არ დევს, ხელფასი მცირეა, ტელევიზორში საყურებელი არაფერია). როგორ ვისწავლოთ უკმაყოფილების გაქრობა?

ხშირად ადამიანები სხვადასხვა წვრილმანის გამო ღიზიანდებიან, როდესაც ცდილობენ, უფრო სერიოზული პრობლემები არ შეამჩნიონ. ეს უკანასკნელი ხომ შინაგან მუშაობას მოითხოვს. თქვენი უკმყოფილება მალე თავისით გაივლის, თუ გაიგებთ, სინამდვილეში რა გაწუხებთ.

ადამიანს ოჯახის, სამსახურისა და ტელევიზორის გარდა ესაჭიროება საქმე, რომელშიც სულს ჩადებს. ბევრს აქვს ნიჭი და უნარი, რომელიც განუხორციელებელი რჩება, ვინაიდან ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ სცენარში ოჯახი-სამუშაო ვერ ჯდება. მაგრამ ცხოვრების მიმართ გულწრფელი ინტერესის არქონის გამო ადამიანები შინაგან სიცარიელეს გრძნობენ, არსებობის აზრს ვერ ხედავენ. ხშირად სწორედ ეს ხდება გაღიზიანებისა და უკმაყოფილების მიზეზი. გაიხსენეთ, გქონდათ რაიმე ოცნება, რომელზეც უარის თქმა მოგიხდათ? საყვარელი საქმე, რომელიც მიატოვეთ? დაფიქრდით, რომელი სურვილი შეიძლება შეისრულოთ დღეს, თავი უფრო ბედნიერად რომ იგრძნოთ. თუ გააკეთებთ მას, რაც სიამოვნებას განიჭებთ, თუნდაც ამას ცოტა დრო დაუთმოთ, პატარა უსიამოვნებების შემჩნევასა და წვრილმანებზე შარის მოდებას შეწყვეტთ.

ისწავლეთ, იყოთ ბედნიერი!

ედნიერების შეგრძნებაზე ძლიერ გავლენას ახდენს ის, რაც გარს გვაკრავს: როგორი ადამიანები არიან ჩვენ გვერდით, სამუშაოზე როგორ მიდის საქმე, ოჯახში რა ხდება. და მაინც, პირველ რიგში, ბედნიერება დამოკიდებულია თავად ადამიანზე.

ბედნიერება — ეს არის უბრალოდ ჩვევა საკუთარ თავში გარკვეული შეგრძნება შექმნათ. დილით, როგორც კი გაიღვიძებთ, ეცადეთ, მაშინვე „დაიჭიროთ“ ფრენის, სიმსუბუქის, პოზიტივის შეგრძნება. ნუ დაუწყებთ საბაბს ძებნას, უბრალოდ იგრძენით სიხარული. თუ თვითონ არ მოდის, ხელოვნურად გამოიწვიეთ. გაიხსენეთ ყველაზე სასიამოვნო მომენტები თქვენს ცხოვრებაში, მიღწევები და წარმატებები. როდესაც დადებითი ემოციები გაჩნდება, გააძლიერეთ და ეცადეთ, შეინარჩუნოთ.

Cyan Magenta Yellow Black

80 ნლის ზესტაფონელი ექიმთან მივიდა.
— ხამ შეგანუხა, ბაბუ? — ეკითხება ექიმი.
— ცოლი მინდა, მევიყვანო.
— მეხე სექსი შეგიძლია?
— მაგან ახ შემანუხა, ჯაცო? შემიძლია და მეხე ხოგოხ!
— ბაბუ, უნდა გაგაფხთხილო, ხომ შენს ასაკში სექსმა შეიძლება მოულოდნელი სიკვდილი გამოიწვიოს.
— მაგი ახაფეხი, სხვას მევიყვან!

ჯართული ანეკდოტები

— მოკიდე, შე მამაძაღლო, მაგ თოხს ხელი და დაცხე მიწას! — აგულიანებს შვილს გურული.

— გაგიჟდი შენ? თოხში დენია და რომ დამარტყას?!

— მაშინ შოურჭვე ტელევიზორს, ორი წელია, კინოზა არ მიყურებია.

❖ ❖ ❖

კახელმა თბილისელი ცოლი მოიყვანა. დილით პატარძალი აივანზე გამოვიდა და ეზოს გადმოსცქერის:

— უი, ვირი... ნახე, ნახე, რა მოწყენილია და ნაღვლიანი თვალები აქვს. მიდი, ზაქროვ, გაამხიარულე, რა!

— კარგი რა, ქალო, ამდენი შამიძლიან თუ არა, აღარ მეკითხები?!

❖ ❖ ❖

— ექიმო, თქვენ რომ წურბელები გამომიწერეთ, არ მიშველა.

— დარწმუნებული ხართ?

— კი, აბა, რა. უკვე 80 ცალი შევჭამე და მაინც მაქვს წნევები.

❖ ❖ ❖

— გელა, რატომ არ იცი გაკვეთილი?

— როგორ ვისწავლიდი, მასწ, გუშინ დედაჩემი და მამაჩემი მთელი დღე ჩხუბობდნენ.

— დედაშენი ვიცი, მამაშენი ვინაა?

— ე, ზუსტად მაგის დადგენა უნდოდათ.

❖ ❖ ❖

— ექიმო, დარწმუნებული ხართ, რომ ორსულობის მეცამეტე კვირაში ვარ და არა მეთვრამეტეში?

— აბსოლუტურად.

— ვაიმე, გამოდის, რომ სხვაზე გავთხოვდი!

❖ ❖ ❖

კორეელი ტრაპთან გააჩერეს:

— თვითმფრინავში ძაღლის შეყვანა არ შეიძლება.

— ეს ძაღლი არ არის! მფრინავის საჭმელებს ვერ ვიტანს.

❖ ❖ ❖

კახელმა ქალაქელი ცოლი მოიყვანა. უთმინა დედამთილმა, უთმინა და ერთ დილით რძალს ეძგერა:

— შენა, გოვ, საქონელი დააპურე?

— არა, წუხელ გვიან მობრძანდა და სძინავს.

❖ ❖ ❖

— რავა ყველა იტყუება, გადაშენდნენ ეგენი, — ბუზღუნებს მოხუცი.

— რა იყო, ბაბუ? — ეკითხება შვილიშვილი.

— გლობალური დათბობაო... სადაა მერე? გემეყინა ძვლები.

❖ ❖ ❖

ცოლ-ქმარი ლოგინში წვანან. კარზე ზარია.

ცოლი: ვაიმე, ჩემი ქმარი დაბრუნდა მივლინებიდან, ჩქარა, კარადაში!

ქმარი: ჩემი ცოლი მოვიდა, ჩქარა, ლოგინის ქვეშ შეძვერი!

❖ ❖ ❖

— ბავშვებო, როგორი წარმოგიდგენიათ იდეალური სკოლა?

— გაუქმებული, მასწ.

❖ ❖ ❖

— ძვირფასო, გინდა, დღეს შევხვდეთ? — ურეკავს ქალი შეყვარებულს.

ფიზიკულტურის მასწავლებელი და დუჩგაღი ეთომანეთს ნაეჩხუბნენ, ახა მე მიყვახს ახალი მასწავლებელი გოგო და ახა მეო. გაიმახჭვა დუჩგაღმა. მახთალია, ჯახატე მაგაჩი სპოჩტია და საბჩძოლო ხელოვნება ბევჩს ნიშნავს, მაგჩამ ნაჯახი სულ სხვაა, ძმაო!

გუჩული საყვახელთან ნებივჩობს და ცოლი ნამოადგა თავზე.
— დიდუუ? — იკივლა ქალმა, — ვინაა აგი ბოზი?!
— აუ, — ოფლი მოინმინდა ჯაცმა შუბლზე, — შენ კი ახა, მეც მაგაჩი გაოცებული ვახ, ჩაფჩა გგავს, ჩაფჩა, აი სასიკეიდე!

— აბა რაა?

— ჩემი სადილია, თვითრომელ საათზე?

— ხუთზე.

— ახლა ისიც მითხარი, შენ რომელ საათზე მოხვალ.

❖ ❖ ❖

— რა არის თქვენი გამდიდრების საიდუმლო? — ეკითხება ჟურნალისტი მილიარდერს.

— მოთმინებით აკეთო ყველანაირი საქმე.

— გასაგებია, მაგრამ ხომ არსებობს ისეთი საქმე, რომელსაც მოთმინებით ვერ გააკეთებ?

— რა საქმეა ასეთი?

— ვთქვათ, საცერით წყლის გადატანა.

— გაყინე, შე კაცო!

❖ ❖ ❖

ქუთაისელი ინსპექტორი მოძრაობის წესების დარღვევის გამო მძღოლს აჯარიმებს. ამ დროს მეორე მანქანამაც დაარღვია წესები და იმასაც ჩაუსტვინა. მანქანა გაჩერდა და იქიდან უზარმაზარი, დაკუნთული ტიპი გადმოვიდა:

— ვინ ჩოუსტვინა აქანა, სიმონ?! ვინ დამისტვინათქვა!

ინსპექტორს ენა ჩაუვარდა.

— მომეცი ჩქარა ჩემი პრავა, თვარა ვეტყვი, იცოდე! — დაემუქრა მეორე მანქანის მძღოლი.

❖ ❖ ❖

— სანდრო, აბა, მიპასუხე, რატომ მრავლდებიან ადამიანები უფრო მეტად, ვიდრე მაიმუნები?

— სცადეთ ხეზე სექსი და მიხვდებით.

❖ ❖ ❖

ოლიგარქმა ოქროს თევზი დაიჭირა. რა თქმა უნდა, თევზი შეეხვეწა, გამიშვი და სურვილს შეგისრულებო.

— არაფერი მინდა, ყველაფერი მაქვს, მაგრამ, მოდი, მთელი ოჯახი უკრაინელებად გვაქციე.

— ცოლიც?

— კი, ცოლიც.

— არ გირჩევ. ცოლი რომ უკრაინელად გადაგიქციო, გაგექცევა და ქართველს გაჰყვება.

პოლიციის შენობაში აქოშინებული ჯაცი შევახდა:
— ცოლს ხელი გავახტყი და ახლავე დამაპატიმხეთ!
— ხომ ახ მოკალით?
— ახა, უკან მომდევს!

✓ **შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარაგიშვილის ნახატები**

Cyan Magenta Yellow Black

ვერნერ შტაინბერგი

კომისრის ქუდი

დასაწყისი №5-11

ქომისარ გროლის ასისტენტმა გრისბულმა გაზეთ „ბავარიული გუშაგის“ მფლობელთან და მთავარ რედაქტორთან ჰებზაკერთან აუდიენციას საოცრად იოლად მიაღწია: მისაღებში სულ ათიოდე წუთი დაჰყო, მერე კი ამ უკანასკნელის კაბინეტში აღმოჩნდა.

ჰებზაკერი წამოდგა და, არც მისალმებია, ისე შეეკითხა:

— თქვენ მანქანით მოხვედით?

— დიახ, — თავაზიანად მიუგო გრისბულმა, — თუმცა გზა პასაუმდე ნამდვილად არასახარბიელოა.

— მეც მანდა ვარ, — დაეთანხმა მთავარი რედაქტორი და მწუხარე სახე მიიღო, — ასეთ ჯანჯღარში კაცმა წარმატებას როგორ უნდა მიაღწიოს? დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუნხენიდან აქამდე ჩქარი მატარებელიც კი არ არის, ადამიანმა რომ იმით ისარგებლოს და გვერდები არ დაეუჟეჟოს. არადა, პასაუ მართლა ლამაზი ქალაქია სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებითა და, რაც მთავარია, ეპისკოპოსის რეზიდენციით, რაც განსაკუთრებით ტურისტებს მოსწონთ და...

გრისბული მას აღარ უსმენდა, მთავარი რედაქტორი კი ისევ და ისევ აგრძელებდა ქალაქის ქებას. რაღაც მომენტში ასისტენტმა იყოჩაღა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ბატონო ჰებზაკერ, თქვენი ნაამბობი ძალიან საინტერესოა, მაგრამ იქნებ მითხრათ, ალტბაუერს იცნობდით?

რედაქტორი გაჩუმდა, მცირე პაუზის შემდეგ კი მოკლედ ისროლა:

— რასაკვირველია.

— საინტერესოა.

— რამდენიმე დღის წინ თქვენს სკამზე იჯდა.

— ალტბაუერი მკვდარია, — თქვა ასისტენტმა.

ჰებზაკერს არაფერი უთქვამს, ისე შეყო ხელი მაგიდის ქვეშ და თითი ღილაკს დააჭირა, რასაც ხმადაბალი ზუზუნის ხმა მოჰყვა.

თითქმის მაშინვე კარი გაიღო და ოთახში უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილმა ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაბიჯა.

ჰებზაკერმა მისკენ ხელი გაიშვირა და ასისტენტს წარუდგინა:

— ბატონი ვილდენფალი, ჩემი იურისკონსულტი. მოწმეების გარეშე მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებ.

— გასაგებია, — თქვა ასისტენტმა და გაიღიმა.

ბატონმა ვილდენფალმა კუთხეში მდგარი სკამი ახლოს მიიწია, დაჯდა, მუხლებზე ბლოკნოტი დაიდო და სმენად იქცა.

— ჰო, ალტბაუერი მოკლეს, — თქვა გრისბულმა და ორივეს გადახედა.

— თქვენ ჩემთან ამის შესატყობინებლად მოხვედით? — ოდნავ დამცინავი ტონით შეეკითხა ჰებზაკერი.

— არა, — მიუგო გრისბულმა.

— მაშ, რისთვის?

— ბატონო ჰებზაკერ, ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ თქვენ ალტბაუერის ნაცვლად ერთ ფირმაში კომპანიონად შესვლა გსურდათ.

— მართალია, — დაეთანხმა გაზეთის მფლობელი, — მაგიტომაც იყო ის ჩემთან.

ჰებზაკერის გულახდილობამ გრისბული გააკვირვა და...

— თქვენ მას არახელსაყრელი პირობები წაუყენეთ? — გამოთქვა ვარაუდი.

— არა, — უპასუხა ჰებზაკერმა, — სავსებით მართებული.

— ალტბაუერმა თითქოს თქვა, რომ თქვენ მისი გაგდება გინდოდათ, — განაგრძო ასისტენტმა, — განა ეს მისაღებ პირობად მიგაჩნიათ?

— ზოგჯერ ამგვარი პირობები სხვას შეიძლება სასტიკადაც მოეჩვენოს.

— თქვენ ისინი მიუღებლად არ მიგაჩნიათ?

— არა, — თქვა რედაქტორმა, ახსნა-განმარტებისგან კი თავი შეიკავა.

ასისტენტს შეტევა არ შეუნელებია და ფრთხილად შეეკითხა:

— ბატონო მთავარო რედაქტორო, ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი დახმარების გარეშე ამ ფირმისგან არაფერი გამოვიდოდა?

ამას ვილდენფალის ხმა მოჰყვა:

— ბატონო ჰებზაკერ, გირჩევთ, არ უპასუხოთ. ამის საფუძველი არ გაქვთ.

— პირიქით! — შესძახა რედაქტორმა და იურისკონსულტს მიუბრუნდა, — მოხდა მკვლელობა, მე კი არ მსურს, პოლიციამ ჩემი სახელი წაღმა-უკუღმა ატრიალოს. საქმე სერიოზულადაა და მე მზად ვარ, ყველა შეკითხვას ვუპასუხო, რატომაც არა?

— ძალიან კარგი, — შენიშნა ასისტენტმა.

— და საერთოდ, მაინტერესებს, ვინ გგონივართ? — დაამატა ჰებზაკერმა.

— კარგი გაზეთის მფლობელი და კარგი მთავარი რედაქტორი ანუ კარგი ჟურნალისტი, — მიუგო ასისტენტმა.

ეს ნათქვამი ჰებზაკერს აშკარად ესიამოვნა. მან ოდნავ გაიღიმა, გრისბულს ახედა და დაამატა:

— და კარგი პოლიტიკოსი! ეს დაგავიწყდათ!

— ვწუხვარ, რომ დამავიწყდა, — მშვიდად შენიშნა ასისტენტმა, თუმცა შინაგანად მაინც აღელდა.

ჰებზაკერი სავარძელში გადაწვა და დამრიგებლური ტონით თქვა:

— ბატონო ასისტენტო, ასეთი რაღაცეების დავიწყება ყოვლად დაუშვებელია. ჩემს თანამშრომლებს ეს მუდამ ახსოვთ. ასე არ არის, ბატონო ვილდენფალ?

— დიახ, ბატონო შეფო, — კრავის მორჩილებით დაეთანხმა ახალგაზრდა იურისტი, — თქვენს ამ სამ გამორჩეულ ღირსებას რა დაგვავიწყებს?

გრისბულმა იფიქრა, ამ დონის მლიქვნელობას ჰებზაკერი ვერ აიტანსო, მაგრამ შეცდა: ეს უკანასკნელი სტუმარს მიუბრუნდა და დაიწყო:

— ჩვენს საკითხს დავუბრუნდეთ, ბატონო გრისბულ! მას შემდეგ, რაც ალტბაუერი ჩემთან იყო, მისდამი ყოველგვარი ინტერესი დავკარგე. თქვენ მართალი ხართ: საუბარმა ალტბაუერზე გამანადგურებლად იმოქმედა. ამ ოთახს როცა ტოვებდა, ისეთი გაცეცხლებული იყო, საერთოდ აღარაფერი ახსოვდა. ისიც კი არ იცოდა, რა კომპენსაციას მიიღებდა. მიახლოებითი ანგარიში, ცხადია, ჩატარებული მქონდა, მაგრამ ისეთ დღეში იყო, მის ახსნას მოვერიდე. და აი, თქვენ, ბატონო ასისტენტო, თვლით, რომ მე, რბილად რომ ვთქვათ, მის შემდგომ სვლებს ვუთვალთვალებდი. გადაჭრით გპასუხობთ: არა! მათ ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ძველი ხელშეკრულება, რასაც ის დაჟინებით ითხოვდა, ძალადაკარგული იყო. თუ ალტბაუერი რაღაცას მიიღებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მან საფრანგეთში რაღაცა გააკეთა, მაგრამ... — ჰებზაკერი გაჩუმდა, მაღალ ჭერს ახედა, მერე კი განაგრძო, — მაგრამ ვიცოდი, ალტბაუერი რომ დაბრუნდებოდა, რადგან ფული მას სჭირდებოდა და არა მე! მისი თვალთვალი რაში მჭირდებოდა? ბატონო გრისბულ, მაპატიეთ, მაგრამ ტვინი რომ გაგენძრიათ, ამას თავიდანვე მიხვდებოდით, — მთავარი რედაქტორი წამოდგა და სტუმარს ხელი გაუწოდა, რაც, ფაქტობრივად, ვიზიტის დამთავრებას მოასწავებდა, — კარგად ბრძანდებოდეთ და, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით.

— ერთი წამით, — თქვა გრისბულმა, — 19 ოქტომბერს დოქტორ მარანის ადვოკატი დანაშაულის ადგილს კიდევ ერთხელ დაათვალიერებს, ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, ამიტომ 18-ში ბეჭედს ავხსნით.

— აკი გითხარით, რაც გინდათ, ის ქენით-მეთქი. ასე არ არის, ბატონო ვილდენფალ?

— ჰო, რა თქმა უნდა, როგორც ენებოთ, — თავის ქნევით დაუდასტურა ჰებზაკერს მისმა მლიქვნელმა და, როგორც ჩანს, საყვარელმა იურისკონსულტმა.

თავის კაბინეტში შესულმა გრისბულმა შუქი აანთო და საწერ მაგიდას მიუჯდა. ზედ არაფერი იდო, რამაც აფიქრებინა, რომ მის არყოფნაში აქ განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო. მექანიკურად შუა უჯრა გამოსწია და... სახტად დარჩა: ის ცარიელი იყო, არადა ბოლო დღეების თავის ნამოქმედარს სწორედ იქ ინახავდა!

დოკუმენტები აშკარად წაღებული იყო, მაგრამ ვერ ხვდებოდა, ვის უნდა ჩაედინა ეს.

საიდანღაც რაღაც ხმა მოესმა, თითქოს ფაჩუნის და იქითკენ გაიხედა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა. მერე წამოდგა, შეფის კაბინეტის კარს მიადგა და ფრთხილად შეაღო. მაშინვე შეკრთა: ოთახში შუქი ენთო, კომისრის სომბრერო კი ისევ იქ ეკიდა.

— თქვენ აქ რა გინდათ? — მოესმა უცებ კომისრის ხმა, რამაც კიდევ უფრო შეაკრთო.

— ბატონო კომისარო, თქვენ... დაბრუნდით?

— როგორც ხედავთ, — მიუგო მშვიდად გროლმა, მერე კი მწყრალი ხმით დაამატა, — თქვენ კი ყველაზე დიდი ვირი ხართ, ვისაც კი ოდესმე ჩემთან უმუშავია!

— რატომ ასე...

— ვწუხვარ, მაგრამ ასეა და რა ვქნა? თუ ჩემი ნათქვამი არ მოგწონთ, შეგიძლიათ მიჩივლოთ.

ასისტენტმა იგრძნო, როგორ წაუვიდა ფერი, მაგრამ არაფერი უთქვამს. გროლმა მის წინ დაწყობილი ქაღალდის ფურცლები ცალი ხელით ასწია და განაგრძო:

— ვინ გთხოვათ, მეტცენდორფერი დაკითხეთო?! მის აღსარებას თქვენ დოკუმენტის ფორმა მიეცით და, როგორც ჩანს, რაღაცა კიდევ ჩაიფიქრეთ!

— ფრანკფურტში და პასაუში ვიყავი, — სწრაფად აღიარა ასისტენტმა.

— მართლა? მერე ამას მიმალავდით? — კომისარი აშკარა

Cyan Magenta Yellow Black

დაცინვაზე გადავიდა, — თუ საიდუმლო არ არის, შედეგები მითხარით, შედეგები! ოღონდ ჯერ დაჯექით. თქვენი ამბავი რომ ვიცი, ათი წუთიც არ გეყოფათ.

მაგრამ გრისბულს თავისი ვოიაჟის გადმოსაცემად ათი წუთი არც დასჭირდა და როცა მორჩა, გროლმა ისევ ასწია ფურცლები:

— თუ ამ ყველაფერს ერთმანეთს შევადარებთ, დავასკვნით, რომ თქვენი და ადვოკატის ცნობები სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ოღონდ აბსოლუტურად გაუგებარია, რა მიზანს ისახავდით.

გრისბულს არათუ ფერი დაუბრუნდა, გაწითლდა კიდეც, კომისარმა კი განაგრძო:

— თქვენ კერძო დეტექტივი უნდა გამოსულიყავით. მაშინ ჭკუაგამოლეული ადვოკატებთან საუბარს არავინ დაგიშლიდათ და იქნებ სხვა კლიენტებიც გაგჩენოდათ, რომლებიც, თქვენდა გასახარად, ალბათ კარგადაც გადაგიხდიდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, კერძო დეტექტივი არ ხართ, ამიტომ ამ საქმეს ისევ მე უნდა მოვკიდო ხელი. კიდევ კარგი, ნიურნბერგიდან არ წავსულვარ, რადგან ჩემს ქუდს ვეძებდი.

„არსად დაგეკარგოთ“, — გაიფიქრა ასისტენტმა.

გროლმა კი განაგრძო:

— ვალდებული ვარ, დავაფიქსირო, რომ ადვოკატმა ფაქტობრივად ძალაუფლება მიითვისა, თქვენ კი გამოუცდელ მოჭადრაკესავით იქცეოდით და იმ ძალებთან შეხება გვაიძულეთ, რომლებსაც თავს ვარიდებდით. კარგი. ამას აღარაფერი ეშველება. ახლა თქვენი გეგმა გამიმეორეთ.

— მეტცენდორფერის ნაამბობიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სებასტიანი ან ჰებზაკერი ან ორივე ერთად რაღაცნაირად მონაწილეობდნენ ალტბაუერის საქმიანობაში. თან იმასაც ვფიქრობდი, რომ მკვლელობის მომენტში აგარაკზე მეორე პირის ყოფნა შემთხვევითობა არ იყო. ჩემი აზრით, ამ პირს ალტბაუერთან რაღაცა საქმიანი კავშირები ჰქონდა, ამიტომ სებასტიანსა და ჰებზაკერს განზრახ ვაგრძნობინე, რომ მეტცენდორფერს რაღაცა ეჭვები გაუჩნდა, რის გადამწმებასაც შემთხვევის ადგილზე აპირებს. რაკი ეს მეორე პირი თვლის, რომ აგარაკს პოლიცია იცავს, აშკარაა, რომ იქ შეღწევას ვერ გარისკავს, ამიტომ ფანდი ვიხმარე: ვთქვი, რომ 18 ოქტომბერს ბეჭედს მოვხსნიდით, 19-ში კი ადვოკატი აგარაკს გაჩხრეკდა. ჩემი ვარაუდით, ამ შუალედში ის მეორე პირი აგარაკზე კვალის გასაქრობად გამოცხადდებოდა.

— ლამაზი იდეაა, — შენიშნა გროლმა, — გრისბულ, ეს მეთოდი რომელიმე დეტექტივში ამოიკითხეთ?

ასისტენტი ისევ გაწითლდა, კომისარი კი მის პასუხს არც დალოდებია:

— თუ არც სებასტიანი და არც ჰებზაკერი ალტბაუერთან ერთად აგარაკზე არ ყოფილან, მაშინ რა?

— მაშინ, — გრისბულს პასუხი მზად ჰქონდა, — ერთ-ერთი მათგანი მაინც ჩვენთვის უცნობ მეორე პირს აცნობებს და აგარაკს სწორედ ის მიაკითხავს.

— მე კი პირიქით მგონია, — მიუგო გროლმა, — ის ტიპი აგარაკს ახლოსაც არ გაეკარება. კარგი, ამას მოვრჩეთ. ახლა სხვა რამ მაქვს სათქმელი.

— გისმენთ, შეფ!

— ხვალ დილით, შვიდზე, თქვენი მანქანით აქ დაერჭობით. დანარჩენ ინსტრუქციას მაშინ მიიღებთ, — კომისარი კარისკენ წავიდა, მერე უცებ შემოტრიალდა, საკიდიდან თავისი სომბრერო ჩამოიღო, თავზე ჩამოიფხატა და თქვა, — კინაღამ ისევ არ დამავიწყდა!

ბერნეკის მონახულებისა და გზად ბენზინგასამართი სადგურის ახალგაზრდა მუშაკთან კომისრის გასაუბრების შემდეგ, რომლის აზრიც ასისტენტისთვის გაუგებარი დარჩა, თუმცა ხვდებოდა, რაღაცა მნიშვნელოვანი რომ მოხდა, გროლმა ჩაილაპარაკა:

— ახლა მეტცენდორფერთან მივდივართ, ოღონდ ერთი რამეა... თქვენი ბარახლო გაგვიძლებს?

კომისარი მის მანქანას გულისხმობდა, რამაც ასისტენტი გაანაწყენა და ბრაზით გამოსცრა:

— ზოგ ძველ შლაპას მაინც ჯობია!

— ადვოკატის „მერსედესიც“ დაძველდა, მაგრამ პატრონს ალბათ ძველ ქუდზე მეტხანს მოემსახურება.

— ალბათ.

— თუ თქვენი ჩანაწერებით ვიმსჯელებთ, „მერსედესის“ მაგივრად მას „ბორგვარდ იზაბელას“ შეძენა სურდა. ასეა, ხომ?

— ნამდვილად.

ადვოკატის კანტორამდე მათ აღარაფერი უთქვამთ. მანქანიდან ჯერ კომისარი გადავიდა, მერე მისი ასისტენტი. ვიდრე გზას გააგრძელებდნენ, გროლმა ხელქვეითს მიმართა:

— გრისბულ, თქვენ ჯერ აქ დარჩენა მოგიწევთ. მეტცენდორფერს პირისპირ უნდა ველაპარაკო.

— ნება თქვენია, — მიუგო ნაწყენმა ასისტენტმა და მანქანაში შებრუნდა, მაგრამ არც რადიო ჩაურთავს და არც გაუბოლებია.

როცა მდივანმა ქალმა ადვოკატს კომისრის მოსვლა აუწყა, მეტცენდორფერს არ გახარებია, მაგრამ, როგორც კი კამერაში მყოფი მარანი წარმოუდგა თვალწინ, მაშინვე დათანხმდა:

— სთხოვეთ.

გროლი შევიდა თუ არა, ადვოკატი მოკლედ მიესალმა და შეეკითხა:

— განა თქვენ შვებულებაში არ იყავით?

— ჰო, მაგრამ... — დაიბნა კომისარი, — აქ შლაპა დამრჩა!

მეტცენდორფერი გაკვირვებული კი დარჩა, მაგრამ ამ უცნაურ მიზეზს აღარ შეხებია:

— ბატონო გროლ, ალბათ ხვდებით, ყოველი წუთი რომ გაწერილი მაქვს და...

— ვიცი, ვიცი, — მოუჭრა სტუმარმა, — მითხარით, ახალი „ბორგვარდ იზაბელას“ ყიდვას მართლა აპირებთ?

— ჰო, მაგრამ... ახლა რა დროს ესაა? — ადვოკატი ცოტა გაბრაზდა.

— თუ მომისმენთ, ძალიან დროულია. მართალია, რომ ბატონმა ბრუმერუსმა ამ საქმეში თავისი შუამავლობა შემოგთავაზათ?

— ასეა.

— საქმე როგორ მიდის, გადაწყვეტილება ხომ არ შეგიცვლიათ?

მეტცენდორფერმა პასუხი დააგვიანა:

— სიმართლე გითხრათ, გადავიფიქრე. ჩემს „მერსედესს“ სერიოზული არაფერი სჭირს, პატარა მანძილებზე სავსებით მაკმაყოფილებს.

— მაგრამ ბერნეკში მან მაინც გიღალატათ.

— მართალია, — დაეთანხმა ადვოკატი, — თან, რომ იცოდეთ, როგორ განვიცდი, როცა ჩემს „მერსედესს“ ჩემი შეძლებული კლიენტების მდიდრული მანქანების გვერდით ვხედავ.

— მეც მანდა ვარ, — თავი დააქნია გროლმა, — ამიტომ, თუ თქვენ ეს სურვილი ნამდვილად გაქვთ, საქმეს რაც შეიძლება მალე უნდა შეუდგეთ, ანუ მანქანა დაათვალიეროთ, საცდელი გარბენით შეამოწმოთ.

ადვოკატი დაძაბულად ფიქრობდა. ვერ ხვდებოდა, რა ამოძრავებდა კომისარს, ამგვარ წინადადებას რომ სთავაზობდა.

— ეს დღესვე? — შეეკითხა ბოლოს, — თქვენც ჩემთან ერთად იქნებოდით?

გროლმა გაიღიმა:

— პირველ კითხვას ვპასუხობ: ჰო, დღესვე, ბატონო ადვოკატო! აქ გრისბულთან ერთად ბერნეკიდან ჩამოვედი. როცა თქვენი მონაყოლი წავიკითხე, ერთი ეჭვი გამიჩნდა, რომელიც ბერნეკში მგზავრობამ გამიძლიერა, მაგრამ ეს არასაკმარისია. მე ამაში აუცილებლად უნდა დავრწმუნდე, თან, თუ შესაძლებელია, დღესვე. გრისბულმა თავისდაუნებურად გარკვეული დროით შემზღუდა, რომელიც 18 ან 19 ოქტომბერს იწურება, დღეს კი უკვე 15 რიცხვია, — მან გამელოტებულ თავზე ხელი გადაისვა, — მე ბრუმერუსთან რაღაცა სასწრაფოდ უნდა შევამოწმო, მაგრამ თავად არ უნდა გამოვჩნდე, მან კი არ უნდა იცოდეს, კონკრეტულად რა მოწმდება. აი, თქვენი მეორე კითხვის პასუხი, — კომისარმა გაიღიმა და განაგრძო, — გრისბული თავისი მანქანით ქვემოთ მელოდება. ჩვენ თქვენ მიუნხენამდე მიგიყვანთ, — გროლმა წამით შეისვენა, — წინასწარ ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ შესაძლოა მოულოდნელად მარანის დახმარება შევეძლოთ, — ადვოკატი ჯერ ისევ უნდობლად შესცქეროდა კომისარს, რომელმაც დაამატა, — დახმარება, რომელსაც ის ვერც კი წარმოიდგენს, თქვენ კი, ბატონო მეტცენდორფერ, წესით, უკვე უნდა მენდობოდეთ.

ადვოკატს უცებ გაახსენდა, რა სულგრძელად იქცეოდა გროლი ვალტერ მარანის დაპატიმრების დროს, ამიტომ დაუფიქრებლად მიუგო:

— პრინციპში, თანახმა ვარ, ოღონდ, მგონი, კლიენტი მელოდება.

— არაფერია, დავიცდი, — სწრაფად მიუგო კომისარმა და წამოდგა, — მოთმინებას მიჩვეული ვარ. და კიდევ ერთი თხოვნა: თუ შეიძლება, ბრუმერუსს დაურეკეთ და უთხარით, რომ ეწვევით. მაშინ ჩვენ ზუსტად გვეცოდინება, სად და როდის იქნება ის. თან იცრუეთ, რომ რაღაც საქმეზე მიუნხენში უნდა შეიაროთ.

— გასაგებია, თქვენს თხოვნას აუცილებლად შევასრულებ, — შეეპირდა ადვოკატი.

— გმადლობთ. მე წავედი. ქვევით დაგელოდებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney
თინათინ ბონი

ეიფორია

დასაწყისი №7-11

მესამე ნაწილი

ნაბიჯი უკან, ტაბიღი შეცდომებისკენ

მშვენიერი მზიანი დილაა. ძნელი გასარკვევია, სანდროსთან მესიჯობამ დამიბრუნა კარგი განწყობა თუ ენდის მონატრებამ ამიშვა ცოტა. მე არ ვიქნები ერთადერთი ქალი, ვის ცხოვრებაშიც სამი მამაკაცი ყოფილა. ერთი, რომელსაც უყვარხარ, მაგრამ მუდამ გიშლის ნერვებს და მერე გულს გტკენს. მეორე, რომელიც სექსუალურად გიზიდავს, მაგრამ შენი ცხოვრების თანამგზავრი, არ გინდა, რომ იყოს. და მესამეც, რომელიც გინდა და ჰაერივით გჭირდება, მაგრამ ის სხვისია. იმედია, ენდის ყველაფერი კარგად აქვს და ბედნიერია.

შევდივარ მარკეტში და ვყიდულობ პურს და კვერცხს. მე თუ არ გამახსენდა, იმ ორ ბატს არაფერი ახსოვს. ვხედავ „ბუბლიკებს“ და მინდება გავაკენატუნო ჩაისთან. ვუახლოვდები დახლს და ვხედავ, რომ დათო ძალიან მშვიდად არჩევს ორცხობილებს.

— შენ აქ საიდან?

— ვა, ლენ, — დათო ლოყაზე მკოცნის.

— აქ საიდან-მეთქი?

— ბიძაჩემი აქვე ცხოვრობს, ანუ ლოგიკურად — მეც.

— ანუ თითქმის მეზობლები ვართ, — ვუყურებ ეჭვის თვალით.

— ნუ გეშინია, — ეღიმება, — შენ გამო არ გადმოვსულვარ აქ.

— ეგ არც მიფიქრია, — ვუკადრისობ.

— კი, აბა, როგორ არა, — უკვე ყურებამდე აქვს პირი.

— დათო!

— იუმორი დაგიკარგავთ, ქალბატონო.

— ქმარიც, — ვეუბნები მწარედ.

დათო იღუშება, იღებს ორცხობილას და სალაროსკენ მიდის. მე ვდგავარ „ბუბლიკებით“ ხელში და არ ვიხედები მისკენ. მართლაც შეუდარებელი დილაა!

რადგან შაბათია, გადავწყვიტე, დღე დავუთმო დალაგებას და თმის შეღებვას. სალონში მეზარება წასვლა და ნანუკას ვთხოვე, მომხედოს. დრო გარბის და ვცდილობ, საკუთარი თავი დავიბრუნო. არ ვარ დარწმუნებული, მინდა სანდროსთან მესიჯობა თუ თამარას გამო ვაკეთებ ამას. სანდრო ყველაზე კარგი საშუალებაა, ენდის დავიწყებისთვის, მაგრამ სანდროს მიმართ არ არის ეს სამართლიანი. თუ ჩვენ შორის მართლაც მოხდება რამე, მე გავხსნი კარტებს და ვეტყვი რაშიცაა საქმე. მესმის მობილურის წკარუნი.

„დღეს შაბათია და არ გინდა, ისარგებლო ჩემით?“ — მარანძანაა.

„სანდრო, მე ახლახან დავშორდი ერთ ადამიანს და მინდა, გულახდილი ვიყო, მე მის მიმართ მაქვს გრძნობა“.

პასუხი არ მოდის. ნუ, მე უნდა მეთქვა და თუ ეს ნიშნავს, რომ კესარიას მოიყვანს ცოლად, დაე, იყოს მასე. მობილური წკარუნობს.

„ანუ ისარგებლებ ჩემით?“

აი, რატომ ვერ ვანებებ სანდროს თავს. მას სულ კიდია, რა მიზნებისთვის მჭირდება, მთავარია, მან იხეიროს.

„გააჩნია სარგებლობაში რას გულისხმობ“.

„იმას, რისი სურვილიც გაქვს“.

„სანდრო, როდის უნდა დაჭკვიანდე?“

„და ვის უნდა ჭკვიანი სანდრო? ყველას უნდა გახდილი სანდრო“.

„აჰა, ყველას? მთელ მსოფლიოს?“

„მსოფლიოს იმ ნაწილს, რომელსაც ან ჰყავს ნანახი გახდილი, ან ჰყავს ნანახი ჩაცმული“.

გასაგებია, საითაც მიჰყავს საუბარი და მე ეს მსიამოვნებს. ძალიან მსიამოვნებს. ასე თუ გააგრძელა, შეიძლება მართლაც ვისარგებლო. მე თავისუფალი ვარ, არავის წინაშე ვაგებ პასუხს და თუ სურვილი მექნა, ვიქნები სანდროსთან, მაგრამ ეს არ იქნება ურთიერთობა, ეს იქნება მხოლოდ ვნება.

„შემეშვი. დღეს სახლის დღე მაქვს“.

„არ გინდა, სახლის დღე გქონდეს, ოღონდ ჩემს ახალ სახლში?“

ახალი სახლი? მე რატომ არ ვიცოდი?

„ვალაგებ, სანდრო!“

„ჩემთან დაალაგე“.

„დამანებე თავი!“

სანდროს უყვარს, როცა უარს ეუბნები და მერე ფართხალებს, რომ დაგიპყროს. ისე, როგორ არ იკითხა, ვინ მიყვარს? ალბათ ხვდებოდა თურქეთში, რომ ჩემსა და ენდის შორის რაღაც იყო. წითელი თმა მინდა! მინდა, მინდა, მინდა! გავვარდები საღებავზე და საღამოს ნანუკას მშვენიერი ხელუკები შემღებავენ. სპორტულებზე ვიგდებ მოსაცმელს, ვიკრავ კიკინას და გავდივარ.

ვარჩევ საღებავებს. ვიღებ ღაჟღაჟა წითელს და ვაგდებ კალათში. ბარემ აქ ვარ და შამპუნსაც ვიყიდი. მივიჩქარი შესაბამისი დახლისკენ. ვეტაკები მამაკაცს და ვეცემი ისე, რომ პირდაპირ უკანალზე ვჯდები. მამაკაცი ხელს მაწვდის და მაყენებს. შერცხვენილი ვწევ სახეს ზემოთ და პირდაპირ ენდის თვალებს ვხვდები. ვენებში სისხლი მეყინება. მისი სახის დანახვაზე ენასაც ვეღარ ვგრძნობ. რატომ მემართება ეს? როდემდე დამემართება მე ეს?

— ლენა, — მშვიდი, მაგრამ დაძაბული ტონით მეუბნება ენდი.

— ენდი, — ვპასუხობ თითქმის ჩურჩულით.

მისი ფერფლისფერი თვალები, ოდნავ დაშვებული ჭრილის კუთხით, გულს მიჩქარებს. არ ვიცი, რა ვუთხრა? ფეხებში ჩავუვარდე, რომ მაპატიოს?

— მიხარია შენი ნახვა. საწყენია, რომ ჩვენი კომპანიიდან წახვედი.

როგორი ოფიციალურია და როგორ უხდება ლურჯი მაისური და ჯინსი. მახსენდება, რომ საშინელ ფორმაში ვარ და ვკრთები.

— ნეკა როგორ არის? — კბილებში ვცრი.

— კარგად, მადლობა. სახლშია.

სად, სახლში? აქაც აქვთ საერთო სახლი? მოვკვდები ახლა!

— კარგი, სასიამოვნო იყო შენი ნახვა, — ვამბობ, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვრი.

მის გვერდით რამდენიმე წამიც კი მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— მანქანით ვარ და გაგიყვან, — მეუბნება მშვიდად.

არა, ლენა, არა! გაეცალე! გაიქეცი!

— კარგი, მადლობა. გზას თუ არ გაგიმრუდებ, — ვეუბნები ისევ ჩურჩულით.

— არ გამიმრუდებ.

მივდივართ სალაროსკენ. ენდი ჩემი საყიდლების ფულსაც იხდის და ავტოსადგომისკენ მივდივართ. მისი ჯიპი, მგონი, ბეემვე იქსI არის, სულ თეთრი და დგას კუთხეში, სხვა მანქანებს მოშორებული. ენდი პარკებს ალაგებს საბარგულში. ვსხდებით მანქანაში. სიჩუმეა. ენდი მანქანას ქოქავს და რადიო ირთვება. „China woman“-ის „To be with others“ ირთვება და გული ქუსლებში მივარდება. ენდი არ ძრავს მანქანას, უბრალოდ წინ იყურება. ძალიან მშვიდად აბრუნებს სახეს ჩემკენ და თვალებში მიყურებს. მის გამოხედვაში ვკითხულობ ყველაფერს, რაც არ თქმულა. თვალს ვერ ვაშორებ მის თვალებს. ჩემი ტუჩებისკენ გაურბის მზერა და გული ქუსლებიდან ყელში ამომდის. ვეღარ ვუძლებ მის მზერას და დაბლა ვხრი სახეს. ენდი ნაზად მეხება ნიკაპზე და სახეს მაწევინებს ისე, რომ მის სუნთქვას ვგრძნობ ტუჩებზე. მისი ტუჩები ჩემსას ეხება და გონება მებინდება. ჩამესმისBarry Maniow-ის „Careless Whisper“ და ენდის თმაში ვაცურებ ხელს. ჩვენი კოცნა ვნებიანი და ამავდროულად ძალიან სევდიანია. რას ვაკეთებ? ისევ ვრეკ მის ცხოვრებას!

— ენდი... — ვამბობ და ტუჩებზე საჩვენებელ თითს მაბჯენს.

— არაფერი თქვა!

ჩვენ შორის ყველაფრის თავიდან დაიწყება და მე ამას ვერ გადავიტან.

— ენდი, არა! ეს არ არის სწორი!

ვაღებ მანქანის კარს და გადავდივარ. არც მახსენდება ჩემი პარკის აღება. უკან მოუხედავად მივრბივარ. ახლა თუ არ გავეცალე, დავღუპავ. მე ის იმდენად მიყვარს, რომ ეს არ უნდა გავუკეთო.

ვზივარ სახლში დაღვრემილი. აღარ მაქვს დალაგების ხალისი. საღებავი არ მაქვს და შეღებვაც უნდა გადავდო. რა გავაკეთე? როგორ გამოვექეცი? მე არ ვამბობდი, რომ დაველოდებოდი და მის გამო ყველაფერზე წავიდოდი? რატომ გადამწონა ამ მორალისტობამ? მინდა ვიბღავლო და არ შემიძლია. დაცლილი ვარ.

კარზე ზარია. დედაჩემი არ იყოს, არ მაქვს ლაპარაკის თავი. ვაღებ კარს და ვხედავ ენდის. მას აცვია ადიდასის რუხი ფერის სპორტულები და თეთრი ბოტასები. საოცრად მიმზიდველია. მე კი ისევ ჯოჯო ვიდზე ვარ. შემოდის შიგნით და კარს ვკეტავ. შევდივართ შუა ოთახში და სავარძელზე ვსხდებით.

— ვიჩხუბეთ, — მეუბნება მშრალად.

— ჩემ გამო? — მაინც მოვახერხე, ბრავო!

— დაახლოებით. ალეწილი მივედი სახლში და პარკები დავაგდე მაგიდაზე. ამოალაგა და ქალის საღებავი რომ ნახა, განრისხდა. მიცნობს და იცის, რომ მისთვის არ იყო.

გასუსული ვუსმენ და არ ვიცი, მიხაროდეს თუ მტკიოდეს.

— დალეწა ყველაფერი და წავიდა.

— რას აპირებ?

— არაფერს არ ვაპირებ. აღარ შემიძლია უშენოდ, — ამბობს ენდი და თვალებში მიყურებს ისე, რომ მინდა, გულში ჩავეკრა და სამუდამოდ დავრჩე ასე.

— და მერე ბავშვი?

— ბავშვს არაფერს მოვაკლებ და არ არის ნეკა ბოროტი ადამიანი, მე ვცდებოდი. არაფერს დაუშავებს ბავშვს და აღარც თავის თავს.

კარზე ბრახუნია. მივდივარ და ვაღებ. ნეკა შემოდის განრისხებული. ზოსი ყეფას იწყებს და სააბაზანოში ვკეტავ.

— ვიცოდი, რომ აქ იქნებოდი! — ამბობს ნეკა და დგება წაშლილი ენდის პირდაპირ.

— ნეკა... — მინდა, რამე ვთქვა და ენას ვეღარ ვაბრუნებ.

— დიდი ხანია, რაც ეს ჩემს ზურგს უკან ხდება? შე არაკაცო! — ყვირის ნეკა.

— დამშვიდდი! — ენდი ფეხზე დგება.

— მე დავმშვიდდე? ამას როგორ მიკეთებ? ბავშვს როგორ უკეთებ?

Cyan Magenta Yellow Black

— მუცელზე იდებს ხელს.

დასტყობია მუცელი უკვე. რაღაც ვერ ვარ კარგად. თავბრუ მეხვევა. ვჯდები სკამზე და ვცდილობ, ღრმად ჩავისუნთქო.

— ნეკა, გეყოფა. მე ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნები, მაგრამ ჩვენ ერთად ვერ ვიქნებით.

უეცრად ნეკა მუხლებზე ეშვება მის წინ და ფეხებზე ხვევს ხელს.

— არა, ენდი, არა! არ დაგვტოვო! — ნეკა ტირის და ეხუტება ენდის ფეხებს.

გაფითრებული ენდი დგას და მე მიყურებს. მე ვიცი, მის გულში ახლა რაც ხდება. თუ მე არ გადავაწყვეტინე ახლა რამე, მოკვდება და წლების მერე მე მომაძახებს, რომ ჩემ გამო ორსული საცოლე მიატოვა. ვდგები ფეხზე და ვეყუდები კედელს, რათა შევინარჩუნო წონასწორობა.

— წადით ჩემი სახლიდან, — ვამბობ მკაცრად.

ენდი თვალს არ მაშორებს.

— ახლავე წადით! — ხმას ვუწევ.

ენდი მოქვითინე ნეკას ფეხზე აყენებს.

— მე არ მინდა, რომ მქონდეს რაიმე საერთო რომელიმე თქვენგანთან! არ დავინახო, რომ კილომეტრზე ახლოს მომიახლოვდეთ! — ვამბობ ისე, რომ თვითონ მჯერა ჩემი.

ნეკა გადის სახლიდან და ენდიც მიყვება. უცებ ტრიალდება და ცდილობს, ჩემს თვალებში ამოიკითხოს, თუ როგორ უნდა მოიქცეს. საოცრად ცივად ვუყურებ და ვუჯახუნებ კარს.

ვეშვები ძირს და ვტირი. მესმის ზოსის ყეფა საბაზანოდან. ვაიძულებ თავს, რომ ავდგე და ძაღლი გამოვუშვა. ძალიან ცუდად ვარ. მგონი, მოვკვდი.

კვირა. შუადღე. მთელი ღამე არ მეძინა. მილიონჯერ მოვუყევი გოგოებს, თუ რა მოხდა და დამეთანხმნენ, რომ სწორად მოვიქეცი. ტკივილი ლიტრმა კონიაკმაც ვერ ჩამიხშო. უბრალოდ დილისკენ გათიშვის საშუალება მომცა. ახლა კი საშინლად ნაბახუსევი ვარ და მისკდება თავი. ვსვამ ასპირინს და ისევ ვწვები.

მობილურის წკარუნი მაღვიძებს.

„კვირას მაინც არ დაალაგებ ჩემს სახლს?“ — მარანძანა.

„შემეშვი, მძინავს!“ — მე.

„რა ღამე გქონდა ამისთანა? თანაც უჩემოდ!“ — მარანძანა.

„მძინავს!“ — მე.

ვიფარებ საბანს თავზე და ძილს ვიბრუნებ.

ღამის პირველი საათია. ირა ახალ კაცთან დარჩა. ნანუკას სძინავს. ზოსი სავარძელში ნებივრობს. იმდენი ხანი მეძინა, რომ ახლა უნდა ავდგე. გავდივარ სამზარეულოში და ვაცხელებ ჩაიდანს. გონება რომ დავასვენო, წავიკითხავ. ვუბრუნდები გრეის და მის სექსუალურ დომინანტობას.

დილის ხუთი საათია. წიგნი დავამთავრე და გაოცებული ვარ. ასე არ უნდა დამთავრებულიყო, არა. ახლა მეორე წიგნი უნდა ვიშოვო, რომ გავიგო, რა ბედი ეწევათ ანას და მისტერ გრეის. მახსოვს, ადრე კინო მაქვს ნანახი, სახელად „მდივანი“. იქაც დომინანტობის თემაა და დომინანტი მისტერ გრეია (რა დამთხვევაა), მაგრამ მისი და მისი მდივნის ურთიერთობა განსხვავებულია ამ წიგნში აღწერილისგან. წიგნში გოგონა ძლივს თანხმდება იმაზეც კი, რომ სექსში იყოს დომინანტის სრული მბრძანებლობის ქვეშ. კინოში კი ქალი ითხოვს, რომ მასზე იმბრძანებლონ, საწოლშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. წასაკითხად და საყურებლად მართლაც საინტერესოა, მაგრამ მასე ცხოვრება ძნელი იქნება, ჩემთვის — ყოველ შემთხვევაში. ვაქრობ სინათლეს და მივჩოჩავ საძინებლისკენ. ხვალ ცხრაზე სამსახურში უნდა ვიყო და ხელები ვაქნიო.

მთელმა კვირამ საქმის კეთებაში ისე გაირბინა, რომ პრობლემებზე ფიქრის დრო არ მქონია. დღის განმავლობაში დოდო მაწამებდა თავისი იდეებით. საღამოობით კი ზოსიკოს ვასეირნებდი. შვებას ვგრძნობ. ენდის ამბავმა ჩაიარა და გადაუვლის, მე ვიცი. ახლაც გავასეირნებ ზოსიკოს და ამოვალ, რამე კაი კინოს ვუყურებ. ვუკეთებ ძაღლს საყელურს და გარეთ გამყავს.

ვეძებ კინოს ინტერნეტში. რამე თრილერი მინდა ან დეტექტივი. რომანტიკისგან მაინც ვიკავებ თავს. მოდი, „Raven“-ს ვუყურებ. ვიწყებ გადმოწერას და მობილური წკარუნობს.

„პარასკევია“ — მარანძანა.

მეღიმება. არ ნებდება ეს ბიჭი. ჩემი ლამაზი ტაილენოლის აბი.

„და?“... — მე.

„კოქტეილი და კარგი კინო?“

„სად?“

„ჩემთან, სახლში“.

ჰმმ. ალბათ არ ღირს გარისკვად.

„გპირდები, შენ თუ არ შემეხვეწები, ხელს არ დაგაკარებ!“

„კარგი. მისამართი მომწერე“.

მიდი, ლენა, მიდი, დაუშვი შეცდომები. მერე დაიწყებ თავში ხელების რტყმას.

ვდგავარ ახალაშენებული კორპუსის წინ. როგორც სანდრომ ამიხსნა, მისი არის ტერასიანი ბოლო სართული. ვესალმები დაცვას და ავდივარ ბოლო სართულზე. ვრეკავ ზარს და ველოდები. კიდევ ვრეკავ. სანდრო მიღებს და ღიმილი მეპარება. აცვია ჯინსი და თეთრი ჩახსნილი მაისური. ფეხშიშველია. მეხვევა, ლოყაზე მკოცნის და სახლში მიპატიჟებს. ულტრათანამედროვედ მოწყობილი ბინა აქვს, ხაკისფერში გაწყობილი. მათვალიერებინებს ყველაფერს. ვიხიბლები ტერასით. სულ მინდოდა ასეთი ბინა.

— დავლიოთ? — მეკითხება სანდრო.

— დავლიოთ, — ვუღიმი და შიგნით ვბრუნდებით.

სანდრო მოხიტოს მაწვდის და სიამოვნებით შევექცევი. ვსხდებით ძალიან რბილ ტახტზე და სანდრო კინოს რთავს. უზარმაზარ ეკრანზე გამოდის კიუსეკი, ედგარ ალან პოს როლში.

კინო დასრულდა. დეტექტივის გარდა დიდი სიყვარულის თემაც ყოფილა და ცოტა მომკაწრა გული. სანდრო წყნარად ზის და ხმას არ იღებს.

— რატომ ხარ დღეს მუნჯივით? — ვეკითხები სიცილით.

— რომ არ იფიქრო რამე, — მეუბნება სერიოზულად.

— რა უნდა ვიფიქრო?

— რომ მართლა მინდა შენთან სექსი.

— და არ გინდა? — აი, ვაღიზიანებ! იდიოტკა!

— შეიძლება მინდა, მაგრამ ხელსაც არ დაგაკარებ, — მეუბნება მკაცრად.

— არა, ხომ? — ვამბობ და მის გვერდით ვჯდები.

— რას აკეთებ? — მეკითხება ცინიკურად.

— არაფერს, — ვამბობ და უფრო ვეტმასნები.

ვსხედვართ ასე მიწებებულები. სანდრო არ იძვრის.

— კარგი, მაშინ წავალ მე, — ვდგები ტახტიდან, მაგრამ სანდრო ხელს მიჭერს და ტახტზე მაგდებს.

— აკი არაო? — ვეუბნები და ვხვდები, რომ აქ დავრჩები დღეს.

სანდრო მაისურს იხდის და მისი დაკუნთული, გარუჯული სხეული გულისცემას მიჩქარებს. რატომ არის ასეთი სექსუალური, რატომ? და მე რატომ ვარ ასეთი სუსტი და უვარგისი? უნდა შევებრძოლო! რას მოვდიოდი, რომ მოვდიოდი? ვცდილობ, წამოვდგე, მაგრამ სანდრო ველურად ეშვება ჩემზე და ზურგზე მაწვენს. ლენა! ჰკარი, ხელი და ადექი! მიჩვეულია ამას და გადაიტანს და შენც მოიქცევი ისე, როგორც წესია! შენ ენდი გიყვარს, რომელსაც შენ უყვარხარ, მაგრამ ერთად არასდროს იქნებით. ეს რა იყო ახლა? თუ არ ვიქნებით, მით უმეტეს, რატომ უნდა ვკრა სანდროს ხელი? თანაც ვიცი, რომ ენდისთან ჩემი ყოფნა არ შეიძლება და ჩემსა და სანდროს შორის ახლა რომ მოხდეს რამე, ენდისკენ ველარასდროს გავიხედავ. ვხვდები, რომ საკუთარ თავთან დებატებში გართული, ვწევარ მორივით. სანდრო ხელებზე დაყრდნობილი მიყურებს.

— მოკვდი?

— ფიქრებში წავედი.

— რაღაც არ ხარ ნოტზე.

— ნამდვილად, — ვეუბნები სრულიად ინდიფერენტულად.

სანდრო ბიბილოზე მეხება ენის წვერით, რაზეც მბურძგლავს.

— ეროგენული ზონები აქტიურია, — ამბობს ღიმილით.

დებილივით ვიღიმი და ვხვდები, რომ თვით ალესანდრო მარანძანა მაწევს ზემოდან და მე რეაქცია არ მაქვს.

— „Vorrei sentire la tua sulla mia“, — სანდრო ჩამჩურჩულებს და კისერში მკონის.

საოცრება. მე ისევ კუნძივით ვარ.

— არა, მე ასე არ შემიძლია! — აღშფოთებული სანდრო დგება და მაისურს იცვამს.

— მაპატიე, — ვეუბნები დამორცხვებული.

— მეორედ აქ რომ მოხვალ, ასე ადვილად ვერ წახვალ! — მეუბნება მკაცრად.

— გპირდები.

— ადექი, წამო, სახლში წაგიყვან.

სანდრომ სახლში მომიყვანა. ავდივარ კიბეზე. შეცდომისგან წკიპზე ვიყავი და ეს ნიშანია, რომ ასე აღარ უნდა მოვიქცე. სანამ ენდი მეყვარება, მე არავისთან მექნება სექსი. ამ ფიქრებზე მეცინება. იმიტომ, რომ ენდი მე მუდამ მეყვარება და მუდამ სექსის გარეშე ვერ ვიქნები. ოხვრა-ოხვრით შევდივარ სახლში და ვკეტავ კარს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

ბასაღები

ზრრრ!
წკრრრ!
კაკუ-კუკ!
ბრახ-ბრუხ!

ეჰ, რეკოს, აკაკუნოს, აბრახუნოს, რამდენიც უნდა, ასე ისტერიკულად, გამალებით, თავადაც მშვენივრად იცის, რომ ეს უაზრობაა. კარის იქით არავინაა, სრული სიცარიელე, სრული ვაკუუმი. უბრალოდ თავს იტყუებს, სხვა არაფერი. ვინ გაუღებს, ვის ელოდება...

არადა მართლა რომ გაუღოს ახლა ეს დაწყევლილი კარი, ვთქვათ, ვინმე პრინცმა, მმმ... რას გაიხარებს, გამზევდება და გამთვარდება! თეთრ ცხენზე თუ არ იქნება ამხედრებული, არა უშავს, თეთრი სამოსი ეცვას და შავი იყოს, კი, ბატონო, მაგალითად, არაბი შეიხი, უდაბნოსფერი ცხელი, ქვიშისფერი კანით, თავსაბურავიდან მოკიაფე მწველი, ზურმუხტისფერი თვალებით, ასდიოდეს ვარვარა მზის სუნი, კანი ბარხანების ხავერდისა ჰქონდეს... ბრრრ, ტატას სულ აღარ ემახსოვრება ის გასაჭირი, რაც ადგას, თვალებს დახუჭავს და პირდაპირ ხელებში ჩაადნება, გაუყუჩდება სიყვარულის ოაზისს დანატრებული...

მოიცა, ამის დროა ახლა?! არა, ამის დროა?!

რა შეიხი, რის ოაზისი! აქაა, თავისი ახალი ბინის კართან, რომელსაც, სავარაუდოდ, საკეტი მოეშალა, მეზობლებთანაც აბრახუნა, მაგრამ რა, შეიძლება ჯერ არც გადმოსულან, კორპუსი ახალაშენებულია. ეს კი უკვე ისეთ დღეშია, ზურმუხტისფერი თვალები და ბარხანივით კანი ელანდება, ნუთუ ინტოქსიკაცია დაეწყო?! კარი კი არა, ცხრაკლიტულია. რამ გააფუჭა, ოჰ, მე ამის!..

ცივმა ოფლმა დაასხა. დროზე თუ არ შევარდა ტუალეტში, ან შარდის ბუშტი გაუსკდება, ან უკანასკნელ მაწანწალასავით სადარბაზოს დააბინძურებს.

წეღან კიბისკენ გაიხედა და დიდი, თეთრი უნიტაზი დაინახა. ბედი არ გინდა, ცხოვრებაში ერთხელ მირაჟი გქონდეს და მაშინაც უნიტაზი დაინახო! გამწარებულმა კიდევ ერთხელ გადაატრიალა გასაღები აქეთ-იქით, იქით-აქეთ, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ.

— ცუდადაა ჩემი საქმე, — წელში მოიხარა და ფეხები ერთმანეთს მთელი ძალით მიაჭირა, — ვაიმე, მიშველოს ვინმემ, რამ დამალევინა ამდენი კოკა-კოლა, რას დავხარბდი, უკანაც ვერ გავბრუნდები, გზაში არ შევრცხვე... აქ ყოფნა მირჩევნია, მარცხი თუ მომივიდა და ამის დიდი შანსია, კაციშვილი ვერ გაიგებს, ჩათვლიან, რომ სადარბაზოს „ბომჟი“ ეწვია.

საერთოდ რა ძალა ედგა, რომ გადმოვიდა? დატეულიყო მშობლიურ სახლში, იქ მუდმივად ვიღაც უღებდა კარს, ან დედა, ან და, ან დისშვილი, სიძე — ნაკლებად... ამან კი, აიჩემა, მარტო უნდა ვიცხოვროო.

— მარტო მინდა ცხოვრება! — ერთ დღესაც სწორედ ასე გამოუცხადა დედას.

— რას ჰქვია მარტო ცხოვრება? — სახტად დარჩა დედა.

— რას და მარტო მინდა ცხოვრება, არ შეიძლება? — ახლა ტატამ გაიკვირვა.

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ რატომ, ვერ გავიგე, — აშკარად ეწყინა დედას, — ან ხალხი რას იტყვის?

— ვინ ხალხი? — ტატამ ისევ გაიკვირვა, თუმცა, რა თქმა უნდა, მიხვდა, დედა ვისაც გულისხმობდა.

— ვინ და — მეზობლები, ნათესავები... გასათხოვარი გოგო მარტო გაუშვეს საცხოვრებლადო, როგორ შეიძლება?! — დედას შეწუხებული სახე ჰქონდა.

— კარგი ერთი, რა, — ხელი აიქნია ტატამ, — თუ სხვა მიზეზი არ გაქვს, ეგ ხალხი, გმადლობთ, სულ არ მაინტერესებს.

— მაგაშია საქმე, — გაბრაზდა დედა, — როგორ არ უნდა გაინტერესებდეს, არ მესმის!

— ვაიმე, რა უნდა მაინტერესებდეს, რა?! რას იტყვის, მაგალითად, ნუნუ, მთელი ცხოვრება მეზობლების ცხოვრებით რომ ცხოვრობს? ან ნათესავების სიამაყე, მარად უჭკნობი, სამოცდაათი წლის ქალწული ნელი, რომელმაც ამას წინათ ცნობა აიღო, რომ ნამდვილად ქალწულია? — ამის გახსენებაზე ტატას სიცილი აუტყდა, — მაგ ცნობის აღებას სხვა რამ გაეკეთებინა, არ ჯობდა?

— სულ გაფუჭდი, — უკმაყოფლოდ თქვა დედამ, — დაანებე თავი იმ ქალს, თავისი გასაჭირი ეყოფა. ახლა ნელიზე ვლაპარაკობ თუ შენზე? სად მიდიხარ, რატომ მიდიხარ, რითი აპირებ ცხოვრებას?

— ძალიან კარგი ბინა ქირავდება ახალ სახლში, თანამშრომელი აქირავებს არცთუ ისე ძვირად, თავისუფლად შევწვდები ჩემი ხელფასით. მერე ვნახოთ, თუ მომეწონა მარტო ცხოვრება, კრედიტს ავიღებ და ერთ კუნკულა ბინას ვიყიდი. შენც წაგიყვან, თუ გინდა, — თვალი ჩაუკრა დედას.

— მე ამ სახლიდან ფეხს არ გავადგამ! — დედამ ისე გააპროტესტა, თითქოს იმ წუთასვე ბარგს ულაგებდნენ და გადაჰყავდათ.

— რა ხდება? — შემოვიდა ოთახში ლალი, ტატას და, — ამ შუაღამისას რას ხმაურობთ?

— ცალკე უნდა გადასვლა გოგოს, — შესჩივლა დედამ.

— მართლა? აუ, რა კარგია! წამოდი, ერთად გადავიდეთ, — შეეხვეწა ლალი დას, — ეს აქ დავტოვოთ, ძვირფას სიძესთან და შვილიშვილთან ერთად. როგორ გადამღალეს, არ იცი.

— მე გადაგღალე თუ თქვენ გადამღალეთ? — დედა შენიშვნების ჩამოსათვლელად მოემზადა.

— არა, დე, რა მოგვივიდა, შენ კი არა, ქმარ-შვილმა, — მიეფერა ლალი, — მოიცა, ახლა ხუმრობის გარეშე გამარკვიეთ, ტატას გადასვლა უნდა და შენ წინააღმდეგი ხარ, არა? ხალხი რას იტყვისო. ასე იქნება, დარწმუნებული ვარ.

— არა, თავი არ დაიავადმყოფოს, ხომ იცი, რა ზარმაცია, საჭმელსაც კი არ გაიკეთებს.

— შეცვალა თავდაპირველი ჩვენება, — ლალის უთხრა ტატამ, — არ დაუჯერო და, სხვათა შორის, ძალიან კარგადაც გავიკეთებ ყველაფერს. აქ როგორ უნდა გავაკეთო, ორნი ძლივს ეტევით სამზარეულოში.

სამაგიეროდ, როგორც კი თავი დიასახლისად იგრძნო, სამზარეულო მისი საყვარელი ადგილი გახდა. ახლაც სუპერმარკეტში შეიარა, დღეს პიცის ხასიათზე იყო, თანაც „მარგარიტას“ ხასიათზე, მოცარელა და პარმეზანი იყიდა, სხვა პროდუქტებიც მიაყოლა, მაგრამ რა, სავსე პარკები კართან ყრია, თავად კი წელში მოხრილი გამუდმებით ირწევა და ფეხებს ისე უჭერს ერთმანეთს, ლამის სული შეეხუთოს.

— ვაიმე, მიშველეთ, ხალხი არ ხართ? — ადუდუნდა ისევ, — რა გავაკეთო? ლა-ლა-ლაააა, ლა-ლა-ლაა! — უაზრო მელოდია წამოიწყო, ხმას აუწია, სადარბაზოს კარგი აკუსტიკა ჰქონდა და მოეჩვენა, რომ ეს ხმამაღალი, უკან დაბრუნებული ბგერები ოდნავ ავიწყებდნენ გასაჭირს.

მობილური ამოიღო, ლალისთან დარეკვა დააპირა, ისე, გაუაზრებლად და აღმოაჩინა, რომ თანხაც აღარ ჰქონდა ანგარიშზე.

— ლალი რა რკინის კარის გაღების დიპლომიანი ხელოსანია ან სანდრიკოს ქოთნით ხომ არ მოვა... ვაიმე, სამაშველოს რომ დავურეკო? არა, სირცხვილია, ასე ხომ არ დავხვდები, ფეხებგადანასკვული, მოკეცილი... — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

აქეთ-იქით მიმოიხედა, მორჩა, მეტის მოთმენა აღარ შეუძლია, აქვე, სადმე ჩაჯდება და დაისვენებს ბოლოს და ბოლოს!

ჯინსის ღილები ძლივს შეიხსნა, შარვალი ჩაიწია და...

— გამარჯობა, — მოესმა ამ დროს.

ნეტავ, მიწა გასკდომოდა ან სადარბაზო ჩანგრეულიყო, ან ერთ კარგ ცუნამის გადაევლო მისთვის, გაეტაცნა, ჩაემარხა! ერთი თვის გადმოსულია და უკვე სამუდამოდ შეირცხვინა თავი.

— გამარჯობა, — თავი ძლივს ასწია სირცხვილისგან, — მგონი, ჰალუცინაციები დამეწყო, — გაიფიქრა წამით. მოეჩვენა, რომ მის წინ თეთრ სამოსში გამოწყობილი პრინცი იდგა, ზურმუხტისფერი თვალები მოუჩანდა თავსაბურავიდან...

— რამე ხომ არ გიჭირთ, დახმარება ხომ არ გჭირდებათ? — ჰკითხა იმან, რა თქმა უნდა, არაპრინცმა, უკვე თავისი კარი გაეღო და ბაწარივით ხელმეორედ გადაგრეხილ ქალს მოწყალედ უყურებდა.

— არაა, — ტატამ ამოიღმუვლა, ცოტაც და შარვლის ჩახდას ვინ ჩივის, ახლა შარვლის ჩაუხდელად შერცხვებოდა, ბევრი

Cyan Magenta Yellow Black

აღარ უფიქირია, ან სად ჰქონდა ფიქრის თავი, რამდენადაც ასე გადაგრეხილს სირბილი შეეძლო, გავარდა, მამაკაცი გვერდით მისწია, ჯერ სახლში შეუვარდა, მერე — ძლივსმიგნებულ ტუალეტში და უნიტაზს დაენარცხა.

„რა ბედნიერებაა!“ — სახეზე ნეტარი ღიმილი გამოესახა, თანდათან გათავისუფლდა, გონება გაუნათდა!

— ვაიმე! — ხელმეორედ დაასხა ცივმა ოფლმა, — ეს რა მომივიდა?! იდიოტი ვარ, სრული პაკეტით. როგორ გავიდე ახლა აქედან? იმ ტიპს როგორ შევხედო, ქალი მაინც ყოფილიყო, ჯანდაბას, ავუხსნიდი. უცხო ტიპს რა ავუხსნა, ჯერ შარვალჩახდილი და ნახევრად ჩაკუზული მნახა, მერე ტუალეტში შემოვუვარდი, ფუჰ! თან მეზობელს, რამდენჯერაც შემხვდება, იმდენჯერ უნდა მოვკვდე სირცხვილისგან... რა გავა ახლა აქედან...

სახეზე წყალი შეისხა, კიდევ ცოტა ხანს იდგა, ფეხს ითრევდა, მერე, როგორც იქნა, კარი გააღო და გამოვიდა.

— უკაცრავად, ძალიან დიდი ბოდიში, — უთხრა უცნაურად გაცნობილ მეზობელს და, ესეც თუ ღიმილი იყო, ნაძალადევი, კი, ბატონო, გაუღიმა.

— არაფერია, — უთხრა იმან.

თურმე არანაირი თეთრი სამოსი არ სცმია, არც არაბ შეიხს ჰგავდა, არც ზურმუხტისფერი თვალები ჰქონდა და არც უდაბნოს ქვიშისფერი კანი. ეს კი...

„უიმე, დედა! — ღამის სახეში შემოირტყა ხელი გონს მოსასვლელად, — რას ავიჩემე ეს პრინცი და შეიხი... ან როგორი შეჰერეზადა ვიქნები, ნახევრად შარვალჩახდილი და ნახევრადჩაკუზული... კიდევ კარგი, ჩვეულებრივი მამაკაცი აღმოჩნდა, სტანდარტული, ჯინსებით, მაისურით, საშუალო. მოკლედ, არც აქეთ, არც იქით“...

— ხდება ხოლმე, — გაუღიმა იმან, ჩვეულებრივმა მამაკაცმა, სიცილი აშკარად შეიკავა.

— ასეთები?

— კი, უარესებიც, — დაამშვიდა იმან, — როგორც ჩანს, მეზობლები ვყოფილვართ.

— დიახ, დიახ, — ტატამ ენა ამოიდგა, თემის დელიკატურად შეცვლა გაუხარდა, — იცით, კარი ჩამეკეტა და...

— ვნახავ, აბა, იქნებ დაგეხმაროთ, — გავიდა და ტატას კარში ჩაჭედილი გასაღები მოსინჯა.

— იცით, რა, არაფერი გამოვა ასე, — მოუტრიალდა ტატას, — ჩემს ნაცნობ ხელოსანს გადავურეკავ ახლა და ყველაფერს მოაგვარებს. მანამდე ჩემთან დაელოდეთ, ისევ სადარბაზოში ხომ არ იდგებით?

„რა ზრდილობიანია, ნამდვილი ჯენტლმენი, წესიერად აღზრდილი ახალგაზრდა მამაკაცი. სახლში შემოვუვარდი, თანაც პირდაპირ ტუალეტში, ეს კი ვითომც არაფერი. ან ვითომ სამარცხვინო პოზაში არ დამინახა მანამდე, სადარბაზოში... კი, ბატონო, ძალიანაც მომწონს, ასე რომ იქცევა. რადგან არ იმჩნევს, არც მე შევიმჩნევ. ან რა მოხდა მართლა და მართლა“...

— სხვა გზა, მე მგონი, არც მაქვს, ამიტომ დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენს წინადადებას, — უთხრა მამაკაცს და სახლში შეჰყვა.

— ახლავე, ერთი წუთით, — მამაკაცმა მობილური ამოიღო ჯიბიდან და გვერდით ოთახში გავიდა.

ტატამ ოთახს თვალი მოავლო.

„აჰა, როგორც ჩანს, ყოჩაღია, მოუსწრია რემონტიც, ბინის გაწყობაც. მშვენიერია! კარგი გემოვნება ჰქონია. ასეთი მეზობელი როგორ მაწყობდა. გამიმართლა. რამე გამიჭირდება, შევეხმიანები... იმ დასაწვავ გასაღებს რომ გამიკეთებენ და სახლში შესვლა მეღირსება, ყავაზე მაინც დავპატიჟებ, უხერხულია. უი, „მარგარიტაც“ ხომ უნდა გავაკეთო, ზუსტად კარგი იქნება! კი,

კი, აუცილებლად დავპატიჟებ. სხვა ან დამცინებდა, ან ზედაც არ შემომხედავდა, შეიძლება გაველანძღე კიდეც, ეს კი...“

და ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა გასძახა:

— იცით, რა, როცა ყველაფერი ჩაივლის, პიცაზე უნდა დაგპატიჟოთ, „მარგარიტაზე“, უარი არ მითხრათ, თან გადამყევით და უარს ნამდვილად ვერ მივიღებ. სწორედ დღეს ვაპირებ გაკეთებას. მოკლედ, საღამოს „პიცაზე“ გეპატიჟებით.

— ვის ეპატიჟებით? — ტატა მოულოდნელად წამოხტა ფეხზე, გაკვირვებულმა შეხედა ოთახის კარში ჩამდგარ უცხო ქალს.

— უკაცრავად, — დაბნეულმა ჩაიბუტბუტა, — არც კი ვიცი... იცით, რა...

ქალი ისეთი სახით უყურებდა, ტატას კიდევ ერთხელ დაასხა ცივმა ოფლმა.

— პიცაზე დაპატიჟებს ქალბატონი, — ჩაეცინა ქალს, სახე გაუმკაცრდა, — შენღა მაკლიხარ ახლა...

ამას არ სჯობდა, წეღან სადარბაზოშივე დაესრულებინა დაწყებული საქმე, მოეთავებინა იქვე „ბომჟივით“ და ახალ შარში არ გაეხვეოდა...

— ჟანა, ეს ჩვენი მეზობელია, კარი ჩაეკეტა და ხელოსანს ელოდება, — მშვიდად უთხრა ქალს მამაკაცმა. ტატას შეხედა, გაუღიმასავით, — ყურადღება არ მიაქციოთ, ცოტა ზედმეტად ეჭვიანი მყავს.

— მე ვარ ეჭვიანი? ღმერთო ჩემო! — ხმას აუწია ჟანამ, — მე ვარ ეჭვიანი? შემოვდივარ სახლში, უცხო ქალს ვხედავ, რომელიც პიცაზე გეპატიჟება, — ქალმა ტუჩები გამობურცა, ტატას გამოაჯავრა, — საღამოს პიცაზე გეპატიჟებით... და მე ეჭვიანი ვარ? რატომ გეპატიჟება პიცაზე, ხომ ვერ ამიხსნი, თან საღამოს.

— ახლავე აგიხსნით, — ტატა შეეცადა, სიტუაცია განემუხტა, — იცით, რა...

„ვაიმე, რა უნდა ვუთხრა ახლა, როგორ ვიდექი სადარბაზოში შარვალჩახდილი და მერე როგორ ვისარგებლე ამათი ტუალეტით?! ენა კი არა, ბილიკი მაქვს მხარზე გადაგდებული, მართლა რას ვეპატიჟებოდი, რა ძალა მედგა!“ — გაიფიქრა და აღმოაჩინა: ამ წუთიერ, ყოფით ურთიერთობას ცოტა ხანგრძლივი პერსპექტივა დაუსახა — გაცნობით, ფლირტით, დაახლოებით, იქნებ ამ ახალ ბინაში სამუდამოდ გადმოსვლის პერსპექტივითაც. „იდიოტი ვარ“, — გამოუტყდა საკუთარ თავს.

— არაფრის ახსნა მჭირდება, იმედია, აქ მეორედ არ გნახავ, მეზობელო.

მეზობელოო — ეს ბოლო სიტყვა მკაფიოდ უთხრა ჟანამ.

— ჟანა, გეყოფა, ხელოსანი ნახევარ საათში მოვა, მანამდე სადარბაზოში ხომ არ იდგება, — რბილად აუხსნა მამაკაცმა.

— ეგღა მაკლია, ოჯახში ძალით შემოჭრილი ქალი ავიტანო, — წარბაწეულმა ქალმა ტატა ირონიულად შეათვალიერა, — არ გეგონოს, შენნაირებს კონკურენტებად აღვიქვამდე, უბრალოდ არ მსიამოვნებს ჩემს სახლში ასეთი უგემოვნო ქალების ყოფნა.

„აი, მართლა თავხედი ქალი, ამას როგორ უნდა ავყვე? ღირსი კია, გაურკვევლად ვუთხრა, იცით, შარვალჩახდილი რომ ვიყავი...“

ეს არა, მაგრამ კარში გასული მოტრიალდა და იმავე ტონით, ირონიულად დააბრუნა პასუხი:

— მე კი თქვენი გემოვნება არ მომწონს, განსაკუთრებით ჯაკუზის ვერ მოგიწონებთ, ძალიან უგემოვნოდ შეგირჩევიათ, — მერე წამიერად შეავლო თვალი ჟანას გადიდებულ თვალებს და კმაყოფილი სწრაფად დაეშვა კიბეებზე.

ეს იცოდით?

- ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში ჩინეთში დამნაშავეთა ამოცნობა თითების ანაბეჭდების მიხედვით ხდებოდა.
- მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული წიგნი ლეონარდო და ვინჩის „ლესტერის კოდექსია“, რომელიც ბილ გეიტსმა 4 მილიონად შეიძინა.
- პეტერბურგის ერმიტაჟის გალერეაში 400 დარბაზია, რომელთა შემოსავლელად 4 კმ-ის გავლაა საჭირო.

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადა შაბათი, 23 მარტი 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ 25-დან 40 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. 599456981. გიო
2. ვარ 35/195/80, სიმპათიური მამაკაცი, გავიცნობ 40 წლამდე, 180 სმ-მდე, სიმპათიურ, არამსუქან ქალს შეხვედრებისთვის. 599283161. იკა
3. გავიცნობ 20-დან 40 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის, მხოლოდ იმერეთიდან. 599456981. გიო
4. ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს, ვარ დასაქმებული, მყავს ავტომანქანა. 555279592
5. გავიცნობ ოზურგეთელ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 44/175/76. 557921601. ნუკრი
6. ვარ რუსთავიდან, გავიცნობ 45 წლამდე რუსთაველ, სასიამოვნო გარეგნობის ქალს სამეგობროდ. 555400945
7. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს, ვარ 34 წლის, სასურველია იყოს იმერეთიდან. 599456981. გიორგი
8. ვარ 29 წლის, უცოლო ბიჭი, ყოფილი სპორტსმენი, გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 40 წლამდე სერიოზულ ქალს, თუნდაც განათხოვარს. 557191071. ლუკა
9. გავიცნობ 25-დან 50 წლამდე ასაკის ქვრივ, მარტოხელა დედას, განათხოვარ ქალს ლამაზი ურთიერთობისთვის. 557645228
10. გავიცნობ ქუთაისელ 45 წლამდე შეხვედრის ადგილით უზრუნველყოფილ ქალს, ვარ 31 წლის ქალთა ოროლოგი. 593493496. დათო
11. ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ სერიოზულ გოგოს. 599801018
12. ვარ 35 წლის მამაკაცი, გავიცნობ კარგი გარეგნობის ქალს. 555248769. კახა
13. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, რომანტიკული ურთიერთობისთვის გავიცნობ 28 წლამდე ლამაზ, ჯანმრთელ გოგოს. 598836042
14. სამეგობრდ გავიცნობ 40 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ 25 წლის. 555120260. დათო
15. ვარ თბილისელი, მიმზიდველი, ხალისიანი მამაკაცი, მაქვს ბინა და მყავს მანქანა, გავიცნობ 38 წლამდე ქალს. 557509711. დათო
16. ვარ 37 წლის, თბილისელი მამაკაცი, სასიამოვნო გარეგნობის, გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 555675767. გიორგი
17. შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-40 წლამდე გოგოს, ქუთაისელს ან სამტრედიელს. 557622137
18. სამეგობროდ გავიცნობ ზედმეტად მგრძნობიარე და სათუთ გოგოს. 557541580
19. გავიცნობ თბილისელ, მარტოხელა, თბილ და ალერსიან, არამწეველ, გარეგნულად პუტკუნა და დიდმკერდიან 40 წლამდე ქალს. ვარ 23 წლის, მაღალი, სიმპათიური ბიჭი. 598978588. გიო
20. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 45 წლამდე ქალს, სასურველია თბილისში მცხოვრები, ვარ სპორტული და სიმპათიური აღნაგობის მამაკაცი. 551188165. ალეკო
21. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს, ვარ თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 557491234. გუგა
22. გავიცნობ 20 წლიდან ზემოთ ქალს შეხვედრებისთვის, ვარ 29 წლის. 557642816. ლაშა
23. ვარ 42/178/7, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, სერიოზული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც სურს შეიძინოს თბილი, ერთგული და ყურადღებიანი მეგობარი მამაკაცი. 593638594
24. სამეგობროდ გავიცნობ 32 წლამდე გოგოს დასავლეთიდან. 557199076
25. ვარ ქუთაისელი, დაოჯახებული ბიჭი, გავიცნობ ქუთაისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555577506
26. მეგობრული ერთიერთობისთვის გავიცნობ თბილ და მოსიყვარულე ქალს 30-42 წლამდე. ვარ რუსთაველი, სიმპათიური, უზრუნველყოფილი მამაკაცი. 598442471
27. ვარ 36 წლის მამაკაცი, თბილისელი, დასაქმებული, მაქვს სტაბილური შემოსავალი, ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ კარგ ქალს. 551553626. გიო
28. გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ გოგოს, მაქვს ბინა და დავეხმარები მატერიალურად, 593050806. ლაშა
29. გავიცნობ 45 წლამდე ბათუმელ ქალს, უანგარო ურთიერთობისთვის, დამირეკეთ ან დატოვეთ სმს. 555933489
30. ვარ მაღალი, ქერა, ცისფერთვალება, სიმპათიური მამაკაცი; გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის, მაქვს ბინა და მყავს ავტომანქანა. 557330883
31. ვარ თბილისელი, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ქალს. 598951103
32. გავიცნობ 35-45 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555562562
33. გავიცნობ 20-დან 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ქუთაისელს ან იმერეთის რომელიმე კუთხიდან. 599456981
34. ვარ სიმპათიური, 40 წლის თბილისელი მამაკაცი, ცოლს გაცილებული, სამეგობროდ გავიცნობ 40-დან 60 წლამდე ქალს. 555639450

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 29 წლის, ცოლს გაშორებული ბიჭი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, ბინიან, სიმპათიურ გოგოს. სკაიპი: jumanji84. 557659040
2. ვარ 33 წლის, თბილი და კარგი ხასიათის მამაკაცი 170/60, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 35 წლამდე თბილისელ, მიმზიდველ ქალს. 599902316
3. ვარ 31 წლის, მაქვს ჩემი ბიზნესი, ვცხოვრობ თბილისში მარტო, ოჯახის შექმნის მიზანით გავიცნობ 20-33 წლამდე, თუნდაც განათხოვარ გოგოს. 557514366
4. ვარ 185/82/38, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ქალიშვილ გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო
5. გავიცნრობ 25 წლამდე გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 24 წლის, სამსახურით და ყველანაირად უზრუნველოფილი. 599272648
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 45 წლამდე ქალს, თუნდაც განათხოვარს. ვარ სიმპათიური პიროვნება, მაქვს დიდი ბიზნესი. 551572010
7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გოგოს, ვარ მშრომელი. 598914919
8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ეკლესიურ, სუფთა წარსულის მქონე, ქალაქელ, დედისერთა ქალს. 555214874
9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27-დან 35 წლამდე გოგოს, ვარ დასაქმებული, არ გამომეხმაურონ განათხოვრები. 599442826
10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალს, ვარ დასაქმებული, 30 წლის, ვცხოვრობ მარტო. 557803113

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ 30-დან 35 წლამდე, თბილისელ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. 555422547
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ მამაკაცს 30-დან 35 წლამდე. 555422547

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ 20-35 წლამდე მამაკაცს სამეგობროდ, ვარ 24 წლის. 557589751

მიყვარხარ, მენატრები

გასან, როგორ ხარ, სიხ? მენატრები, შენ რომ ვერ გხედავ, მე ცუდად ვარ, იმედი მაქვს, მალე ჩემთან ერთად იქნები. გული მტკივა უშენოდ. მარად მიყვარხარ. გკოცნი. შოკო

ალეკო, ჩემო დახატულო, მენატრები, ნერვებს გაუფრთხილდი, არ ინერვიულო, უფალმა შეისმინოს ყველა შენი ფიქრები და სურვილები. უზომოდ მიყვარხარ, უთვალავ კოცნას გიგზავნი. ნინო

დავით, ხომ კარგად ხარ? მაგრად გვენატრები, ჩვენკენ ყველაფერი ძველებურადაა. ღმერთის წყალობით მალე ჩვენ გვერდით იქნები. ალეკო

დათ, 26-ში შემოვალთ შენს სანახავად, ყოველ წუთს შენზე ვფიქრობ, ჩემო ცხოვრების აზრო, შენ ჩემი დათი ხარ, ღმერთი გადმოგვხედავს. მიყვარხარ. თიკო

დათ, ჩემო სიყვარულო, უზომოდ მენატრები, უშენოდ არ შემიძლია, დღეებს ვითვლი, ჩემო ერთადერთო, მე ჭკვიანად ვარ. მიყვარხარ გულში.

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჰაიმე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ სმს „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 23 მარტის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნერეული, ჰომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერეული ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

ხანდახან წესების დარღვევა სასარგებლოა

ზოგიერთი წესის დარღვევა არამხოლოდ გასართობი, ასევე სასარგებლოა. რატომ? ამას ქვევით დაწვრილებით შეიტყობთ.

დაცემინეთ, ღმერთმა შეგიხაროთ

დაცემინების დროს ბაქტერიებისგან ვთავისუფლდებით. დაცემინების დროს პირზე ხელის აფარების ჩვევა (დედამ სწორედ ასე გვასწავლა) ცუდ სამსახურს გვიწევს — ბაქტერიები ხელისგულზე რჩებიან. ზოგჯერ ღირს გულიანად დაცემინება (მაგრამ საზოგადოებაში, უმჯობესია პირი ცხვირსახოცით დაიფაროთ).

ჭორაობა ჯანმთელობის სასიხარულოდ

რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ჭორაობა ცუდია, მაგრამ ზოგჯერ თავის შეკავება არ შეგვიძლია. ამერიკელმა მეცნიერებმა გამოავლინეს, ჭორაობა ქალებს სტრესის დაძლევაში ეხმარება.

ტკბილი უსაქმურობა

ზოგჯერ ძლიერ სასიამოვნოა მთელი დღე არაფრის კეთება, ზარმაცობა. ისვენებს არამხოლოდ სხეული, ასევე სულიც. მაგრამ ყურადღებით იყავით, მედალს მეორე მხარე აქვს — დროში გაჭიანურებული უსაქმურობა (მაგალითად, სამსახურის დაკარგვასთან დაკავშირებული) პირიქით, ფსიქიკას ვნებს.

იყვირეთ!

ძლიერ გაჯავრებული ხართ და გსურთ, რისხვა გადმოღვაროთ, მაგრამ აღზრდა ამის უფლებას არ გაძლევთ? სულ ტყუილუბრალოდ. ზოგჯერ ემოციების ამოფრქვევა საჭიროა, მაგრამ არა — გარშემომყოფებზე. გულში ჩახშობილი ემოციები ცუდი ჰორმონის — კორტიზოლის გაძლიერებულ გამომუშავებას იწვევს, ხოლო ხმამაღალი ყვირილი ამ პროცესს თრგუნავს.

დაღეჭეთ მოუხიდებლად

რეზინის მონოტონური ღეჭვა კუნთების დაძაბულობასა და სტრესს ხსნის, მოდუნებას ეხმარება.

ფეხები მაგიდაზე

კომპიუტერის წინ 8 საათი გაუნძრევლად ჯდომა, ხერხემალზე შენელებული მოქმედების ბომბის მსგავსად მოქმედებს. როგორ მოიქცეთ? კუნთები დაასვენეთ, ფეხები მაგიდაზე შემოაწყვეთ და ტკბილად გაიზმორეთ. ასეთი პაუზა ხერხემლისთვის მეტად სასარგებლოა.

კვებასთან დაკავშირებული შეცდომები

ჩვეულებრივ ყოველი ჩვენგანი უამრავ შეცდომას უშვებს, რომლებიც ხელს გვიშლიან, ჯანმრთელები და მოხდენილები ვიყოთ.

ტელევიზორის წინ ჭამა

დადგენილია, ტელევიზორის ცქერისა და საკვების მიღების შერწყმის შედეგად ადამიანი საშუალოდ 300-350 კკალორიით მეტს ჭამს. ეს ხდება იმიტომ, რომ დანაყრების გრძნობა არსებითად იგვიანებს და ადამიანი აუცილებელზე მეტ საკვებს მიირთმევს. მოცემულ სიტუაციაში მეორე ნეგატიური მოვლენაა საკვების ცუდად გადამუშავება.

საკვების მიღების გამოტოვება

ბევრი დაახლოებით ასეთი სქემით იკვებება: საუზმე — ყავა ბუტერბროდით ან კანფეტით, გვიანი სადილი ან საერთოდ მისი გამოტოვება და მეტად უხვი ვახშამი. შეგახსენებთ, რომ საჭმლის მომნელებელი ორგანოების ნორმალური მუშაობისა და შიმშილის გრძნობის გასაქრობად საჭიროა საკვების 5-6-ჯერ მიღება დღის განმავლობაში (საუზმე, სადილი, ვახშამი და მათ შორის ორი მცირე წახემსება).

ცივი ან ცუდად გაცხელებული პროდუქტების გამოყენება

დაბალი ტემპერატურა ყველა ბიოქიმიურ პროცესს აჩერებს. ტყუილად არ ვიდებთ ყინულს სილურჯესა და ნატკენზე, შეშუპება რომ არ გავრცელდეს. კუჭში მოხვედრილი ცივი საკვები მის მუშაობას არსებითად ანელებს, რაც, საბოლოო ჯამში, დროის გაზრდასა და საკვების გადამუშავების ხარისხს აქვეითებს.

ვახშმის დროის შერჩევა

აქ არსებობს ორი უკიდურესობა. პირველი — „6 საათის შემდეგ არაფერს შევჭამ“. მეორე უფრო ხშირად გვხვდება მამაკაცებში — „ბევრის და მაძღრისად ჭამა ძილის წინ“. გახსოვდეთ, ბოლო საკვების მიღება განისაზღვრება იმით, დასაძინებლად რომელ საათზე წვებით. უნდა ივახშმოთ დაძინებამდე 2,5-3 საათით ადრე. ჩვევას 6 საათის შემდეგ არაფერი ჭამოთ, მოჰყვება ის, რომ მთელი საღამო შიმშილის გრძნობა დაგტანჯავთ. ხოლო უშუალოდ ძილის წინ ჭამით საჭმლის მონელებას პრობლემას უქმნით, ვინაიდან ღამით ყველა სისტემისა და ორგანოს მუშაობა ნელდება — ჩვენი ორგანიზმი ისვენებს.

ჭამის ჩვევა ძლიერი ემოციური განცდების დროს

ეს შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ემოციები. უკანასკნელ შემთხვევაში ხშირად ამბობენ: „პრობლემის შეჭმა“. ამის სათავე, რა თმა უნდა, ბავშვობიდან მოდის. პატარამ ტირილი რომ შეწყვიტოს, „მზრუნველი“ მშობლები, ბებია და ბაბუა თავის მოვალეობად თვლიან, რაიმე გემრიელი (კანფეტი, „პეჩენია“ და ა.შ.) მისცენ. ასაკთან ერთად ადამიანში ფორმირდება მყარი ჩვევა: ცუდის დროს უნდა ჭამოს. იგივე ხდება, როდესაც ბავშვს აქებენ და ამას ტკბილის მიცემით ამაგრებენ: „ყოჩაღ, შენ ეს დაიმსახურე!“. მოზრდილ ადამიანში კავშირი „ემოცია — ჭამა“ მთელი ცხოვრების მანძილზე ინახება.

ალბათ ბევრისთვის ნაცნობი სიტუაციაა, სახლში დაბრუნებისას მაღაზიაში რომ შევივლით და კანფეტს, ნაცხვარს, შოკოლადს ვყიდულობთ თან გულში თავს ვეუბნებით: „დღეს ეს დავიმსახურე“, ან „დღეს ცუდად ვარ, თავი უნდა გავინებივრო“.

როგორც წესი, ემოციურად აგზნებულ ადამიანს შთანთქმული საკვების გაკონტროლება უჭირს და პრაქტიკულად ზედმეტს ჭამს. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სტრესის დროს ჩვენი ორგანიზმის რესურსები მიმართულია არა საკვების გადამუშავებისკენ, არამედ პრობლემის დაძლევისკენ. ამ პერიოდში საკვები ნელა გადამუშავდება.

მაქონიზირებელი როზმარინი

ერომატული როზმარინი არამხოლოდ სანელებლად გამოიყენება, ის სასარგებლო ნივთიერებების ნამდვილი ჭაა. ძალის გამოლევის, თვლემის, ასევე დაძაბული დღის შემდეგ როზმარინის ჩაი დალიეთ.

1 ჩაის კოვზ როზმარინის ფოთლებს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით, ნახევარი საათი დადგით. შემდეგ ნაყენი ცხელი წყლით გააზავეთ და დალიეთ, როგორც ჩაი.

როზმარინის ღვინო შესანიშნავია ძალის სწრაფად აღსადგენად ან გადატანილი სტრესის შემდეგ დასამშვიდებლად.

20 გრამ (დაახლოებით 4 სუფრის კოვზი) როზმარინის ქორფა ფოთლებს 0,5 ლიტრი წითელი ღვინო დაასხით, 5-6 დღე დადგით, გაწურეთ, მუქი ფერის ბოთლში გადაიტანეთ და თბილ ადგილას შეინახეთ. ასეთი ნაყენის 50 გრამი საკმარისია თავის ტკივილის მოსახსნელად, საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, ენერგიით დასამუხტად. თუ კუნთები გტკივათ ან დაგეჟეჟათ, მაშინ ცხელ წყალში დარბილებული როზმარინის ფოთლების კომპრესი გაიკეთეთ. ტკივილი სწრაფად გადის.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

■ მამა გიორგი

კითხვები მოძღვარს

„ადამიანი თუ სეფისკვერსა და ნაკურთხ წყალს იღებს, ბოროტი არ ეკარება“

„ითხოვდით და მოგეცემათ“, „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“ — ეს სახარებისეული სიტყვები გვარწმუნებენ, რომ სულის გადასარჩენად მონდომება და ჭეშმარიტების შემეცნების მძაფრი სურვილია საჭირო. კითხვები, რომლებიც ყველა მორწმუნეს შეიძლება გაუჩნდეს სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით, მოძღვრის პასუხებს საჭიროებს, რომელიც მედიატორია ადამიანსა და ღმერთს შორის. მაგალითად, ხშირად ჩნდება ასეთი კითხვები: არსებობენ თუ არა მოჩვენებები? რამდენად სარწმუნოა რეინკარნაცია? შეიძლება თუ არა მართლმადიდებლისა და სხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანების ქორწინება?.. ამ საკითხებზე გვესაუბრება წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე).

— მამაო, შესაძლებელია თუ არა ჯვრისწერა მართლმადიდებელსა და კათოლიკეს შორის სარწმუნოების შეცვლის გარეშე?

— ჯვრისწერა არის საეკლესიო საიდუმლო და მასში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ მართლმადიდებელს, ამიტომ კათოლიკესთან ჯვრისწერა მართლმადიდებლური წესით შეუძლებელია. ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესია არ აკურთხებს თავის შვილებს მწვალებლებთან ჯვრისწერაზე.

— რა აზრისაა ეკლესია რეინკარნაციასთან, სულთა გადასახლებასთან დაკავშირებით?

— აცნობიერებს თუ არა ადამიანი საკუთარი სულის უკვდავებას, გულის სიღრმეში ხვდება, რომ სულის არსებობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მიწიერი ცხოვრების მოკლე სარბიელით. ჭეშმარიტებას განშორებული ადამიანი ცდილობს, სულის სიღრმიდან მომავალი ეს ხმა შემოსოს კაცობრივი გრძნობით თუ ეშმაკისეული შეგონებით შექმნილი ფილოსოფიურ-ცრუსარწმუნოებრივი შეხედულებებით. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა არის რეინკარნაციის, ანუ მეტაფსიქოზის იდეა. ამ იდეის თანახმად, ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ გადადის მიწიერი ცხოვრების სხვა ფორმაში. კვლავ იბადება ადამიანად, ცხოველად, მცენარედ — იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვლო მან წინა ცხოვრება, როგორ მიუახლოვდა სრულყოფილებას.

მსგავს შეხედულებებს მიმდევრები ჰყავს როგორც მეცნიერებაში (პითაგორა), ასევე სხვადასხვა რელიგიაში. რეინკარნაციას აღიარებს ინდუიზმი, ისლამის ცალკეული განშტოება (ალავიტები), თალმუდიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი, კაბალა. რეინკარნაციის მსგავსი იდეა არის ბუდიზმში, ოღონდ იქ საუბარია არა ადამიანის სულზე, რომელსაც ბუდიზმი არ ცნობს, არამედ ცნობიერებაზე.

— ამ მხრივ რას გვასწავლის ბიბლია, ქრისტიანობა?

— წმინდა წერილში არსად არის მინიშნება რეინკარნაციის შესაძლებლობაზე. ბიბლიის თანახმად, ადამიანის ცხოვრება უნიკალურია, არ მეორდება. მიწიერი ცხოვრების შემდეგ კი მას ელოდება მისაგებელი გატარებული ცხოვრების და სულის მდგომარეობის შესაბამისად. რეინკარნაციის იდეა უაზრობად წარმოაჩენს სასუფევლის და ჯოჯოხეთის არსებობას. მართლაც, თუ ადამიანს ძალუძს ისევ და ისევ დაბრუნება სხვა სახით და აქვს მუდმივი შესაძლებლობა, გახდეს უფრო სრულყოფილი, მაშ ვინ იმკვიდრებს ჯოჯოხეთს? რისგან გვიხსნა უფალმა, თუ ჩვენ თვითონვე შეგვეძლო გამოგვესყიდა წინა ცხოვრების ცოდვები შემდეგ ცხოვრებაში? ან როდის უნდა მოხდეს ნაწინასწარმეტყველები აღსასრული სოფლისა? მავანს უჭირს გაგება,

„ჩვენი ცხოვრების წესი უნდა გამოხატავდეს იმისკენ სწრაფვას, რასაც ღოცვაში ვითხოვთ. ოღონ იფიქრეთ ეროვნებისა და ცხოვრებისა, ღოცვაც გვენგრევა. ასეთ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა დავფიქრდეთ, ვცხოვრობთ ისე, რომ ღოცვის კადნიერება გვქონდეს?“.

რატომ იტანჯებიან, ერთი შეხედვით, უცოდველი ადამიანები, ბავშვები და ამის ახსნას წინა ცხოვრების ცოდვებში ეძებს.

ზოგიერთი ცდილობს, დაინახოს მეტაფსიქოზის მოვლენის მტკიცებულება წმინდა წერილში. ყველაზე ხშირად არგუმენტებად გვესმის წმინდა იოანე ნათლისმცემელზე თქმული მაცხოვრის სიტყვები: „გეტყვი თქუენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რაოდენი უნდა“ (მთ. 17,12).

ცნობილია, რომ უფლის დიდებით მოსვლას წინ უნდა უძღოდეს ელია წინასწამეტყველის მოსვლა, ხოლო განკაცების ჟამს წინამორბედის ფუნქციას აღასრულებდა იოანე ნათლისმცემელი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ელია წინასწარმეტყველი ცოცხლად იქნა ზეცად ატაცებული, რეინკარნაცია კი ერთი სიცოცხლის შემდეგ მეორეში გარდასვლას გულისხმობს და არა — ერთი სულის მიერ ორი სხეულის ერთდროულად ფლობას.

მეტაფსიქოზის იდეა იმდენად უცხოა ქრისტიანობისათვის, რომ წმინდა მამები ამ თემაზე არ წერდნენ საგანგებო შრომებს. მასზე საუბარი უფრო ბოლო დროის ინტელიგენციის ფენაში დაიწყეს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დიდი ნაწილი მიწიერ მეცნიერებებშია განსწავლული, ქრისტესაგან განდგომილი ადამიანები მოიხიბლნენ ინდუიზმით, ბუდიზმით და ოკულტიზმით. საქართველოში ამ იდეის გავრცელებას ხელი შეუწყო. ასე რომ, რეინკარნაციას არაფერი აქვს საერთო ბიბლიისეულ ჭეშმარიტებასთან. მეტიც, მიწიერი ცხოვრების არსის ქრისტიანულ გააზრებას ეწინააღმდეგება.

— არის თუ არა სერიოზული ცოდვა, როდესაც მორწმუნე ღოცვებს ვერ კითხულობს სრულად და მხოლოდ დილა-საღამოს მოკლე ღოცვას ანერებს?

— ასე ვიტყოდი: იმდენად ცოდვა არ არის, რამდენადაც ცოდვის შედეგი და შემდგომი დაცემის წინაპირობა. შეიძლება სულაც არ უძღოდეს ღოცვის მოშლას რაიმე სასიკვდილო ცოდვა, მაგრამ ხშირად მცირეოდენი დაუდევრობაც კი საკმარისი ხდება ამისთვის. განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ღოცვის შემოკლება, როცა ადამიანი ნებსით თანხმდება თუნდაც მცირეოდენ ცოდვას, მიდის კომპრომისზე. მსგავს შემთხვევაში უნდა დავფიქრდეთ მიზეზებზე. მეტისმეტად ხომ არ ჩავეფალით გრძნობადში, ხომ არ მივუშვით თავი ისეთი რამის საყურებლად, მოსასმენად, სალაპარაკოდ, რაც შეიცავდა ცოდვას. განსაკუთრებით ანგრევს ღოცვას განკითხვა, უჯერო სიცილი, ოცნება. ერთი სიტყვით, ცხოვრების სერიოზული გადახედვა და დაწვრილებითი აღსარებისათვის უსწრაფესად მომზადება გვჭირდება.

ღოცვის აღდგენისათვის საჭიროა გულმოდგინება. გამოვნახოთ დრო ღოცვისათვის, დილით ცოტათი უფრო ადრე ავდგეთ; ღოცვის დაწყებამდე დავმშვიდდეთ, მივატოვოთ ფიქრი მიწიერ საზრუნავზე; თუ მოხერხდა, ცოტა რამ მაინც წავიკითხოთ წმინდა წერილიდან ან მამათა სიტყვებიდან; ღოცვის პირველი სიტყვებისთანავე ვეცადოთ, მთელი ყურადღება ჩაიკეტოს ღოცვის სიტყვებში, არაფერზე ვიფიქროთ, რაოდენ წმნიდა აზრებიც უნდა მოგვდიოდეს; ღოცვა ვიკითხოთ აუჩქარებლად, დაბალ ხმაზე, რომ ჩვენ თვითონვე გვესმოდეს; აჩქარებით, მოსწრებაზე ღოცვის კითხვას აჯობებს, შევამოკლოთ, მაგრამ მშვიდად წავიკითხოთ.

არ შეგვაშინოს გამფანტველი აზრების შემოტევამ. ამით ბოროტი ცდილობს, ღოცვას მოგვწყვიტოს. მას კი სწორედ ღოცვით გავექცევით. ცალკეულ ღოცვებს შორის რამდენიმე იესოს ღოცვის თქმაც დაგვეხმარება ყურადღების მოკრეფაში. ღოცვის შემდეგ კი უმალ არ ჩავეფლოთ ყოფით საქმეებში, თუ ამის დრო გვაქვს. ძალიან საჭიროა წმნიდა წერილის და მამათა სწავლების ყოველდღიური კითხვა. ერთი სიტყვით, ზოგადი სულიერი დისციპლინა ღოცვის მძლავრი საყრდენია.

ღოცვა ადამიანის სულიერი ცხოვრების საზომიცაა და საწინდარიც. მის ძალას უფალი გვაძლევს. ჩვენი ცხოვრების წესი უნდა გამოხატავდეს იმისკენ სწრაფვას,

„ჩინეთის ინკვიზიციის იდეა უაზრობად წარმოაჩენს სასუფევლის და ჯოჯოხეთის არსებობას. მართლაც, თუ ადამიანს ძალუძს ისევ და ისევ დაბრუნება სხვა სახით და აქვს მუდმივი შესაძლებლობა, გახდეს უფრო სრულყოფილი, მაშ ვინ იმკვიდრებს ჯოჯოხეთს? რისგან გვიხსნა უფალმა, თუ ჩვენ თვითონვე შეგვეძლო გამოგვესყიდა წინა ცხოვრების ცოდვები შემდეგ ცხოვრებაში?“.

რასაც ღოცვაში ვითხოვთ. როცა ირღვევა ერთობა ღოცვისა და ცხოვრებისა, ღოცვაც გვენგრევა. ასეთ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა დავფიქრდეთ, ვცხოვრობთ ისე, რომ ღოცვის კადნიერება გვქონდეს? იქნებ ისეთ რამეს ვიწყნარებთ, რაც ანგრევს ღოცვას? არის თუ არა ღოცვის შემოკლება ცოდვა?

— რა სარგებლობა მოაქვს სეფისკვერსა და ნაკურთხი წყლის მიღებას?

— როდესაც ადამიანი სეფისკვერსა და ნაკურთხ წყალს იღებს, ბოროტი სული აღარ ეკარება, სული და ხორცი იკურთხება, ფიქრები ნათლდება ღმრთისათვის სათნო-

Cyan Magenta Yellow Black

ყოფის სურვილით და ადამიანი მარხვის, ლოცვისა და ყოველგვარი სათნოებისათვის განეწყობა.

— სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში ხშირად გვაჩვენებენ, რომ სახლებში გარდაცვლილი ადამიანების სულები ცხოვრობენ, რომლებიც იქ მობინადრეებს ეცხადებიან. უცხოეთში სპეციალური სამსახურებიც არსებობს, იკვლევენ სპეციალური აპარატურით და ა.შ. როგორია ეკლესიის პოზიცია, არის თუ არა შესაძლებელი, მართლაც დარჩნენ დედამიწაზე ადამიანთა სულები?

— „პური და სანახაობა“ — გაიძახოდნენ ძველი რომაელები. დღევანდელი ადამიანიც იმავეს ამბობს, იმავე წარმართული იდეალებით ცხოვრობს, ამიტომ მას ეძლევა სანახაობა, მაგრამ უკვე არა — ისეთი, როგორიც რომაელებს ჰქონდათ, არამედ მისტიკური და უფრო დამანგრეველი სულისათვის. დღევანდელი სანახაობრივი ტექნოლოგიები ამისათვის დახვეწილ საშუალებებს იძლევა. ადამიანი იღებს იმას, რასაც ეძებს. ბოროტი მასკარადებს გვიწყობს, ოღონდ როგორმე მიიზიდოს ჩვენი ყურადღება, დატვირთოს დემონური ემოციებით, დაძაბოს შიშით, გაურკვევლობით, უსუსურობის და უიმედობის შეგრძნებით.

ვინ ეჩვენება ადამიანს მოჩვენებების სახით? ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ეს არც მიცვალებულთა სულებია

„ეკლესია არ აუკრძალავს თავის შვილებს მნვალებლებთან ჯვრისწერაზე“.

და არც ანგელოზები. მიცვალებულთა სულები წუთისოფლიდან გასვლის შემდეგ არ ბრუნდებიან. თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევებს ვიცნობთ, როცა ღმრთის მიერ დაშვებულ იქნა გარდაცვლილთა სულების (არამხოლოდ წმინდანთა) გამოცხადება, რათა სულიერი სარგებლობა მიეღოთ ადამიანებს. ყოველ ასეთ შემთხვევას მკაფიოდ განსაზღვრული და განცხადებული დანიშნულება ჰქონდა.

ასევე ვიცნობთ შემთხვევებს, როცა ანგელოზი მოავლინა უფალმა. აქაც მათ გამოცხადებას ჰქონდა კონკრეტული მისია. დემონური სასწაულები კი ხასიათდება ბუნდოვანებით, გაურკვევლობით, ზოგჯერ კი — დაშინებით. ისინი ინვევენ გაოგნებას, შიშს, მაგრამ არაფერს გვაძლევენ სულისათვის სასარგებლოს. მათი მიზანი არის ადამიანთა ყურადღების მოწყვეტა სულისათვის სასარგებლო და აუცილებელი საკითხებიდან.

მამათა ცხოვრებიდან ვიცით მრავალი შემთხვევა, როცა ეშმაკი ევლინებოდა ხალხს ადამიანების, ანგელოზების და თვით მაცხოვრის სახითაც კი. ვფიქრობთ, ამის შემდეგ არ უნდა გვიკვირდეს „მიცვალებულთა სულების“ გამოჩენა. მაცხოვარიც, მოციქულებიც, წმიდა მამებიც გვასწავლიან, რომ საყოველთაო განდგომილების და აღსასრულის მოახლოებისას გამრავლდება ცრუ სასწაულები. იმდენად ძლიერი და აუხსნელი იქნება ეს მოვლენები, რომ ადამიანები გაოგნებას მიეცემიან და რჩეულებიც კი შეირყევიან. ამისაგან თავის დასაცავად, ყურადღება უნდა მოვაცილოთ ცრუ სასწაულებს, არ ვეცადოთ, ავხსნათ ადამიანური გონებით ის, რაც სულიერი სამყაროს გამოვლინებას მიეკუთვნება.

ხე ნაყოფით იცნობა. რა არის ნაყოფი ასეთი მოვლენების გამოძიებისა? განა გვაახლოებენ ისინი ჭეშმარიტებას? და თუ არა, რატომ ვუთმობთ მათ დროს, ყურადღებას, როცა ღმრთის შემეცნების აუთვისებელი ზღვაა ჩვენ წინაშე?

✓ **მანანა ნოდია**

როგორ გახდა ყოფილი ფანკისტი ქართველ ჯარისკაცთა სულიერი მამა

სამხედრო ჯარიდან მღვდელმსახურებამდე

მამა დავითი (ლონდარიძე) თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. მისი სასულიერო მოღვაწეობა დაახლოებით 10 წელს ითვლის, მანამდე კი საინტერესო სამხედრო კარიერა განვლო. ცხოვრებაში ორჯერ მოუწია სერიოზული არჩევანის გაკეთება და ორივეჯერ რთულ, საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდა. პირველად, როდესაც სამხედრო პირი გახდა, მეორედ კი, როდესაც მღვდლად ეკურთხა. თვლის, რომ ეს ორი სამსახური გარკვეულწილად ერთმანეთს ჰგავს, ორივე დიდ სიყვარულზე, თავდადებასა და მოწოდებაზეა დაფუძნებული.

თავიდან დავითს მღვდლობაზე არასოდეს უფიქრია, არც ეკლესიაში დადიოდა, ბავშვობაში ბებიამ მიიყვანა რამდენჯერმე. მის პიროვნებაში პირველი გარდატეხა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა მოახდინა. იქ ნანახი საშინელება ვერ დაივიწყა. გამუდმებით ფიქრობდა და ცდილობდა, ამოეხსნა, თუ რატომ დამარცხდნენ. ბოლოს მიხვდა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი იყო ის, რომ ქართველ ჯარისკაცებს არ ჰქონდათ საკმარისი რწმენა. წლები გავიდა და 40 წლის ასაკში მამა დავითი შეგნებულად პირველად მივიდა ტაძარში. როგორც თავად აღნიშნავს, შევიდა და იქიდან აღარც გამოსულა. ამ საინტერესო გზასა და განვლილ ცხოვრებაზე თავად გვესაუბრება.

— ჩემს განვლილ გზაზე მეც ხშირად ვფიქრობ. რაღაც უცნაური გზა გამომივიდა ისევე, როგორც ყველა იმ სასულიერო პირს, ვინც ეკლესიაში მიდის. ადამიანების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, თავს გადახდენილი ამბების შემდეგ მიდიან იმ აზრამდე, რომ ხსნა ეკლესიაშია. ტაძარს 40 წლის ასაკში დავუკავშირდი და იქიდან აღარ გამოვსულვარ.

მე პროფესიით სამხედრო ვარ და იმ ყველაფერმა, რაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში ვნახე და გადავიტანე, ჩემზე ძალიან იმოქმედა. ჩემ თვალწინ დიდი ტრაგედია ტრიალებდა. ყველაზე მტკივნეული კი იყო დამარცხება, ამდენი დახოცილი ადამიანი და ა.შ. წლების განმავლობაში ამაზე ხშირად ვფიქრობდი. გარკვეული აზრი ჩამომიყალიბდა, რომელიც არანაირად, არც მეცნიერულად და არც ისტორიულად არ აიხსნება და ღვთის ნებით მოდის. ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, რომ უფრო ღრმად ჩამეხედა რელიგიის არსში.

2000 წელს მივედი ეკლესიაში და მას მერე ასე მოვდივარ. ჯერ მხოლოდ აღმსარებელი ვიყავი, დავიწყე წმინდა წიგნების კითხვა, პარალელურად სამხედრო სტრუქტურაში ვმუშაობდი. ეკლესიაში დავდიოდი, როგორც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი. მღვდლობაზე ფიქრი თავში არც კი გამივლია.

„ჯარისკაცის პირდაპირი მოვალეობა არის, რომ იბრძოლოს მისთვის, ვისაც არ იცნობს; თავი დასდოს მისთვის, ვინც არც კი უნახავს. ასეთივეა სასულიერო პირის მოვალეობაც, ამიტომაც ვთვლი, რომ ღვთის და სამშობლოს სამსახური, ორივე ძალიან დიდ სიყვარულს, მონდომებას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ეს მთავარია, ორივე მსახურება დიდ ისჯთან არის დაკავშირებული“.

— როგორ ცხოვრობდა თქვენი ოჯახი რელიგიურობის მხრივ ეკლესიაში დადიოდა?

— ძალიან პატარა ვიყავი, ალბათ 4 წლის, როდესაც ბებიაჩემმა დიდუბის ეკლესიაში ბზობის დღესასწაულზე წამიყვანა. მახსოვს ხალხი მწვანე ბზით ხელში. ბებია რომ გარდაიცვალა, ეკლესიაში აღარ მივლია. არც დედ-მამა იყვნენ მორწმუნეები. მათი თაობა, სამწუხაროდ, არ იყო დაკავშირებული ეკლესიასთან, თანაც ჩემი ოჯახი რეპრესირებული იყო და რელიგიის თემას გაურბოდნენ კიდევაც. ბაბუაჩემი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი იყო. სამჯერ გადაასახლეს, მის ოჯახს აწიოკებდნენ, ბიძაჩემი და მამაჩემი უნივერსიტეტიდან გამოყარეს. ჩვენს საგვარეულოში სასულიერო პირი არავინ ყოფილა, პირველი მე ვიყავი. ამის შემდეგ კი ჩემი ოჯახის წევრებმაც დაიწყეს ტაძარში სიარული და დღეს ყველანი ჩართული არიან — ჩემი მეუღლე, შვილები, ჩემი ძმის ოჯახი.

— წლების შემდეგ, როდესაც შეგნებულად მისულხარ ტაძარში, ეს ნაბიჯი თავად გადადგით თუ ვინმემ გადაგაწყვეტინათ იქ მასელა?

— ეკლესიაში პირველად ჩემმა პატარა მეგობრებმა მიმიყვანეს, რომლებიც ჩემზე 10-15 წლით უმცროსები არიან. ისინი სულ მეუბნებოდნენ, ტაძარში რატომ არ ხარო. რადგანაც ეკლესიაში ბევრი ხალხი იყო, მე უხერხულად ვიყავი. შემდეგ დიდ დიღომში, სკოლის შენობაში, სამლოცველო სახლი გაიხსნა და იქ თავისუფლად ვიყავი, რადგან ცოტა ხალხი ტრიალებდა. ასე შევედი და შევედი. ჩემი პირველი აღსარება, ზიარება — ყველაფერი იქ დაიწყო. მეგობრები დაჟინებით მთხოვდნენ, ეკლესიაში მევლო და ამ მეთოდმა გაჭრა, თუმცა ვთვლი, რომ ასეთი დაჟინება ყოველთვის არ ჭრის. რაც უნდა უთხრა ადამიანს, თუ მას არ გაუჩნდა ამის სურვილი, მაინც არ გააკეთებს. გარკვეული ბიძგი კი მაინც სჭირდება, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას. მეც ალბათ გარკვეულწილად მეგობრების ხათრით მივედი ტაძარში, რადგან ამდენი ხანი მეხვეწებოდნენ. ხოლო, როდესაც იქ მივედი, აღმოვაჩინე, რომ ეს იყო ჩემი სულიერი მოთხოვნილება.

— გასესხეთ ის მომენტი, როდესაც გააცნობიერეთ, რომ მღვდლობა გინდოდათ.

— ერთხელ ჩემმა მოძღვარმა მითხრა, სიონში წადი და იქ იმსახურეო, რაც ძალიან გამიკვირდა. არასოდეს მიფიქრია, სასულიერო პირი გავმხდარიყავი. შემდეგ უკვე უწმინდესმა და უნეტარესმა მითხრა, შენ უნდა წაჰყვე ჯარს ერაყში, ოღონდ არა როგორც სამხედრო, არამედ როგორც მოძღვარო . ამ ამბავმა ჩემს ოჯახშიც საოცარი რეაქცია გამოიწვია. უარის თქმა ვერ გავბედე და წავედი.

→74

Cyan Magenta Yellow Black

მაშინ მღვდლად მხოლოდ 3 თვის ნაკურთხი ვიყავი. იქ, როგორც მღვდელმა, სამხედროებთან ურთიერთობის დიდი პრაქტიკა გავიარე. ორგანიზაცია უკვე შექმნილი დამხვდა, ჯერ მეუფე გრიგოლი იყო მისი ხელმძღვანელი, შემდეგ მამა ზაქარია (მაჩიტაძე), მერე კი მე დამნიშნეს. იმ პერიოდიდან დღემდე კათოლიკოს-პატრიარქთან ხშირი ურთიერთობა მაქვს. ჩვენი ჯარისკაცები ყოველ კვირას სამების საკათედრო ტაძარში ლოცვებს ესწრებიან. უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს ძალიან უხარია, როდესაც მის წირვაზე მდგარ 100 ჯარისკაცს ხედავს. ცდილობს, ისინი რამით გაახაროს, ხან სანთლებს გადასცემს, ხან ხატებს. ზოგჯერ შოკოლადებსაც კი ჩამოურიგებს ხოლმე, როგორც პატარა ბავშვებს. ჩვენს ბიჭებს კი ორმაგად უხარიათ ის, რომ ცოცხალ ისტორიას ეხებიან და ეს ცოცხალი ისტორია ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქია. მხოლოდ მისმა სიტყვებმა და მისდამი მორჩილებამ გადამადგმევინა ასეთი ნაბიჯი, მან დამარწმუნა, მოძღვარი გავმხდარიყავი.

— რა გზა განვლეთ სამხედრო სფეროში?

— ერთ-ერთი პირველი გვარდიელი ვარ და ამ ყველაფრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მივიღე. შემდგომში უკვე თავდაცვის სტრუქტურაში სხვადასხვა საქმიანობას ვეწეოდი. ის ყველაფერი, რაც მე სამხედრო სფეროში ვისწავლე და გამოცადე, სასულიერო სამსახურში ძალიან გამომადგა, ჩემს სულიერ შვილებთან ურთიერთობა უფრო მიადვილდება. ვიყავი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში. მე ტანკისტი ვარ და ჩემი კარიერის ბოლო საფეხური ის იყო, რომ ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსი ვიყავი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ სამხედრო ოპერაციაში, სადაც ტანკი იყო საჭირო, მეც ვიყავი. ტანკების მომზადება, შეკეთება, ეკიპაჟის მომზადება მე მეხებოდა.

დღეს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ჯარებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი და რელიგიურ საკითხებში გაერთიანებული შტაბის მრჩეველი ვარ. უზნაძის ქუჩაზე არსებული მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი გახლავართ. ახლა, რადგანაც ამ ეკლესიაში მშენებლობა მიმდინარეობს, დროებით წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ვარ.

— ვიცით, რომ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს, გვიამბეთ ამაზე.

— ნამდვილად. იგი 1857 წელს აშენდა, როდესაც იქ პირველი რუსული სამხედრო ბაზა გაჩნდა. ამ ტაძარში რუსეთის იმპერატორიც არის ნამყოფი. იქ რუსი მამები მსახურებდნენ. შემდეგ ეკლესიას ფუნქციები ბევრჯერ შეეცვალა. კომუნისტების მმართველობის დროს იქ ხან თეატრი იყო, ხან კინოთეატრი. ევროპული ტიპის დარბაზული ეკლესია იყო, რომელსაც ქართული სახე საერთოდ არ ჰქონდა. ახლა კი მისი გადაკეთება მიმდინარეობს, რათა ქართული სახე მიიღოს. არქიტექტურა მთლიანად შეიცვალა და ბაზილიკური ფორმის იქნება. ამ პროცესში ჩვენი დღევანდელი სამხედრო ხელისუფლება ძალიან დიდ როლს ასრულებს და ყველაფერში გვერდით გვიდგანან. სააღდგომოდ ყველაფერი დასრულდება და ტაძრის საზეიმოდ გახსნას ვაპირებთ.

— რა პარალელების გაკეთება შეიძლება სამხედრო სამსახურსა და ეკლესიის მსახურებას შორის?

— მათ შორის დიდი კავშირი აღმოვაჩინე. სამხედრო და სასულიერო პირები იმით გამოირჩევიან, რომ მათ თავიანთი შესამოსელი აქვთ, რითაც სხვებისგან განსხვავდებიან. სამხედრო პირიც მსახურია და სასულიერო პირიც. მუშაობა სხვა რამეა და მსახურება — სხვა. ეს უკანასკნელი უფრო მაღალ რანგს ითხოვს და განსაკუთრებული სიყვარულის ხარისხს ნიშნავს, რომელიც პროფესიულ მოვალეობაშია ჩადებული. სახარებაში უფალი ამბობს: „უმეტესი სიყვარული არა აქუს, რომელმაც დასდოს სული თვისი მოყვასსა თვისთათვის". ეს უმაღლესი მოწოდებაა, რასაც ყველა პროფესიის წარმომადგენელს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ჯარისკაცის პირდაპირი მოვალეობა სწორედ ეგ არის, რომ იბრძოლოს მისთვის, ვისაც არ იცნობს; თავი დასდოს მისთვის, ვინც არც კი უნახავს. ასეთივეა სასულიერო პირის მოვალეობაც, ამიტომაც ვთვლი, რომ ღვთის და სამშობლოს სამსახური, ორივე ძალიან დიდ სიყვარულს, მოწოდებას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. რაც მთავარია, ორივე მსახურება დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

„ქართველებმა ჩვენი გზა ვიპოვეთ, რომელიც უფლისჯენ მიდის და ახა — აღმოსავლეთისჯენ ან დასავლეთისჯენ".

„მივხვდი, რომ მე ვიყავი სწორედ ის, ვინც ქედმაღლობით, ამპარტავნობით, ჩემი ტანკისა და თოფის იმედით მივდიოდი სამშობლოს დასაცავად. მივხვდი იმასაც, რომ მხოლოდ ეს არ კმარა, საჭირო იყო საღვთო შეწევნა და შინაგანი მადლი, რომელიც ჯარისკაცს ომისკენ უნდა მიუძღოდეს. ქართველ ჯარისკაცებს კი სწორედ ეს გვაკლდა.

— დღეს თქვენ პირდაპირი კავშირი გაქვთ ჯარისკაცებთან, სართ სამხედრო მღვდელმსახურთა გაერთიანების წარმომადგენელი. განგაკმარტეთ, ამ გაერთიანებას რა მისია აქვს.

— წლების წინ საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამხედრო მღვდელმსახურთა გაერთიანება ჩამოაყალიბა და მასში მეც გამომარჩია. როდესაც უწმინდესმა და უნეტარესმა ეს ორგანიზაცია შექმნა, მისი მიზანი იყო, რომ მღვდლებსა და ჯარისკაცებს პირდაპირი კავშირი ჰქონოდათ. იმ მოძღვრებმა, რომლებმაც ომები გამოიარეს, ყველაზე კარგად იციან, როგორი რთულია ჯარისკაცის ცხოვრება და ის, რომ მხოლოდ მონდომება და სულისკვეთება კი არა, რელიგიური ფაქტორიც არის საჭირო. ამიტომაც ამ ორგანიზაციის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯარისკაცს საღვთო გააზრება უნდა ჰქონდეს სიკვდილ-სიცოცხლისა, ანუ რისთვის კვდება და რისთვის უნდა იცოცხლოს. მას შეგნებული უნდა ჰქონდეს ის, თუ რისთვის იბრძვის, რადგან ამის გარეშე ბრძოლა გაუჭირდება. მარცხიცა და გამარჯვებაც რელიგიურ კონტექსტში უნდა დავინახოთ.

მადლობა ღმერთს, რომ ამჟამად გვაქვს საშუალება, იმ იდეას ვემსახუროთ, რაც ორგანიზაციას თავდაპირველად ჰქონდა. სამხედრო მომზადებებში ღვთის სიტყვის ქადაგება შევიდა. ამ საქმეს 25 მღვდელი ემსახურება. ყველანი სამხედრო ნაწილში დავდივართ და ჯარისკაცებს სულიერად ვამზადებთ. ფიზიკურ მომზადებასთან ერთად სულიერი მომზადებაც აუცილებელია. ჩვენს ჯარს, ჩვენს ბიჭებს ექადაგებათ სამშობლოს სამსახური, სამშობლოს და უფლის სიყვარული.

— რამდენად განსხვავებულია თქვენი მრევლის ის ნაწილი, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანები კი არა, ჯარისკაცები შეადგენენ?

— ჯარისკაცები აბსოლუტურად განსხვავებული ფსიქოტიპები არიან. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად უფრო ცივები და უხეშები ჩანან, ძალიან ფაქიზი სული აქვთ. მათ ჩვენი, სულიერი მამების გვერდში დგომა სჭირდებათ, რადგან საკმაოდ რთულ, ამასთანავე საამაყო გზაზე დგანან. როგორღაც ვცდილობთ, რომ მათ სულ სხვა კუთხით დავანახვოთ ყველაფერი და ის საქმე, რასაც ემსახურებიან.

— თქვენი ოჯახი ვისგან შედგება?

— ბიოლოგიური შვილები არ მყავს,

■ მამა დავითი

„მივხვდი, რომ მე ვიყავი სწორედ ის, ვინც ქედმაღლობით, ამპარტავნობით, ჩემი ტანკისა და თოფის იმედით მივდიოდი სამშობლოს დასაცავად. მივხვდი იმასაც, რომ მხოლოდ ეს არ კმარა, საჭირო იყო საღვთო შეწევნა და შინაგანი მადლი, რომელიც ჯარისკაცს ომისკენ უნდა მიუძღოდეს. ქართველ ჯარისკაცებს კი სწორედ ეს გვაკლდა".

„ქართველებმა ჩვენი გზა ვიპოვეთ, რომელიც უფლისჯენ მიდის და ახა — აღმოსავლეთისჯენ ან დასავლეთისჯენ".

← 7

ჯამება მათ გარეშე მომიწევს. ჩემი ბოლო სპექტაკლებიდან პატარ-პატარა ეპიზოდებს ვითამაშებ. ამ ყველაფერს ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა უდგას სათავეში. იმედი მაქვს, რომ საინტერესო საღამო გამოვა. ამისთვის ძალ-ღონეს ნამდვილად არ დავიშურებ. ერთი კი არის, რომ, როდესაც ადამიანი გარკვეულ ასაკში შედის, იმ წონის გირს ვეღარ სწევს, რასაც წლების წინ ერეოდა, მაგრამ მე მაინც შევეჭიდები. თუ ავწევ, ხომ კარგი, თუ არადა, მაყურებელი მაპატიებს, თუმცა არ მინდა, ისეთი რამ გავაკეთო, მაყურებლის საპატიებელი გავხდე. სცენაზე ბოლომდე დავიცლები. მინდა, თეატრიდან ხალხი კმაყოფილი წავიდეს და თქვან: „ყოჩაღ, ნანა!“.

— სადამის რეჟისორი ვინ არის?

— ნიკო მშველიძე. სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა სტილის, ერთმანეთისგან განსხვავებულ გმირებს ვითამაშებ.

— რა რეაქცია ექნებოდათ, რიცა გაიგეთ, რომ თეატრის წინ ვარსკვლავს გისნიდნენ?

— ეს ძალიან საპასუხისმგებლოა. რა თქმა უნდა, დიდი პრესტიჟია, რომ შენი თეატრის წინ იქნება შენი გვარი და სახელი. ვფიქრობ, ამისთვის ღირდა ცხოვრება. მე ნამდვილად მინდოდა თეატრის ისტორიაში ჩემი სახელისა და გვარის დამკვიდრება, მაგრამ ვარსკვლავის გახსნაზე არ მიფიქრია. მთელი ცხოვრება იმისთვის ვშრომობდი, რომ რაღაც საინტერესო შემექმნა. კიდევ კარგი, ეს ჟინი დღემდე მაქვს — ვიყო სასურველი და საინტერესო. ამისთვის ბრძოლაა საჭირო და მეც ვიბრძვი.

— კიდევ რა ელის სტუმრებს 31 მარტს?

— ჩემი წიგნის პრეზენტაცია მოეწყობა. ვინც შემქმნა, ეგულისხმობ ჩემს რეჟისორებს, ვინც გამომძერწა, მწვანე გზა გამიხსნა და დამიმეგობრდა, მათ ვცემ უდიდეს პატივს. წიგნს ჰქვია „მე და ჩემი

„ეს ჟინი დღემდე მაქვს — ვიყო სასუჩველი და საინტეჩესო. ამისთვის ბჩძოლაა საჭიჩო და მეც ვიბჩძვი“.

რეჟისორები“. მასში შევა წერილები, თუ რას ფიქრობენ ჩემზე რეჟისორები. წიგნში იქნება ფოტოალბომი. ამ წიგნის იდეა მე მეკუთვნის, მისი ბედი კი ჩემს კოლეგა მანანა თევზაძეს მივანდე. მადლობას ვუხდი თბილისის მერიას და კულტურის სამსახურის უფროს ნეკა სებისკვერაძეს. რომ არა ურთიერთგაგება, მე ამ წიგნის გამოცემას ვერ შევძლებდი. მათ მაჩუქეს ეს წიგნი. ჩემს ბენეფისს და ჩემს ვარსკვლავს კი რუსთაველის თეატრი აკეთებს. მათი მადლობელი ვარ, ეს ყველას ხვედრი არ არის.

— კულტურის სამინისტრომ არ შეგიწყოთ ხელი?

— კულტურის სამინისტრომ თქვა სიტყვა „არა“. ადრე თუ კულტურის სამინისტრო ხსნიდა ვარსკვლავებს, ახლა ეს პრეროგატივა გადაეცა თეატრებს და დავით ოქიტაშვილს. ჩემი საღამოს ორგანიზატორია რუსთაველის თეატრი, ხარჯებსაც ის გაიღებს.

— ალბათ ამ საშინაოსმა თქვენი დღის რეჟიმიც შეცვალა, გაართულა.

— კი, ეს მართლაც ძალიან რთულია. ისედაც ბევრს ვმუშაობ, ყოველდღე ტელევიზიაში ვარ, სპექტაკლებში ვმონაწილეობ, თანაც პატარაც აღარ ვარ. ვარსკვლავის გახსნის დღეს ვიტყვი, რამდენი წლის ვარ. ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც

„აღბათ ძაღიან დიდი ხნის წინ აენთო ჩემი ვაჩსკვღავი ზეცაში, იაჩა, იაჩა და 31 მაჩტს ხეღში უნდა დავიჭიჩო!“.

მე მინდა, თეატრი ყველანაირად მიწყობს ხელს. შეიძლება ეს იყოს გედის სიმღერა, ღმერთმა იცის.

— თქვენ არაერთ თეატრში ვითამაშაო. ალბათ ამ წლებიდანაც ბევრი გაქვთ გასახსენებელი.

— კი, ასეა. რუსთაველის თეატრიდან პირველად მე გადავდგი ასეთი ნაბიჯი და ზუგდიდის თეატრში წავედი, სადაც ვითამაშე სპექტაკლში „თავადის ქალი მაია“. „სარდაფის“ თეატრი მე, კახი კავსაძემ და რამაზ ჩხიკვაძემ გავხსენით. მერე „თავისუფალ თეატრში“ ვიყავი, შემდეგ — ახმეტელის თეატრში, მერე — „თეატრში ათონელზე“. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო წლები იყო ჩემს ცხოვრებაში.

— ბოლო რამდენიმე წელია ტელეწამყვანობაც შეითავსეთ.

— 10 წელია, რაც ვცდილობ, ტელეწამყვანი ვიყო. „პირველ არხზე“ გადაცემა „სამოთხის ვაშლები“ მიმყავს. წლების წინ ტელეკომპანია „ევრიკაზე“ ვმუშაობდი, „თეატრალური სალონი“ მიმყავდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჟურნალისტობაზე თავს ვერ დავდებ.

— თქვენს წარმატებულ კარიერას ახლდა იმედგაცრუებები?

— არა, წარუმატებელი მსახიობი ნამდვილად არ ვარ, არც ჩავარდნები მქონია და არც პაუზები. ნებისმიერ მსახიობს აქვს ხოლმე ასეთი მომენტი, უბრალოდ მე ვცდილობდი, ყოველთვის გამომენახა გზა, რომ დაკავებული ვყოფილიყავი.

— რიგორ ახერხებდით ამას?

— ძალიან იოლად, ყოველთვის ვეძებდი საქმეს. ახალგაზრდობაში კვირაში 6 სპექტაკლში ვთამაშობდი, დღეს ასე აღარ არის. მსახიობმა თავად უნდა იზრუნოს, რომ იყოს სასურველი. ამისთვის მუშაობა და იმის მტკიცებაა საჭირო, რომ შენ ჯერ კიდევ შეგიძლია.

— ამ წლების განმავლობაში ალბათ იქნებოდა სინანული, შეცდომები.

— სინანული ნამდვილად იყო, მაგრამ შეცდომები?.. რუსთაველის თეატრში შეცდომა არ დამიშვია. ჩემი დევიზია: მე უფრო მჭირდება თეატრი, ვიდრე მე ვჭირდები თეატრს. თუ ამ ლოზუნგით იცხოვრებ, ყველაფერი გაგიიოლდება. შეუცვლელი მსახიობი არ არსებობს. როგორ გიყვართ „სარკის“ ჟურნალისტებს შიდა დინებების გამოკითხვა!.. სინანულზე მეტად წყენა მქონია, მაგრამ ამის გამო ხელი არასოდეს ჩამიქნევია.

— რიგორ მიიღეს კოლეგებმა თქვენი ვარსკვლავის გახსნის ამბავი?

— როგორ ფიქრობთ, მოვა ვინმე და მეტყვის, შენ ვარსკვლავის ღირსი არ ხარო? რა თქმა უნდა, არა. რაც კი ვარსკვლავი გახსნილა, იმ საღამოებისთვის თავი არასოდეს დამიზოგავს, მეც ბევრი ვიმუშავე.

— თქვენი ოჯახის წევრები ამ დღისთვის განსაკუთრებით ემზადებიან?

— ჩემი ოჯახის წევრებისთვის ეს მნიშვნელოვანი დღეა, ყველა ხელს მიწყობს. ქალიშვილი სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოდის უცხოეთიდან. ჩემი დაც უცხოეთში ცხოვრობს და იმედია, ისიც შეძლებს ჩემ გვერდით ყოფნას. შვილიშვილები განსაკუთრებით მგულშემატკივრობენ, რამდენიმე თვეში დიდი ბებიაც გავხდები... მინდა, ამ დღის შემდეგ ცოტა ხნით სადმე დავისვენო. წლებია დილის 9 საათიდან საღამოს 9-მდე სახლში ვერ შევდივარ. ასეთი ცხოვრება თავად ავირჩიე. ფარხმალი არასოდეს უნდა დაყარო, ბოლომდე უნდა იბრძოლო, რომ ბედი გწყალობდეს... ისე, შეიძლება წარმატებისთვის იღბლიან ვარსკვლავზე უნდა დაიბადო. ალბათ ძალიან დიდი ხნის წინ აენთო ჩემი ვარსკვლავი ზეცაში, იარა, იარა და 31 მარტს ხელში უნდა დავიჭირო!

— ამ საღამისთვის საგანგებოდ იკერავთ სამოსს?

— ახლა ყველაზე ნაკლებად ამაზე ვფიქრობ. დიზაინერი მანანა მანია ძალიან სადა, ლამაზ კაბას მიკერავს. ის ზრუნავს ჩემზე. როდესაც მეგობარი ხელს გამოგიწვდის, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. იმედი მაქვს, მანანა ისეთ კაბას შემიკერავს, რაც ჩემს წლებს შეეფერება.

— ელოდებით ქვეყნის პირველ პირებს თქვენს ღონისძიებაზე?

— ამაზე ვერაფერს გეტყვით. რადგან თეატრი აკეთებს ამ საღამოს, ბილეთების უმეტესი ნაწილი გაიყიდება.

✓ ლანა კენანე

მაგრამ ჩემს ოჯახში ბევრი ბავშვია გაზრდილი და ახლაც იზრდებიან. ორი შვილი მყავს და ორი შვილიშვილი, ვინც ჩემს ოჯახში იზრდებიან. აგრეთვე მყავს ძმა, ძმისშვილები, მათი შვილები და ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ჩემი ოჯახის წევრებიდან ზოგი შეიარაღებულ ნაწილში მსახურობს, ზოგი სამხედრო სავალდებულო სამსახურშია. მათი უპირველესი მოძღვარი მე ვარ, მაგრამ თავიანთი მოძღვარიც ჰყავთ.

— დაბოლოს, რას უსურვებთ ქართველ მრეველს და მთლიანად საქართველოს?

— ყველას ვუსურვებ, თავისი გზა მოენახოს. დღეს ჩვენი ერი თავისი სახელმწიფოებრიობის განვითარების განსაკუთრებულ ეტაპს გადის. სასიხარულოა ის, რომ ქართველმა კაცმა თავისი გზა იპოვა — გზა უფლისკენ აღმოაჩინა. ყველას ძალიან გვეჩქარება, რომ რაღაც შედეგებს უცებ მივაღწიოთ, მაგრამ ის, რაც 300 წელი ინგრეოდა, უცებ ვერ მიიღწევა. განვლილ 20 წელიწადში ჩვენ მართლაც ღირსეული გზა გავიარეთ. ეს გზა იყო ტრაგიზმით აღსავსე, იყო შეცდომები, მაგრამ დღეს ჩვენ ამას ვიაზრებთ და ვხედებით. მთავარი სწორედ ეს არის. მეც მინდა, ქვეყანაში უფრო მეტი გაკეთდეს როგორც სულიერების, ასევე სახელმწიფოებრიობის მხრივ, მაგრამ შეუძლებელია მოკლე დროში ამდენი ცვლილების მიღწევა. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ბოლოს კიდევ ერთი ეტაპი გავიარეთ, როდესაც ან დასავლეთი უნდა აგვერჩია, ან აღმოსავლეთი. თუმცა ვთვლი, რომ ქართველებმა ჩვენი გზა ვიპოვეთ, რომელიც უფლისკენ მიდის და არა — აღმოსავლეთისკენ ან დასავლეთისკენ. ამას უწმინდესისა და უნეტარესის საოცარი სიტყვები კიდევ უფრო ამყარებს: „უფალი, სამშობლო და ადამიანი“.

✓ თეონა ჯინჭარაშვილი

ლაბირინთი

დაეხმარეთ პრინცს,
პრინცესასთან მიეიღეს.



გაიფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

სალათი „მარგალიტი"

მასალა:
ორაგული ან კალმახი (ნაკლებმარილიანი) — 150 გ
კვერცხი — 3-4 ცალი
ფორთოხალი ან გრეიპფრუტი — 1 ცალი
არაჟანი — 20-30 გ
ყველი — 30-40 გ
მაიონეზი, მარილი, პილპილი — გემოვნებით
მოსართავად:
წითელი ხიზილალა — 1-2 ს.კ.
მწყერის კვერცხი — 1 ცალი
ზეთისხილი — სურვილისამებრ

მომზადება: კვერცხი გარეცხეთ, ჩადეთ მარილიან მდუღარე წყალში და 8-10 წუთი ხარშეთ. მოხარშული კვერცხი ჯამში გადაიტანეთ, ცივი წყალი დაასხით და გაფცქვენით. ცილა და გული გააცალკევეთ. გული დაჭერით, ცილა — გახეხეთ. ორაგული პატარა კუბიკებად დაჭერით. ფორთოხალი გარეცხეთ, მოაშორეთ კანი და თეთრი ქსოვილები. ლებნები მემბრანიდან ამოიღეთ და რბილობი კუბიკებად დაჭერით.

ყველი გახეხეთ. ზეთისხილი პატარა კუბიკებად დაჭერით.

სალათი ფენებად უნდა გაკეთდეს, ამიტომ უფრო მოსახერხებელია თითოეული ფენის ინგრედიენტების ცოტაოდენ მაიონეზში არევა.

პირველი ფენა: ცილა (ნახევარი), მაიონეზი, ცოტა პილპილი და მარილი;

მეორე ფენა: კვერცხის გული, ცოტა მაიონეზი, პილპილი და მარილი;

მესამე ფენა: ორაგულის ნახევარი;

მეოთხე ფენა: ზეთისხილი;

მეხუთე ფენა: ორაგული (დარჩენილი);

მეექვსე ფენა: ყველი და ცოტა მაიონეზი;

მეშვიდე ფენა: ფორთოხალი;

მერვე ფენა: ცილა (დარჩენილი), მაიონეზი, მარილი და პილპილი.

სალათი მორთეთ ხიზილალით, ზეთისხილითა და მწყერის მოხარშული კვერცხით.

ნამცხვარი ჟოლოთი

მასალა:
კვერცხის ცილა — 4 ცალი
კარაქი — 200 გ
შაქრის პუდრი — 160 გ
ნუში — 80 გ
ფქვილი — 60 გ
ჟოლო — 200 გ

მომზადება: ნუში ბლენდერში დააქუცმაცეთ. ნაღების კარაქი დაბალ ცეცხლზე გაადნეთ და გააგრილეთ. ჯამში მსუბუქად გათქვიფეთ კვერცხის ცილა, დაუმატეთ დაფქული ნუში, ჩააყარეთ გაცრილი ფქვილი და მოურიეთ. შემდეგ ცომის ზედაპირზე დააცერით შაქრის პუდრი, ჩაასხით გამდნარი კარაქი და კიდევ ერთხელ კარგად მოურიეთ.

გამზადებული ცომი პერგამენტჩაფენილ ფორმაში ჩაასხით და ზედაპირზე ჟოლო გადაანაწილეთ. წინასწარ 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში 35-40 წუთი გამოაცხვეთ. როცა მზად იქნება, გადმოიღეთ, გააცივეთ და ნამცხვარს ზემოდან შაქრის პუდრი მოაყარეთ.

ზეფირი

მასალა:
შაქარი — 1 კგ
წყალი — 1,5 ჭიქა
ჟელატინი — 25 გ
ლიმონის მჟავა — 1 ჩ.კ.
სოდა — 0,5 ჩ.კ.
ხილის ესენცია — გემოვნებით

მომზადება: 1 ჭიქა წყალი და შაქარი 15 წუთი ადუღეთ. ცალკე ჭურჭელში ჟელატინი დაალბეთ. როცა გადნება, შაქრიან წყალს დაუმატეთ და მიქსერით გათეთრებამდე თქვიფეთ (სანამ ქაფი არ წარმოიქმნება). შემდეგ დაუმატეთ ლიმონმჟავა, რომელიმე ხილის ესენციის რამდენიმე წვეთი და განაგრძეთ თქვეფა. მიღებული ზეფირი ჩაასხით კულინარიულ შპრიცში და დასვით სხვადასხვა ფორმის ზეფირები. ცოტა დააცადეთ, რომ გაშრეს. შეგიძლიათ ზემოდან გამდნარი შოკოლადი მოასხათ.

მიდიები ბრინჯით

მასალა:
მიდიები (მარინადი) — 200 გ
ბრინჯი — 100 გ
სტაფილო — 1 ცალი
ხახვი — 2 ცალი
ნიორი — 1 კბილი
მარილი და პილპილი, ზეთი — გემოვნებით

მომზადება: ბრინჯი მოხარშეთ, სტაფილო — გახეხეთ, ხახვი წვრილად დაჭერით და ზეთში მოშუშეთ. მოხარშულ ბრინჯში შეურიეთ მიდიები, დაჭყლეტილი ნიორი, მოხრაკული ხახვი და სტაფილო, პილპილი და მარილი გემოვნებით.

კიბორჩხალები მაკარონით

მასალა:
ქათმის ბულიონი — 1/2 ჭიქა
თეთრი ღვინო — 1/2 ჭიქა
რძე — 1 ჭიქა
კარაქი — 2 ჩ.კ.
ფქვილი — 1 ს.კ.
კიბორჩხალა — 250 გ
დაფქვული ოხრახუში — 2 ს.კ.
მწვანე ხახვი (გატარებული) — 2 ს.კ.
მარილი — 1/2 ჩ.კ.
ლიმონის წვენი — 1 ს.კ.
მაკარონი — 100 გ
კარაქი — 1 ს.კ.
გახეხილი ყველი — 2 ს.კ.

მომზადება: ქვაბში ბულიონი და თეთრი ღვინო ჩაასხით. ადუღეთ მანამ, სანამ 1/3 ჭიქაზე არ დავა. გადმოდგით ქურიდან და აურიეთ რძეს, სანამ ბოლომდე არ გაიხსნება. ისევ გადაიტანეთ ცეცხლზე და წამოადუღეთ.

2 ჩაის კოვზი კარაქი და ფქვილი აურიეთ და ნელ-ნელა ჩაუმატეთ რძიან ნარევში. ურიეთ, ნარევი უნდა გასქელდეს. დაუმატეთ კიბორჩხალები, ოხრახუში, მწვანე ხახვი, ლიმონის წვენი და მარილი. დაუწიეთ ალს და ხარშეთ კიბორჩხალების მოხარშვამდე. მარილწყალში მაკარონი მოხარშეთ, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი კარაქი და გახეხილი ყველი. მაკარონს კიბორჩხალებიანი სოუსი დაასხით და სუფრასთან მიიტანეთ.

Cyan Magenta Yellow Black

სამაჯური ღილებისგან

ღილებს არამარტო შესაკრავად, აქსესუარების გასაწყობადაც იყენებენ.

ღილებისგან კეთდება ორიგინალური სამაჯურებიც, თუნდაც ისეთი, როგორიც ფოტოებზეა.

ამისთვის დაგჭირდებათ: ხის, სადაფის, ლითონის ან სხვა ფაქტურის დიდი ღილები. ამ შემთხვევაში გამოყენებულია ხის ღილები. თუ მოხატული ღილები არ გაქვთ, შეიძლება ჩვეულებრივი ღილები თავად მოხატოთ საღებავებით და შემდეგ ზემოდან გადაუსვათ უფერო ლაქი, რომ საღებავი არ წაიშალოს.

დაგჭირდებათ ასევე მაკრატელი, უხეში ძაფი (მაგ., კანაფის ან შეიძლება წვრილი ლენტიც გამოიყენოთ) და ნემსი.

გავუყაროთ ღილის ერთ მხარეს ნახვრეტში ძაფი და უკანა მხრიდან აუცილებლად გამოვკვანძოთ. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ღილებმა საბოლოოდ ხელზე არ იმოძრაონ. მომდევნო ღილს ძაფი ამოვუყაროთ ქვემოდან. გავაგრძელოთ და ბოლო ღილზეც გამოვკვანძოთ ძაფი. წამოვიდეთ უკან და ახლა თავისუფლად დარჩენილ ნახვრეტებში გავუყაროთ ძაფი, სანამ არ მოვალთ პირველ ღილამდე.

ავიღოთ ძაფის ერთნაირი ზომის ორი ან უფრო მეტი გადანაჭერი და დავგრიხოთ. დაგრეხილი ძაფი გამოვკვანძოთ ბოლო ღილების ქვეშ, ძაფზე.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

2	5	4	8	1	7	6	3	9
7	1	9	6	2	3	5	4	8
6	8	3	4	5	9	1	2	7
8	9	7	3	6	1	4	5	2
4	2	6	5	7	8	9	1	3
1	3	5	2	9	4	7	8	6
9	7	8	1	4	2	3	6	5
3	6	1	9	8	5	2	7	4
5	4	2	7	3	6	8	9	1

№ 2

8	2	5	4	3	1	6	9	7
9	1	6	8	5	7	4	2	3
7	4	3	2	6	9	1	5	8
3	5	9	6	8	4	7	1	2
4	6	2	1	7	3	9	8	5
1	8	7	9	2	5	3	4	6
6	7	1	5	9	2	8	3	4
5	3	4	7	1	8	2	6	9
2	9	8	3	4	6	5	7	1

ენის გაწმენდა აუცილებელია!

ხბილების გახეხვას ბავშვობიდან გვასწავლიან, ენის გასუფთავებას — იშვიათად. სინამდვილეში ბაქტერიების დიდი ნაწილი, რომელიც პირის ღრუში მჟავეტუტოვან ბალანსს არღვევენ და კბილების დაშლას ხელს უყწობენ, სწორედ ენაზე ბინადრობენ, ამიტომ ენა ზოგჯერ დაფარულია ნადებით. ზოგიერთი დაავადების დროს (კუჭის წყლული, ნაწლავების დაავადებები) ნადები შეიძლება საკმაოდ ძლიერი იყოს. ჯანმრთელ ადამიანშიც კი დილიდან საღამოსკენ ენის ლორწოვანი გარკვეული ფენით იფარება. იქ მავნე მიკროორგანიზმები აქტიურად ცხოვრობენ და ასევე აქტიურად მრავლდებიან. აქედან წარმოდგება პირიდან ცუდი სუნი და კარიესის აღმოცენების რისკი. გარდა ამისა, გემოს მგრძნობელობა ქვეითდება. ამიტომ კბილის გასუფთავების შემდეგ საჭიროა ენის მაშინვე გაწმენდაც.

შეგიძლიათ გამოიყენოთ კბილის ჯაგრისი, რომელსაც თავზე მეორე მხრიდან სპეციალური ხორკლი აქვს. ამ მიზნით ასევე გამოდგება ლითონის ჩაის კოვზი ან სპეციალური საფხეკი, უმჯობესია მოვერცხლილი. ენის გაწმენდა ხდება ენის ბოლოდან წვერისკენ. კოვზს ძალიან ღრმად ნუ ჩაიყოფთ, თორემ ღებინების რეფლექსი აღმოცენდება.

ნადების მოცილების შემდეგ პირის ღრუსა და ყელში წყალი კარგად გამოივლეთ, რათა ნადები სრულად მოცილდეს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ვახსოვდეთ ასეთები

ორსულ პენელოპა კრუსს პაპარაცების ყურადღება მოსწონს

38 წლის პენელოპა კრუსი მეორე ბავშვზეა ფეხმძიმედ და ყველანაირ კინოპროექტზე მუშაობა შეაჩერა. ესპანელმა ლამაზმანმა დასვენება ბარბადოსზე გადაწყვიტა. პლაჟზე მის გამოჩენას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. როდესაც ბიკინიში ჩაცმული ორსული მსახიობი პლაჟზე გამოჩნდა, მის გარშემო უფრო მეტი პაპარაცი იყო, ვიდრე დამსვენებელი.

■ პენელოპა კრუსი

მსახიობს ფოტოგრაფებისგან დამალვა არც უცდია, მეორე დღეს კი თავის სოციალურ ქსელში დაწერა: „რა კარგია პაპარაცებთან ერთად დასვენება, ისინი ზღვაში ბანაობისას ზვიგენებივით უკან დამყვებოდნენ. ჩემი მეორე შვილი დედის მუცელშივე უკვე პოპულარულია და როცა გაიზრდება, ამას აუცილებლად მოვუყვები“.

ბიონსემ და ევა ლონგორიამ საიდუმლოებები გაამჟღავნეს

■ ევა ლონგორია

ომღერალი ბიონსე ყოველთვის გაურბის ინტერვიუებში საკუთარ სხეულზე და წონის კორექციის მეთოდებზე საუბარს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინ ორსულობის ბოლო ეტაპზე 25 კილო მოიმატა. როგორც აღმოჩნდა, ზედმეტ კილოგრამებს მომღერალი ახლაც ებრძვის.

— ორსულობისას 25 კილო მოვიმატე. წონის დაკლება რთული და საშინელი პროცესი აღმოჩნდა. მშობიარობიდან 3 თვეში უკვე დაგეგმილი მქონდა შოუ და ყველაზე არანორმალური დიეტები გამოვიყენე იმისათვის, რომ წონა ცოტა შემემსუბუქებინა. როცა მეორე შვილს გავაჩენ, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კონცერტებს აღარ დავგეგმავ. ახლაც კი იმაზე ვმუშაობ, რომ ჩემი სხეული იდეალურ ფორმაში ჩადგეს. სამწუხაროდ, მე ქალების იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც გამხდარი სხეულით ამაყობენ. ჩემს წონაზე ყველაზე კარგად შიმშილი, ცეკვა და ბევრი სიმღერა მოქმედებს, — განაცხადა მომღერალმა.

■ ბიონსე

ბიონსეს მხარი აუბა მსახიობმა ევა ლონგორიამ, რომელიც თავის იდეალურ სხეულს ყოველთვის პროპაგანდას უწევს სექსუალური სამოსით.

— ყველას ჰგონია, რომ ჩემი იდეალური სხეული ღმერთის საჩუქარია. სინამდვილეში ყველაფერი ჩემი მონდომებისა და მიზანდასახულობის შედეგია. ვიცი, რომ ვერასოდეს შევჭამ ჩიფსებს, ჰამბურგერებს, გემრიელი ტორტის ნაჭრებს. ბევრი მოძრაობა, კარგი პლასტიკური ქირურგი და კარგი მწვრთნელი — ეს ჩემი სხეულის მოვლის ყველაზე კარგი საშუალებებია, — აღიარებს ევა.

ბეპანთენი
მალამო

დაიცავით ბავშვის ყანი პრობლემებისგან!

- გამოიყენება ბავშვებში გამოყენებისა და საფენისმიერი დერმატიტის სამკურნალოდ, ასევე ყოველდღიური მოვლისათვის
- ეფექტურია დედებში ძუძუს დვრილებზე ნახეთქების საპროფილაქტიკოდ და სამკურნალოდ
- უზრუნველყოფს ყანის საფარველისა და ნახეთქების როგორც მკურნალობას, ასევე პროფილაქტიკას

გამოშვების ფორმა: 5% მალამო ტუბში 30 გ
მოქმედი ნივთიერება: დექსპანთენოლი (B5 პროვიტამინი)

მწარმოებელი: **Bayer Consumer Care AG (Switzerland)**
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

150 Years
Science For A Better Life
BAYER

სილქნეტი
SILKNET

DREAM პაკეტი

საუკეთესო ინტერნეტ შემოთავაზება

50 MB

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

+ 2 მბ / წმ

22 MB

ჩაერთეთ 30 აპრილამდე



22 მბ / წმ – 30 ლარი

+ ექსტრა 2 მბ/წმ ყოველთვიურად

სრულიად უფასოდ, 31 დეკემბრამდე

Silk Optic

Find us on: facebook.

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები